ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

# სარკე

ფასი: 1 ლარი

10-16.VII 2013

№28





გვ. 6-7

ეკა კვალიაშვილი: „რომ მოვყვეთ ჩვენი ცხოვრება, ჩვენც შევეცოდებით ხალხს, მაგრამ არ მინდა“

მიშა მშვილდაძე: „კარგად მოუსმინეთ ნუკა გვალიას მისამართით გაკეთებულ ჩემს შეფასებებს“

ინტრიგები „საქართველოს ვარსკვლავის“ გარშემო

„ბოლო პერიოდში გამოვცოცხლდი, ცუდად ყოფნას გამოვემშვიდობე“



გვ.14

გიორგი მოსიძე და მისი ცოლი ოჯახურ კრიზისებს ბავშვების გაჩენით ებრძვიან

„ილადავეთ დილით, საღამოს და ლოგინშიც!“

„ამ სიყვარულზე უარს მხოლოდ შვილი თუ მათქმევინებს“



გვ.30

ანრი ჯოხაძე ახალ სკანდალს აცხობს

## ვერიკო ტურაშვილი შეყვარებულია

გვ.31



გვ.50

ქართლოს ნატროშვილი: „დავშორდი გოგოს, რომელსაც იუმორის გრძნობა არ ჰქონდა“



გვ.32

ნიკა ცქიტიშვილს ცოლი მომავალი კალათბურთელის გაჩენას ჰპირდება



გვ.10

მამუკა არეშიძე: „ჩემი სასიყვარულო ამბები ლამაზი ნოველებია“



გვ.34

შალვა ნათელაშვილის ცოლმა „გაჭირვების სალათა“ გამოიგონა

ISSN 1987-9369

„ძლიერი ქალი სუსტი კაცების მსხვერპლი გავხდი“ გვ.12

# ექსოდერილი®

## ნაფტიფინის ჰიდროქლორიდი

## სამმაგი დარტყმა სოკოზე!




**ექსოდერილის ხსნარი** ფრჩხილის ფირფიტაში არსებული „არხების“ საშუალებით ადვილად და სწრაფად აღწევს ფრჩხილქვეშა ზონებში, აკუმულირდება სოკოს კოლონიზაციის კერებში და ანადგურებს მას[1]

**ექსოდერილის კრემი** ადვილად აღწევს კანში, კონცენტრირდება მის სხვადასხვა შრეში და ანადგურებს სოკოს[2]

## სოკოვანი ინფექციის სრული განკურნებისთვის საჭიროა მკურნალობის სრული კურსის ჩატარება[2]

ექსოდერილი უზრუნველყოფს[2]:

- სოკოს განადგურებას
- ანთების ჩაქრობას
- ქავილის მოხსნას

*სოკოვანი ინფექციის რეციდივების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია პრეპარატის გამოყენება კლინიკური გამოვლინებების ალაგების შემდეგ კიდევ 2 კვირის განმავლობაში[2].*

1 Сергеев А. Ю. с соавт. «Новые концепции патогенеза, диагностики и терапии онихомикозов. Иммунология, Аллергология, Инфектология», 2007, № 3.
2. პრეპარატის გამოყენების ინსტრუქცია

სამედიცინო გამოყენების მცირე ინსტრუქცია
საერთაშორისო არადაპატენტებული დასახელება: ნაფტიფინი; სამკურნალწამლო ფორმა: გარეგანად გამოსაყენებელი ხსნარი და კრემი; ფარმაკოლოგიური ჯგუფი: სოკოს საწინააღმდეგო საშუალება; გამოყენების კანისა და კანის ნაკეცების სოკოს ინფექციები; თითებსშორისი მიკოზები; ფრჩხილების სოკოვანი ინფექციები (ონიქომიკოზები); კანის კანდიდოზები; ქატოსებრი ლიქენი; ანთებითი დერმატომიკოზები (თანმდევი ქავილით და მის გარეშე); გარეგანი გამოყენების ხსნარი ასევე გამოიყენება სმენის გარე არხის მიკოზი. უკუჩვენებები: ჰიპერმგრძნობელობა ნაფტიფინის ან ბენზილის სპირტის (კონსერვანტის) მიმართ. არ შეიძლება პრეპარატის დატანა ნაჭრილობევ ზედაპირზე. განსაკუთრებული მითითებები და სიფრთხილის ზომები: ორსულობა, ლაქტაციის პერიოდი, ბავშვური ასაკი; დოზები და გამოყენების წესი: გარეგანი გამოყენების. ექსოდერილი® უნდა დატანილი იქნეს კანის დაზიანებულ ზედაპირზე და მის გვერდით უბნებზე დღეში ერთხელ საგულდაგულო გაწმენდის და გაშრობის შემდეგ, დაზიანების ზონის კიდეების გარშემო დაახლოებით 1 სმ-იანი ჯანმრთელი კანის უბნის დაფარვით. გვერდითი მოქმედება: ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება აღინიშნოს ადგილობრივი რეაქციები: კანის სიმშრალე, ჰიპერემია და წვა. გვერდით ეფექტებს ყოველთვის შექცევადი ხასიათი აქვთ და არ მოითხოვენ მკურნალობის მოხსნას. ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო პრეპარატებთან და სხვა სახის ურთიერთქმედებები: ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო პრეპარატებთან აღნიშნული არ ყოფილა. შენახვის პირობები: ინახება 30°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე, ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. ვარგისიანობის ვადა: 5 წელი.
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

1/730/GE/21.06.2013

რეგისტრაციის ნომერი: 10მლ 1% გარეგანი გამოყენების ხსნარი - 010714; 1% 15გრ კრემი - 010713


თბილისი, გ. ტაბიძის №18
ტელ.: 298 27 30, 298 27 50


SANDOZ
a Novartis company

# ნომერშია


### საკონკურსო ვნებები

- ეკა კვალიაშვილი: „რომ მოვყვეთ ჩვენი ცხოვრება, ჩვენც შევეცოდებით ხალხს, მაგრამ არ მინდა“ 6
- იყო თუ არა მიშა მშვილდაძე ნინა სუბლატის ლობისტი 8

### დავა

„რუსთავი 2“-ის წართმევის რეალური ისტორია 9

### ცხოვრების გაკვეთილები

მამუკა არეშიძე: „ჩემი სასიყვარულო ამბები ლამაზი ნოველებია“ 10

### გულახდილი საუბრები 12-13

### ცოლ-ქმრის კლუბი

გიორგი მოსიძე და მისი ცოლი ოჯახურ კრიზისებს ბავშვების გაჩენით ებრძვიან 14

### პოლიტიკა

- კახი კახიშვილი: „ივანიშვილის ხელისუფლებამ სახიფათო თამაში წამოიწყო“ 16
- დავით ზურაბიშვილი: „პედაგოგთა სერთიფიცირების წესი გართულდება!“ 18
- გიორგი ვაშაძე: „დავით ბაქრაძეს ჩვენს პარტიაში სერიოზული კონკურენტები ჰყავს“ 19

### გახმაურებული საქმე

თამაზ ელიზბარაშვილი: „ჩემს შვილს კაცის მოკვლას ვერ ვპატიობ“ 20

### ფავორიტი

გიორგი ბერიძე: „ეს ჩემი ძმის, ნიკოს გამარჯვებაც იყო!“ 22

### სიყვარულის ისტორია

ინტელექტუალურ მოთამაშეთა წყვილი ერთმანეთს წიგნების გამო ებუტება 23

### მეორედ დაბადება

ცოტნე გეგეჭკორი: „ავარიამდე მოძღვარმა მისაყვედურა, 3 წელია ტაძარში არ ყოფილხარო...“ 24

### მოზარდები 28-29

### ეტაპი

- ანრი ჯოხაძე ახალ სკანდალს აცხობს 30
- ვერიკო ტურაშვილი: „ამ სიყვარულზე უარს მხოლოდ შვილი თუ მათქმევინებს“ 31

### მეორე ნახევარი

ნიკა ცქიტიშვილს ცოლი მომავალი კალათბურთელის გაჩენას ჰპირდება 33

### სამზარეულო

შალვა ნათელაშვილის ცოლმა „გაჭირვების სალათა“ გამოიგონა 34

### ავტომოყვარული

გვანცა დარასელია: „ვცდილობ, მანქანა ქალივით არ ვატარო“ 35

### შინ

ზურაბ ცინცქილაძე: „სასიამოვნოა, როცა კარს ლამაზი ცოლი გიღებს“ 38

### სამოსი

იუნა შაფათავას ერთლარიანმა კაბამ ბედნიერება მოუტანა 42



№28(794) 10 — 16 ივლისი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 8.07.2013, 21.00 სთ-ზე.



### ცხოვრება ჩემოდნებზე

სოსო ცინცაძეს გეიშებმა იმედი გაუცრუეს 45

### მეგზური

გვალიორი — ინდოეთის ისტორიის ნაკვალევზე 47

### მხოლოდ ქალებისთვის 48

### დედიკოების სკოლა 49

### ჩემი მშვენიერი ლედი

ქართლოს ნატროშვილი: „დავშორდი გოგოს, რომელსაც იუმორის გრძნობა არ ჰქონდა“ 50

### სპორტის მიღმა 51

### ცოტ-ცოტა ყველაფერზე 52

### ადამიანის ინსტიტუტი 53

### შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 54-55


## ვანდა ანთიძე: „დღემდე ჩემი ქმრის მადლით მოვდივარ“



გასული საუკუნის 60-იან წლებში თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კედლებში ერთი ლამაზი სიყვარულის ისტორია დაიწყო. სტუდენტი რობერტ ბარძიმაშვილი ინსტიტუტს ამთავრებდა, მუსიკით იყო გატაცებული და თავის მომავალს მასში ხედავდა. პირველკურსელი გოგონა ვანდა ანთიძე კი მისით აღფრთოვანებული იყო, მისი სჯეროდა და მასთან ერთად აწყობდა გეგმებს. ისინი ცოლ-ქმარი გახდნენ და ერთი შვილი შეეძინათ, ზურაბი. ერთად 44 წელი გაატარეს.

5 ივლისს რობერტ ბარძიმაშვილის გარდაცვალებიდან 10 წელი შესრულდა. ლეგენდარული „ორერას“, „ვია 75“-ის, „ლახტის“ შემქმნელი სრულიად მოულოდნელად თავის სტუდიაში მუშაობისას გარდაიცვალა. მისი მეუღლე შოკისა და ტკივილისგან ქმრის ხსოვნამ, მისი საქმის გაგრძელების აუცილებლობამ გამოიყვანა. დღეს ისევ მუშაობს რობერტ ბარძიმაშვილის სტუდია.

უნიჭიერესი ქართველი მუსიკოსისა და პროდიუსერის გვერდით გატარებულ წლებზე ქალბატონი ვანდა „სარკეში“ საუბრობს.

გვ.26


### სახალისო 56-57

### იყავით ჯანმრთელი 58-59

### ჭრელაჭრულა 62

### ქალური მოთხრობები

- თინათინ ბონი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-27) 66
- ლელა ცუცქირიძე — „ზარი წარსულიდან“ 68

### წმინდანები

წმინდანები იმიტომ არსებობენ, რომ ჩვენ მაგალითი ავიღოთ მათგან 72

### კითხვები მოძღვარს

„ღვთისგან რწმენა ითხოვეთ და არა — სასწაული!“ 73

### საბავშვო გვერდი 76

### ხელსაქმე 78

# ლადო ბედუკაძის საქმეს შეიძლება არჩილ კბილაშვილი გადააყოლონ


■ ბიძინა ივანიშვილი

საქართველოს მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის თავზე შავი ღრუბელი შეიყარა. არასამთავრობოების, უფლებადამცველების და საზოგადოების გარკვეული ნაწილის შემდეგ ლადო ბედუკაძისთვის ბრალის მოხსნის გამო კრიტიკა კბილაშვილმა ამჯერად თვით ბიძინა ივანიშვილისგან დაიმსახურა. ყველაფერი კი ჟურნალისტის ერთი კითხვით დაიწყო, რომელიც პრემიერს პრესკონფერენციაზე დაუსვა. ჰკითხა, ეთანხმებოდა თუ არა კბილაშვილის გადაწყვეტილებას. ივანიშვილმა პირობა დადო, რომ ამ საკითხს შეისწავლიდა და ზუსტად 5 დღეში კბილაშვილს გადაწყვეტილების კრიტიკულად გადახედვის თხოვნით მიმართა.

— ...მე გავეცანი ყველა იმ არგუმენტს, რომლებიც საფუძვლად დაედო მიღებულ გადაწყვეტილებას და მინდა, მკაფიოდ განვაცხადო, რომ პირადად ჩემთვის ისინი არასაკმარისი და არადამაჯერებელია. დარწმუნებული ვარ, არანაირი სახის განსაკუთრებული გარემოება არ შეიძლება იყოს საფუძველი წამების ჩამდენი პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლებისთვის. ამასთან ერთად, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამიტოვა ამ საქმის სხვა ფიგურანტების მიმართ გამოჩენილმა ლოიალურობამ, რაც, ჩემი აზრით, არაადეკვატურად ლმობიერ განაჩენებში აისახა.


■ ლადო ბედუკაძე

მიმაჩნია, რომ ეს დაუშვებელია, მით უმეტეს, როდესაც წინა ხელისუფლების პირობებში, ფაქტობრივად, დამკვიდრებული იყო ადამიანის უფლებათა უხეში და მასობრივი დარღვევების მუდმივი პრაქტიკა...

მინდა, ვთხოვო საქართველოს მთავარ პროკურორს, რომელიც სასამართლოსგან განსხვავებით, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია და ამიტომ შემიძლია, მას პირადად მივმართო — კიდევ ერთხელ კრიტიკულად გადახედოს მიღებულ გადაწყვეტილებებს და თუ გაიზიარებს ჩემს მოსაზრებებს, იქნებ გამოინახოს სამართლებრივი საშუალებები მათი გადასინჯვისთვის, — აღნიშნულია პრემიერის მიერ მთავარი პროკურორისადმი გაგზავნილ განცხადებაში.


■ არჩილ კბილაშვილი

განცხადების პარალელურად გავრცელდა ინფორმაცია კბილაშვილის შესაძლო შემცვლელების შესახებ. დასახელდნენ ლაშა ნაცვლიშვილი, მაია მწარიაშვილი, ზაქარია ქუცნაშვილი და კახი კახიშვილი. საკადრო ცვლილებების თაობაზე ინფორმაციას არ ფლობს პრემიერის მრჩეველი გია ხუხაშვილი, თუმცა მთლიანად იზიარებს პრემიერის მოსაზრებას ბედუკაძის საკითხთან დაკავშირებით.

— ბუნებაში მუდმივი არაფერი არსებობს, მაგრამ კონკრეტულად მთავარი პროკურორის შეცვლის საკითხი არ დგას. არჩილ კბილაშვილს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი. ასეთია რეალური ვითარება. მესმის, რომ წარდგინების შემთხვევაში სააკაშვილი მას სიამოვნებით გაათავისუფლებდა. გამორიცხული არაფერია, მაგრამ კონკრეტულად ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლებისგან ამის პირდაპირ ინიცირებაზე ინფორმაცია არ მაქვს, — განაცხადა ხუხაშვილმა.

# მთავარი პროკურორის გადაწყვეტილებამ თეა წულუკიანს ეჭვები გაუჩინა

ლადო ბედუკაძის მიმართ გამოყენებული გადაწყვეტილება ეჭვს იწვევს და გადასახედია, — აცხადებს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი პრემიერმინისტრის განცხადების კომენტირებისას, რომლის თანახმადაც, ივანიშვილმა კბილაშვილს ბედუკაძესთან და პატიმრების წამებაში მსჯავრდებულ პირებთან დაკავშირებით მიღებული ლოიალური გადაწყვეტილებების გადახედვა სთხოვა.

— წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა არის პრინციპი, რომლიდანაც გადახვევა, როგორც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა კონვენცია ამბობს, არ შეიძლება მაშინაც კი, როდესაც ქვეყანაში ომია და როდესაც ერის არსებობას საფრთხე ემუქრება. აქედან გამომდინარე, თუ წამების აკრძალვიდან გადახვევა არ შეიძლება მაშინაც კი, როდესაც ერის არსებობას საფრთხე ემუქრება, რა თქმა უნდა, ბედუკაძის მიმართ გამოყენებული გადაწყვეტილება ეჭვს იწვევს. ვეთანხმები იმას, რომ ეს გადასახედია, — აღნიშნა წულუკიანმა.

# საპარლამენტო უმცირესობა ივანიშვილის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ითხოვს

საპარლამენტო უმცირესობაში არ სჯერათ, რომ ივანიშვილმა ბედუკაძის გამოშვების შესახებ არაფერი იცოდა და ეს მედიასაშუალებიდან შეიტყო. უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის, აკაკი მინაშვილის აზრით, პრემიერის ეს განცხადება მისი მხრიდან თვალთმაქცობაა.

— პრემიერს ჰგონია, რომ ის საბავშვო ბაღის დირექტორია. მისი მხრიდან ეს არის თვალთმაქცობა, თითქოს არ იცოდა, რომ ბედუკაძე გამოშვებული იყო. მით უმეტეს, ძალიან ფართო საზოგადოებრივი დისკუსია იყო ამასთან დაკავშირებით. ამ ყველაფრის გამო პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს როგორც არჩილ კბილაშვილს, ისე იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს, რომელიც მაშინ გენერალური პროკურორი იყო, პოლიტიკური პასუხისმგებლობა კი, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილს, — აცხადებს მინაშვილი.

სარკე
ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიმლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.
კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ელენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია.
სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE



Cyan Magenta Yellow Black

# ახალგაზრდა კაცმა პოლიციაში დაკითხვის შემდეგ თავი მოიკლა

6 ივლისს თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ახალგაზრდა კაცის, მამუკა მიქაუტაძის ცხედარი იპოვეს. ის ჩამომხრჩვალი გახლდათ. ამ ამბავს დიდი რეზონანსი მოჰყვა, რადგან გაირკვა, რომ ტრაგედია მას შემდეგ მოხდა, რაც მამუკა მიქაუტაძე პოლიციაში წაიყვანეს, დაკითხეს და ჩვენება ჩამოართვეს.

შსს-ს ინფორმაციით, 5 ივლისს ის მოწმის სტატუსით დაკითხეს. არასამთავრობო ორგანიზაციები მოკვლეული ინფორმაციის საფუძველზე აცხადებენ, რომ მიქაუტაძე პოლიციამ უკანონოდ დააკავა და სასურველი ჩვენების მიღების მიზნით მასზე ზეწოლა განახორციელა, რამაც ის თვითმკვლელობამდე მიიყვანა. ამ ვერსიას ადასტურებენ მიქაუტაძის ოჯახის წევრებიც.

— მამუკა მწარედ განიცდიდა, რომ მეგობრის წინააღმდეგ ჩვენება იძულებით მიაცემინეს, — ამბობენ გარდაცვლილის ახლობლები.

— მამუკა მიქაუტაძის საქმეში სერიოზული დარღვევები ჩანს, — აცხადებს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და დასძენს, რომ ომბუდსმენის აპარატი საქმის შესწავლას უკვე შეუდგა, — მას შემდეგ, რაც ამომწურავი ინფორმაცია გვექნება, განცხადებას გავაკეთებთ. ამ ეტაპზე კი შემიძლია იმის თქმა, რომ საქმეში სერიოზული დარღვევებია. ამიტომ ეს საქმე ერთ-ერთი პრიორიტეტული იქნება ჩვენთვის.

მამუკა მიქაუტაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს 8 თანამშრომელი უკვე დაიკითხა.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად 8 თანამშრომელია გამოკითხული, ასევე გამოკითხულები არიან მიქაუტაძის მეგობრები და თანამშრომლები. ამ ეტაპზე გენერალურ ინსპექციაში მიმდინარეობს სამსახურებრივი შემოწმება აღნიშნულ საქმეში მონაწილე სხვა პირების მიმართაც, — განმარტავს შსს.

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით არის აღძრული, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# ლიკა ყაზბეგი: „ჩემს ქმარს ყელი არ გამოუჭრია!“



■ გიორგი ჯელაძე და ლიკა ყაზბეგი

გავრცელდა ინფორმაცია, რომ დიზაინერ ლიკა ყაზბეგის ქმარმა, გიორგი ჯელაძემ, რომელიც სასჯელს რუსთავის მე-8 დაწესებულებაში იხდის, ციხის დირექტორის მოადგილესთან ჩხუბის შემდეგ ყელი გამოიჭრა. ინფორმაციას პატიმრის მეუღლე „სარკესთან“ საუბარში კატეგორიულად უარყოფს და ამბობს, რომ ჭორი მტრებმა გაუვრცელეს.

„ამ ყველაფრის შესაფასებლად სიტყვები არ მყოფნის. როგორც ჩანს, ჟურნალისტებს მასალები არ აქვთ და ჩემი და ნინი ბადურაშვილის ცხოვრებით ცხოვრობენ. ეს ყველაფერი სირცხვილია. ქმარი ახლა, ერთი საათის წინ ვნახე, ის კარგადაა. სტატიის ავტორს უწერია, სანდო წყაროზე დაყრდნობითო. ამ შემთხვევაში, სანდო წყარო ვინ არის, თუ არა ცოლი? მათ ჩემთვის არ დაურეკავთ ინფორმაციის გადასამოწმებლად. ამდენად, ინტრიგა თავშივე იყო ჩადებული. ახალი ამბავი არ არის, რომ ხელოვან ადამიანებს ბევრი მტერი ჰყავთ. როგორც ჩანს, ჩემს მეუღლეს ჩემზე ბევრად მეტი მტერი ჰყოლია. ჩვენი თანაცხოვრებისთვის ხელისშეშლა უნდათ თუ რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ ჩვენ მაინც წინ მივიწევთ, მე — კარიერაში, ჩემი მეუღლე კი მშვენივრად არის“, — აღნიშნა ლიკა ყაზბეგმა.

ასევე გავრცელებული ინფორმაციით, გიორგი ჯელაძე სამი თვე ციხის საავადმყოფოში იმყოფება. მისი ცოლი ამასაც უარყოფს. „ეს ინფორმაციაც სიმართლე არ არის. ვისაც კითხვები აქვს, შეუძლია ციხეში მივიდეს, გიორგი დაელაპარაკება კიდეც ჟურნალისტებს. როგორც მითხრეს, ჟურნალისტებს როცა პატიმრის მდგომარეობა აინტერესებთ, იქ შესვლის პრობლემა არ არის“, — ამბობს ლიკა ყაზბეგი.

გიორგი ჯელაძემ და ლიკა ყაზბეგმა ხელი ამა წლის თებერვალში მოაწერეს რუსთავის სასჯელაღსრულების მე-16 დაწესებულებაში. დიზაინერის ქმარი სასჯელს უკვე 6 წელია იხდის.

# სააკაშვილმა საქართველოში რუსი დეპუტატების დაპატიჟებას უთავმოყვარეობა უწოდა

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ სერგეი გავრილოვისა და მსგავსი ადამიანების საქართველოში შემოშვება არ შეიძლება, თუ ღირსება, თავმოყვარეობა, ქვეყნის სიყვარული გვაქვს, — პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამ სიტყვებით 7 ივლისს თბილისში რუსეთის დუმის წევრის ვიზიტი და ამ ვიზიტის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციის დროს ახალგაზრდების დაკავება გააპროტესტა. მან გააკრიტიკა სასაზღვრო უწყებისა და მინისტრის საქციელი იმის გამო, რომ მათ უფლება მისცეს, საქართველოში შემოსულიყო ის რუსი დეპუტატი, რომელმაც საქართველოს ოკუპაციის გადაწყვეტილებას მისცა ხმა.



■ სერგეი გავრილოვი

გავრილოვი საქართველოში თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის გამართულ ამხანაგურ მატჩზე დასასწრებად იმყოფებოდა, რომელიც ახალგაზრდული ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ აქტივისტების საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა. აქციის მონაწილეებს პოლიციელებმა მოუწოდეს, გზის სავალი ნაწილი გაეთავისუფლებინათ ტროტუარზე, რასაც ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. ინციდენტის გამო სამართალდამცავებმა სამი აქტივისტი დააკავეს — ირაკლი ჩხვირკია, დავით გოგოხია და ლაშა რუხაია.

— იყო ფეხბურთის მატჩი და მე მივესალმები ასეთ მატჩებს... მაგრამ ჩამოიყვანეს რუსეთის დუმის დეპუტატი, რომელსაც ხმა აქვს მიცემული საქართველოს დანაწევრებისთვის 2008 წელს, რომელსაც ხმა აქვს მიცემული ჩვენი რეგიონების — ცხინვალისა და აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობისთვის. ეს კაცი იბრძოდა და აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთის ომში. ჩვენი ინფორმაციით, ის აქტიურადაა დაკავშირებული რუსეთის სპეცსამსახურებთან და პრაქტიკულად, საქართველოს დაუძინებელი მტერია, ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირია საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაზე. ამიტომ ერთია, როცა ქვეყანაში უშვებ ტურისტს, სპორტსმენს და ამას უნდა მივესალმოთ და მეორე, როდესაც საქართველოში უშვებ ქვეყნის მტერს.

დუმის ყველა წევრი, რომლებმაც 2008 წელს ხმა მისცეს საქართველოს დაქუცმაცებას, საქართველოში უსაფრთხოების რისკსა და მტრულ ფაქტორს წარმოადგენს. ასეთი ადამიანების შემოშვება არ შეიძლება, თუ ჩვენ გვაქვს ღირსება, თავმოყვარეობა, ქვეყნის სიყვარული... საზოგადოებრივი წესრიგი უნდა დაიცვას ნებისმიერმა, მაგრამ, რაც მე ვნახე ტელევიზორში, ფაქტია, რომ საქმე გვაქვს პოლიციის მიერ პოლიტიკური შინაარსის ქმედებასთან. მივუთითებ, კატეგორიულად ვთხოვ და ვავალებ შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ეს ხალხი გაათავისუფლონ! არსებობს რაღაც წესები, რომელიც ყველა თავმოყვარე ქვეყანამ უნდა დაიცვას. მე არ მინდა, ისეთი რამე გავაკეთოთ, რისიც მერე ძალიან შეგვრცხვება, — აცხადებს აღშფოთებული პრეზიდენტი.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black





# ინტრიგები „საქართველოს ვარსკვლავის“ გარშემო

## ეკა კვალიაშვილი: „რომ მოვყვეთ ჩვენი ცხოვრება, ჩვენც შევეცოდებით ხალხს, მაგრამ არ მინდა“

პროექტ „საქართველოს ვარსკვლავს“ ახალი გამარჯვებული ჰყავს — ნინა სუბლატი. ნინამ ფინალურ კონცერტზე ხმების 47% მიიღო და გამარჯვებით თავადაც გაკვირვებული დარჩა, რადგან ყველა ნუკა გვალიას ვარსკვლავობას ელოდა.

„ნინა სუბლატს ვულოცავ „რუსთავი 2“-ის ვარსკვლავობას“, — ეს სიტყვები და კიდევ სხვა სტატუსები, რომლებმაც საზოგადოების ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია, ნუკას დედამ, ცნობილმა მომღერალმა ეკა კვალიაშვილმა გამოაქვეყნა „ფეისბუქზე“. შემდეგ მან განმარტა, რომ ნინა სუბლატისთვის „რუსთავი 2“-ის ვარსკვლავი“ ბოროტი განზრახვით არ უწოდებია.

„მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ, მეგობრებო, თანადგომისთვის, გულშემატკივრობისთვის. ამდენი თვე ჩვენ ერთად ვიყავით, შეგეჩვიეთ, მიყვარხართ. ნუკა სათანადოდ დააფასა მსმენელმა და უამრავი ხმა მისცა. ხაზს ვუსვამ — უამრავი ხმა! ამიტომ არის ნუკა ყველანაირი მაქინაციების გარეშე საქართველოს ვარსკვლავი ანუ თქვენი რჩეული ვარსკვლავი... ეჭვი არ მეპარება, რომ ნუკას მსოფლიო ასპარეზზე დავინახავთ, გაგვიხარდება და უდიდეს სიამოვნებას მოგვგვრის ეს ფაქტი, — წერდა კვალიაშვილი, — ...ნუკ, მთელ საქართველოს უყვარხარ და ძალიან მალე მსოფლიო შეგიყვარებს... შენ დიდი მომღერალი ხარ. მე კმაყოფილი ვარ, რომ ამ პროექტში დიდი პრაქტიკა გაიარე, გამოცდილება მიიღე, დაიხვეწე და უკვე მზად ხარ უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობად. შენ ნამდვილი ჩემი შვილი ხარ, ამიტომაც გვაქვს მე და შენ ფანტასტიკური განწყობა... ვულოცავ ნინა სუბლატს „რუსთავი 2“-ის ვარსკვლავობას“.

ეკა კვალიაშვილი ამ ბოლო სიტყვებისთვის გაილანძღა, თქვენს შვილს არცხვენთ, ცოტა თავი შეიკავეთ და პატივი ეცით ხალხის გადაწყვეტილებასო, დაუწერეს სოციალურ ქსელში და სხვა მკვეთრი გამოთქმებიც მიაყოლეს. მომღერლისგანაც შესაბამისმა „ხურდამ“ არ დააყოვნა და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, „ფეისბუქი“ სიტყვიერი შეხლაშემოხლის არენად იქცა.

თავად ნინა სუბლატმა უფროს კოლეგაზე თქვა, ის ჩემი მეგობრის დედაა და მიხარია, რომ ამ ორ ადამიანს ვიცნობ, მაგრამ არა მგონია, ხმების 47% „რუსთავი 2“-ის ყოფილიყოო. ეკა კვალიაშვილს კი საფუძველი აქვს, სწორედ ასე იფიქროს, რის შესახებაც მან „სარკესთან“ ისაუბრა.

მომღერალი მეგობართან, ყოფილ ჟურნალისტსა და ამჟამად პიარის სპეციალისტ მაცაცო კევლიშვილთან ერთად შეგვხვდა რომელიც ნუკას „ფეისბუქის“ გვერდის ადმინი (ადმინისტრატორი) გახლავთ.

**— ქალბატონო ეკა, ნუკას გამარჯვებაში ალბათ დარწმუნებული იყავით.**

**ეკა:** დარწმუნებული ერთ რამეში ვარ — ვიცი, რომ ძალიან ნიჭიერი შვილი მყავს. რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი გამარჯვება იყო, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ეს კონკურსი ნუკასთვის კარგი პრაქტიკა გახლდათ. ყოველ ორშაბათს პროფესიულად იხვეწებოდა.

**— მაგრამ ნუკა საქართველოს ვარსკვლავი ვერ გახდა და ამის გამო გული ძალიან დაგწყდათ. ეს ვერც დამალეთ და „ფეისბუქზე“ სტატუსში დაწერეთ.**

**ეკა:** ვერ მივხვდი, რა ამოიკითხა ხალხმა ჩემი სტატუსიდან.

**— ახსენეთ მაქინაციები, „რუსთავი 2“-ის ვარსკვლაობა, ნუკას დიდი მომღერალი უწოდეთ...**

**ეკა:** ნუკას უბრალოდ მსოფლიო დონის ვარსკვლავობა ვუსურვე. რაც შეეხება „რუსთავი 2“-ის ვარსკვლავობას, ვერ მივხვდი, რატომ გაღიზიანდა და გაბრაზდა ეს ხალხი.

**მაცაცო კევლიშვილი: „ნუკას რომ ეთქვა, ბიძაშვილი გარდაეცვალა — მარიკა კვალიაშვილის შვილიშვილი, 28 წლის ბიჭი, დღეს ნუკა იქნებოდა გამარჯვებული“.**

ეს პროექტი „რუსთავი 2“-ის არის, სხვათა შორის, ნიკა გვარამიამაც თქვა გადაცემაში, რომ ეს იყო „რუსთავი 2“-ის არჩევანი და მისი მაყურებელი იგულისხმა. ამ არხის ფავორიტიაო, ასე თქვა ნინაზე. მე თუ რამე სიტყვა დავაკელი, ჟურნალისტი ხომ არ ვარ?! ჩასაფრებულის პოზიციიდან რატომ უნდა მიყურონ?! ნინას სულით და გულით მივულოცე იქაც და ახლაც ვულოცავ.

**— ნუკაზე თქვით, რომ ის ყოველგვარი მაქინაციის გარეშე ვარსკვლავი.**

**ეკა:** ვიღაცამ რაღაც დამიწერა და მე მას სტატუსით ვუპასუხე. წერდა, ეს საქართველოა და აქ თუ მაქინაციებს არ აკეთებ, ისე ვერაფერს მიაღწევო. ჩემი პასუხი ის იყო, ვიწრო გზა გვაქვს არჩეული, მაქინაციების გარეშე ვცხოვრობთ და ისე ვაღწევთ რაღაცეებს-მეთქი. ჟურნალისტებმა კი ჩემი პასუხი აიტაცეს და ის, რის გამოც დავწერე, გამოტოვეს.

**— თქვენზე წერდნენ, დედამისის სიტყვებმა დაღუპა ნუკა, თორემ გახდებოდა საქართველოს ვარსკვლავიო. იქნებ მართლაც ნაკლებად უნდა გამოგეხატათ თქვენი აზრი პროექტის მსვლელობის განმავლობაში, ნაკლებად გაექტიურათ, რომ ნუკა თქვენი ჩრდილისგან სრულიად გათავისუფლებულიყო.**

**ეკა:** თუ ფორუმებს გადავხედავთ, ბევრი ფიქრობს, რომ ჩემი დახმარებით ნუკას ბევრად ადვილად შეუძლია გახდეს ვარსკვლავი და ჯობს, სხვას უგულშემატკივრონ. მუდმივად ლაპარაკობდნენ ჩემი გავლენის შესახებ, ამაზე ძალიან ვიცინე, მე მომღერალი ვარ და არა — პოლიტიკოსი. არაფერს ვამბობ იმ შეურაცხყოფაზე, რასაც თუნდაც მხოლოდ პოპულარობის გამო ვიტანდი. ათას რამეს წერენ. ერთი ვიღაც სულ ერთი და იმავე ტექსტებით წერს სხვადასხვა პროფილიდან. ეს მისი გაჭირვებაა, რადგან უზრდელია. ყველამ თავის ოჯახს მიხედოს! ვერავინ იტყვის, რომ კონკურსის მანძილზე ვინმეზე ერთი ზედმეტი სიტყვა ვთქვი.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ წამოვიდა ასეთი აგრესია თქვენ მიმართ სოციალურ ქსელებში, რომ ბოლოს მუქარაც შეუთვალეთ ვიღაცას?**

**ეკა:** ეს მუქარა საჭირო იყო, რადგან მერე ეგრევე წაშალა თავისი სტატუსი. ჩემი შვილის გვერდზე დაპოსტა ჩემზე, გაბოროტებული დედაკაციო. რატომ უნდა დახვედროდა ნუკას თავისი დედის ლანძღვა?! ვერ მივხვდი, რატომ ვარ გაბოროტებული დედაკაცი. რატომ უნდა ვიყო გაბოროტებული ქალი წარმატებული, შემდგარი ეკა კვალიაშვილი, რომელსაც საქართველოში ყველა იცნობს?! მყავს ნიჭიერი შვილი და ვცხოვრობ ჩემთვის. კარგი სამეგობრო მყავს და კმაყოფილი ადამიანი ვარ. როცა ცნობილი სახე ხარ, ყოველთვის გლანძღავენ. კარგიც რომ გააკეთო, მაინც ბოლმა ხარ.

**მაცაცო კევლიშვილი:** მე ვიყავი ნუკას გვერდის ადმინი. როგორც კი შევამჩნევდი, რომ რომელიმე ნუკას ფანი აგრესიით იყო გამსჭვალული თუნდაც ნუკას დასაცავად, ვთხოვდი, რომ ეს არ გაეკეთებინა და ამით ნუკასთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა. სხვები კი ნუკას მთელ ოჯახს აგინებდნენ უშვერი სიტყვებით. ასეთ რაღაცეებს მაშინვე ვშლიდი, რომ ნუკასთვის ამერიდებინა.

**ეკა:** ნუკა ორსულად არის და მისთვის ნერვიულობა არ შეიძლებოდა.

**მაცაცო:** რამდენჯერმე ნუკამაც უპასუხა ზოგს უხეშად, ბოდიშს ვერ მოვიხდი იმის გამო, რომ დედაჩემი ეკა კვალიაშვილიაო. აგრესია იმიტომ მოდიოდა, რომ ნუკა ეკას შვილი იყო. იმიტომ კი არა, რომ ეკა ვინმეს უყვარს ან არ უყვარს. უბრალოდ აქ თურმე პოპულარული ადამიანის შვილი არ უნდა მიდიოდეს იმავე გზით, რომლითაც მისი მშობელი მიდის. სუხიშვილებთან, ბაღაშვილებთან და სხვა წარმატებულ ოჯახებთან ვმუშაობდი და ყოველთვის იყო ასეთი გამოხდომები. გია ბაღაშვილს ლანძღავდნენ, რომ უნიჭო იყო და მხოლოდ იმიტომ ჩანდა, რომ ჯემალის შვილია. ილიკო სუხიშვილი ხომ საერთოდ! ამ ადამიანებმა დაამტკიცეს, რომ ეს სისულელეა და მათზე გენმა არ დაისვენა.

იგივე შეიძლება ითქვას ნუკაზე. ძალიან მაგარი გოგოა. მან არ გამოიყენა არც ერთი თემა, რომლითაც საზოგადოების ემოციებზე თამაში შეიძლებოდა. ის ბედნიერია, ჰყავს წარმატებული დედა, მასზე უზომოდ შეყვარებული ქმარი, ზღაპრული სამეგობრო, ელოდება შვილს. მან სიხარული გააზიარა, ბავშვის გულისცემა მოგვასმენინა და ის, რაც



Cyan Magenta Yellow Black

გზადაგზა ცუდიც ხდებოდა, სხვებისთვის თავზე არ მოუხვევია. ამ კონკურსმა კიდევ ერთხელ დამიდასტურა გადაცემა „პროფილის“ წარმატების საიდუმლო. ჩვენ ქართველებს გვიყვარს ტირილი, ტირილი და ხანდახან ჰეფი ენდი.

ნუკამ ვერ დამალა ორსულობა, რადგან გაუხარდა, მაგრამ აზრად არ მოგვსვლია ამით სპეკულირება. ნუკას ამ პერიოდში ბიძაშვილი გარდაეცვალა — მარიკა კვალიაშვილის შვილიშვილი, 28 წლის ბიჭი და იმიტომ ტიროდა. გზადაგზა იმდენი ცუდი რაღაც ხდებოდა, ჩვენ რომ ამით აპელირება დაგვეწყო, დამიჯერეთ, დღეს ნუკა იქნებოდა გამარჯვებული, მაგრამ ნუკა იმდენად დამოუკიდებელი და ძლიერია, ასეთი სპეკულაციები არ სჭირდება. „შეიბრალეთ ნუკა!“ — ასეთ პიარზე ის არასოდეს დათანხმდება და არც ვაკადრებ.

**ეკა:** ეგეთი მოგება არ მჭირდება! სხვათა შორის, ფინალში ნუკამ ჰიუსტონის სიმღერა რომ იმღერა, მარიკამ დამირეკა და მითხრა, ისე იმღერა ნუკამ, მთელი ჩემი გაჭირვება დამავიწყდაო. ერთ ტურში ავადაც იყო, 39 გრადუსი ჰქონდა სიცხე და ისე იდგა სცენაზე. თავიდან სპეციალური საიტები შექმნეს და ნუკაზე რაღაც საზიზღრობები დაწერეს. ბოლოს ჩატში ველაპარაკე იმ ვიღაცას, შვილო, რატომ აკეთებ ამას-მეთქი. მერე შექმნა „ეკა კვალიაშვილი და მისი კლანი“. კლანი მყავს და დონა ეკა ვარ! ნუკაზე წერდა, უზრდელია, როგორ გაბედა და ორსულობის ტესტი როგორ დადო თავის გვერდზეო. მეცოდებიან ასეთი ადამიანები.

**— ამბობდნენ, რომ ზაზა შენგელიასთან გქონდათ ჩაწყობილი ნუკას მოგება. ნინა სუბლატს კი მიშა მშვილდაძე და მთელი მისი გუნდი, „ფორმულა კრეატივი“ ეხმარებოდა.**

**ეკა:** მე ამ სფეროში ყველას ვიცნობ. ზაზასთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს და რა ვქნა, არ მივესალმო?! უხერხულია. ესემეს ლიდერი რომ იყო ხოლმე ნუკა, ერთი ამბავი ტყდებოდა, ჩააწყო კვალიაშვილმაო. მერე დავწერე, ახლაც კვალიაშვილმა ხომ არ ჩააწყო-მეთქი. ხალხს საიდანაც უნდა, იქიდან აბამს ქოთანს ყურს. თავიდან ნუკას მეუღლისთვის, ნიკუშასთვისაც რთული იყო ეს ყველაფერი და სულ მაგათ ვაწყნარებდი, არ აჰყვეთ-მეთქი. ნუკას ფანები სამაგალითოები იყვნენ, სხვების კი აგრესიით გამოირჩეოდნენ. ვეუბნებოდი, ნუ არცხვენთ თქვენს ფავორიტებს-მეთქი.

**მაცაცო:** ნიკა გვარამიას რომ უნდა ეთქვა, ვინ იყო გამარჯვებული, მთელი დარბაზი ნუკას სახელს სკანდირებდა. გვარამიამ უცებ თქვა, გამარჯვებულია ნინა სუბლატიო და სცენა დატოვა. ზაზა შენგელია 20 წუთი სკამიდან ვერ ადგა. ლუკა ზაქარიაძემ არ მისცა კომენტარები ჟურნალისტებს, ხელი აუქნია, თავი დამანებეთო. ნუკა კი დარბოდა და უხაროდა, მაკბუკი მაჩუქესო. რაც უთხრეს, პარიზში მიდიხარო, სხვა აღარაფერი გაუგია, ისეთი გახარებული იყო.

ყველას ეგონა, ნუკა ნერვიულობდა, არადა ძალიან ბედნიერი იყო. მისი ფანები ტიროდნენ და ნუკა აწყნარებდა. ნინა სუბლატი ხელში აიყვანა. ავვარდი სცენაზე, ორსულად ხარ, რას აკეთებ-მეთქი. წარმოდგენა არ აქვთ, როგორია ნუკა, რა გადაიტანა, როგორ იწვალა. ხელაღებით ლანძღავენ.

**— როგორ არის ახლა ნუკა?**

**ეკა:** სახლშია, სულ წევს და სურვილი არ აქვს, გარეთ გავიდეს, რადგან ფეხმძიმედ არის და დაიღალა. ეს მისთვის უდიდესი დატვირთვა იყო. ამბობს, რა კარგია სახლში ყოფნა და დასვენება, ყველამ თავი დამანებოს, გარეთ აღარ გავალო. არ დაიჯერებთ, ისეთ განწყობაზეა ნუკა. კულისებში რომ მივედი, ჩამეხუტა და მითხრა, იცი, რა კარგად ვარ, დავისვენებო. ყვიროდა, პარიზში მივდივარო. გაუხარდა კომპიუტერი და ტელეფონი. ტელეფონი მაშინვე ქმარს აჩუქა, ნუკას ჰქონდა, ნიკუშას — არა. სამაგიეროდ, მეორე დღეს ნიკუშამ ნუკას პიცა გაუკეთა.

**ეკა კვალიაშვილი: „არ დაიჯერებთ, ისეთ განწყობაზეა ნუკა. კულისებში ჩამეხუტა, მითხრა, იცი, რა კარგად ვარ, დავისვენებო. ყვიროდა, პარიზში მივდივარო. გაუხარდა კომპიუტერი და ტელეფონი. ტელეფონი მაშინვე ქმარს აჩუქა".**

**— გინდოდათ შვილიშვილი თუ ჯერ ნაადრევია ნუკასთვის დედობა?**

**ეკა:** როგორ შეიძლება, არ მინდოდეს?! როცა შეუღლდნენ, ვუთხარი, თქვენი საქმეა, როდის გააჩენთ ბავშვს-მეთქი. არასოდეს ვერევი მათ ურთიერთობაში. სხვათა შორის, 1992 წელს, „მის როკევროპაზე“ რომ წავედი, ნუკაზე ვიყავი ფეხმძიმედ. მაშინ „მის როკევროპა“ გავხდი. მათ შვილს ხელში რომ დავიჭერ, მერე გეტყვით, რა შეგრძნებაა ეს. ვიცი, რომ ნუკა აუცილებლად გავა საზღვრებგარეთ და ხმაც დაუფასდება და ის ნიჭიც, რაც ღმერთმა მისცა. ყველა მონაცემი აქვს, რომ მეგა ვარსკვლავი გახდეს.

**— ნინა სუბლატის შესაძლებლობებს და ნიჭს როგორ აფასებთ?**

**ეკა:** ძალიან კარგი გოგოა ნინა. ნიჭიერია, ლამაზია, თოჯინასავით არის და ნუკას ძალიან უყვარს. უამრავი თაყვანისმცემელი და გულშემატკივარი ჰყავს და გაიმარჯვა. კიდევ ერთხელ ვულოცავ და წინსვლას ვუსურვებ!

**— ნუკას მამაც მუსიკალური ნიჭით არის დაჯილდოებული?**

**ეკა:** კი, მღერის. კარგი მსახიობი იყო თავის დროზე, მიშა თუმანიშვილის თეატრში თამაშობდა.

**— ესწრებოდა „საქართველოს ვარსკვლავის“ კონცერტებს?**

**ეკა:** მე არ მინახავს.

**— ამბობდნენ, ნინა სუბლატმა რომ მოყვა მამამისთან ურთიერთობის დეტალები, ამით საზოგადოება დადებითად განაწყო. თქვენ კი არაფერს ამბობთ.**

**ეკა:** რომ მოვყვეთ ჩვენი ცხოვრება, ჩვენც შევეცოდებით ხალხს, მაგრამ ეს არ მინდა. ყველანაირად ვცდილობდი, ნუკასთვის რაღაცეები ამერიდებინა, მაგრამ მაინც ტკივილიანი გზა გაიარა. მარტომ გავზარდე და ბევრი გაჭირვება გამოვიარეთ. უყურებდა ჩემს დაბლოკვებს, გაჭირვებას... არ მინდა, ჟურნალის ფურცლებზე დაიწეროს ის, რაც ჩვენ ვნახეთ.

**— ნუკა განიცდიდა, როცა თქვენს პირად ცხოვრებაში იმედგაცრუებები ხდებოდა, მამაკაცებთან არ გიმართლებდათ?**

**ეკა:** ნუკა პატარა იყო და ჩვეულებრივი დამოკიდებულება ჰქონდა მათთან. ეს მას ცუდად არ ეხებოდა. ძალიან მინდოდა, მქონოდა ოჯახი, მაგრამ არ გამომივიდა და დავრჩი ასე. ახლა არავინ მყავს! არავინ იცის, ცხოვრება რა სიურპრიზს მიმზადებს.

**— შესაძლებელია ისევ იფიქროთ ოჯახის შექმნაზე?**

**ეკა:** აუცილებლად, მაგრამ თუ ეს ნაბიჯი გადავდგი, ძალიან ჭკვიანურად მოვიქცევი. ვის არ უნდა, გვერდით მოსიყვარულე ადამიანი ჰყავდეს, რომელიც ეყვარება და რომელსაც დაეყრდნობა? თუ არა და, მივეჩვიე დამოუკიდებლად ყოფნას. ისედაც დამოუკიდებელი ვიყავი ყოველთვის. უკვე რამდენი ხანია, ჩემი ფიქრი და გონება ნუკაზეა გადართული. შვილი ეყოლებათ, ნიკუშა უნივერსიტეტს დაამთავრებს, სამსახურს იშოვის... ესაა ჩემი საფიქრალი.

✓ **რუსუდან ადვაძე**

# იყო თუ არა მიშა მშვილდაძე ნინა სუბლატის ლობისტი

## „კარგად მოუსმინეთ ნუკა გვალიას მისამართით გაკეთებულ ჩემს შეფასებებს"



■ მიშა მშვილდაძე

ტელეპროდიუსერი მიშა მშვილდაძე პროექტ „საქართველოს ვარსკვლავში“ მარინა ბერიძის სრული ანტიპოდი იყო — თავის კრიტიკულ შეფასებებს ღიმილით და ტაქტიანად ამბობდა, ირგვლივ კეთილგანწყობას აფრქვევდა. უხეშად და პირდაპირ სიმართლის თქმა არც ცხოვრებაში შეუძლია. ამ კონკურსში მას თავისი ინტერესები ჰქონდა. საკუთარ მომავალს მუსიკალურ ინდუსტრიაში ხედავს და „რუსთავი 2“-ის მიერ შექმნილი „ვარსკვლავებით“ სერიოზული პროექტების განხორციელებას აპირებს.

კონკურსში ნინა სუბლატის გამარჯვება მიშასთვის მოულოდნელი არ იყო და ეს ეტყობოდა კიდეც. ამიტომაც კულუარებში კონკურსანტის ლობირებაში ადანაშაულებდნენ. კერძო საუბრებში ნუკა გვალიას დედა, მომღერალი ეკა კვალიაშვილი აცხადებდა, რომ ნინას მიშა და მისი გუნდი, „ფორმულა კრეატივი“ მფარველობდა, რადგან სუბლატის გამარჯვება სწორედ ამ გუნდის ინტერესებში შედიოდა. ამ ბრალდებებს მიშა მშვილდაძე „სარ-

→ 8



Cyan Magenta Yellow Black

კის“ ფურცლებიდან პასუხობს.

**— მიშა, პროექტის დასრულების შემდეგ რა დასკვნები გააკეთეთ, ამგვარ შოუებს რა პლუსები და მინუსები აქვს?**

— მთავარი პლუსი, რაც ახალ თაობაში დავინახეთ, ის გემოვნებაა, რაც მთელ მსოფლიოშია. მუსიკალურ შოუებში აღარ იმარჯვებენ მხოლოდ ისინი, ვინც წლების განმავლობაში მუსიკალურ პედაგოგებთან დადიან, თვითნასწავლები უფრო გააქტიურდნენ. დღეს მუსიკალური ინფორმაცია ყველაზე ხელმისაწვდომია, რომც არ გინდოდეს, მაინც იგებ, რა არის აქტუალური. ჩემთვის თვითნასწავლი მომღერალი უფრო საინტერესოა, რადგან პედაგოგის აღზრდილი გარკვეულწილად სტერეოტიპებშია მოქცეული, თუმცა კარგი მასწავლებელი მუსიკოსზე, რა თქმა უნდა, უკეთეს ზეგავლენას მოახდენს.

მინუსი ისაა, რომ პროექტის დასრულების შემდეგ არავინ იცის, რა აკეთოს. კონკურსანტები ძალიან დაბნეულები არიან ხოლმე და ველარ ხვდებიან, როგორ მოიქცნენ. რეალურად, ტელევიზია ქმნის ვარსკვლავებს, მერე კი, არ ვიცით, რის გამო, მაგრამ ისინი ამ სტატუსს მალევე კარგავენ. ჩემი აზრით, თითოეული კონკურსანტი არის ერთგვარი ფული. ის, რასაც წარმოადგენს ლუკა ზაქარიაძე ან შოუს ნებისმიერი წინა გამარჯვებული კონკურსანტი, არის „რუსთავი 2“-ის მიერ დახარჯული ფული.

ხშირ შემთხვევაში ასეთ გაპოპულარულებულ მომღერლებს რატომღაც აღარ უნდათ კლუბსა და რესტორანში მღერა. ვინც კი ფილარმონიაში ფეხს დაადგამს, მერე მის გარდა არაფერს კადრულობს. ამ დროს მომღერლისთვის ყველა სცენა საინტერესო უნდა იყოს, სადაც კი დინამიკები დგას, ყველგან უნდა იმღეროს. იცით, მუსიკოსებს რა ღუპავთ? ყველას უნდა, მილიონერი გახდეს. ამ დროს საქართველოში მილიონერი ვერ გახდები, საქართველოში შეგიძლია გახდე ათასიონერი და ესეც მაგრად გაცხოვრებს.

**— მოგეწონათ მუსიკალური კონკურსის ჟიურიში ყოფნა?**

— არასოდეს დამავიწყდება კონკურსის პირველი ლაივ კონცერტი და კონკურსანტი ლაშა მაღლაფერიძე, რომელმაც ისე იმღერა, ცხოვრებაში პირველად მოხდა, რომ ვერ მივხვდი, რა უნდა გამეკეთებინა, ავმდგარიყავი, მეცეკვა თუ სერიოზული სახით მომესმინა. მხოლოდ იმის ფიქრში ვიყავი, რომელ სიტუაციაში უფრო სასაცილო ვიქნებოდი. წლევანდელი კონკურსი ძალიან საინტერესო იყო, ნიჭიერი კონკურსანტები მოვიდნენ და უფრო მეტად მომწონს ის, რომ ჟიურის შემადგენლობაში მოვხვდი.

**— ადამიანს მწარე სიმართლეს რეალურ ცხოვრებაშიც სიცილით ეუბნებით, როგორც ამას კონკურსზე აკეთებდით?**

— კი, უხეშობა არ მიყვარს. ჩემი აზრით, უხეშობა არაპროდუქტიულია. როგორც წესი, პირდაპირ და უხეშად ნათქვამ სიმართლეს არ ისმენენ. მით უმეტეს, მუსიკალურ პროექტში კონკურსანტისადმი უხეშად მიმართვა არასწორი მგონია. რადგან ჟიურიც და პროექტის მონაწილეებიც ერთ პროექტში არიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთის კოლეგები ხდებიან და ერთიმეორეს პატივი უნდა სცენ. ამიტომ მათი დაცინვა ან უბრალოდ სცენიდან განაწყენებული გაშვება არასწორია.


ნინა სუბლატი

**„როცა საქართველოს ვარსკვლავი გქვია, ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ კარგად სიმღერა უნდა შეგეძლოს, შენ უნდა იყო ტიპი, რომელმაც ინტერვიუს მიცემაც იცის, სცენაზე დგომაც და საკუთარ თავზე ლეგენდების მოგონებაც. ამ ყველაფრით, საბოლოო ჯამში, ნინა სუბლატმა მოიგო. ფინალში განსაკუთრებულად გამოჩნდა, რომ ის თვითშექმნილი ტიპი იყო".**

**— ალბათ თქვენი ასეთი შეხედულებების და იმის გამოც, რომ ჟიურიში არ იყო მარინა ბერიძე, ამბობენ, რომ წლევანდელი კონკურსი ზედმეტად თბილი იყო, სცენაზე ვერ ვიხილეთ განაწყენებული და აცრემლებული კონკურსანტები...**

— დასკვნები მაყურებლებმა გააკეთონ. მე ისე მიყვარს ადამიანებთან მოქცევა, როგორც ამას კონკურსში ვაკეთებდი. ყველას თავისი ტემპერამენტი აქვს და თავისი საქმე ისე უნდა გააკეთოს, როგორც მას შეეფერება.

**— მარინა ბერიძემ ერთ-ერთ ინტერვიუში არჩევანი დაგიწუნათ და განაცხადა, რომ ირაკლი ფუტკარაძეს კონკურსში არ აიყვანდა.**

— ვფიქრობ, რომ ამით შეცდომას დაუშვებდა. ყველას თავისი აზრი აქვს, მათ შორის, მარინა ბერიძესაც. ფუტკარაძემ კონკურსს ბევრი რამ შესძინა. ეს ბიჭი პირველივე წამიდან იყო ვარსკვლავი. მან თავისი როლი აბსოლუტურად ზუსტად შეასრულა. „საქართველოს ვარსკვლავს“ ბევრი რამ მოემატა იმით, რომ ის სცენაზე იდგა. ამიტომ ვერაფრით გავიგებ, ფუტკარაძე რატომ არ უნდა ყოფილიყო კონკურსში.

**— გულწრფელად გვითხარით, ნინა სუბლატის გამარჯვებას ელოდით თუ ეს სიურპრიზი იყო?**

— ეს ის შემადგენლობა იყო, როდესაც ნებისმიერ კონკურსანტს შეეძლო, „გაესროლა“ და ფინალში გასულიყო. ამ ტიპის პროექტებში პირველად ვნახეთ სამი გოგო ფინალში. ძირითადად ყოველთვის გოგონები აგზავნიან მესიჯებს და ბიჭებს ირჩევენ ხოლმე, მაგრამ ამჯერად ყველაფერი შეიცვალა. იმდენად ძლიერი კონკურსანტი გოგოები იყვნენ, რომ ესემეს-ებს ყველა მათ უგზავნიდა. საერთოდ, წინასწარი პროგნოზების გაკეთება არ მიყვარს, თუმცა ნინა სუბლატის გამარჯვებაში ლოგიკა ნამდვილად არსებობს. ასევე ბუნებრივი იქნებოდა, ამ პროექტში ნებისმიერ სხვა მონაწილეს გაემარჯვა.

**— თქვენი აზრით, ნინა სუბლატი მაყურებელმა რა ნიშნით აირჩია?**

— მაყურებელს მოეწონა მისი სითამამე. მან სცენაზე თავადვე შექმნა საკუთარი თავი. კონკურსანტები მუსიკალურად და ვოკალურად იმდენად ძლიერები იყვნენ, რომ კონკურენცია ამ კუთხით კი არ წავიდა, არამედ — ვინ როგორ იდგა სცენაზე და ვინ როგორ პიროვნებას წარმოაჩენდა. ეს სწორიც არის, რადგან, როცა საქართველოს ვარსკვლავი გქვია, ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ კარგად სიმღერა უნდა შეგეძლოს, შენ უნდა იყო ტიპი, რომელმაც ინტერვიუს მიცემაც იცის, სცენაზე დგომაც და საკუთარ თავზე ლეგენდების მოგონებაც. ამ ყველაფრით, საბოლოო ჯამში, ნინა სუბლატმა მოიგო. ფინალში განსაკუთრებულად გამოჩნდა, რომ ის თვითშექმნილი ტიპი იყო.

**— თუმცა ამბობენ, რომ ნინა სუბლატის გამარჯვებაში თქვენ დიდი წვლილი მიგიძღვით, მის ლობირებაში გადანაშაულებენ და არამარტო თქვენ, მთლიანად „ფორმულა კრეატივს“, რომელიც თქვენი გუნდია.**

— ეს ალბათ ცხელ გულზე ნათქვამი სიტყვებია და იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც პირველ ადგილზე ვერ აღმოჩნდნენ. დავიწყებ იქიდან, რომ „ფორმულა კრეატივს“ ამ პროექტთან არანაირი შეხება არ ჰქონია, ის დაკავებულია სერიალით „ჩემი ცოლის დაქალები“. „საქართველოს ვარსკვლავში“ მხოლოდ მე, მიშა მშვილდაძე, ვიყავი წარმოდგენილი. ნინა სუბლატი თავიდანვე მომწონდა, როგორც განსხვავებული მომღერალი, მაგრამ ამ მესმის, როგორ შეიძლებოდა ვყოფილიყავი მისი ლობისტი, მე ხომ მას არ ვუმესიჯებდი და ამისკენ არც პირდაპირ მოვუწოდებდი ვინმეს. კარგად მოუსმინეთ ნუკა გვალიას მისამართით გაკეთებულ ჩემს შეფასებებს, რამდენად დადებითი და კარგი იყო, რადგან ვთვლი, მაგარი გოგოა. ვერსად ნახავთ, სადაც ვამბობ, ამ პროექტს სუბლატი მოიგებს-მეთქი. არ მინდა, ამ ცხელ გულზე ნათქვამ სიტყვებს გამოვეკიდო, ამ კონკურსში არავითარი შეთქმულება არ ყოფილა.

**— რადგან სიტყვამ მოიტანა, იმაზეც გვითხარით, რა ბედი ელის სერიალს „ჩემი ცოლის დაქალები“. დადის ხმები, რომ სექტემბრიდან მას მაყურებელი ველარ იხილავს.**

— მაყურებელს თვის ბოლომდე ახალ სერიებს შევთავაზებთ, შემდეგ კი ახალ სატელევიზიო სეზონზე დავბრუნდებით. სერიალის დახურავზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ის ძალიან დიდ რეიტინგებს წერს. მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიხურება, როცა მაყურებელი აღარ ეყოლება.

**— რითი იქნება ეს სერიალი მომავალში საინტერესო? იმედია, მოღალატე ქმრების თემა ამოიწურა.**

— ამ მიმართულებით ამოიწურა, მაგრამ ქართველი საზოგადოება საკმაოდ კონსერვატულია. ჩვენი ქართული ურთიერთობები მყარ საფუძველზე არ დგას, რადგან ისტორიას რომ გადავხედოთ, ყველაფერი იმის მიხედვით იცვლება, თუ ვინ იყო ჩვენი დამპყრობელი და ვის ჭკუაზე დავდიოდით. ამიტომ ქართველი საზოგადოების ცხოვრება ახლა ჩამოყალიბების პროცესშია, ამის ეკრანზე გადმოტანა კი ყოველთვის საინტერესო იქნება. დილემებითა და ტაბუებით სავსე ცხოვრება გვაქვს, ამიტომ შემოდგომიდან უამრავი პრობლემა გელოდებათ სერიალში.

✓ ავთო ჩიტიძე



Cyan Magenta Yellow Black

# „რუსთავი 2"-ის წართმევის რეალური ისტორია

## „ახლაც გვითვლიან, ქვეყანა რომ დაიქცეს, ამ ტელეკომპანიას მაინც არ დავთმობთო"

„ხელები შორს „რუსთავი 2"-ისგან"! — ეს ხმამაღალი განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მაშინ გააკეთა, როცა პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა თქვა, პროკურატურა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის მიმართ სისხლის სამართლის გამოძიებას აწარმოებსო. პრეზიდენტმა პრემიერმინისტრს მოუწოდა, სასწრაფოდ შეწყვიტეთ ამ საქმის გამოძიება, „რუსთავი 2" საქართველოში დემოკრატიის ინსტიტუტია, რომელიც ჩვენი ათწლეულების მონაპოვარიაო.

„დემოკრატიის ინსტიტუტი" რეალურ მფლობელებს ვარდების რევოლუციიდან ძალიან მალე, 2004 წლის ივლისში სწორედ ვარდების ხელისუფლებამ წაართვა. ამ საქმის გამოძიება კი მაშინვე დაიწყო, როგორც კი საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა. „რუსთავი 2"-ის დამფუძნებლებმა, ჯარჯი აქიმიძემ და დავით დვალმა, პროკურატურაში სარჩელი 2012 წლის ნოემბერში შეიტანეს და ადვოკატების რჩევით ამ თემაზე საუბარს გამოძიების დასრულებამდე არ აპირებდნენ.

2004 წლის ივნისში „რუსთავი 2" მისმა გენერალურმა დირექტორმა,ეროსი კიწმარიშვილმა გაკოტრებულად გამოაცხადა. ითქვა ისიც, რომ ტელეკომპანიას 9 მილიონი ვალი ჰქონდა. ახლა ირკვევა, რომ გაკოტრების საქმეც და ეს ციფრიც მოგონილი იყო და რეალური მფლობელების ჩამოცილებას ისახავდა მიზნად.

იმ პერიოდში, როცა მფლობელებს კომპანია წაართვეს, არხის სახეებმა იყნოსეს, რომ რაღაც ვერ იყო მთლად კარგად ტელეკომპანიაში და სხვა სამსახურის მოძებნას შეეცადნენ, მაგრამ გაქცევა არ გამოუვიდათ. მაგალითად, დავით კიკალიშვილი ტელეკომპანია „იმედში" „ქრონიკის" წამყვანი უნდა გამხდარიყო და ამ მიზნით ხსენებული არხის ხელმძღვანელობამ ინგლისშიც კი გაუშვა სტაჟირებაზე, მაგრამ ინგლისიდან დაბრუნებული ჟურნალისტი მოულოდნელად ისევ „რუსთავი 2"-ზე გამოჩნდა. ასე დაემართა ზაალ უდუმაშვილსაც — უკვე „იმედის" სახედ ითვლებოდა, როცა ისევ „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის" ეთერში ვიხილეთ. ამბობდნენ, რომ „რუსთავი 2"-ის სახეები მაშინ ისე დააშინეს, წასვლა გადააფიქრებინეს. ძლევამოსილი ტელეკომპანიის იმიჯი და ავტორიტეტი არაფრისდიდებით უნდა შერყეულიყო.

„გამარჯვებული ხალხის ტელევიზია" „რუსთავი 2"-მა თავად დაირქვა ვარდების რევოლუციის დასასრულს. არხმა მართლაც უდიდესი როლი შეასრულა ხელისუფლებაში სააკაშვილი-ჟვანიას გუნდის მოსვლაში. დამფუძნებლებმა ძალიან მალე ინანეს ამ „ღვაწლის" გამო, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

თითქმის 10 წლიანი ტაბუირებული თემა მთელი თავისი ბინძური თეთრეულით ახლა სააშკარაოზე გამოდის.

ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალი „სარკეს" „რუსთავი 2"-ის ამ ავბედით ისტორიას უყვებიან.

**დავითი:** შეცდომა მოგვივიდა, მაგრამ მაშინ არავის არაფერზე გავრიგებივართ. შეცდომა იყო ის, რომ მხარე აღმოვჩნდით. ჩვენც ვგრძნობდით, რომ ეს არასწორი იყო, მაგრამ არჩევანი არ დაგვიტოვეს. რა თქმა უნდა, ეს მოვლენების არასწორი განვითარება იყო და იმიტომაც დამთავრდა ტრაგიკულად. არ შეიძლებოდა, მასმედია ასეთი ცალმხრივი პოლიტიკური მხარე გამხდარიყო, მაგრამ ეს ჩვენი გულწრფელი ემოცია იყო. რაღაცეები მერე გახდა ჩემთვის ცნობილი. მაგალითად, ის, რომ არჩევნების გაყალბებაში თავად ნაციონალური მოძრაობა მონაწილეობდა მაშინ. ცარიელი ბიულეტენებით სავსე მანქანა იპოვეს. ჩემი გულანთებული ჟურნალისტი გაიქცა, აიღო ინტერვიუ, მერე კი გაირკვა, რომ ეს თავად ნაციონალებს მოუწყვიათ. რამდენიმე წლის შემდეგ სრულიად შემთხვევით შევიტყვე ეს ამბავი.

**— რევოლუციიდან რამდენ ხანში მიხვდით, რომ შეცდომა დაუშვით?**

**დავითი:** ძალიან მალე. პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო. შეიძლება პროცესების ასე განვითარება იმანაც განაპირობა, რომ ჩვენ არ მოგვწონდა, რაც ხდებოდა.

**— ეროსი კიწმარიშვილთან როგორი ურთიერთობა გაკავშირებდათ?**

**ჯარჯი:** ეროსის სტუდენტობიდან ვიცნობდი. ერთად დავდიოდით ხოლმე მთაში, ალპინისტები ვიყავით. მე ფილოლოგი და დრამატურგი გახლავართ. ეროსი პროფესიით ექიმია. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დროს ჯანდაცვის სისტემაში მუშაობდა, მერე კი გაზეთის გაკეთება გადაწყვიტა და მე დამიძახა. იმ პერიოდში სკოლაში ვმუშაობდი და ცოტა დრო მქონდა. მეგობარი იყო და უარი არ მითქვამს.

**— ეს მეგობრობა რამ დაარღვია?**

**ჯარჯი:** ჩემთვის ეს თემა ძალიან მტკივნეულია და ამიტომ არაფერს ვიტყვი.

**დავითი:** ჩვენ შორის აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იყო. ვჩხუბობდით, ვკამათობდით, მაგრამ საერთო აზრამდე მაინც მივდიოდით. ვარდების რევოლუციის შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა, ტელევიზიის მომავალზე ჩვენი ხედვები გაიყო. ეროსი თვლიდა, რომ ხელისუფლებას მხარში უნდა ამოსდგომოდა. ჩვენ კი გვინდოდა, დაშვებული შეცდომები გამოგვესწორებინა. გენერალური დირექტორი ეროსი იყო და მთავარი ბერკეტები მას ეჭირა. ჩვენ გვქონდა მეორე კომპანიაც — „ჯორჯია ონლაინი", რომლის გენერალური დირექტორიც მე გახლდით და იმ საქმიანობაში ვიყავი ჩაფლული. როგორც დამფუძნებლებს, მხოლოდ საკონსულტაციოდ თუ გვიბარებდნენ. რევოლუციიდან ორ თვეში ვუთხარი, კარგი, მე წავალ, ჩემს საქმეს მივხედავ და შენ რაც გინდა, ის აკეთემეთქი. მერე სულ შეწყდა ჩვენ შორის კომუნიკაცია. წილი კი წილი იყო.

**— სამივეს თანაბარი წილი გქონდათ?**

**დავითი:** დიახ, 30-30% გვქონდა. 10% კი ნიკა ტაბატაძეს მივეცით. ნიკა 2003 წლის დასაწყისში ინგლისში წავიდა და არ მიუღია ამ პროცესებში მონაწილეობა. ჩვენი წილების წართმევის შემდეგ ნიკასაც წაართვეს, მაგრამ ჩვენ დეტალები არ ვიცით.

**— გაიხსენეთ დეტალები, როგორ წაგართვეს წილები.**

**დავითი:** უკვე გაფუჭებული გვქონდა ურთიერთობა, როცა ეროსი კიწმარიშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ სააკაშვილს ჩემთან შეხვედრა უნდოდა ტელევიზიის მომავალზე. სახტად დავრჩი, რა შუაში იყო სააკაშვილი და ვუთხარი, თქვენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს-მეთქი.

**ჯარჯი:** მერე კიდევ გვითხრეს, რომ ჩვენთან შეხვედრა უნდოდათ. დაგვიბარეს რესტორან „მეგრელებში", სადაც მერაბიშვილი და ადეიშვილი დაგვხვდნენ. მადლობებით დაიწყეს, ტელევიზია რა მაგარი რამე ყოფილაო და მერე გვითხრეს, ქვეყანა გვაქვს ასაშენებელი და თქვენი წილი უნდა დათმოთ, ტელევიზიას ჩვენ მივხედავთო. სასტიკი უარი ვუთხარით. სუფრა იყო გაშლილი და ხელი არაფრისთვის დაგვიდია, ისე წამოვედით.

**დავითი:** უკვე მათი პოლიტიკა იყო მედიასაშუალებებზე გავლენა, მაგრამ „წილები მოგვეცი"-ს თუ გავიგონებდი, ვერაფრით წარმოვიდგენდი.

**ჯარჯი:** ამის შემდეგ დაიწყო ჩვენზე თვალთვალი, რომელიც მერე მივიდა ღია მოსმენებამდე, ავარიის მოწყობამდე. ერთ დღეს თუ აღმოაჩენდი, რომ შენი სახლის წინ მანქანა იდგა, მეორე დღეს უკან მოგყვებოდა. ტელეფონზე აშკარად გისმენდა ვიღაც.

**დავითი:** ამ ყველაფერს დემონსტრაციულად აკეთებდნენ ჩვენ დასა-

→74



■ დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე

**„დაგვიბარეს რესტორანში, სადაც მერაბიშვილი და ადეიშვილი დაგვხვდნენ. მადლობებით დაიწყეს, ტელევიზია რა მაგარი რამე ყოფილაო და მერე გვითხრეს, ქვეყანა გვაქვს ასაშენებელი და თქვენი წილი უნდა დათმოთ, ტელევიზიას ჩვენ მივხედავთო".**


**მამაკაცებისთვის!**

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

**ექიმი ქალბატონი მზია**

☎ 514-246-446, 218-48-99




Cyan Magenta Yellow Black

# მამუკა არეშიძე: „ჩემი სასიყვარულო ამბები ლამაზი ნოველებია“

## „ჟურნალისტებმა ყველაფრის ექსპერტად მაქციეს“



რეჟისორი, ჟურნალისტი, კავკასიის საკითხების ექსპერტი მამუკა არეშიძე, ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოში განვითარებული მოვლენების მემატიანედ შეიძლება ჩაითვალოს. თავადაც საინტერესო ცხოვრება ჰქონდა და მისმა კამერამაც ყველა, ახლა უკვე ისტორიად ქცეული კადრი დააფიქსირა. თვითონ პირადად იცნობდა და ბევრი, საზოგადოებისთვის უცნობი დეტალი იცის ყველა იმ პიროვნებაზე, ვინც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მშენებლობაში მეტნაკლები როლი ითამაშა, ერთი აგური მაინც დადო ან პირიქით — „გამოაკლო“, ეს ჯერ კიდევ ისტორიის განსასჯელია.

მამუკა არეშიძე თბილისის ძველ უბანში, ვერაზე დაიბადა და გაიზარდა. 19 წლის იყო, როცა ოჯახს მოეკიდა, ცნობილი ქართველი მსახიობის, გურამ საღარაძის ქალიშვილი მარინა შეირთო ცოლად. ბიჭი შეეძინათ და ამ ქორწინებამ 25 წელს გასტანა, თუმცა პარალელურად, როგორც თავად ამბობს, ჰქონდა სასიყვარულო ნოველები, რომელთა შედეგად კიდევ ოთხი შვილი გაჩნდა.

მამუკა არეშიძე: ფილარმონიის წინ მდებარე, 51-ე სკოლა მაქვს დამთავრებული. აქამდე ამ სკოლას საამაყოდ ის ჰქონდა, რომ მიხეილ სააკაშვილმა დაამთავრა. სააკაშვილი როცა საქართველოს პარლამენტში კომიტეტის თავმჯდომარე იყო, ჩემს მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა, ნაქირავები ჰქონდა. მაშინ, 1995 წელს, ერთად მოვხვდით საკანონმდებლო ორგანოში. თავიდან ავიწყდებოდა, რომ სახელმწიფო მანქანა ემსახურებოდა, ვერაფრით დაიმახსოვრა. მოახტებოდა ხოლმე ტროლეიბუსს და იმით მიდიოდა პარლამენტში, მანქანა უკან მისდევდა. გადმოიხედავდა ტროლეიბუსიდან და რომ დაინახავდა ნაცნობ მძღოლს, ხელს უქნევდა. ეს მისმა მძღოლმა მითხრა. ჩემზე ბევრად პატარაა და სკოლიდან არ მახსოვს.

**— თეატრალური ინსტიტუტი დაგიმთავრებიათ. მსახიობობა გინდოდათ?**

— სკოლა რომ დავამთავრე, 2 წელი სამედიცინო ინსტიტუტში ვაბარებდი. ეს ჩემი ბებიის, დედაჩემის დედის სურვილი იყო. საოცარი, ლამაზი ქალი იყო, ექიმი. სამეგრელოში დღესაც მხვდებიან ადამიანები, ვისაც ბებია დაეხმარა და პატივი სცა. სკოლა კარგად დავამთავრე, რაგბის ვთამაშობდი და სახლის ბიჭი ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინოზე ჩაბარება მინდოდა, ქიმია არ მიყვარდა. ამ დროს ქიმიის შესანიშნავი პედაგოგი მყავდა — მზია ერისთავი, ნამდვილი არისტოკრატი. ეს ქალი ჩემს დეპუტატობასაც მოესწრო. ამაყობდა, რომ ჩემს გაზრდაში მიიღო მონაწილეობა. პირველ წელს 9 ქულა დამაკლდა, მეორე წელს ჩავიჭერი. ამავე დროს ქალაქის მეორე საავადმყოფოში ვმუშაობდი რეგისტრატორად და სანიტრად.

ერთ მშვენიერ დღეს ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისოროზე. დრამის სარეჟისორო მაქვს დამთავრებული და კავკასიოლოგი ვარ. ეგეთი ტიპი ვარ — პროფესიების ცვლა მიყვარს. იმ პერიოდში ჰენრიკ იბსენის პიესები წავიკითხე და ამ სფეროთი ძალიან დავინტერესდი. თან გავიგე, რომ თეატრალურში გამოცდებს მამაჩემის უახლოესი მეგობარი, შალვა გაწერელია იბარებდა. პირველივე გამოცდაზე ისეთი დიდი ქება დავიმსახურე, რომ თავი კიტრად მომქონდა. მაშინ დიმიტრი ალექსიძემ თქვა, ეს ბიჭი ან ძალიან დიდი რეჟისორი გამოვა, ან სხვა ხელობას მიჰყოფს ხელსო. მართალიც აღმოჩნდა.

**„ზვიადთან ყოველთვის ცუდი ურთიერთობა მქონდა. მიზეზი ის გახლდათ, რომ დეიდაჩემი რამდენჯერმე აუგად მოიხსენია. ზვიადი ყველას სუკ-ის აგენტს ეძახდა. დეიდაჩემი ნიკო ყიასაშვილის მეგობარი იყო და ზვიადმა თავის თავს უფლება მისცა, ორივე ერთ კონტექსტში მოეხსენიებინა. მაშინ 20 წლის ვიყავი და ამან ჩემზე ცუდად იმოქმედა".**

შალვა გაწერელიას გარდა, ჩემი პედაგოგი დიდი მიხეილ თუმანიშვილიც იყო. თუ რამეს მივაღწიე პოლიტოლოგიაში, პოლიტიკაში, ჟურნალისტიკაში, ლომის წილი მიშა თუმანიშვილს მიუძღვის. ისეთი ანბანა მასწავლა ადამიანის ქცევის, პროფესიული მორალის, რომ ეს დღემდე თავში დიდი ასოებით მაქვს ამოტვიფრული. ჩემი ჯგუფელები იყვნენ ნინელი ჭანკვეტაძე, ლევან უჩანეიშვილი, მანანა ბერიკაშვილი, გოგი მარგველაშვილი, რამაზ იოსელიანი...

თეატრალურში მეორე კურსზე ვიყავი, რომ დავქორწინდი. მოვხვდი გურამ საღარაძის ოჯახში და ამ ჩემს თეატრალურ ცხოვრებას უფრო მეტი ფერი მიეცა. 5 სპექტაკლი მაქვს დადგმული და აქედან ერთმა დაიმსახურა სახელმწიფო ჯილდო — „ხუთწლედის მატიანე“, მეორემ — დიდი გამოხმაურება. ამის მიუხედავად, ვგრძნობდი, რომ სპექტაკლის დადგმა ჩემი საქმე არ იყო. თეატრი ისეთი რამეა, იქ სულ პირველი უნდა იყო. მით უმეტეს, ჩემნაირი ბუნების ადამიანისთვის მეორე ადგილზე ყოფნა არ გამოვიდოდა. რამდენიმე სპექტაკლში ვითამაშე კიდეც... შეიძლება ვიჩქარე, მაგრამ მაინც ჟურნალისტიკაში წასვლა გადავწყვიტე და 15 წელი ტელევიზიაში გავატარე.

პირდაპირ მივედი ტელე-რადიოკომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ფოფხაძესთან და ვუთხარი, მუშაობა მინდა-მეთქი. მან იცოდა, საღარაძის სიძე რომ ვიყავი, მაგრამ გურამს არ დაურეკავს. ზაზა დარასელს დაუძახა და უთხრა, ახლავე შტატში აიყვანეო. ეს 1980 წლის აგვისტო იყო. დღემდე ნუგზარ ფოფხაძე მეუბნება, მაშინ შენმა თავხედობამ გამაოცაო. გაიგო, რომ მიშა თუმანიშვილის ჯგუფი მქონდა დამთავრებული, ეს კი ხარისხის ნიშანს ნიშნავდა.

ახალგაზრდული პროგრამების რედაქციაში რეჟისორად დავიწყე მუშაობა. მერე კინორედაქციაში მთავარი რეჟისორი გავხდი. მოგვიანებით, გადაცემის „საღამო მშვიდობისა“ რეჟისორი და წამყვანი ვიყავი. ბოლოს „მოამბის“ მთავარი რედაქტორი გახლდით. 1989 წლის 9 აპრილიდან ხელში კამერა ავიღე და 1994 წლამდე აღარც გამიგდია. სამხედრო ჟურნალისტად ვიქეცი. ყველა კონფლიქტურ რეგიონში მივდიოდი — აფხაზეთი, ლაოსი, კამბოჯა... ტყვედ ორჯერ ჩავვარდი, ერთხელ დავიჭერი. ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი მაქვს და სახელმწიფო პრემიაც მივიღე გადაცემისთვის „საღამო მშვიდობისა“.

**— ტყვედ სად ჩავარდით?**

— ერთხელ ცხინვალში და მეორედ — კამბოჯაში. ორივე ადგილიდან განსაკუთრებული ექსცესების გარეშე დავაღწიე თავი. ბევრი რამ მაქვს ნანახი — ღალატი, ფლიდობა, ვაჟკაცობა, თავდადება. ბევრი დღევანდელი პოლიტიკოსის ავკაცობაც მინახავს და უბრალო მოქალაქეების თავდადებაც.

**— ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდიას ნათესავი ხართ, არადა მასთან ცუდი ურთიერთობა გქონდათ.**

— დედაჩემის გვარი გამსახურდიაა. ბაბუაჩემი და კონსტანტინე გამსახურდია ბიძაშვილების შვილები იყვნენ. დედა რედაქტირებას უკეთებდა კონსტანტინეს გადათარგმნილ ნაწარმოებებს, უცხო ენების სპეციალისტი იყო. ზვიადთან ყოველთვის ცუდი ურთიერთობა მქონდა. მიზეზი ის გახლდათ, რომ დეიდაჩემი რამდენჯერმე აუგად მოიხსენია. ზვიადი ყველას სუკ-ის

**„ჟვანია შემპირდა და მომატყუა. ასევე მოექცა რამაზ საყვარელიძეს და გადაწყვიტა, დაყრდნობოდა ისეთ ადამიანებს, როგორებიც არიან მიშა სააკაშვილი და მისნაირები... როცა სააკაშვილზე ეუბნებოდნენ, ნუ აწინაურებო, ამბობდა, გენიოსია, ეს ხვალინდელი დღეაო. სწორედ სააკაშვილმა გაუხლიჩა პარტია და მერე საფლავში ჩაიყვანა".**

აგენტს ეძახდა. დეიდაჩემი ნიკო ყიასაშვილის მეგობარი იყო და ზვიადმა თავის თავს უფლება მისცა, ორივე ერთ კონტექსტში მოეხსენიებინა. მაშინ 20 წლის ვიყავი და ამან ჩემზე ცუდად იმოქმედა. მერე კი შევძელი ნორმალური ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ შემდეგ მისი ბრძანებით დამაპატიმრეს კიდეც. მიზეზი ის იყო, რომ „ტერორისტებს“ — გოგა ხაინდრავას და ირაკლი ქადაგიშვილს ვეხმარებოდი. გოგა



Cyan Magenta Yellow Black

ხაინდრავა ზვიადის უფრო ახლო ნათესავი იყო, ვიდრე მე.

ზვიად გამსახურდია როგორც კი მოვიდა სათავეში, ჩვენი გადაცემა დახურა. მაშინ იძულებული გავხდი, კამბოჯასა და ლაოსში „ოსტანკინოს“ კორესპონდენტად წავსულიყავი. გადაცემაში „საღამო მშვიდობისა“ მისთვის ხშირად მიმიცია აუდიტორიის წინაშე გამოსვლის საშუალება. ეს გადაცემა, სხვებისგან განსხვავებით, ცენზურის მიღმა იყო. პირველად სწორედ ჩემს ეთერში გამოჩნდა ზვიად გამსახურდია, ნემო ბურჭულაძე და ბევრი სხვა პირი. როცა გადაცემა დახურეს, ჩემი ბიძის, ლევან ალექსიძის საშუალებით მოვხვდი ზვიადთან და ვუთხარი, ის, რაც ტელევიზიაში ხდება, კარგად არ დამთავრდება, რადგან ეს ცუდ რაღაცეებს გამოიწვევს-მეთქი. არ დამიჯერა და გამომაგდო გარეთ. ცოტა ხანში ჟურნალისტები გაიფიცნენ და ტელევიზიის კიბეებზე დასხდნენ. მერე მათ კიტოვანის გვარდია შეუერთდა, რასაც სამოქალაქო დაპირისპირება მოჰყვა...

1991 წლის 4 აგვისტოს მიტინგი რომ გაიმართა, კამერა მეჭირა და ვიღებდი. გამათრიეს და საშინლად მცემეს. შემათრიეს სადღაც, სადაც ზვიადიც შემოვიდა, წაშლილი სახე ჰქონდა. შარვალ-კოსტიუმი კი ეცვა, მაგრამ ფეხებზე ფაჩუჩები ჰქონდა წამოცმული. ვუთხარი, ხედავ, რას მიშვრებიან-მეთქი. მერე მაშინდელმა უშიშროების მდივანმა დილარ ხაბულიანმა მიშველა. მისთვის უთქვამთ, მამუკას კლავენო და გამცვალეს ედპ-ის მიერ დაკავებულ პოლიციელებში. მაშინ საშინელება ხდებოდა ქვეყანაში.

— **ერთი პერიოდი ჟვანიას გუნდში იყავით, მერე კი მას ჩამოშორდით. გაიხსენეთ, რა მოვლენები ხდებოდა იმ პერიოდში.**

— ჟვანიამ პირადად მთხოვა არჩევნებში ჩართვა. ეტყობა, კარგი სახელის მქონე პიროვნებად ჩამთვალა. ბოლოს გადაწყვიტა, იმ ხალხს დასდგომოდა გვერდში, ვინც უსიტყვოდ ასრულებდა მის ნათქვამს — გოგორიშვილი, ბარამიძე და ბევრი ჩვენგანი ჩამოიშორა. მე, მაგალითად, ოქროს მთებს დამპირდა. ჩემი ამოცანა იყო ის, რომ ჩემი და მის მიერ შექმნილი კავკასიელ ხალხებთან ურთიერთობის კომისია გაგრძელებულიყო აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც. ჟვანია შემპირდა და მომატყუა. ასევე მოექცა რამაზ საყვარელიძეს და გადაწყვიტა, დაყრდნობოდა ისეთ ადამიანებს, როგორებიც არიან მიშა სააკაშვილი და მისნაირები. სწორედ ამ უახლოესმა მეგობრებმა გაყიდეს და ისე სხედან თბილ სკამებზე, ვითომ ჟვანიას არ მიუთრევია ისინი პოლიტიკაში და გზაზე არ დაუყენებია.

მე უკვე სახელის მქონე კაცი მივედი პოლიტიკაში და პატივსაც ვცემდი, როგორც ჭკვიან ადამიანს, მაგრამ ის მიზნის მისაღწევად ახლობლების მოკვეთას არ ერიდებოდა. ვთვლი, რომ ჟვანიამ დაუშვა რამდენიმე დიდი შეცდომა, რამაც ის სიკვდილამდე მიიყვანა. ვერ გათვალა, რომ მონა ვერასოდეს გახდება შენი ერთგული ან იქნება იმ დრომდე, ვიდრე ეს სჭირდება. არავის არაფერი უთქვამს ჟვანიას მკვლელობაზე, თავიანთი თბილი ადგილების შენარჩუნება ამჯობინეს. როცა სააკაშვილზე ეუბნებოდნენ, ნუ აწინაურებო, ამბობდა, გენიოსია, ეს ხვალინდელი დღეაო. სწორედ სააკაშვილმა გაუხლიჩა პარტია და მერე საფლავში ჩაიყვანა.

— **კავკასიის საკითხებით როდის დაინტერესდით?**

— მე ვიყავი ერთადერთი ჟურნალისტი, რომელმაც გადაიღო ცხინვალის მოვლენების დასაწყისი. არამარტო ვიღებდი, სახალხო დიპლომატიაშიც ვიყავი ჩართული. ოსი სეპარატისტების ლიდერებთანაც მქონდა შეხვედრა და მათთან ინტერვიუ ჩავწერე. საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლებთან უნდოდათ შეხვედრა და მათი მოთხოვნა კულტურული ავტონომია იყო. ყველას ვაჩვენე ეს ინტერვიუ, მაგრამ, იცით, რას მპასუხობდნენ? ამ ველურებს არ დაველაპარაკებითო. რაც მოხდა, იმას დიალოგი არ სჯობდა?! ამას წინ რა ედგა?! ერთადერთი, ვინც ამის შემდეგ ცხინვალში დამყვებოდა, ფილოსოფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ნიკო ჭავჭავაძე იყო. ვხვდებოდით ხალხს, ველაპარაკებოდით, ათას პრობლემას ვაგვარებდით.



■ თეატრალური ინსტიტუტის პერიოდი. იპოლიტე ხვიჩიასთან ერთად

**„თეატრალურში მეორე კურსზე ვიყავი, რომ დავქორწინდი. მოვხვდი გურამ სალარაძის ოჯახში და ამ ჩემს თეატრალურ ცხოვრებას უფრო მეტი ფერი მიეცა".**

ჩუმად ვმუშაობდით სახალხო დიპლომატიის ფორმატში.

საქართველოს პარლამენტში რომ შევედი, ჟვანიამ იცოდა ჩემი ეს გამოცდილება და მითხრა, ძალიან მნიშვნელოვანი თემაა კავკასიური მიმართულება, ამაზე მუშაობა დავიწყოთო. შევქმენით კომისია. მაშინ მოვახერხეთ, რომ ჩვენგან ზურგშექცეული კავკასია შემოგვებრუნებინა. ჩეჩნეთი, ყაბარდო-ბალყარეთი და ა.შ. ინაუგურაციებზე გვეპატიჟებოდნენ და ხელახლა დავიბრუნეთ ავტორიტეტი. მიუხედავად ომისა, როცა ჩრდილოკავკასიელები ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდნენ, ურთიერთობის აღდგენა მოვახერხეთ. ერთ მშვენიერ დღეს კი ჟვანიამ მითხრა, კავკასიის კომისია დაიხურაო. არც აუხსნია, რა მოხდა. წყალში გადაიყარა ყველაფერი. მაშინ გადავწყვიტე ექსპერტად წასვლა. იმ დროს არავინ მუშაობდა კავკასიოლოგიაში პოლიტიკური კუთხით.

დღეს ვარ ყოფილი ექიმი, ყოფილი რეჟისორი, ყოფილი ჟურნალისტი და ამჟამად კავკასიოლოგი. ამასთანავე პედაგოგიურ საქმიანობასაც ვეწევი და ამ ბოლო დროს

**„შეიძლება ერთი გიყვარდეს და შეიძლება — ბევრი. ვთვლი, რომ, ამ მხრივ, მე თვითონ სწორად არ ვიცხოვრე. ამ დროს ყოველთვის ჩნდება კითხვა, რომელიც გაწუხებს — რა დააშავეს ბავშვებმა და როგორ უნდა უთხრა მათ, რომ ეს სწორი არ არის?".**

ისეთი საკითხების ექსპერტიც გავხდი, რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი. საქმე ის არის, რომ თქვენი კოლეგები ხშირად ისეთ კითხვებს მისვამენ, რომლებსაც პოლიტიკურ კავკასიოლოგიასთან საერთო არაფერი აქვს. მაგალითად, მეკითხებიან სოფლის მეურნეობაზე და მეც ვპასუხობ... ყველაფრის ექსპერტად მაქციეს. ხანდახან მერიდება. ერთადერთი, რაზეც კატეგორიულ უარს ვამბობ, ფინანსებთან დაკავშირებული საკითხების შეფასებაა. სხვა შემთხვევაში ვცდილობ, რაიმე კომპეტენტური აზრი მაინც ვთქვა. იმერელი ვარ და...

— **რა არის იმერლობის „არსი“?**

— ხასიათი მაქვს იმერული — სისწრაფე, იუმორი, ხშირ შემთხვევაში ზედაპირულობა და ყველაფრისმცოდნეობა. იმერლები და გურულები ხომ იმით გამოირჩევიან დანარჩენი ქართველებისგან, რომ ყოველთვის ყველაფერი იციან. მათხოვრობენ, საჭმელი და სასმელი არ აქვთ, „პრიმას“ ეწევიან და უცბათ გკითხავენ, რას შვრება იაპონიაო, ანუ აუცილებლად დიდ პოლიტიკაზე უნდა გელაპარაკონ. ეს თვისება მეც მაქვს.

— **ფიცხიც ხართ?**

— არა. იუმორის საშუალებით ვახერხებ ამის დათრგუნვას. იუმორი არის თვისება იმ ერის, რომელსაც დიდი შინაგანი კულტურა აქვს, მაგრამ მისი რეალიზება იმიტომ ვერ ხდება, რომ შენი კულტურა არავის სჭირდება, არ არის მოთხოვნადი. სამწუხაროდ, დღეს კულტურის ნარჩენებით და მოგონებებით ვიკვებებით.

— **ბატონო მამუკა, თქვენს პირად ცხოვრებასაც შევეხოთ, რომელიც, როგორც ვიცი, საკმაოდ მდიდარია. 19 წლის ასაკში ქორწინება,** →71

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



# „ძლიერი ქალი სუსტი კაცების მსხვერპლი გავხდი“

ამ წერილს საბერძნეთიდან გწერთ. აქ იმიტომ მოვხვდი, რომ ბუნებით ძლიერი ადამიანი ვარ. მეგობრებთან ხშირად ვხუმრობდი, რომელიმე მხედართმთავრის სულის რეინკარნაცია ვარ, ქალის სხეულში კაცის სული მაქვს-მეთქი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ როგორი მამაკაცებიც არ მომწონდა, ცხოვრებაში სწორედ ისეთები მხვდებოდნენ. პარადოქსია, მაგრამ ძლიერი ქალი სუსტი კაცების მსხვერპლი გავხდი. სასაცილოა, არა? ზოგჯერ მეც მეცინება, მაგრამ მწარედ. ხანდახან მგონია, რომ ძლიერი ქალების ხვედრი სწორედ ის არის, რომ სუსტი კაცების მსხვერპლნი ხდებიან. იქნებ ეს სამყაროს კანონზომიერებაა ან იქნებ ასეთი ქალების ბედისწერა. რა ვიცი, რას გაუგებ ცხოვრებას.

ბედისწერის არ მჯეროდა, ყოველთვის ვცდილობდი, დინების საწინააღმდეგოდ მეცურა. ვამბობდი, ჩემს ცხოვრებას თავად განვაგებ-მეთქი. ახლა კი ვფიქრობ, ადამიანი რაღაც ნიშნით იბადება და ისე ცხოვრობს, როგორც სამყაროს აწყობს. აქ, საბერძნეთში, ბედისწერის ძალიან სჯერათ. ეს ხომ მითების ქვეყანაა, სადაც ბევრი დღემდე ცრურწმენებით ცხოვრობს. 9 წელია აქ ვარ და ბევრი რამ მათი გადმომედო, ბედისწერისაც ვირწმუნე.

12 წლის წინ პირველად გავთხოვდი. ძალიან შემიყვარდა და ვფიქრობდი, რომ მასთან კარგ ოჯახს ავაწყობდი, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ჩემს ქმართან ერთად ბედნიერი ვერასოდეს ვიქნებოდი. ის დედიკოს ბიჭი აღმოჩნდა, ვისთვისაც ყველაზე მთავარი დედის აზრი იყო. ის ქალიც მთელ ჩვენს ცხოვრებას განაგებდა, ყველა წვრილმანი მისთვის უნდა შემეთანხმებინა. ქმარს რამეს რომ ვეტყოდი, მაშინვე დედასთან გარბოდა და უყვებოდა. ჩვენ შორის რაიმე უთანხმოება რომ მოხდებოდა, დედასთან მივარდებოდა, საცოდავად შესჩივლებდა და მერე ის ქალი გავეშებული მეცემოდა. დედამისზე რამე თუ წამომცდებოდა, მაშინვე ენას მიუტანდა. ვცდილობდი, მისგან კაცი შემექმნა, ბევრი რამე ვასწავლე, მაგრამ არა შეჯდა მწყერი ხესაო, ხომ გაგიგიათ. ბოლოს ეს სუსტი, უსუსური არსება ისე გამითამამდა, ხელითაც კი შემეხო. დედა აქეზებდა, ცოლს ძალა თუ არ აჩვენე, თავზე დაგაჯდება, ზოგჯერ მუშტი წამალივით სჭირდებაო და ისიც, ცოტას დალევდა თუ არა, მუშტებს მირტყამდა, აგრესიული ხდებოდა.

მისი საცოდაობის ყურება ძნელი კი იყო, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ბოლომდე ვეცადე ოჯახი შემენარჩუნებინა. ხასიათსაც ვუწყობდი, ყველაფერს ვუთმობდი, მაგრამ მერე ქმრის მიმართ აბსოლუტურად გავცივდი. სიყვარული ისე გამიქრა, მისგან მხოლოდ ცუდი მოგონებები დამრჩა. ამიტომ ოჯახი დავტოვე. ბუნებრივია, ჩემთვის ეს იოლი არ იყო, მაგრამ მათთან ცხოვრებას ყველაფერი მერჩივნა. ჩემს პრობლემებს საბერძნეთში გამოვექეცი. აქ მატერიალურ სიდუხჭირეს არ წამოვუყვანივარ, უბრალოდ გარემოს გამოცვლა მინდოდა, ათენში ჩემი დაქალი ცხოვრობდა, იქ იყო გათხოვილი და მეც მასთან წავედი. მერე კი დავრჩი.

უცხო ქვეყანაში ცხოვრებამ ის ტრავმა დამავიწყა, რაც ქმრის ოჯახში მივიღე. აქ საკუთარი ძალების უფრო ვირწმუნე, რადგან ყველაფრისთვის ბრძოლა დამჭირდა — საცხოვრებლისთვის, სამსახურისთვის, პურისთვის, ურთიერთობებისთვის. ერთ დღეს კი ბერძენი ბიჭი გავიცანი, ვეტერანი სპორტსმენი. თავის მეგობრებთან ერთად ორი დღით კუნძულზე წამიყვანა. მისი მეგობრები ძალიან ვაჟკაცურები, ნამდვილი მამაკაცები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა. ისიც თითქოს მათ ჰგავდა, ან მე მინდოდა, რომ მათ მგვანებოდა და სხვა თვალით შევხედე. ერთი სიტყვით, ჩვენი ურთიერთობა კარგად აეწყო, ვიფიქრე, რომ დამოუკიდებელი, ძლიერი კაცი ვიპოვე. ამიტომ, როცა ცოლობა მთხოვა, უარი არ მითქვამს.

გაგეცინებათ და, ბერძენი კაციც დედიკოს ბიჭი აღმოჩნდა. იმიტომ ვამბობ, ბედისწერის ვირწმუნე-მეთქი. მეგონა, დედიკოს ბიჭობა ქართული ფენომენი იყო, მე კი ეს „განძი“ საბერძნეთშიც აღმოვაჩინე. მართალია, ჩემი დედამთილი ცალკე ცხოვრობდა, მაგრამ ჩემი ქმარი ტელეფონზე იყო დაკიდებული და ყველაფერს თავის დედიკოს უყვებოდა. ერთხელ შევუსწარი, დედამისს ტელეფონზე ჩვენი სექსუალური ცხოვრების დეტალებს როგორ უყვებოდა. ყურებს არ ვუჯერებდი, როცა ჩვენი წინანდელი ღამის მთელი ამბები წვრილმანებში მოყვა. მის მიმართ ზუსტად ისეთივე შეგრძნება დამეუფლა, როგორიც პირველი ქმრის მიმართ — შეცოდების და ზიზღის. მასთან გაშორებაზე ბევრი არ მიფიქრია, დავტოვე და წამოვედი, თუმცა ეს უკონფლიქტოდ არ მომხდარა. იმ უსუსურმა ბერძენმა დედიკოს ბიჭმაც საშინელი აგრესია გამოავლინა, ჩვეულებრივ მოძალადე კაცად იქცა...

ახლა მარტო ვარ და კარგახანს ჩემს ცხოვრებაში არავის შემოვუშვებ. გათხოვებაზე კი არასოდეს ვიფიქრებ, რადგან კიდევ ერთ იმედგაცრუებას ველარ გადავიტან.

**მკითხველი**

გამოხმაურება

## „ჩემი ქმარი ღირსია, ცხოვრებამ მწარე გაკვეთილი ჩაუტაროს“

„სარკის“ 26-ე ნომერში, გულახდილი საუბრების რუბრიკაში წავიკითხე წერილი, სათაურით „მოძალადე ქმარს მხოლოდ იმიტომ ვიტან, რომ ჩემს მშობლებს არჩენს“. ამ ქალის ტკივილი ჩემთვისაც ნაცნობია. საშინელი გრძნობაა, როცა ქმარი გამუდმებით გაყვედრის, რომ შენს ახლობელს ეხმარება.

ძმა მყავს, რომელიც პატიოსნებით გამორჩეული ბიჭია. გაუმართლა, რომ კარგი ცოლ-შვილიც ჰყავს. მისი ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ საქართველოში სამსახური ვერ იშოვა. არც განათლება აკლია და არც — მონდომება, მაგრამ ვერსად მოეწყო. ჩემს ქმარს ბიზნესი აქვს, მაგრამ მასთან მუშაობის დაწყება არ უნდოდა, რადგან სიძეს ვერასოდეს ეწყობოდა. ჩემს მეუღლეს ძალიან მძიმე ხასიათი აქვს. ბევრი რამ უნდა მოითმინო, რომ მასთან ურთიერთობა ააწყო.

ჩემს ძმას ძალიან რომ გაუჭირდა, მერე კი დათანხმდა, სიძესთან ემუშავა. არანაირი პრივილეგიით არ სარგებლობს, სხვა თანამშრომლებზე მეტი მონდომებით და ერთგულებით ემსახურება, არც შავ სამუშაოს თაკილობს. ანაზღაურებაც იმდენივე აქვს, რაც სხვებს, მაგრამ ჩემი ქმარი მაინც აყვედრის, რომ დაასაქმა. მეც ყოველ წუთსა და წამს წამომაძახებს ხოლმე, რომ ჩემი ძმის ოჯახს ინახავს. ეს საშინელი მოსასმენია. ვეუბნები, სხვებიც ხომ გყავს დასაქმებული, ჩემი ძმა მათზე მეტს აკეთებს, საქმის კარგი მცოდნე, ერთგული თანამშრომელია და სამსახურს რატომ აყვედრი-მეთქი. აღიარებს, რომ ჩემი ძმის ხელი საქმეს დაეტყო, ბევრი პრობლემა აარიდა თავიდან, მაგრამ მაინც იბღინძება, ლუკმაპურს მე ვაჭმევო.

ვოცნებობ, ჩემს ძმას ღმერთმა გადმოხედოს, ხელი ისე მოუმართოს, რომ სიძის დასაყვედრებელი არაფერი სჭირდეს. თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი მინდა, ჩემს რძალს და ძმას ჩვენზე მეტი ჰქონდეთ, რომ ჩემს ქმარს აქეთ დასჭირდეს დახმარების თხოვნა. ის ღირსია, ცხოვრებამ მწარე გაკვეთილი ჩაუტაროს!

*თქვენი მკითხველი*

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე**
**ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**

**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

# „ჩემმა რძალმა კბილში ბრილიანტი ჩაისვა“

ვადაირევი კაცი! ცხოვრებაში თურმე რას და ვის აღარ ნახავ. ისე არ გამიგოთ, ამ წერილით ვინმეს დავცინი, არა, ცინიზმი ჩემგან ძალიან შორს არის. ჩემს ამბავს დარდი მაწერინებს.

მე და ჩემი ძმა თბილისურ ოჯახში დავიბადეთ და გავიზარდეთ. მეხუთე თაობა ვართ, ვინც თბილისში გავჩნდით. არაჩვეულებრივი მამა მყავდა, ნამდვილი თბილისელი, ალალი კაცი. საოცარი სამეგობრო ჰყავდა, ყველა დარჩეული, კეთილშობილი ვაჟკაცები იყვნენ. ჩვენთან ხშირად იკრიბებოდნენ. წიგნებში რომ წაგვეკითხავს ქართველ კაცებზე, ზუსტად ეგეთები იყვნენ. მამა ექიმი გახლდათ და მისი მეგობრების უმრავლესობაც მედიცინას ემსახურებოდა. ისინი რომ ჩვენთან მოდიოდნენ, მეზობლები ყელს გვიწევდნენ, პურმარილს ჩვენ გავაკეთებთ, ოღონდ ამ ადამიანებთან ერთად სუფრასთან დაგვსვითო. თითოეულს გასაოცარი იუმორი ჰქონდა. მათში ამპარტავნების ნატამალიც არ იყო. ფულით გაყოყოჩებულ ადამიანებს ქაჯებს ეძახდნენ.



ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ ჩვენთვის მატერიალურ სიმდიდრეზე მაღლა ყოველთვის სულიერება, კარგ ადამიანებთან ურთიერთობა იდგა. მე ახლაც ასე ვფიქრობ და გული მწყდება, რომ ჩემს ძმაში სხვა თვისებებს ვხედავ. არადა ერთ დროს ყველა ამბობდა, მამის ალიკვალიაო. ცოლი რომ მოიყვანა, სულ შეიცვალა.

მომავალი მეუღლე ერთ-ერთ რაიონში, ქორწილში გაიცნო. მისი გარეგნობით მოიხიბლა და ცოტა ხანში ცოლადაც მოიყვანა. მისი არჩევანით დიდად მოხიბლული არ დავრჩით, მაგრამ შევეგუეთ. ჩემი რძალი ნამდვილი პროვინციელი აღმოჩნდა, ოღონდ ამ სიტყვაში მისი დაბადების ადგილს არ ვგულისხმობ, სულით ღატაკი, როგორც მამაჩემი იტყოდა, ქაჯი აღმოჩნდა. მამამისი რაიონში სიმდიდრით არის ცნობილი, არ იციან, ფული რაში დახარჯონ. ვილაცეებს ჰბაძავენ და ისეთი სასაცილოები არიან... ტელეწამყვანებს რაც აცვიათ, ის ჰგონიათ მოდაში და ისე იცვამენ. აღარ იციან, პროვინციელობა რითი შენიღბონ.

მათ ყურადღებას არ მივაქცევდი, ჩემს ოჯახს რომ არ ეხებოდნენ. რძალმა დედაჩემი ძალიან დაიბრიყვა. თვითონ წერა-კითხვის უცოდინარი მოხუც ქალს ისეთ სიტყვას ეტყვის ხოლმე, რომ ჭკუიდან გადავვდივარ. ორი თვის წინ რძალი წინ დავისვი და გამოვუცხადე, იცოდე, დედაჩემს კულტურულად მოექეცი, თორემ საკუთარ საქციელზე პასუხს არ ვაგებ-მეთქი. კულტურული მოპყრობა კი, იცით, რითი გამოხატა? დედამთილს საერთოდ არ ელაპარაკება. ვთქვათ, დედაჩემს ტელეფონზე ვინმემ დაურეკა, ამ დროს კი ყურმილი მან აიღო. დედამთილს სახელით რომ არ მიმართოს, „ეე, ეეე!“ — ასე ეძახის. ვერაფერი შევაგნებინე.

დედას ვეხვეწები, საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიდეს, მაგრამ ჩემს ძმას ვერ ტოვებს. ამბობს, ამ ქალის ხელში მეცოდება, ვერ მივატოვებო.

ამას წინათ ნათესავის ქორწილში ვიყავით. საერთოდ, ვერიდები იმ ადგილას წასვლას, სადაც ის იქნება, მაგრამ იმ დღეს ვალდებული ვიყავი, იქ ვყოფილიყავი. ჩემი რძალი თუთიყუშივით მოვიდა, ძვირფასი სამკაულებით ყელ-ხელ-ყურდამძიმებული. „მოდურ“ კაბაში ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდა. ვიფიქრე, არა უშავს, ყურადღებას არ მივაქცევ-მეთქი, მაგრამ რომ გაიცინა და ბრჭყვიალა კბილი გამოუჩნდა, გადავირიე! თვალებს არ დავუჯერე, ვიფიქრე, ეტყობა, მომეჩვენა-მეთქი. ჩემ გვერდით ბიძაშვილის გოგო იჯდა, მან გულიანად გადაიკისკისა, მერე კი ყურში ჩამჩურჩულა, შენმა რძალმა ეს ბრილიანტის კბილი ალიბაბას ხომ არ ამოაცალაო.კბილში ბრილიანტის ჩასმალა აკლდა! შეიძლება სხვებს უხდება, ვილაცისთვის ასეთი სტილი შეიძლება ბუნებრივიც იყოს, მაგრამ ჩემს რძალს რომ იცნობდეთ, მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ. თანაც ქორწილში ჩემ წინ დაჯდა და იმ ბრილიანტს დემონსტრაციულად მაჩვენებდა, ალბათ ფიქრობდა, შურით გასკდებაო. მე კი ისე მრცხვენოდა...

კიდევ კარგი, საწყალი მამაჩემი ვერ მოესწრო. ძალიან მიკვირს, ნუთუ ჩემს ძმას ცოლის ეს გამოხდომები თვალში ცუდად არ ხვდება. ვერაფრით გამიგია, ასე რამ დააბრმავა.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

# „დისშვილმა და გამიუბედურა“

ვალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვეღარ დააკავებსო, ნათქვამია და ეს სრული სიმართლეა. ჩემი დის ოჯახში ნამდვილი მონსტრი გაიზარდა, არადა ვინ იფიქრებდა, რომ იმ ლამაზი, ნაზი გოგოსგან ასეთი ცუდი ქალი დადგებოდა.



ჩემი და გვიან გათხოვდა. გოგონა რომ შეეძინა, ღვთის საჩუქრად ჩათვალა და მეტ შვილზე აღარც უფიქრია. ჩემი სიძე პირველ ცოლთან გაყრილი იყო, მასთან ორი ბიჭი ჰყავდა. მათაც დიდ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ გოგოზე საერთოდ გონებას კარგავდა, ისე უყვარდა. ნაზოლარას ძალიან ათამამებდა, ყველა სურვილს უსრულებდა. ჩემი დისშვილი მთელ სანათესაოს ხელისგულზე დაგვყავდა, ვანებივრებდით, მაგრამ ცუდი ადამიანი დადგა.

პირველად 16 წლის ასაკში გათხოვდა. მისი საქციელი არ მოგვეწონა, მაგრამ გვერდით დავუდექით, რომ კარგი ოჯახი შეექმნა. ბავშვი გააჩინა და სამი თვის შემდეგ ქმარს გაშორდა. ისევ არ დავტოვეთ მარტო, მამამ უმაღლესში მოაწყო, ცდილობდა, გზაზე დაეყენებინა. ის კი უნივერსიტეტში ვილაც თაღლით ლექტორს გადააწყდა, მისი საყვარელი გახდა. ის კაცი ჩემი დის სახლში შეძვრა, თუ რამე გააჩნდათ, დასცინცლა და გაუჩინარდა. თავისი ვალები ჩემს დისშვილს წამოჰკიდა კისერზე, ისიც რაღაცეებში გაება და, ჩვენი მცდელობა რომ არა, ახლა ციხეში იჯდებოდა.

გვეგონა, ამ ყველაფრით ჭკუას ისწავლიდა და თავის ცხოვრებას უკეთესად წარმართავდა, მშობლებს და შვილს მიხედავდა, მაგრამ ისევ იგივენაირად მოიქცა. მის ცხოვრებაში ახალ-ახალი კაცი არ ილევა, ზოგი ძარცვავს, ზოგი სცემს, ის კი მაინც ასე აგრძელებს. უკვე დავასკვენით, რომ ავადმყოფია, ფსიქიკა ჯანსაღი არ აქვს, სხვანაირად მის საქციელს ვერაფრით ახსნი. მან ჩემი დაც გააუბედურა და სიძეც. მშობლებს არც ქონება შეარჩინა და არც — ჯანმრთელობა.

უფროსმა შვილებმა მამის ასეთ მდგომარეობას რომ უყურეს, თავიანთ სახლში წაიყვანეს. ჩემს დისშვილს უთხრეს, დაივიწყე, რომ ოდესმე მამა გყავდაო. ისინი კარგი კაცები არიან, მამას ჰყვებიან, მაგრამ ყურადღებას ჩემს დასაც არ აკლებენ. ეხვეწნენ, ჩვენთან წამოდიო, მაგრამ ჩემს დას შერცხვა, ქმრის პირველ ცოლთან მომიწევს შეხვედრა და არ შემიძლიაო. ამიტომ მე წამოვიყვანე, ჩემთან ცხოვრობს. მისი საცოდაობით გული მეკუმშება. ის ცუდი შვილიც კი ისე ენატრება, ცრემლებად იღვრება. ხშირ-ხშირად დაურეკავს ხოლმე, ის კი ველურივით პასუხობს. შვილი ყოფილმა ქმარმა წაართვა, ბავშვი მამასთან იზრდება და ჩემი და შვილიშვილის სანახავად ხშირად დადის, დედამისი კი არც კითხულობს, მისი შვილი როგორ არის. აპრილში ბავშვს დაბადების დღე ჰქონდა. ჩემმა დამ საჩუქარი უყიდა, მერე თავის შვილს დაურეკა, ბავშვს წაუღე და უთხარი, რომ შენ უყიდეო...

ჩემს დისშვილს ვინც გაიცნობს, ალბათ იფიქრებს, ნეტა, რა ოჯახში გაიზარდაო. არადა მართლა შესანიშნავი დედ-მამის ხელში გაიზარდა, მერე კი რა მოხდა, რა ეშმაკი ჩაუსახლდა, არ ვიცი.

თქვენი ერთგული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, ავვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება 0.

ქ-ნი ქეთევანი.

☎ 599-90-54-78, 234-02-38




Cyan Magenta Yellow Black

# გიორგი მოსიძე და მისი ცოლი ოჯახურ კრიზისებს ბავშვების გაჩენით ებრძვიან

ინტელექტუალური შოუს „რა? სად? როდის?“ წამყვანმა გიორგი მოსიძემ ცოლს, ემილია ხალილოვს, 26 ივნისს სამსახურში 14 ცალი ვარდი და გულის ფორმის ტორტი გაუგზავნა. ამით შეახსენა, რომ იმ დღეს მათი ქორწინების 14 წლისთავი იყო. თურმე წელს პირველად მოხდა, რომ ემილიას ეს თარიღი დაავიწყდა, ყურადღებიანმა ქმარმა კი შეახსენა. ემილიას თქმით, გიორგი რომანტიკულია და ლამაზი სიურპრიზებითაც ხშირად ანებივრებს. შვილების აღზრდა-განათლებაც მთლიანად ქმრისთვის აქვს მინდობილი, რადგან ემილიას ბიზნესს ძალიან დიდი დრო მიაქვს. მათ ოჯახში სამი ბავშვი იზრდება — 10 წლის გიორგი, 9 წლის ელენე და ორწლინახევრის ნიკუშა. თუ ემილიას საქმე კარგად წაუვა და ოჯახში ფული იმატებს, შესაძლოა კიდევ სამის გაჩენაზე იფიქრონ, ყოველ შემთხვევაში, გიორგი მოსიძეს ამის დიდი იმედი აქვს.

**— როგორც შევიტყვე, ცოტა ხნის წინ ქორწინებიდან 14 წელი შეგისრულდათ. როგორ აღნიშნეთ ეს დღე?**

**გიორგი**: ჩვენი ქორწინება 1999 წლის 26 ივნისს შედგა. 25 ივნისს, პარასკევს, აზერბაიჯანული ქორწილი გვქონდა, მეორე დღეს კი — ქართული. წელს პირველად მოხდა, რომ ემილიას ეს დღე დაავიწყდა, არადა აქამდე პირიქით იყო. თუ როგორ შევახსენე, შეგიძლიათ, მას ჰკითხოთ.

**ემილია**: სამსახურში მომიტანეს ძალიან ლამაზი თაიგული, 14 ცალი ვარდი, ულამაზესი, გულის ფორმის ვარდისფერი ტორტი 14 ისრით, სასმელები და ასე შემდეგ. როცა ეს ყველაფერი დავინახე, დავიბენი. გამიკვირდა, დაბადების დღე არ მაქვს და რა ხდება-მეთქი.

**— გიორგის რომ აგიწყდებოდა, თქვენ როგორ ახსენებდით?**

**ემილია**: სიმართლე გითხრათ, არც მახსოვს, როდის დაავიწყდა.

**— როგორ შეხვდით ერთმანეთს 14 წლის წინ და ის დრო როგორ გახსენდებათ?**

**ემილია**: დაქორწინებამდე 3 წელი ვხვდებოდით ერთმანეთს. ის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება.

**გიორგი**: ერთმანეთი სტრასბურგში გავიცანით. 1996 წლის შემოდგომაზე იქ ერთ-ერთ საერთაშორისო ღონისძიებაზე საქართველოს წარმომადგენლები ვიყავით. იქ ვაჩუქეთ ერთმანეთს პირველი კოცნა, როცა ჩვენი ნავი მდინარე რაინის ნაპირებს მიაპობდა... 1996 წლის შემოდგომიდან 1999 წლის ივნისამდე საკმაო დრო გავიდა, ოჯახის შექმნისთვის ორივე სერიოზულად ვემზადებოდით. როცა ერთმანეთი გავიცანით, ორივე 24 წლის ვიყავით, უფრო სწორად, ემილია მაშინ გახდა 24-ის. როცა დავქორწინდით, მე 27 წლის ვიყავი, ემილია კი 27-ის მერე გახდა.

**— ემილია, გიორგი მაშინაც ასეთი რომანტიკული იყო თუ მერე და მერე გაუმძაფრდა ეს მიდრეკილება?**

**ემილია**: კი, საოცრად რომანტიკული იყო. მოულოდნელად საჩუქრების გაკეთება, ყვავილების გამოგზავნა ეხერხება. რაღაცასთან დაკავშირებით კი არა, ისე უბრალო დღესაც შეუძლია საჩუქრები გამიკეთოს.



**„წელს პირველად მოხდა, რომ ემილიას ჩვენი ქორწინების დღე დაავიწყდა“**

**— ასეთი რომანტიკა როგორ შეინარჩუნეთ, კრიზისი, პრობლემა არასოდეს გქონიათ?**

**გიორგი**: ოჯახებში კრიზისი ყოველთვის არსებობს, მაგრამ გეტყვით, რომ ასეთი სიტუაციებიდან საუკეთესო გამოსავალი შემდეგი შვილის ყოლაა. ისეთი კრიზისი არც გვქონია, რომელიც ჩვენი ოჯახის სიმყარეს და ჰარმონიულობას დაემუქრებოდა. დავადგინეთ, რომ იდეალური წყვილი ვართ. პრობლემები როგორ არ არის, ბოლოს და ბოლოს, 24 საათი რომ ერთ ადამიანს უყურო, მოგბეზრდება. ამიტომაც როცა ჩვენ დავადგინეთ, რომ საჭირო არ იყო დღე-ღამის განმავლობაში ბევრი დროის ერთად და ერთ წრეში გატარება, ორივე სხვადასხვა გზით წავედით და პრაქტიკულად ჩვენი გზები ერთმანეთს არ კვეთს. ორივენი კარიერის კეთებით ვართ დაკავებული და, რაც მთავარია, ჩვენი საქმეებიც არ იკვეთება.

**გიორგი: „წყვილის ცხოვრებაში ყოველდღიურობა შემოდის, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია. სტაგნაციის დაძლევის საუკეთესო მეთოდი იუმორია. ეს თვისება ადამიანს ყველგან და ყველაფერში შველის. ილადავეთ დილით, საღამოს და ლოგინშიც!”.**

**— ანუ თვლით, რომ თუ ცოლ-ქმარი ერთად ბევრ დროს ატარებს, მობეზრების შანსი არსებობს?**

**გიორგი**: წყვილის ცხოვრებაში ყოველდღიურობა შემოდის, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია. სტაგნაციის დაძლევის საუკეთესო მეთოდი იუმორია. ეს თვისება ადამიანს ყველგან და ყველაფერში შველის. ილადავეთ დილით, საღამოს და ლოგინშიც!

**ემილია: „იცით, გიორგი როგორი ქმარია? ცხოვრებაში სამჯერ გათხოვება რომ მეწეროს, სამივეჯერ გიორგის გავყვებოდი ცოლად”.**

**ემილია**: სიმართლე გითხრათ, ჩვენს ურთიერთობაში რთული პერიოდი არც მახსენდება.

**გიორგი**: ბანკის ვალი რომ გქონდა?!

**ემილია**: ბანკის ვალი ახლაც გვაქვს.

**გიორგი**: ახლა როგორ გვაქვს?!

**ემილია**: იპოთეკა ხომ გვაქვს!

**გიორგი**: კაი, რას მელაპარაკები, ძლივს წყნარად მძინავს! აი, „სარკის“ თვალწინ ჩვენს ოჯახში ახალი კრიზისი იბადება. აბა, მე თავდებობაზე რომ მაქვს ხელი მოწერილი?

**ემილია**: ჰო, 10 წლიანზე.

**გიორგი**: რას ლაპარაკობ?!

**ემილია**: რაზე აწერ ხელს, არ კითხულობ?

**გიორგი**: რა ვიცი, გენდობი.

**ემილია**: მოკლედ, სერიოზული კრიზისი არ გვქონია.

**გიორგი**: ძირითადად ყოფითი პრობლემები არსებობს ხოლმე. იმედი მაქვს, ამ ეკონომიკური კრიზისიდან ჩემი მეუღლე ღირსეულად გამოვა.

**— ემილია, რა ბიზნესით ხართ დაკავებული?**

**ემილია**: მაღაზიათა ქსელი მაქვს.

**გიორგი**: ემილია, „გვაქვს“ უნდა თქვა!

**ემილია**: რატომ, როცა შენ ამბობ, კლუბი „რა? სად? როდის?“ მაქვსო, ვერევი?

**გიორგი**: ჰო, მაგრამ აქ მეც მაქვს ხელი რაღაცეებზე მოწერილი.

**ემილია**: მოკლედ, სავაჭრო ობიექტები მაქვს, ამით ვარ დაკავებული.

**— გიორგი, თქვენს ცოლს ბიზნესის კეთება კარგად გამოსდის?**

**გიორგი**: ხან ისე, ხანაც — ასე. ამას მაცივრის მენიუთი ვგრძნობ. მაცივარში ძვირადღირებულ რამეს რომ დავინახავ, ვხვდები, რომ საქონლის ბრუნვამ მოიმატა.

**— ამბობენ, წყვილის ცხოვრებაში პირველი წლები განსაკუთრებით რთულიაო. თქვენ ეს გამოცდილი გაქვთ?**

**გიორგი**: ჩვენ ეს პერიოდი დაქორწინებამდე 3 წელი გვქონდა, შეყვარებულები ვიყავით, ერთმანეთს კარგად ვიცნობდით. სხვათა შორის, რუსთაველზე ფეხით ვსეირნობდით და ფენოვან ხაჭაპურებს ვჭამდით.

**ემილია**: აჭარულებს!

**გიორგი**: აჭარულს — მერე, როცა 3 ლარი გაგვიჩნდა. სანამ ლარნახევარი გვქონდა, ფენოვანს ვჭამდით. მაშინ ხელფასს 80 ლარს ვიღებდი და ინგლისური ენის ცოდნის გამო 12 ლარს მიმატებდნენ. ახალდაქორწინებულები იტალიაში წავედით, ახალ წელს იქ შევხვდით. სანამ პირველი შვილი გვეყოლებოდა, ის პირველი სამი წელი ფანტასტიკური იყო, ერთმანეთით ტკბობაში ვიყავით. ბავშვები რომ ჩნდებიან, მერე სხვანაირია ყველაფერი, პრობლემები იწყება და არ მთავრდება. ახლაც მესამე ბავშვი გაგვიჩნდა.

**ემილია**: ბავშვის დაბადება ბევრ რაღაცას ცვლის, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს ცუდია.

**— ემილია, როგორი მამაა გიორგი, შვილებს ბევრ დროს უთმობს?**

**ემილია**: ძალიან კარგი მამაა. ბავშვებს



Cyan Magenta Yellow Black

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ნათელა კაკაბაძე** *(67 წლის, პედაგოგი, პენსიონერი, თბილისი).*

**დიაგნოზი**: ხერხემლის გამრუდება (სქოლიოზი, კოკსართროზი, IV ხარისხი.

– რამდენიმე წელია, მაწუხებდა წელისა და სახსრების ტკივილი. არ მაძლევდა ფეხზე დიდხანს დგომისა და საოჯახო საქმიანობის საშუალებას, არ მაძინებდა ღამით.

მოვაკითხე მანანა ექიმის კლინიკას. არნახული შედეგი მივიღე: ორი სეანსის შემდეგ ტკივილები გაქრა, ღამით კი ტკივილის გარეშე დავიძინე. ვამთავრებ პირველ კურსს. თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, არაფერი აღარ მტკივა, ვმოძრაობ მსუბუქად, თავი სიზმარში მგონია.

ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მანანა ექიმს, თავისი საქმის პროფესიონალს. ძალიან ლამაზს, სათნოს როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, ძალიან თბილს, გულისხმიერსა და კარგ მოსაუბრეს. მანანა ექიმმა ბევრ ჩემნაირ ავადმყოფს და უფრო მძიმესაც დაუბრუნა ცხოვრების ხალისი.

გაიხარეთ, მანანა ექიმო, გამრავლდით, დიდხანს იცოცხლეთ, გფარავდეთ ღმერთი!



**მაყვალა ხელაძე** *(61 წლის. ვანი).*

**დიაგნოზი**: ორმხრივი გონართროზი III ხარისხის.

– თხუთმეტი წლის წინ დამეწყო მუხლში ტკივილი, შემდეგ მეორეშიც გადავიდა. ძალიან რომ შემაწუხა, ტკივილგამაყუჩებელი წამლებით დავიწყე მკურნალობა, მაგრამ, ყველაფერი დროებითი იყო, ტკივილი თავს ყოველთვის მახსენებდა. ბოლო ხანებში ისე შემომიტია, სიცოცხლე აღარ მინდოდა. მოვეშვი, თავს ველარ ვუვლიდი. მრცხვენოდა ოჯახის წევრების, სულ ჩემი კვნესითა და მოთქმით რომ ვაწუხებდი.

ჟურნალში ამოვიკითხე ამ კლინიკის შესახებ და დიდი იმედით ჩამოვედი. დავიწყე მკურნალობა და ჩემი ტკივილები უკან ჩამოვიტოვე. შეიძლება, მოდელივით ვერ გავიარო, მაგრამ, რაც მთავარია, ტკივილი დავამარცხე. თუ კიდევ შემახსენებს თავს ჩემი მუხლები, საიმედო მკურნალი აქ მეგულება. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ თქვენს ოჯახთან ერთად, ქალბატონო მანანა!

**სერგო ჩოგოვაძე** *(53 წლის, კერძო ბიზნესი. ქუთაისი).*

**დიაგნოზი**: წელის მალების ოსტეოქონდროზი, დისკოზი.

– მძიმე მდგომარეობაში შემოვედი ალექსიშვილის კლინიკაში. მანამდე ჩავიტარე მკურნალობის ბევრი კურსი, მაგრამ არაფერმა მიშველა. მტკიოდა წელი. ტკივილი გადაეცემოდა მარცხენა თეძოსა და ფეხში. მოხრილი დავდიოდი, მიჭირდა დგომა, წოლა, გადატრიალება, შრომისუუნარო გავხდი. აქ რომ მოვედი, მქონდა გაუსაძლისი მდგომარეობა. კლინიკაში გულთბილად მიმიღეს. პირველივე კურსის ჩატარების შემდეგ საოცარი შვება ვიგრძენი, რაზეც დიდ მადლობას ვუხდი კლინიკის ხელმძღვანელს, ქალბატონ მანანას და მის ვაჟს, ბატონ სოსოს. თქვენ გაიხარეთ ჩემი ფეხზე დაყენებისთვის!

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა);*
*კაბინეტი №18, №19. მიღება 11-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*


ძალიან უყვართ, ერთად ხშირად დადიან სასეირნოდ, კინოში.

**გიორგი**: ბავშვების აღზრდა-განათლებაში აქტიურად ვარ ჩართული. სხვათა შორის, ყოველთვის მინდოდა ბევრი შვილი, ოღონდ ვფიქრობდი, ბევრი ფული რომ მექნებოდა, მერე მეყოლებოდა. წლები გადიოდა და ეს ფული არ ჩანდა, სამწუხაროდ, არც დღეს ჩანს. მერე ვიფიქრე, ამ ბევრი ფულის ლოდინში ასე არ დავრჩეთ-მეთქი და დღეს გვყავს სამი შვილი.

**ემილია**: ბავშვების აღზრდაში მაქსიმალურად ვარ ჩართული, მაგრამ იმის გამო, რომ ყოველდღე ვმუშაობ, სამწუხაროდ, მათთან დიდ დროს ვერ ვატარებ. ბავშვს დედას ვერავინ შეუცვლის, ამიტომ ვცდილობ, საღამოს საათებში მაინც ვიყოთ ერთად, სხვადასხვა თემებზე ვისაუბროთ, სადმე გავიყვანო.

**გიორგი: „ემილიას ბიზნესი ხან ისე გამოსდის, ხანაც — ასე. ამას მაყივრის მენიუთი ვგრძნობ. ძვირადღირებულ პროდუქტს რომ დავინახავ, ვხვდები, რომ საქონლის ბრუნვამ მოიმატა“.**

**გიორგი**: მე მაინც ვთვლი, რომ დედა შვილებთან მეტ დროს უნდა ატარებდეს.

**— მხოლოდ ოჯახში მოფუსფუსე ცოლი მოგეწონებოდათ?**

**გიორგი**: მინდა, რომ ჩემი ცოლი რეალიზებული იყოს, ბევრი ფულის მოტანაშიც დამეხმაროს, თან ჭკვიანი და ლამაზი შვილები აღზარდოს.

**— ემილია, ქართველებს და აზერბაიჯანელებს განსხვავებული კულტურა, მენტალობა გვაქვს. ქართული ოჯახის დიასახლისობას ადვილად მოერგეთ?**

**ემილია**: არ გამჭირვებია, რადგან თბილისში დავიბადე და გავიზარდე. ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებულად განსხვავებული კულტურის წარმომადგენელი ვარ. ფასეულობები ერთნაირი გვაქვს, მე და გიორგი ბევრ რაღაცაზე ერთნაირად ვფიქრობთ.

**გიორგი**: მე თავიდანვე ვიცოდი, რაზეც მივდიოდი. ჩვენს საზოგადოებაში რაღაც სტერეოტიპები არსებობს. სანამ დავქორწინდებოდით, არც ისე დაძაბული, მაგრამ შრომატევადი მოსამზადებელი პერიოდი გვქონდა. სწორედ იმიტომ, რომ ის წლები მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად გავიარეთ, შემდგომ ურთიერთობაში პრობლემა არ გვქონია.

**— 14 წლიანმა ოჯახურმა ცხოვრებამ რა გასწავლათ, რა გამოცდილება დაგიგროვდათ?**

**გიორგი**: არ შეიძლება ყველაფერს სერიოზულად მიუდგე, ამიტომ იუმორი, იუმორი და იუმორი!

**ემილია**: იუმორი მართლა ძალიან კარგია. ამას გარდა, ცოლსაც და ქმარსაც თავისი საქმე, სამყარო უნდა ჰქონდეს და ერთმანეთის საქმეებში ბოლომდე არ უნდა ჩაერიონ.

**გიორგი**: მეუღლის ესემესების წაკითხვა, მეუღლის „ფეისბუქზე“ შესვლა გონებიდან ამოიღეთ! ნუ მოძებნით პრობლემებს იქ, სადაც ისინი არ არსებობს. თუ არსებობს, თქვენ მათ ვერ გადაჭრით, ამიტომ ჯობს, ნუ მოძებნით!

**— ამით იმის თქმა გინდათ, რომ ეჭვიანები არ ხართ?**

**ემილია**: ზომიერად — კი.

**გიორგი**: ემილიამ რომ არ იფიქროს, არ ეჭვიანობსო, სამ თვეში ერთხელ ვეკითხები: „ვინ დაგირეკა?“

**გიორგი: „ემილიამ რომ არ იფიქროს, არ ეჭვიანობსო, სამ თვეში ერთხელ ვეკითხები: „ვინ დაგირეკა?“**

**— სერიოზულად გიჩხუბიათ?**

**გიორგი**: კი, როგორ არა! ემილიამ ჩემი მობილური ტელეფონი კედელს მიაფშვნა.

**ემილია**: ჰო, მაგრამ ეს პირველ წლებში იყო.

**გიორგი**: ეს იყო 1999 წლის 11 ნოემბერს.

**ემილია**: რა კარგად ახსოვს თარიღი. არც ვიცი, რატომ მოვიქეცი ასე.

**გიორგი**: ამ თემას მე და ემილია საღამოს ვახშმის დროს დავუბრუნდებით.

**— შვილებთან აღზრდის რა პრინციპს იყენებთ — სიმკაცრეს თუ ლმობიერებას?**

**ემილია**: მე ბევრად უფრო მკაცრი ვარ.

**გიორგი**: ოჯახში ერთი პრობლემაა, დედის და მამის როლები გვაქვს არეული. იმის ნაცვლად, რომ დედა იყოს მკაცრი და მამა ლმობიერი, ჩვენთან პირიქითაა. ემილია გვყავს ყველანაირად კეთილი, თაფლი, მურაბა, ბავშვებს უარს არაფერზე ეუბნება, მე კი ცუდი პოლიციელის როლის თამაში მიწევს, რომელიც ბავშვებს რაღაცეებს უკრძალავს.

**— პირადად თქვენთვის როგორია ემილია?**

**გიორგი**: ისეთი მეუღლეა, მეუღლის უნახავს გაგხდის!

**— ემილია, სულ ასეთ კარგ ხასიათზეა გიორგი?**

**ემილია**: კი. თუ კარგ ხასიათზე არ არის, ესე იგი სახლში არ გახლავთ. იცით, გიორგი როგორი ქმარია? ცხოვრებაში სამჯერ გათხოვება რომ მეწეროს, სამივეჯერ გიორგის გავყვებოდი ცოლად. ის ყველა პრობლემისადმი თავისი მიდგომით მხიბლავს, ყველაფერს იუმორით აღიქვამს.

**— ქმრის გადაცემებს უყურებთ?**

**ემილია**: რა თქმა უნდა. ჩვენს პატარას ძალიან მოსწონს, გვიანობამდე არ იძინებს და ერთად ვუყურებთ ხოლმე. გიორგისგან განსხვავებით, მისი გადაცემის სიკარგეს მაცივრით ვერ ვხვდები, ამას რეიტინგებით ვატყობ.

**— თქვენი ოჯახის უახლოეს გეგმებში რა შედის?**

**გიორგი**: ახლა ის ეტაპია, როცა შთამომავლობაზე ვფიქრობთ, მაგრამ ბევრ ფულს ველოდებით.

**— კიდევ გინდათ შვილის გაჩენა?**

**გიორგი**: ალბათ კიდევ სამის.

**ემილია**: გაქაჩავ? მე პრობლემა არ მაქვს.

**გიორგი**: სავაჭრო ობიექტებზე ბრუნვამ უნდა იმატოს.

**ემილია**: ვერ გავიგე, ბრუნვას ვუმატო თუ ბავშვები ვაჩინო!

✓ ეკა ლემონჯავა



# კახი კახიშვილი: „ივანიშვილის ხელისუფლებამ სახიფათო თამაში წამოიწყო“

ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო მუშაობას დაუბრუნდა. ამის შესახებ გადაწყვეტილება უმცირესობის ლიდერის, დავით ბაქრაძის და პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის შეხვედრის შემდეგ იქნა მიღებული, რომელიც ურეკში შედგა. როგორც მოგვიანებით ბაქრაძემ განმარტა, საპარლამენტო ცხოვრების აღდგენის სურვილი თურმე პრემიერისგან მოდიოდა. მოლაპარაკებას პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც ესწრებოდა.

„ბევრი საკითხი იქნა განხილული და რამდენიმე მათგანზე შეჯერება მოვახერხეთ. პირველი — შევთანხმდით, რომ უახლოეს მომავალში შეიქმნება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. მასში წარმოდგენილი იქნება ნაციონალური მოძრაობაც, როგორც ძირითადი ოპოზიციური ძალა, ასევე სხვა პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები. მისი მიზანი იქნება ყოველგვარი სიჩქარის, ფორსირების გარეშე, დინჯად და მშვიდად, ფართო კონსენსუსის საფუძველზე შეიმუშავოს კონსტიტუციის ის მოდელი, რომელიც საქართველოსთვის 10-15 წლის განმავლობაში იქნება ოპტიმალური“, — განმარტა შეხვედრის შემდეგ ბაქრაძემ პრესასთან. მან არ დამალა, რომ საკითხი, რომელზეც შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილა, ნაციონალური მოძრაობის შემომწირველების მიმართ დაწყებულ სამართლებრივ დევნას უკავშირდებოდა, რაზეც პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარისგან პირობა მიიღო, რომ ეს პროცესი შეჩერდებოდა.

შეხვედრის არსი, მიზანი და დეტალები ბურუსით მოცული დარჩა ექსპერტებისა და საზოგადოებისთვის, რადგან მოლაპარაკების შემდეგ განცხადების გაკეთება მხოლოდ ბაქრაძემ ისურვა. ექსპერტი კახი კახიშვილი თვლის, რომ ასეთი ხელოვნური კოაბიტაცია საბოლოოდ ვერ შედგება, რადგან ნაციონალების დიდი ნაწილი, რომელთანაც თანამშრომლობა იგეგმება, სისტემური დანაშაულის მონაწილედაა გამოცხადებული.

**კახი კახიშვილი:**

— ხელოვნური კოაბიტაცია და ხელოვნური თანამშრომლობა არ არის სწორი, თან მაშინ, როცა კეთდება განცხადებები, რომ იმ ხალხის ნახევარზე მეტი ჩართული იყო სისტემურ დანაშაულში. მეორე მხრივ, ცხადდება, რომ ის არის მეორე ძალა და მასთან თანამშრომლობა უნდა გავაგრძელოთ. ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები გაუგებარია. მაშინ უნდა გვითხრან, რომ არანაირ სისტემურ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია; რომ ოქტომბრის არჩევნები გაყალბებული არ იყო და ნაცმოძრაობა სიდიდით ნამდვილად მეორე ძალაა. ვიღაცას საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობა თუ არ სურს, შეუძლია არ მიიღოს. სხვათა შორის, წინა მოწვევის პარლამენტში ნაცმოძრაობას არ მოუკლავს თავი, როცა ლეიბორისტები არ დადიოდნენ საკანონმდებლო ორგანოში. ნაციონალური მოძრაობა დღეს საპარლამენტო ტრიბუნაზეა ჩაბღაუჭებული. ახლა კი კეკლუცობენ, მაგრამ, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ, თვითონ მივლენ პარლამენტში. ხელოვნური მიპატიჟებები არასწორია.

— **ბაქრაძემ თქვა, რომ შეხვედრაზე შეთანხმდნენ შემოწირულობებთან დაკავშირებით.**

— სიმართლე გითხრათ, აქაც გაუგებარია შეხვედრის ფორმატი. ბაქრაძემ კი თქვა, მაგრამ კომენტარი არც პრემიერს გაუკეთებია და არც პარლამენტის თავმჯდომარეს. ნამდვილად უცნაურია, თუ ამ შეხვედრის მიზანი ის იყო, ოღონდ იარეთ პარლამენტში და ჩვენ დანაშაულზე რეაგირებას არ მოვახდენთო.

— **მერიის თანამშრომლების დაკავების უცნაურ ფორმებს როგორ აფასებთ?**

— პროცედურულად, მერიის თანამშრომლების დაკავების ფორმა, ჩემი აზრით, საქართველოს სისხლის სამართლის უხეში დარღვევით იყო წარმოებული და ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ საქმე გვაქვს ან უკიდურეს არაპროფესიონალიზმთან, ან გადაწყვეტილების მიმღების არაპროფესიონალ მრჩევლებთან. ამ ქმედებაში პირდაპირ იყო ჩადებული ისეთი უხეში დარღვევები, რომ მერე ამას პროცესის დისკრედიტაცია და ახალი ხელისუფლების ისევ გალანძღვა მოჰყოლოდა. ამ საკითხის გამოძიება აუცილებელია.

> **„საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ღლევანდელი მთავრობა პოლიტიკური ჩიხში მოექცევა. რეალურად ყველაფერი მიდის ვაჭრობაზე და ამას ხალხი დიდხანს ვერ მოითმენს".**

ვიცით, რომ ფინანსური პოლიციის თანამშრომლები არიან ის ადამიანები, რომლებიც მანამდე მუშაობდნენ. ახლა რომ აცხადებენ, საიდან მოვიყვანოთ ახალი ხალხი, ესენი არიან პროფესიონალებიო, მაშინ ისიც ვთქვათ, რომ მათი პროფესიონალიზმი სწორედ ასეთი გამოცდილებაა, ეს ისწავლეს 9 წლის განმავლობაში და ისიც დავაკონკრეტოთ, გვინდა თუ არა ასეთი ტიპის პროფესიონალები. მე ვფიქრობ, ჯობს, ახალგაზრდები მოვიყვანოთ და მათ ვასწავლოთ მუშაობა. თორემ ასეთი ტიპის პროცესები სამართლიანობის აღდგენის პროცედურის დისკრედიტაციას ახდენს.

კალანდაძის და გუნავას დაკავების დროს დაშვებული უხეში შეცდომები პროცესის დისკრედიტაციის საბაბად იქცა და შემდგომში ნაცმოძრაობამ ამ ორი ფაქტით სხვა დაკავებები მთლიანად გადაფარა. მერიის თანამშრომლების ასეთი ტიპის დაკავებებით ისევ დისკრედიტაცია მოხდა იმ გამოძიების, რომელიც ათეული მილიონობით სახელმწიფო თანხის გაფლანგვას ეხება. დღეს დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება თავი ამოყოს სასამართლოზე არსებითი განხილვის დროს. წესით, როცა ასეთი დარღვევები ხდება, ნორმალურ ქვეყნებში სასამართლო იღებს გამამართლებელ განაჩენს. ამიტომ მაინტერესებსიმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც დაუდევრობით, არაკომპეტენტურობით თუ წინასწარი განზრახვით, ამ სისხლის სამართლის საქმეს არსებითი განხილვის დროს პერსპექტივა მოუსპო.

— **დაჭერა-გაშვების და ისევ დაჭერის პრაქტიკა სასამართლომაც გვაჩვენა.**

— პროცედურულ დარღვევებში მე სასამართლოსაც ვგულისხობდი, თუმცა ამ სასამართლოს სხვა არაფერი მოეკითხება. ამიტომაც ვითხოვთ უსწრაფესი რეფორმების განხორციელებას სასამართლოსა და სამართალდამცავ ორგანოებში. ხალხი, რომელიც ამბობდა, ჩვენი სასამართლო რეფორმირებული და სანდოაო, ახლა, როცა მისი მომხრეები დაიჭირა, ირწმუნება, სასამართლო „ქართული ოცნების“ ზეწოლის ქვეშ არის. იგივე ხდება „ქართული ოცნების“ მხრიდანაც. ეს უნდა დასრულდეს. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ დადგა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხი, რატომ ხდება ეპიზოდურად თანამდებობის პირების პასუხისგებაში მიცემა და არა — მთელი დანაშაულებრივი ჯგუფის, როცა სახეზეა ყველაფერი.

— **რას გულისხმობთ?**

— როცა პასუხისგებაში აძლევ თუნდაც შს მინისტრს 26 მაისსთან დაკავშირებით, ძალიან მიამიტი უნდა იყო, რომ ვერ მიხვდე, შსს-ს, რომელმაც დაარღვია კანონი, მხარს უმაგრებდა პროკურატურა და სასამართლო. ბორჯომის მაგალითი აიღეთ. ბორჯომის სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა 5 პირს, რომელთაც ბრალად ედებოდათ ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. ზუსტად 2 საათში გამოვიდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და თქვა, რომ გადაწყვეტილება იყო სწორი. არავინ უფიქრდება, რომ უზენაესი სასამართლო არის ზემდგომი ინსტანცია, რომელმაც უნდა შეისწავლოს და გამოიტანოს განაჩენი ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილებაზე. ეს არის კანონის უხეში დარღვევა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან და ამაზე მაინც უნდა იყოს იმპიჩმენტი დაწყებული. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასე ხდება.

— **სამართალდამცავების სისუსტე ივანიშვილმაც აღიარა.**

— 9 თვე გავიდა და ვერც ერთი სისტემური დანაშაული ვერ გამოვლინდა. გარკვეულ შემთხვევებში გარკვეული ადამიანები დააკავეს, მაგრამ ჯაჭვი არ არის. მიამიტი უნდა იყო, დაიჯერო, ერთს ვაშლის დაჭრის დროს ნერვებმა უმტყუნა და ვიღაცას შეურაცხყოფა მიაყენა და მეორემ დასაქმების პროგრამის გამო სახელმწიფო ქონება გაფლანგა. მაგრამ ვინ აწამებდა, ვინ იღებდა ფულს, ვინ იყო პირამიდის თავში, ვინ აძლევდა პოლიციის თამნამშრომლებს იმის უფლებას, რომ აღიარება ცემით, წამებით, გაუპატიურებით მიეღოთ, „უცნობია“. უმაღლესი პირების მწვანე შუქის გარეშე ამას ვერავინ გაბედავდა! თან მაშინ, როცა ლამის მზესუმზირის გამყიდველსაც კი უსმენდნენ.

სააკაშვილი დღეს კი ცდილობს, თავი მოგვაჩვენოს, თითქოს ამნეზია აქვს და ვერავის ცნობს წინა გუნდიდან — ახალაიას, ქარდავას... ალბათ მალე იმასაც იტყვის, მერაბიშვილს არ ვიცნობდი და პრეზიდენტიც არ ვყოფილვარ, სინამდვილეში ქვეყანას სხვა მართავდაო. ამათი დაბრუნება რომ



Cyan Magenta Yellow Black

არ მოხდეს, სასამართლოში მტკიცებულებები და მათზე დაყრდნობით გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები უნდა გაიგზავნოს. სხვანაირად მათი დაბრუნების შანსი არსებობს და მერე ვინ იქნება ამაზე პასუხისმგებელი?

**— ბოლო დღეებში საკონსტიტუციო ცვლილებების თემა აქტუალური გახდა. თქვენი პოზიცია როგორია?**

— კონსტიტუციაში რომ კონკრეტული ჯგუფის სურვილის მიხედვით შედიოდა ცვილებები, ფაქტია და ამიტომ დროულად უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც ფართო შემადგენლობით ახალ კონსტიტუციას შეიმუშავებს. მაგრამ ეს იქნება სამომავლოდ, მანამდე კი აუცილებელია ზოგიერთი ცვლილების გატარება. მაგალითად, რომ 2/3 უნდა იყოს კვორუმი. 3/4 — ეს არის კატასტროფულად დიდი ციფრი. ეს ნამდვილად საჭიროებს ცვლილებას ან პარლამენტში უნდა მოვიდეს ისეთი მონსტრი, რომელსაც 3/4 ეყოლება და განახორციელებს ცვლილებას. არც ერთი და არც მეორე არ უწყობს ხელს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. აქედან გამომდინარე, ეს უნდა შეიცვალოს 2/3-ით. მერე მოკლე დროში უნდა ჩამოყალიბდეს საკონსტიტუციო კომისია, რომელიც დადებს საზოგადოებასთან განხილვის შემდეგ კარგ მოდელს და ეს კარგი მოდელი რომ არ გაფუჭდეს, შეიძლება საუბარი 3/4-ზე.

**— ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირების დანიშვნას თანამდებობაზე ეთანხმებით? ხომ არ იცით, ეს თემა რატომ გახდა ასეთი აქტუალური?**

— არ ვიცი, არა მგონია, რომ ივანიშვილის გამო იყოს, რადგან ის არის საფრანგეთის მოქალაქე. ესეც სულელური ჩანაწერია, რის მიხედვითაც, ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია ნებისმიერი თანამდებობა დაიკავოს საქართველოში. ამიტომ ივანიშვილს გამოვრიცხავ, ალბათ ვიღაც ჰყავთ მხედველობაში, რომლის შემოყვანა უნდათ პოლიტიკაში ან ფიქრობენ, რომ ის უნდა გახდეს უმაღლესი თანამდებობის პირი. მინისტრის მოადგილეების და თანამდებობრივად მათზე ქვემოთ მყოფი პირების ორმაგი მოქალაქეობა შეიძლება, მაგრამ ზემო ეშელონებში ეს უნდა გამოირიცხოს.

**— ამას ქვეყნის უსაფრთხოების გამო ამბობთ?**

— არამხოლოდ. შეიძლება კონკრეტულმა დივერსიულმა ჯგუფმა გაზარდოს ადამიანი, რომელსაც კავშირი აქვს საქართველოსთან, მერე მან მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა და მოგვევლინოს ან დეპუტატის, ან უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ, ან პრემიერად და სხვა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედოს. თან ამ ყველა თანამდებობის პირს იცავს იმუნიტეტი და რამე რომ დააშავოს, სანამ იმუნიტეტის მოხსნის პროცედურები დაიწყება, მეორე ქვეყანაში გაემგზავრება, საქართველო კი ვერასოდეს ეღირსება მის ექსტრადაციას საქართველოში. ეს სახიფათო თამაშია!

**— მაგრამ შეიძლება საქართველოს მოქალაქემაც იმუშაოს სხვა ქვეყნის სასარგებლოდ.**

— საქართველოს მოქალაქე ნამდვილად შეიძლება იყოს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან შეკრული, მაგრამ საქართველოს მოქალაქის, რომელიცაქ ცხოვრობს, გამოვლენა უფრო ადვილია, ვიდრე იმის, რომელიც არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ჩამოვა, 6 თვე აქ იცხოვრებს, მერე წავა, მერე ისევ ჩამოვა და ჩვენს სამართალდამცავებს არ ექნებათ შესაძლებლობა, შეისწავლონ მისი წარსული და კონტაქტები.

**— პრაიმერიზი რამდენად წაადგება ნაცმოძრაობას?**

— ნაცმოძრაობას 9 წლის განმავლობაში პრაიმერი კი არა, არანაირი დემოკრატია არ გახსენებია. ერთი ადამიანი წყვეტდა, ვინ უნდა ყოფილიყო მინისტრი, პრემიერი, დეპუტატი და საპარლამენტო სიასაც თვითონ ადგენდა. პრაიმერიზი დღეს გაახსენდათ იმიტომ, რომ ამ კუთხითაც პიარაქციას ატარებენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბაქრაძეს ისეთი ადამიანები დაუყენეს გვერდით, რეგიონებში ვინმეს რომ არ შეეშალოს და შემთხვევით ხმა სხვას არ მისცეს. ესეც კი გათვალეს. ეს უბრალოდ პიარისთვისაა, რომ შემდეგ საქართველოშიც და უცხოეთშიც იარონ და თქვან, ჩვენ ერთადერთი პარტია ვართ, რომელიც კანდიდატებსაც კი პრაიმერიზით არჩევსო.

**„დავით ბაქრაძეს სხვა პარტია რომ ჩამოეყალიბებინა, მეტი შანსი ექნებოდა, პოლიტიკაში დარჩენილიყო ფიგურად, რომელიც კონკურენციას გაუწევდა „ოცნებას", მაგრამ ალბათ თვითონაც აქვს ანგარიში ვილაცისთვის გასაწევი და უარი ვერ უთხრა".**

**— როგორ ფიქრობთ, აქვს რაიმე შანსი ბაქრაძეს?**

— არანაირი. ვფიქრობდი, რომ უფრო შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო, ნაცმოძრაობას ჩამოშორდებოდა და საკუთარი პარტიის მშენებლობაზე იფიქრებდა, ვინადან ის ბოლომდე არ იყო ასოცირებული ამ დანაშაულებრივ მმართველობასთან. შეეძლო, ამ საშინელი კადრების მერე გვერდზე გაწეულიყო და არ ჩაჰყოლოდა ნაცმოძრაობას პოლიტიკურ უფსკრულში. შემდგომში გაუჭირდება თავისმართლება. თუ მანამდე არ იცოდა, ახლა ხომ გაიგო და მერე როგორ უნდა ახსნას, რომ მაინც დარჩა იმ გუნდის პრეზიდენტობის კანდიდატად? უფრო მეტიც, ბაქრაძე პირადად იღებს იმ პასუხისმგებლობას, რაც ხდებოდა საქართველოში, რაც მისთვის არასასარგებლოა. მას სხვა პარტია რომ ჩამოეყალიბებინა, მეტი შანსი ექნებოდა, პოლიტიკაში დარჩენილიყო ფიგურად, რომელიც კონკურენციას გაუწევდა „ოცნებას". ალბათ თვითონაც აქვს ანგარიში ვილაცისთვის გასაწევი და უარი ვერ უთხრა.

რაც შეეხება იმას, გაუწევს თუ არა მარგველაშვილს კონკურენციას, ნაცმოძრაობა იმდენად გაკოტრებულია, რომ ვერანაირ კონკურენციას ვერ გაუწევს. მათი მთავარი მიზანია, რამენაირად მეორე ადგილზე გავიდნენ, თუნდაც 5-8 პროცენტით, რომ შემდეგ მოიარონ მთელი მსოფლიო,ჩვენ ნამდვილად მეორე ძალა ვართო. აი, მერე ნახეთ კოაბიტაციის მოთხოვნა დასავლეთის მხრიდან. მაგრამ მოახერხებენ თუ არა მეორე ადგილის დაფიქსირებას, ეს დამოკიდებულია არასაპარლმენტო კანდიდატებზე.

**— სადაც დღითიდღე იზრდება კანდიდატთა რიცხვი.**

— ასე თუ გაგრძელდება, არასაპარლამენტო კანდიდატები ერთმანეთს ხმებს წაართმევენ და ეს 40 პროცენტი გადაიქცევა 5, 2, 3 პროცენტებად, ანუ დაიქსაქსება ის ხმები, რომლებიც არ არიან ნაცების მხარდამჭერები, მაგრამ ფიქრობენ, რომელს დაუჭირონ მხარი. არასაპარლამენტო ოპოზიციამ უნდა გააანალიზოს ეს ყველაფერი, რადგან ეს ეხება როგორც ქვეყნის განვითარებას, ასევე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თემას. როგორმე უნდა გამოკვეთონ კანდიდატების რეიტინგები და გაერთიანდნენ იმის გარშემო, ვინც იქნება პირველი. ასეთ პირობებში შესაძლებელია მეორე ტურიც კი გაიმართოს.

**— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ იქნებაო, ივანიშვილმა თქვა.**

— მაინც მოუწევთ ამის გაკეთება, იმის მიუხედავად, ხელისუფლებიდან ვინ უჭერს მხარს და ვინ — არა. აქაც არის ერთი მომენტი — თუ მეორე ადგილი დააფიქსირა ნაცმოძრაობამ, მაშინ შეიძლება გადაიწიოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების თარიღმა, მაგრამ აუცილებლად ჩატარდება. ნახავთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დღევანდელი ხელისუფლება პოლიტიკურ ჩიხში შევა. ხომ ხედავთ, რომ რეალურად ყველაფერი მიდის ვაჭრობაზე და ამას ხალხი დიდხანს ვერ მოითმენს.

**— ნაციონალების შემცვლელს ივანიშვილი კოალიციის შიდა პარტიებში ხედავს.**

— ხელოვნური ოპოზიცია პროცესებს დიდხანს ვერ მიჰყვება. შიდა კოალიციაში ალბათ მუშაობენ პარტიები, რომ დაიჭირონ ოპოზიციის ნიშა, როცა კოალიცია დაიშლება.

**— რესპუბლიკელებსა და „თავისუფალ დემოკრატებზე" კეთდება მინიშნება.**

— რესპუბლიკელები არა მგონია, რადგან ისინი დღეს არიან ქვეყნის მართვის ბერკეტებთან და წასვლის შემთხვევაშიც იქ დარჩებიან. აქ ალბათ უნდა ვივარაუდოთ ისინი, ვინც არიან კოალიციაში, მაგრამ არ აქვთ სახელისუფლებო ბერკეტები. ეს შეიძლება იყოს ალასანიას პარტიის ნაწილი, რომელსაც გაემიჯნებიან ხელისუფლებაში მყოფნი და მათ ალბათ შეავსებს დავითაშვილის, გაჩეჩილაძის და ჟორჟოლიანის გუნდი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ამავდროულად ხალხიც ითხოვს დანაპირების შესრულებას, რაც ჯერჯერობით არ ჩანს. ძირითადად ეს არის სოციალური პრობლემები და სამართლიანობის აღდგენა, ბიზნესმენები ელოდებიან წართმეული ქონების დაბრუნებას; ადამიანები, რომლებიც ციხეში ამყოფეს, მინიმუმი, ბოდიშს და კომპენსაციას ელოდებიან.


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.





Cyan Magenta Yellow Black

# დავით ზურაბიშვილი: „პედაგოგთა სერთიფიცირების წესი გართულდება!“

განათლების სამინისტრო შემოდგომისთვის უმაღლესი განათლების შესახებ კანონში გრანდიოზულ ცვლილებებს გეგმავს. მინისტრის მოადგილე ჯერ არ აკონკრეტებს, რას მოიცავს ის, მაგრამ ახალ ვნებათაღელვას არ გამორიცხავს. რატომ მოინდომა სამინისტრომ, რომ უნივერსიტეტის რექტორს პრემიერი ნიშნავდეს, რა ელოდება უკვე სერთიფიცირებულ მასწავლებლებს და სჭირდება თუ არა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პრემიერი საქართველოს, ამ კითხვებზე „სარკეს“ განათლების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილი უპასუხებს. საუბარი ყველაზე ცხელი თემით, ივანიშვილი-ბაქრაძის შეხვედრით დავიწყეთ.



— **ბატონო დავით, როგორ გგონიათ, რას შეცვლის ივანიშვილი-ბაქრაძის შეხვედრა უმრავლესობა-უმცირესობის პოლიტიკურ ცხოვრებაში?**

— ამ შეხვედრასთან დაკავშირებით იმაზე მეტს ვერაფერს ვიტყვი, რაც თვითონ ბაქრაძემ თქვა. მე აღმასრულებელ ხელისუფლებაში ვარ.

— **მაგრამ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყოფნას თქვენთვის ხელი სულაც არ შეუშლია, რომ კრიტიკული ყოფილიყავით თქვენი გუნდის აღმასრულებლების მიმართ, როცა მერიის თანამშრომლები დააკავეს.**

— მე კიარა, ყველამ თქვა და ეს სწორიც არის. ახლაც ვფიქრობ, რომ პროცედურული ნორმების დარღვევები არის არანაკლები დანაშაული, ვიდრე ის, რა ფაქტზეა ესა თუ ის პიროვნება დაკავებული. ჩვენი უპირატესობა წინა ხელისუფლებასთან იმით უნდა გამოიკვეთოს, რომ არ ვარღვევთ პროცედურულ ნორმებს. სულ მომყავს სულხან მოლაშვილის მაგალითი. საუბარი იყო კორუფციაზე და ბოლოს ბოდიში გახდა მოსახდელი იმიტომ, რომ უამრავი ნორმა დაირღვა.

— **სამართალდამცავ სისტემებში რომ სერიოზული პრობლემებია, ყველა ხედავს და აღიარებს, მათ შორის — პრემიერმინისტრიც. რატომ ვერ ხერხდება მისი გადახალისება?**

— დრო, დრო სჭირდება! ასე უცებ ვერ მოხდება.

— **თქვენი აზრით, უნდა იყოს თუ არა პრემიერი, პრეზიდენტი, მინისტრი ორმაგი მოქალაქეობის მქონე?**

— ჩემთვის ამას არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა, ორივე შეიძლება.

— **ექსპერტები ფიქრობენ, რომ ამაში გარკვეული რისკებია.**

— და რა რისკები? აქ პრინციპზეა საუბარი და არა — კონკრეტულ ადამიანზე. მე პარლამენტის წევრი არ ვარ და ჩემი უშუალო საქმე არ არის. ამიტომ ამაზე არ ვფიქრობ.

— **როგორ გითხრათ და, „ფეისბუქზე“ თქვენი სტატუსები აშკარად სცდება თქვენს სამსახურებრივ კომპეტენციას. განათლების სამინისტროზე გადავიდეთ. ამ დღეებში უნივერსიტეტის რეფორმასთან დაკავშირებით იყო შეხვედრები პროფესორებთან უნივერსიტეტში, ხოლო ის ჩანაწერი, რომ უნივერსიტეტის მოვალეობის შემსრულებლის პრემიერი ნიშნავს, ისევ რჩება აქტუალურ საკითხად.**

— ეს არ არის ისეთი პრინციპული საკითხი, რომ ის ცვლილებები, რაც წარდგენილი გვაქვს, ამის გამო საფრთხის ქვეშ დავაყენოთ. თუ არ უნდათ, საერთოდ ამოიღონ ეს პუნქტი. ამით არაფერი გაფუჭდება. როგორც გადაწყვეტს პარლამენტი, ისე იქნება. იქ ბევრი სხვა საკითხი უფრო მნიშვნელოვანია.

— **ავტონომიურობაზე მეტად მნიშვნელოვანი? ასეთი რა არის?**

— ავტონომიურობას არავინ ეხება. იქ ასევე არის ის, რომ პრორექტორი და რექტორი აუცილებლად უნდა იყოს აკადემიური ხარისხის მქონე. ასევე ჩვენთან არის სერიოზული სხვაობა ხელფასებში. ადმინისტრაციის თანამშრომელს, რომელსაც არანაირი განსაკუთრებული თანამდებობა არ უკავია, აქვს 5-ჯერ მეტი ხელფასი, ვიდრე ლექტორს, პროფესორს. შეიძლება ვიღაცისთვის ეს დიდი ჩარევაა სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ ამ ეტაპზე აუცილებელია, რომ რაღაც სტრუქტურა ჩამოყალიბდეს. იგივე შეიძლება ითქვას დეკანის თანამდებობაზეც, აკადემიური ხარისხი აქაც აუცილებელია, ანუ ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ პროფესორის როლი იყოს წინ წამოწეული და დაფასებული.

**„დამიჯერეთ, კოალიციის შიგნით არავის აქვს ოპოზიციური განწყობა, არც რესპუბლიკელებს, არც „თავისუფალ დემოკრატებს", არც „კონსერვატორებს" და, ბუნებრივია, არც თვითონ „ოცნებას"... მაგრამ მარადიულად ერთად რომ არ ვიქნებით, ესეც ხომ იცით?".**

— **ვიცით და თქვენი მხრიდანაც გაცხადდა, რომ ეს მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტებს ეხება. კერძო უნივერსიტეტის ხელმძღვანელები შიშობენ, რომ ეს ირიბად მათზედაც იქონიებს გავლენას, რასაც კერძო ბიზნესში ჩარევად მიიჩნევენ.**

— ჩვენ არ ვაპირებთ და ვის რა ელანდება, ვერ გეტყვით. ეს ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ ჩვენი გვეყოფა — შემოდგომისთვის ვამზადებთ ცვლილებების ძალიან დიდ პაკეტს უმაღლესი განათლების კანონში შესატანად, ჯგუფია შექმნილი, რომელშიც შედიან ექსპერტებიც და მიმდინარეობს დისკუსიები არამარტო თბილისის უმაღლეს სასწავლებლებთან, არამედ რეგიონებშიც. ხდება ჩვენი წინადადების წარდგენები, განხილვები, როგორი უნდა იყოს სტრუქტურები, როგორ აირჩიონ რექტორი, გამოცდის ჩატარების წესი როგორი იყოს... ეს ისეთ ზოგად საფუძველს შექმნის, როგორიც ევროპის უმაღლესებისთვის იქნება საკადრისი. მასში ავტონომიაც არის გათვალისწინებული.

— **მასწავლებლების სერთიფიცირების წესსაც ხომ არ ცვლით?**

— სერთიფიცირება ჩაითვლება პირველ საფეხურად, რომ მასწავლებელს გარკვეული კატეგორია მიენიჭოს, ანუ რომ მიენიჭება სერთიფიკატი, არ ნიშნავს, ჩააბარა და მორჩა. პედაგოგის ასეთი სისტემით შეფასება არ არის სწორი. აუცილებლად უნდა იყოს პრაქტიკაც. უნდა შემოწმდეს, როგორ უძღვება გაკვეთილს. შეიძლება აქ ყველაფერი კარგად დაწეროს, მაგრამ მერე შევიდეს კლასში და თავზე დაამხონ ყველაფერი.

— **ანუ წესი კი არ იცვლება და მარტივდება, როგორც ამას ელოდნენ, რთულდება კიდეც?**

— რა თქმა უნდა, გართულდება. სასკოლო რეფორმის პირობებში სწორედ მასწავლებლის სერთიფიცირების, გადამზადების, მომზადების საკითხია ყველაზე მთავარი. რა მმართველობის ფორმაც უნდა შემოიტანო, ამის გარეშე არაფერი გამოვა. სადაც კი მსგავსი რეფორმა განხორციელდა, მასწავლებლის მომზადება ყველგან ცენტრალური იყო. ამას კიდევ ბევრი სხვა რამე მოჰყვება, ეს პროცესიამით არ დასრულდება.

— **ივანიშვილის პრესკონფერენციის მერე დაიწყო მინიშნებების კითხვა, ვინ გადავა ოპოზიციაში — რესპუბლიკელები თუ „თავისუფალი დემოკრატები“. თქვენ რას ვარაუდობთ?**

— ივანიშვილის ნათქვამს ყველა ისე იგებს, როგორც უნდათ, არადა თქვა, როცა კონკურენტი არ არის გარეთ, შიგნით ჩნდებაო. ბუნების კანონია ასეთი, ერთი პარტიაც რომ იყოს, შიგნით ჩნდება ოპოზიცია. ის კი არ უთქვამს, სასურველია, რომ ასე იყოსო. თეორიულად ასეა, მაგრამ პრაქტიკულად ის არ აპირებს, ვიღაცას ოპოზიციონერი დაარქვას. დამიჯერეთ, კოალიციის შიგნით არავის აქვს ოპოზიციური განწყობა, არც რესპუბლიკელებს, არც „თავისუფალ დემოკრატებს“, არც „კონსერვატორებს“ და, ბუნებრივია, არც თვითონ „ოცნებას“. ოპოზიციაში წასვლას არავინ ფიქრობს, რადგან აღებული გვაქვს დაპირებები და ის უნდა შევასრულოთ, მაგრამ მარადიულად ერთად რომ არ ვიქნებით, ესეც ხომ იცით?

— **საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ექსპერტები ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს აუცილებლობად მიიჩნევენ.**

— ამ ეტაპზე ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ვერც იმას ვამჩნევ, რომ რომელიმე ოპოზიციურ ძალას სერიოზული პრეტენზიები ჰქონდეს და არ იყოს პარლამენტში წარმოდგენილი. ამას არც ერთი კვლევა აჩვენებს, თუ არ ჩავთვლით, ნახევარპროცენტიანი და ორკაციანი პარტიის ლიდერების ამბიციურ განცხადებებს, რომ ისინი არიან, რაც არიან. სინამდვილეში ასე არ არის. ერთადერთი განწყობა ის არის, რომ ნაციონალები არიან იმაზე მეტნი, ვიდრე უნდა იყვნენ. კარგად რომ გადახედოთ, ისინიც საკმაოდ დაპატარავდნენ. ჩვენი პარლამენტი, კანონით, 4 წელიწადში ერთხელ ირჩევა და ჩვენც 4 წელიწადში უნდა გავაკეთოთ ეს არჩევანი და არა, როცა მოგვეხასიათება. თუ ისეთი სიტუაცია შეიქმნება, რომ ძალიან დაშორდება რეალურ ბალანსს, მაშინ შეიძლება დაფიქრება, მაგრამ არა მგონია, საჭირო გახდეს.

— **ნაცებმა პრაიმერიზის მეორე ეტაპი ჩაატარეს, უშველით?**

— არა მგონია, რომ მათი კანდიდატი მარგველაშვილისთვის სერიოზული კონკურენტი იყოს. რაც უნდათ, ის ქნან — გინდა, პრაიმერი ჩაატარონ და გინდა — სხვა რამე.

— **ვის მიიჩნევთ მარგველაშვილის კონკურენტად?**

— არ მგონია, რომ არჩევნებზე იყოს ვინმე კანდიდატი, ვინც პრეზიდენტობაში შეეცილება გიორგი მარგველაშვილს. უფრო იქნება ბრძოლა მეორე ადგილისთვის.

— **თქვენი ვარაუდით, ვის ერგება მეორე ადგილი?**

— ვნახავთ. არ ვვარაუდობ, ის კი ნამდვილად ვიცი, პირველზე ვინ გავა.

— **მარგველაშვილის გაპრეზიდენტების მერე მის სკამზე ხომ არ ფიქრობთ გადაჯდომას?**

— ეს ჩემი კი არა, პრემიერმინისტრის და მთავრობის კაბინეტის გადასაწყვეტია. დარწმუნებული ვარ, ვინც უნდა იყოს, იმ კურსის გამგრძელებელი იქნება, რაც დაწყებულია.

— **ამ კითხვის დასმა დიდი ხანია მინდა, მაგრამ რატომღაც არ მომეცა საშუალება. მითხრეს, რომ თურმე სულ არ აპირებდით მინისტრის მოადგილეობას, მაგრამ პარტიის სიაში თქვენი ჩაწერა დაავიწყდათ და ამიტომ აღმოჩნდით მოადგილის სავარძელში.**

— არა, ამხელა კაცი როგორ დავავიწყდებოდი?! თვითონ არ მინდოდა დეპუტატობა, ეს უფრო მაინტერესებდა. დეპუტატი უკვე ვიყავი.

— **რატომღაც ასე ვიცოდი, რომ „ჰალსტუხიანი“ თანამდებობები არ გიზიდავდათ.**

— მაგრამ არის მომენტები, როცა პასუხისმგებლობა უნდა იტვირთო. აქ თანამდებობის სიყვარულზე არ არის საქმე.

— **სანამ აქ მოხვდებოდით, უკვე იცოდით, რა უნდა გაკეთებინათ ამ თანამდებობაზე?**

— სხვა რამეც შემეძლო, მაგრამ ეს ის სფეროა, სადაც გამოცდილება მქონდა ისევ პარლამენტიდან.

— **მაშინ წარმატებებს გისურვებთ და იმედია, წლების მერე თქვენზეც არ იტყვიან, განათლება დააქციაო.**

— იმედია, არ იტყვიან.





Cyan Magenta Yellow Black

# გიორგი ვაშაძე: „დავით ბაქრაძეს ჩვენს პარტიაში სერიოზული კონკურენტები ჰყავს“

ნაციონალურმა მოძრაობამ პრაიმერიზის მეორე ტური გორში ჩაატარა, მანამდე კი — ქუთაისში. ორივეგან შიდაპარტიულ არჩევნებში დავით ბაქრაძე ლიდერობს, მეორე ადგილზე ზურაბ ჯაფარიძეა, მესამე-მეოთხეს კი ბარამიძე და მალაშხია იყოფენ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ვაშაძე, ირწმუნება, რომ შიდა კონკურენცია გამწვავდა და უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე უალტერნატივო აღარ არის, თუმცა, შედეგებიდან გამომდინარე, დაჯერება ჭირს. გორის შემდეგ ტურები ბათუმში, თელავში, თბილისსა და ზუგდიდში ჩატარდება. დიდი ალბათობით, „ოცნების“ კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის კონკურენტი სწორედ ბაქრაძე იქნება, როგორც ეს რამდენიმე თვის წინ იყო ნავარაუდევი.

**— ბატონო გიორგი, რამდენად აუცილებელი იყო ამ პრაიმერიზის ჩატარება, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ დავით ბაქრაძე თვალნათელი უპირატესობით სარგებლობს სხვა კანდიდატებს შორის?**

— მე ასე ვიტყოდი, პრაიმერმა ცალსახად აჩვენა, რომ ზურაბ ჯაფარიძეს ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა. ამის გარდა, რაც მთავარია, ეს არის შიდაპარტიული დემოკრატია. ვინც ფიქრობს, რომ მას უფრო კარგად შეუძლია ქვეყნის მართვა, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ამ შერჩევის პროცესში მონაწილეობა მიიღოს.

**— რატომღაც გიორგი ბარამიძე არსად ჩანს, არ აქტიურობს.**

— არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ შოთა მალაშხია, ზურაბ ჯაფარიძე აქტიურობენ. გიორგი ბარამიძემაც რაღაცეები გააკეთა. წინასწარი შეხვედრები ჰქონდა ამომრჩევლებთან, ყველა მუშაობს.

**— მალაშხიას კანდიდატურა თვითონ მალაშხიასგან თუ ჯგუფისგან მოდიოდა?**

— ჯგუფისგან.

**— მისი კანდიდატურა მოულოდნელი და გაუგებარი რჩება დღემდე.**

— ეს პროცესი ამიტომაც არის საინტერესო. ვლინდება, ვის რა შესაძლებლობები აქვს.

**— მიუხედავად იმისა, რომ ბაქრაძემ ბოლო დროს კარგად აკრიფა რეიტინგი, როგორც პიროვნებამ, ექსპერტების აზრით, გამარჯვების შანსი მაინც არ აქვს და რეალურად მეორე ადგილისთვის იბრძვით.**

— რაზე დაყრდნობით ვარაუდობენ ამას?

**— საზოგადოების განწყობაზე.**

— ეს ზედაპირული საუბრები ე.წ. ექსპერტებს ხშირად სჩვევიათ საქართველოში. სჯობს, კვლევები ამოიღონ, სადაც ძალიან კარგად ჩანს, რომ მარგველაშვილს აქვს მხოლოდ 41 პროცენტი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მარგველაშვილი არ არის კანდიდატურა, რომელიც საქართველს პრეზიდენტი უნდა იყოს. მარგველაშვილი არის ივანიშვილის მიერ დასმული კანდიდატურა. ხალხი ბრძენია და შესაბამისად გადაწყვეტს, უნდა თუ არა მართული, პოლიტიკაში გამოუცდელი, საერთაშორისო კონტაქტების არმქონე პრეზიდენტი, რომელმაც შეიძლება სერიოზული პრობლემა და საფრთხე შეუქმნას ქვეყანას განვითარებაში. გადაწყვეტილება ხალხზეა და მოვლენებს ნუ დავასწრებთ.

**— მარგველაშვილის 41 პროცენტი კი ახსენეთ, მაგრამ მის გვერდით ნაციონალების 11 პროცენტიც არ დაივიწყოთ.**

— 11 პროცენტი აქვს უსახელო კანდიდატს, მაშინ ესეც გაიხსენეთ. უსახელო კანდიდატის 11 პროცენტი ეს მხოლოდ დასაწყისია. აი, სახელი რომ დაერქმევა კანდიდატს, მერე მას რამდენი პროცენტი ექნება, ვნახავთ.

**— ბატონო გიორგი, მაშინ არც ის დავივიწყოთ, ეს კანდიდატი ვისი პარტიის მიერ იქნება დასახელებული. მას მუდმივად გაახსენებენ 9 წლიან ნაციონალურ მმართველობას.**

— ამას წინათ ერთი მეუბნებოდა, ამ 9 თვემ ის 9 წელი დამავიწყაო. კარგად ჩანს ახალი ხელისუფლების უგუნური პოლიტიკა. სახეზეა ეკონომიკური სტაგნაცია, უმუშევრობის ზრდა, რასაც მოჰყვება ეკონომიკური კოლაფსი... თუ ასე გაგრძელდა ყველაფერი, სერიოზული საფრთხის წინაშე დავდგებით. ფაქტია, დღეს ხელისუფლებაში არის ძალა, რომელმაც არ იცის, როგორ მართოს ქვეყანა და არ აქვს ხედვა. და მეორე, ახალი პრეზიდენტი არ ნიშნავს ხელისუფლების შეცვლას. მთავრობას აკომპლექტებს პარლამენტი და ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, გვინდა თუ არა ჩვენ იმ ძალის, რომელმაც ამ 9 თვის განმავლობაში არაერთი უკანონობა ჩაიდინა, გამაწონასწორებელი და გამკონტროლებელი პრეზიდენტი, რომელიც იქნება ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი. აი, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

**— გგონიათ, რომ ხალხი მართლა დაივიწყებს, რაც იყო იმას ან რამდენად შესწევს ნაცმოძრაობას უნარი, წარსული დაავიწყოს ხალხს? თქვენ, რომელსაც ამ პარტიის მომავალ გენერალურ მდივნად მოგიაზრებენ, ამის პოტენციალს ხედავთ?**

— ჩემს კანდიდატურასთან დაკავშირებით საუბრები შიგნით არ მიმდინარეობს, მაგრამ სერიოზული საუბარი ნამდვილად არის პარტიის რეორგანიზაციაზე. პირდაპირ გეტყვით, რომ ჩემი მოსაზრებაა, არავინ უნდა ნიშნავდეს გენერალურ მდივანს და არც პარტიის თავმჯდომარეს, ისინი უნდა ირჩეოდნენ ყრილობაზე და იქაც უნდა იყოს კონკურენცია. ვფიქრობ, ნაცმოძრაობა უნდა გახდეს მართლა მოძრაობა

> **„თუ არ ჩამოვყალიბდებით შიდა დემოკრატიულ სისტემად, მაშინ პირდაპირ გეტყვით, რომ ნაცმოძრაობას მომავალი არ ექნება, რადგან ერთპიროვნული პარტიების დრო დამთავრდა. უკვე კარგად ჩანს, რომ ერთ პიროვნებაზე ჩამოკიდებული „ქართული ოცნება“ ხალხში შფოთს იწვევს — ბიძინა ივანიშვილი რომ წავა, მერე რა მოხდება“.**

და პლატფორმა სხვადასხვა ჯგუფებისთვის, რომ მათაც შეძლონ, ნაცმოძრაობის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში. რა თქმა უნდა, თუ იზიარებენ იმ ღირებულებებს, რაც არის ფუნდამენტური ჩვენი მოძრაობისთვის. დანარჩენს რაც შეეხება, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს პროცესები. პირველი ნაბიჯი არის პრაიმერიზი და, დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ იქნება ძალიან ბევრი სხვა ცვლილება, რომელსაც ჩვენ აჩევნებამდე განვახორციელებთ.

**— თუ არჩევნებამდე პარტიაში ხალხი დაგრჩებათ. თითქმის ყოველდღიურად კარგავთ მათ.**

— თქვენც კარგად იცით, ვისაც ვკარგავთ. ბოლოს ვინ დავკარგეთ?

**— დავით წერეთელი, მანამდე — კოკი იონათამიშვილი...**

— მთავარია, რომ ხალხს ჩვენ არ ვკარგავთ, გვაკარგინებენ, ისეთი თავდასხმები და ზეწოლებია. მესმის ამ ადამიანების, ვერ უძლებენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, პროკურატურაში სიარულს და იმ უკანონობებს, რაც ნამდვილად არის ჩვენთან მიმართებაში. რაც შეეხება იმას, დარჩება თუ არა ხალხი, თუ ჩვენ კარგ რეორგანიზაციას გავაკეთებთ, დარჩება კი არა, მეტი გახდება. თუ არ ჩამოვყალიბდებით შიდა დემოკრატიულ სისტემად, მაშინ პირდაპირ გეტყვით, რომ ნაცმოძრაობას მომავალი არ აქვს, რადგან ერთპიროვნული პარტიების დრო დამთავრდა. უკვე კარგად ჩანს, რომ ერთპიროვნული კოალიცია ერთ პიროვნებაზე ჩამოკიდებული „ქართული ოცნება“ ხალხში შფოთს იწვევს — ბიძინა ივანიშვილი რომ



> **„არ ვიცი, ვისთვის იყო მნიშვნელოვანი, ჩემთვის კი აბსოლუტურად სისულელე იყო ამ თემაზე კამათი. ყოფილიყო თავიდანვე 27“.**

წავა, მერე რა მოხდება.

**— თქვენ საუბრობთ რეფორმაზე, განახლებაზე, თქვენი ოპონენტები კი — ნაცმოძრაობის ლიკვიდაციაზე.**

— ასეთ რადიკალურ ჯგუფებს არც ვუსმენ. სამწუხაროდ, დებატებზე ვსხედვართ და კრიტიკულ შეფასებებს ვისმენთ ადამიანები, რომლებიც ამაში მონაწილეობას არ ვიღებდით და ვინც ამაში მონაწილეობდნენ, ხელისუფლებასთან გარიგებაში არიან და საპროცესოებს უფორმებენ. აი, ეს არის მორალი ხელისუფლების. მისთვის მთავარია პოლიტიკური ქულები და ის, ვინ ჩაიდინა დანაშაული, დიდად არ აინტერესებთ, დაწყებული ბედუკაძიდან, გაგრძელებული სხვებით.

**— მაგრამ საუბარი თქვენი პარტიის, ნაციონალების მიერ ჩადენილ სისტემურ დანაშაულზეა.**

— იყო თუ არა ეს სისტემური დანაშაული, ესეც გასარკვევია და ისევ ხელისუფლებას არ აწყობს, რომ დროულად დაუსვას წერტილი ამ გამოძიებას. თუ სისტემურია, კი ბატონო, მიიტანონ მტკიცებულებები სასამართლოში, რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ეს იქნება პრეზიდენტი, შს მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, მე თუ სხვა, უნდა აგოს სრული სიმკაცრით პასუხი და არა — ისე, რომ ბასტი და ბუბუ 6 თვეში გამოუშვეს და ბედუკაძე საერთოდ გაათავისუფლეს, ნასამართლეობაც კი არ ექნება.

**— ისე, რატომ გახდა თქვენი ლიდერისთვის ეს საპრეზიდენტო 4 დღე ასე მნიშვნელოვანი?**

— არ ვიცი, ვისთვის იყო მნიშვნელოვანი, ჩემთვის კი აბსოლუტურად სისულელე იყო ამ თემაზე კამათი. ყოფილიყო თავიდანვე 27!

**— ნაცების შემცვლელს ივანიშვილი კოალიციის შიგნით ხედავს სამომავლოდ.**

— მართული ოპოზიცია ოპოზიცია არ არის. ნაცმოძრაობის შეცდომაც ეს იყო. ისე კი, სურვილები ერთია და რეალობა — მეორე.

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა**
**მანანა გეგიამ**


**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივითერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლაოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები: სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. **ქ-ნი ქეთევანი.**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**




Cyan Magenta Yellow Black

# თამაზ ელიზბარაშვილი: „ჩემს შვილს კაცის მოკვლას ვერ ვპატიობ“



თამაზ ელიზბარაშვილი საზაგადოებისთვის ცნობილია, როგორც ბიზნესმენი, რომელიც თავის დროზე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი საქმით — სიგარეტის იმპორტით იყო დაკავებული და ამ ბიზნესმა, რომლის გარშემოც ყოველთვის იკვეთებოდა ჩრდილოვანი ინტერესები, ის და მისი ოჯახი კინალამ შეიწირა კიდეც. ბიზესმენი ჯერ შევარდნაძის ხელისუფლებამ დააპატიმრა, მერე — სააკაშვილისამ. მისი მოკვლაც სცადეს. ერთი პერიოდი საქართველოდან გაქცეულიც იყო... გისოსებმილმა საკუთარი თვალით აქვს ნანახი ის საშინელებები, რისი კადრებიც შემდეგ ქართველმა საზოგადოებამ ტელეეკრანებიდან იხილა. ციხის სკანდალური ფირების გავრცელების შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებამ ელიზბარაშვილი ამ კადრების გადაღებისა და გავრცელების ერთ-ერთ შემკვეთად დაასახელა, რადგან სწორედ მისი მეგობარია ლადო ბედუკაძე, ვინც ჯალათები სააშკარაოზე გამოიყვანა.

თამაზ ელიზბარაშვილი პირველად 1997 წელს დააპატიმრეს, მეორედ — 2010 წელს. ბოლო დაკავებისას მისი პატიმარი შვილის, გურამის საბუთების გაყალბება დასდეს ბრალად, კერძოდ ის, რომ საჭირო საბუთის მისაღებად თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოს დირექტორს 20.000 ლარი გადაუხადა.

გურამ ელიზბარაშვილი მკვლელობისთვის იხდიდა სასჯელს. 2001 წელს ცეცხლსასროლი იარაღით 18 წლის ბიჭი მოკლა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, 21 წლიანი სასჯელი უნდა მოეხადა. მას ბავშვობიდან ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა და ამის დამამტკიცებელი ყველა საბუთი არსებობდა, მაგრამ, მამამისის თქმით, გურამის პატიმრობას ხელისუფლება მის დასაშანტაჟებლად იყენებდა. გურამ ელიზბარაშვილმა საპყრობილე ახლახან, 2013 წლის 5 ივნისს დატოვა. მამის, თამაზ ელიზბარაშვილის საქმე კი სასამართლო პროცესის ეტაპზეა და ჯერ კიდევ გაურკვეველია.

— **ბატონო თამაზ, თქვენი ავბედითი ისტორია შევარდნაძის დროიდან იწყება. პირველად როდის და რატომ მოხვდით ციხეში?**

— შევარდნაძის რეჟიმის დროს საქართველოში სიგარეტის იმპორტი კანონის გვერდის ავლით ხდებოდა. პარლამენტს შევთავაზე კანონპროექტი, რომ ამ ბიზნესის ლეგალიზაცია მომხდარიყო, რაც აჭარის მთავრობის მაშინდელ მეთაურს, ასლან აბაშიძეს და შს მაშინდელ მინისტრს, კახა თარგამაძეს არ მოეწონათ, პროვოკაცია მომიწყვეს და 1997 წელს დამაპატიმრეს.

— **რის საფუძველზე დაგაპატიმრეს?**

— ბრალი მედებოდა ბანდიტური ორგანიზაციის შექმნასა და მის მეთაურობაში. იმ პერიოდში აეროპორტის ტრასაზე დააყაჩაღეს მანქანა, რომელსაც კონტრაბანდული სიგარეტის რეალიზაციით მიღებული 1.300.000 დოლარი გადაჰქონდა. 6 ნიღბიანი პიროვნება დაესხა თავს. პოლიციის მაშინდელმა მაღალჩინოსნებმა თქვეს, ერთი ნიღბიანი ელიზბარაშვილს მივამსგავსეთო. ორთაჭალის ციხეში მე-12 საკანში ვიჯექი, ჯაბა იოსელიანი — მე-13-ში. ჩვენი საკნები მიწის ქვემოთ, მესამე სართულზე იყო.

ოთხივე კედელზე წყალი ჩამოდიოდა და კოჭებამდე წყალში ვიდექი. სამი თვის შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან გამირთულდა და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადამიყვანეს. იქიდან თავდებით გამოვედი.

მაშინ ნინო ბურჯანაძე და ელენე თევდორაძე „მოქალაქეთა კავშირის“ წევრები იყვნენ და პარლამენტში ჩემზე განაცხადი გააკეთეს. ამ პარტიის ახალგაზრდულ ფრთასთან, მიშა მაჭავარიანთან და გიორგი ბარამიძესთან მქონდა ურთიერთობა. მაშინ ეს ბიჭები სახელმწიფოებრივად აზროვნებდნენ, სააკაშვილის რეჟიმის დროს კი გაფუჭდნენ. ამ ხალხმა მხარი დამიჭირა, კახა თარგამაძეს დაუპირისპირდნენ და ციხიდან თავდებით გამათავისუფლეს, ოღონდ ერთი პირობით, საქართველოში ბიზნესის კეთება ამეკრძალა.

— **თუმცა თქვენი ბიზნესი მაინც განაგრძეთ.**

— ისევ სიგარეტის ბიზნესში დავიწყე მუშაობა, ოღონდ კონტრაქტი უკვე სხვა კომპანიასთან გავაგრძელე და ჩემზე თავდასხმაც მოხდა, ეს იყო 1998 წელს. დამირეკეს და ღამის 3-ის ნახევარზე საგადასახადო სამსახურში მიმიყვანეს. შესასვლელთან დამჭრეს, ტყვია ნიკაპში რომ შევიდა, ყურიდან გამოვიდა, სიკვდილს სასწაულად გადავურჩი. ამ საქმესთან დაკავშირებით საქმე არც დაძრულა. 1999 წელს ჩემს დაპატიმრებაზე სანქცია ისევ გაიცა. მაშინ მივხვდი, რომ ციხეში თუ მოვხვდებოდი, შეიძლებოდა, ჩემი ლიკვიდაციაც მოეხდინათ. ამიტომ საქართველოდან წავედი. ჩემს მეგობრებთან ჩეჩნეთში ერთი წელი გავატარე. შს მინისტრად კობა ნარჩემაშვილი რომ დაინიშნა, საქართველოში დაბრუნების საშუალებაც მომეცა, ძებნა მომეხსნა. მაშინ უკვე თავისუფლად განვაგრძე ბიზნესის კეთება, 2010 წლის აგვისტომდე ვმუშაობდი.

— **თქვენი შვილი, გურამ ელიზბარაშვილი, სწორედ კობა ნარჩემაშვილის მინისტრობის პერიოდში დააკავეს.**

— ჩემი შვილი კი არ დააკავეს, ჩემი ხელით ჩავაბარე პოლიციას. ამ თემაზე საუბარს ყოველთვის ვერიდებოდი... 14 წლის გურამი თამაშისას მეორე სართულიდან გადმოხტა, თავის ძლიერი

**„მემუქრებოდნენ, შენს რძალს მატროსოვის ციხეში გადავგზავნით და იქ რამდენჯერ გააუპატიურებენ, შენს კაცობაზე იყოსო. სალომე რომ გამეთავისუფლებინა, რა ჩვენებაც დამიდეს, ხელი მოვაწერე“.**

ტრავმა მიიღო, ოპერაცია დასჭირდა და ამის შემდეგ ფსიქიკური პრობლემები დაეწყო, ფსიქოტროპულ პრეპარატებს ვასმევდით. ჩემმა აქ არყოფნამ ბავშვის ფსიქიკაზე კიდევ უფრო უარყოფითად იმოქმედა და დედამისი იძულებული გახდა, ბავშვი გლდანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაეწვინა. როგორც საუკეთესო ბიზნესმენს, მთელი საქართველო მიცნობდა და, წარმოიდგინეთ, ყველას რომ გაეგო, ჩემი შვილი ფსიქიკურად იყო დაავადებული, ცუდად ჟღერდა. ამიტომ ამ ინფორმაციას ვმალავდი, თუმცა დოკუმენტალურად მასალა არსებობდა. როცა გურამი წამალს არ იღებდა, ფეთქებადი ხდებოდა.

გურამმა 2001 წელს საშინელი დანაშაული ჩადინა... იმ დღეს მეზობლის ბიჭს შეყვარებულის გამო ვიღაც ბიჭთან ჩხუბი მოუვიდა და დასახმარებლად ამხანაგები წაიყოლა, მათ შორის — გურამიც. ჩემმა შვილმა 18 წლის ბიჭი, რომელსაც არც კი იცნობდა, იარაღით მოკლა. მკვლელობის დღეს გურამს ყველა წამალი მიღებული ჰქონდა, ამ დროს მას მშვიდი ფსიქიკა ჰქონდა და ეს არ უნდა გაეკეთებინა, შეეძლო, გაეცნობიერებინა, რას სჩადიოდა... გამოძიება არაობიექტურად ჩატარდა, დღემდე არ ვიცი, ის იარაღი საიდან ჰქონდა. მერჩივნა,

**„ძაღლების სიცოცხლეს ვიცავ და ჩემი შვილი მკვლელია, მკვლელის მამობის კლიშე ძალიან მძიმეა სატარებლად“.**

ჩხუბში გაელახათ, დაეჭრათ ან თუნდაც მოეკლათ. ჩემს შვილს კაცის მოკვლას დღემდე ვერ ვპატიობ. ძაღლების სიცოცხლეს ვიცავ და ჩემი შვილი მკვლელია, მკვლელის მამობის კლიშე ჩემთვის ძალიან მძიმეა სატარებლად.

— **გარდაცვლილის ოჯახს იცნობთ?**

— რა თქმა უნდა. მკვლელობის შემდეგ მათ ოჯახში მივედი და ვუთხარი, მე ვარ მკვლელის მამა და, თუ შვებას მოგიტანთ, მომკალით-მეთქი. მათი უბედურება საკუთარ უბედურებად მივიღე და ამ ოჯახთან დღემდე მაქვს ურთიერთობა, რითიც შემიძლია ვეხმარები. რადგან კახა თარგამაძესთან ცუდი ურთიერთობა მქონდა და ციხეში შვილის შეშვება დიდ რისკს უკავშირდებოდა, გურამი წელიწადი და რამდენიმე თვე საზღვარგარეთ გადავმალე. მასზე ინტერპოლით ძებნა გამოცხადდა, ის იქ მკურნალობის კურსს კი გადიოდა, მაგრამ ექიმის მეთვალყურეობა დასჭირდა, ამიტომ ჩამოვიყვანე და მეორე დღეს ჩემი ხელით ჩავაბარე პოლიციას. მანამდე ვაკის სამმართველომ მთხოვა, ისე გავითამაშოთ სცენა, ვითომ გურამი ჩვენ ავიყვანეთო. ამის სანაცვლოდ კი ციხეში მისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა შემომთავაზეს, რომელიც შემდეგ არ შეასრულეს.

— **ეს მოლაპარაკება თქვენ აწარმოეთ პოლიციასთან?**

— კობა ნარჩემაშვილს არც მაშინ ვიცნობდი და არც ახლა ვიცნობ. პოლიციას ადვოკატი გოგმარ გაბუნია მოელაპარაკა, მაგრამ მოატყუეს. გურამი ორთაჭალის ციხეში რომ შეიყვანეს, ქურდებმა გაიგეს თუ არა, ჩემი შვილი იყო, თავიანთ კამერაში გადაიყვანეს და მისი „გაწეწვა“ დაიწყეს.

— **ანუ ფულის გამოძალვა?**

— დიახ. ნარდს თუ ბანქოს თამაშობდნენ და თურმე გურამსაც დაუძახეს. რაზე ვითამაშოთო, ჰკითხეს. ჩემმა შვილმა უთხრა, არაფერზე, ისე ვითამაშოთო. ერთ-ერთმა ქურდმა უთხრა, ორ ქალზე ვითამაშოთ თავისი ლიმუზინითო. გურამიც დაეთანხმა. ბუნებრივია, მას არავინ მოაგებინებდა. ქალები სულ არ გვინდა, ციხიდან შეიძლება ვერც გავიდეთ, ორი ლიმუზინის საფასური 100.000 დოლარი ჩაგვირიცხე ანგარიშზეო. ჩემს შვილს ციხეში მოკვლით ემუქრებოდნენ.

— **გადაიხადეთ ეს თანხა?**

— გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი, მიკლავდნენ, ამიტომ გარკვეული თანხა გადავიხადე. ამ დროიდან ჩემი შვილის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანაზე ზრუნვა დავიწყე და მივაღწიე კიდეც. ექსპერტიზა დაინიშნა, ყველა



Cyan Magenta Yellow Black

საბუთი წარვადგინე და გურამს მკურნალობის კურსი დაენიშნა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ნაციონალურ მოძრაობასთან მეგობრობა გავწყვიტე. სოროსის ფონდს და ბიძინა ივანიშვილს ვერ შევედრები, მაგრამ ხელისუფლებაში საკმაოდ დიდი ფული მაქვს ჩადებული. ზურაბ ჟვანიას მკვლელობას მოჰყვა ახალგაზრდების ჩაცხრილვა — გირგვლიანის, რობაქიძის და კიდევ სხვა ბიჭების, მაშინ გამიჩნდა დიდი კითხვის ნიშანი, რის გამოც ნაციონალების შემოთავაზებებზე უარს ვამბობდი.

**— და ეს არ გაპატიეს?**

— პირველი დარტყმა მაშინ მომაყენეს, როცა ციხეში გურამს მკურნალობის კურსი შეუწყვიტეს. ჩემი შვილი ე.წ. ასათიანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში საექსპერტო გამოკვლევის მიზნით იწვა. 2004 წელს ფსიქიატრიული დასკვნა დაიდო, რომ ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაეყვანათ, ამ დასკვნის გაყალბებაში დამდეს ბრალი. გურამი ფოთის საავადმყოფოდან ზუგდიდის ციხეში გადაიყვანეს, სადაც აწამეს, ნეკნები დაუმტვრიეს. თანხა რაშიც გავიღე, ასათიანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს რემონტი იყო, არადა ჯერ კიდევ მაშინ გადავეცი დირექტორს, სანამ გურამს საავადმყოფოში გადაიყვანდნენ. საშინელი პირობები იყო და თანხა მანამ გავიღე, სანამ ჩემს შვილს იქ გადავიყვანდი გამოსაკვლევად. მაშინ იმ ფსიქიატრიული კლინიკის დირექტორი ხარებავა გახლდათ, რომელიც 2010 წლიდან ზურაბ ადეიშვილის აგენტი იყო და ამის საქმის ოფიციალური დასკვნაც მაქვს კერძო დეტექტივისგან. ხარებავა რაღაც საქმეზე დააკავეს, გათავისუფლების სანაცვლოდ კი ჩემ წინააღმდეგ ჩვენების მიცემა შესთავაზეს.

**— მხოლოდ ეს საქმე იყო 2010 წელს თქვენი დაკავების მიზეზი?**

— ეს ბრალდებაც და კიდევ ხელისუფლების წინააღმდეგ მიტინგებში აქტიური მონაწილეობაც. ბოდიში ამ გამოთქმაზე, მაგრამ ეს „კლიზმა“ ბიზნესმენები სისხლისმსმელ რეჟიმს ხოტბას ასხამდნენ, როცა მე და თითზე ჩამოსათვლელი ბიზნესმენები მათ არ დავემსგავსეთ, ციხეში აღმოვჩნდით. გურამის წამების შემდეგ ორი ძვირადღირებული მანქანა ჩამომართვეს, მათ შორის — ერთი მამაჩემის. ვითომ ისინი არალეგალური გზით მყავდა საქართველოში შემოყვანილი, არადა ერთ-ერთი მანქანა დეპუტატისგან ვიყიდე. ამის შემდეგ სააკაშვილის რეჟიმს ბრძოლა გამოვუცხადე. ამ პერიოდში ზუგდიდის ციხეში ჩემი შვილის წამება უკვე დაწყებული იყო, ამის არაერთი კადრიც მაქვს. დღეს ჩემი შვილი უკვე გარეთ არის, ამნისტია შეეხო, 5 ივნისს გამოვიდა ციხიდან, მაგრამ დანგრეული ჯანმრთელობით.

**— თქვენი შვილის წამების კადრები საიდან მოხვდა თქვენს ხელში?**

— ამაზე არაფერს ვიტყვი. დღევანდელმა პროკურატურამ ძალიან კარგად იცის, 2010 წელს რატომ დამიჭირა ადეიშვილმა. რასაც დღევანდელი პროკურატურა აკეთებს, ეს არ არის სამართლიანობის აღდგენა, ამას ილუზიონისტობა ჰქვია.

**— თქვენთან ერთად თქვენი რძალი, გურამის ცოლი სალომე ივანიშვილიც დაიჭირეს.**

— მხოლოდ სალომე კი არა, მამამისი და ჩემი შვილის ნათლიაც დაიჭირეს ჩემთან ერთად. მე და სალომეს მამა, ზურა, მიტინგებზე მთავარი დამრტყმელი ძალა ვიყავით. ფაქტობრივად მთელი ოჯახი უპატრონოდ დამიტოვეს... გურამს და სალომეს ერთმანეთი ბავშვობიდან უყვართ. სალომემ იურიდიული განათლება მიიღო, გურამის ადვოკატი გახდა და ყოველდღე თავის პატიმართან შედიოდა. დაიჭირეს, რომ ჩემს შვილთან ველარ შესულიყო.

რასაც ახლა დაგიდებთ, ყველაფერზე ხელს მოაწერთ, თორემ არც სალომეს და არც დანარჩენებს გირაოთი არ გაგათავისუფლებთო, პირობა წამიყენეს. მემუქრებოდნენ, შენს რძალს მატროსოვის ციხეში გადავგზავნით და იქ რამდენჯერ გააუპატიურებენ, შენს კაცობაზე იყოსო. ეს საქმე დღევანდელმა პროკურორმა, ქალბატონმა მაია მწარიაშვილმა ძალიან კარგად იცის. მინდა, რომ ეს გააცნობიეროს და სალომეს ადგილას წარმოიდგინოს თავი. სალომე რომ გამეთავისუფლებინა, ჩვენებას ხელი მოვაწერე. მათი ერთ-ერთი მოთხოვნა იყო გურამის მკურნალობის შეწყვეტასთან დაკავშირებით სტრასბურგიდან სარჩელის გამოტანა. სალომე გაათავისუფლეს, ჩვენ კი 5 თვე ვიყავით დაპატიმრებული.

**— მაშინ რა ხდებოდა ციხეში?**

— გლდანის ციხეში, გაუპატიურების გარდა, ყველა წამება გამოვიარე. ის ციხის კადრები, რაც საზოგადოებამ ნახა, ყველაფერი ჩემ თვალწინ, რეალურად ხდებოდა და კიდევ იმაზე უარესებიც. ლადო ბედუკაძე იქ გავიცანი, კარანტინის განყოფილებაში იყო. როცა ის იყო მორიგე, პატიმრის ღირსება მხოლოდ მაშინ არ ილახებოდა. თუ რაღაცაზე პროტესტს გამოვთქვამდით, შემოცვივდებოდნენ კამერაში და ერთის პროტესტზე მთელი კამერის პატიმრებს ლეწავდნენ. კარანტინის დაშლა 3 დღეში ერთხელ ხდებოდა, მე კი 14 დღე გამაჩერეს, ასეთი ბრძანება იყო. ივლისის თვეში 6 ადგილიან საკარანტინო კამერაში მუდმივად 22 კაცი ვიყავით, სუნთქვა არ შეგვეძლო. კარანტინის მე-8 დღეს კბილის ჯაგრისი და პასტა მოვითხოვე, არ მომცეს და შიმშილობა გამოვაცხადე, რაზეც ერთი ამბავი ატყდა. სპეცრაზმი გამოიძახეს და ე.წ. ფუქსის კამერაში შემაგდეს, სადაც ვიღაცის მოსაქმებული დამხვდა და 24 საათის განმავლობაში იქ მამყოფეს — ხომ გინდოდა კბილის გახეხვა, მაგით გამოიხეხეო.

**„ციხის დატოვების შემდეგ მთელი ერთი წლის განმავლობაში ლადო ბედუკაძეს ფინანსურად ვეხმარებოდი იმ სიკეთის სანაცვლოდ, რაც მან გამიკეთა. მას ბარათზე ყოველთვიურად ფულს ვურიცხავდი".**

**— ლადო ბედუკაძესთან ციხეში დამეგობრდით?**

— „ფუქსის“ კამერაში რომ შემაგდეს, მეორე დღეს ლადო იყო მორიგე. აყროლებული კამერიდან ღამით გამომიყვანა და კბილის გახეხვის საშუალება მომცა. ყველა კამერაში ბედუკაძის მადლიერები იყვნენ. თავისი მორიგეობის დროს ღამით საკნის კარს ღიას გვიტოვებდა და სუნთქვის საშუალებას გვაძლევდა.

ციხიდან 2010 წლის 3 დეკემბერს გამოვედი. გამოსვლისთანავე ჩემი მანქანა „იქს 5“ სახელმწიფოსთვის გადამაცემინეს. ციხის დატოვების შემდეგ მთელი ერთი წლის განმავლობაში ლადო ბედუკაძეს ფინანსურად ვეხმარებოდი იმ სიკეთის სანაცვლოდ, რაც მან გამიკეთა. მას ბარათზე ყოველთვიურად ფულს ვურიცხავდი.

**— ამიტომ დაგასახელეს ციხის კადრების შემკვეთად?**

— 2012 წლის 18 სექტემბერს გამოვიდა პროკურორი ზოდელავა და დააანონსა, თამაზ ელიზბარაშვილი თამაზ თამაზაშვილთან ერთად ლადო ბედუკაძეს აფინანსებდაო. ვითომ ლადო ბედუკაძეს მივეცი 150.000 დოლარი, სცენარი დავუწერე, რის მიხედვითაც პატიმრების წამება გადაიღო. ცრუმოწმეც გამოიყვანეს, რომელიც ამბობს, ჩვენ ერთმანეთს „რედისონში“ შევხვდითო. ჩვენ მართლა შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ სულ სხვა თემაზე იყო საუბარი. 19 სექტემბერს დაკითხვაზე დამიბარეს. იქ მისვლამდე საქართველოს მოსახლეობისთვის ვიდეომიმართვა ჩავწერე, სადაც ვამბობდი, რომ გლდანის ციხის პირობები საკუთარი თვალით მქონდა ნანახი, წავიდოდი სიკვდილზე და მათთვის სასურველ ჩვენებას არ მივცემდი. მერე გამომძიებელმა ისიც კი მითხრა, ამ მიმართვამ გადაგარჩინაო.

**— თქვენი საქმე ამჟამად რა ეტაპზეა?**

— საქმე, რომელიც ადეიშვილმა „შემიკერა“, მთელი 2 წელი გონივრული ვადით იყო შეჩერებული და არჩევნების შემდეგ, 2012 წლის ოქტომბერში განახლდა. ჩემდა გასაკვირად, პროკურატურაში ისევ ძველი პროკურორები დამხვდნენ. სასამართლოს დღე რამდენჯერაც დაინიშნა, პროკურორმა მოწმეები არ მოიყვანა. მთელი 3 თვე ასე გავიდა. პრესკონფერენცია ჩავატარე და ბრალდების მოწმეების მოყვანა მოვითხოვე. პროკურორმა ბესო თხელიძემ მითხრა, აღარ გვინდა სასამართლო, საპროცესოში ერთი მილიონი გადაიხადე, ბრალი აღიარე და გირაოს თანხიდან (6 მილიონი ლარი) 5 მილიონს დაგიბრუნებთ, არანაირი პირობითი სასჯელი არ გექნებაო. ამ შემოთავაზებაზე უარი ვთქვი. პროკურორები გამინაწყენდნენ, თანამშრომელი გამომიგზავნეს, რომელმაც მითხრა, ყველას ციხეში შეგაბრუნებენ და მათ შორის შენს რძალსაცო. ეს ამბავი პრესკონფერენციაზე საჯაროდ განვაცხადე. მერე, როგორც იქნა, მივაღწიე, რომ ბრალდების მოწმეები სასამართლოზე მოეყვანათ. ყველამ აღიარა, რომ ჩემ წინააღმდეგ ჩვენება წამებისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ მისცეს.

ჩემს საქმესთან დაკავშირებით 5 პროკურორი შეცვალეს. მაშინვე ჩემი გადახდილი გირაოს, 6 მილიონის ძებნა დავიწყე, რადგან მქონდა ინფორმაცია, რომ ადეიშვილმა ეს თანხა გაქცევისას თან გაიყოლა. რადგან ისევ მებრძვიან, ეჭვი მაქვს, ჩემი ფული შეჭამეს და სახელმწიფოსგან თანხის დაბრუნებას მოვითხოვ. საქმე განხილვის პროცესშია.

ჩემმა შვილმა, თორნიკემ, გირაოს შესატანად საბანკო რეკვიზიტები რომ მოითხოვა პროკურატურისგან, 2010 წლის 13 ნოემბერს პროკურატურამ აღსრულების ბიუროს ანგარიშის ნომერი მისცა. აღმოჩნდა, რომ რეკვიზიტები საპროცესოს ანგარიშის ყოფილა და არა — გირაოსი. თორნიკეს თანხა სხვა ანგარიშზე შეატანინეს და კაცმა არ იცის, ახლა სად არის და ვის ჯიბეშია. მოვითხოვ, გირაოს თანხა დამეკისროს არა უმეტეს 5.000 ლარისა, რაც 2010 წელს ჩემთან ერთად დაპატიმრებულებმა გადაიხადეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხეში გამიშვან!

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# გიორგი ბერიძე: „ეს ჩემი ძმის, ნიკოს გამარჯვებაც იყო!“

გიორგი ბერიძე „მაესტროს“ მუსიკალური ტელეპროექტის „მაგთიფანის“ გამარჯვებულია. მასზე საუბრისას უკვე აღარ უსვამენ ხაზს, რომ ის ნიკო ბერიძის ძმაა, ახლა ის თავისთავადი მომღერალია, საკუთარი ბენდი ეყოლება და ახალ მუსიკას შექმნის, ამის საშუალება პროექტმა მისცა. ძმებმა ბერიძეებმა ბათუმიდან დაიწყეს და გულშემატკივრები მთელ საქართველოში შემოიკრიბეს. ამიტომაც გიორგი თვლის, რომ მისი გამარჯვება ნიკოსაც ეკუთვნის. რეალურმა შოუმ, რომელიც სამ დაძაბულ თვეს გრძელდებოდა, გიორგი საკმაოდ დაღალა, მაგრამ პრიზი — საკუთარი ბენდი — ამად ნამდვილად უღირდა. 21 წლის მომღერალი უკვე ამბიციურ გეგმებს აწყობს, მანამდე კი საქართველოს ქალაქებს გასტროლებით შემოივლის.

დახურული სივრციდან გარეთ გამოსული გიორგი ბერიძე, როცა „სარკეს“ შეხვდა, ჯერ კიდევ ეიფორიაში იყო, თითქოს გალიიდან გაათავისუფლესო. ისიც კი მიხარია, თავზე რომ მაწვიმსო, გვითხრა.

**— გიორგი, პირველ რიგში, გამარჯვებას გილოცავთ! როგორ შეაჯამებთ განვლილ სამ თვეს, გარდა ბენდისა, რა „შეიძინეთ“ ამ პროექტში?**

— პროექტმა მუსიკის მხრივ უფრო სრულყოფილი გამხადა. ამას მაშინ მივხვდი, იქიდან რომ გამოვედი. კარგი პედაგოგები გავიცანი, რომლებიც ამ სამი თვის განმავლობაში გვერდში გვედგნენ. სერიოზულად დავფიქრდი საკუთარ შემოქმედებაზე, ბენდზე, მუსიკაზე. ამ პროექტის უდიდესი პლუსი ის არის, რომ ბენდი შევიკრიბეთ. ჩემთვის ყველაზე მაგარი

**„მივხვდი, რომ თავისუფლებაზე დიდი ბედნიერება არაფერია. პროექტში ყოფნის დროს ცოტა „ვუბერავდი“, დახურული სივრცე ჩემს ნერვებზე ძალიან მოქმედებდა“.**

პრიზი სწორედ ეს იყო. 4 ბიჭისგან იქნება დაკომპლექტებული — ჩემგან, თორნიკე ყიფიანისგან, აკე პატარაიასგან, ანრი ღუდუშაურისგან.

**— ბენდის წევრების არჩევის უფლება თქვენ გქონდათ. ია ტომაში და თათია ყურაშვილი რატომ დატოვეთ ჯგუფის მიღმა?**

— ბენდს ბიჭები უფრო უხდება. თავიდან მეგონა, რომ მეტი ადამიანის აყვანის უფლება მექნებოდა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. დიდი სურვილი მქონდა, ხუთნი ვყოფილიყავით, მაგრამ არ გამომივიდა.

**— გოგოებს ეწყინათ, რომ არ აირჩიეთ?**

— არა. პრინციპში, გოგოები ფინალის შემდეგ არ მინახავს.

**— პროექტში იას და თქვენ შორის კონფლიქტი მოხდა. ის ამის გამო ხომ არ დარჩა ბენდის გარეშე?**

— ეს არ იყო კონფლიქტი, უბრალოდ იას ვუთხარი, რომ მისი ხუმრობის ხასიათზე არ ვიყავი, არ მსიამოვნებდა. ვთხოვე, რომ შეეწყვიტა, მაგრამ არ გაჩერდა. მერე მეც რაღაც ვუთხარი და ასე წარმოიქმნა უთანხმოება. დეტალებზე არ ვისაუბრებ, ვიდეო ინტერნეტში დევს და ვისაც აინტერესებს, ნახოს.

**— გოგოს რომ ქჩხუბეთ, მერე ალბათ შეგრცხვათ.**

— მთავარია, მართალი იყო. ამ შელაპარაკებას არაფერი შეუცვლია, მე და ია მეგობრები ვართ.

**— ბენდის ვოკალისტი თქვენ იქნებით?**

— მარტო ვოკალისტი კი არა, ინსტრუმენტებზეც დავუკრავ. ყველანი ვიმღერებთ და დავუკრავთ.

**— 3 თვე ჩაკეტილ სივრცეში იცხოვრეთ. ეს რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული?**

— დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული, თუმცა იქ ყოფნის დროს ამას კარგად ვერ ვაცნობიერებდი. პროექტის დასრულების შემდეგ მივხვდი, რომ თავისუფლებაზე დიდი ბედნიერება არაფერია. პროექტში ყოფნის დროს ცოტა „ვუბერავდი“, რადგან დახურული სივრცე ჩემს ნერვებზე ძალიან მოქმედებდა. რაღაცეები იყო, რასაც ვერ ვიგებდი.

**— მაგალითად?**

— დავალებების შესრულებას, მორიგეობას ვერ ვართმევდი თავს. ურჩი მონაწილე ვიყავი და ამის გამო ხშირადაც ვისჯებოდი.

**— თუმცა ამ პროექტმა ალბათ ბევრი უნარჩვევაც გამოგიმუშავათ.**

— შეიძლება ასეც ითქვას. ზოგადად ძალიან მოწესრიგებული ვარ, მაგრამ რეჟიმს ვერ შევეჩვიე. ეს პროექტი იმითაც გამოირჩეოდა, რომ კონფლიქტები მინიმუმამდე იყო დაყვანილი. ამ ტიპის პროექტებში ეს თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ისეთი კარგი პიროვნებები შევიკრიბეთ, რომ ჩხუბი არ მოგვსვლია. ბევრი მეგობარი შევიძინე არამარტო ხელოვნების სფეროში. მათ ნაწილობრივ უკვე შეცვალეს ჩემი ცხოვრება. დაჯერება მიჭირს, რომ გარეთ ვარ, ტელეფონს ნელ-ნელა ვეჩვევი, რომ მირეკავენ, მიკვირს. რეალური ცხოვრებისგან მოწყვეტის შემდეგ ცოტა გათიშული დავდივარ. ცა, მზე, ღრუბელი ძალიან მაგარია. რომ გაწვიმს, ესეც ძალიან მაგარია. თავისუფლების ფასი არაფერია!

**— არც გამარჯვება?**

— არა. თავისუფალი თუ ხარ, გამარჯვებულიც ხარ!

**— ასეთ წარმატებას ელოდით?**

— ამაზე არ მიფიქრია. ფინალის დღეს ჩემი სახელი რომ გამოაცხადეს, ამ ამბავს ძალიან მშვიდად შევხვდი, გამიკვირდა კიდეც, რადგან გამარჯვებას არ ველოდი.

**— რა შეგრძნებაა, როცა კონკურსის გამარჯვებულად გასახელებენ?**

— სიტყვებით ვერ გადმოსცემ. შეძლებისდაგვარად თავს ვიმორჩილებდი, მაგრამ ადრენალინი ძალიან მქონდა მოზღვავებული. გულშემატკივრებისკენ რომ გავიხედე, ნიკო დავინახე, რომელიც სიხარულისგან ჩაკეცილი იყო. ეს ნიკოს გამარჯვებაც იყო.

**— კონკურსანტებმა საკმაოდ ღირსეულად მიიღეს თქვენი გამარჯვება.**

— კი, ასე იყო. რომელიმე მათგანს რომ გაემარჯვა, მეც დიდი სიხარულით შევხვდებოდი. მათგან ვიგრძენი, რომ ჩემი წარმატება ნამდვილად გაუხარდათ.

**— ბენდის გარდა, საჩუქრად რა მიიღეთ?**

— ბულგარეთში ორკაციანი საგზური, ტელეფონი და სილამაზის სალონის ერთწლიანი მომსახურება.

**— ბენდში ხელფასი დაგენიშნებათ?**

— ამ დეტალებზე სასაუბროდ რამდენიმე დღეში შევიკრიბებით.

**— ბულგარეთში ვის წაიყვანთ?**



**„გულშემატკივრებისკენ რომ გავიხედე, ნიკო დავინახე, რომელიც სიხარულისგან ჩაკეცილი იყო“.**

— არ ვიცი, ამ საკითხზე არ მიფიქრია.

**— ძმას წაიყვანთ თუ შეყვარებულს?**

— ძალიან მინდა ნიკოს წაყვანა, თუმცა ჯერ არ ვიცი, რას ვიზამ.

**— შეყვარებულს არ გამოუშვებენ თქვენთან ერთად?**

— რატომაც არ გამოუშვებენ?! ჩამოვყალიბდები და გადაწყვეტილებას მერე მივიღებ.

**— საყვარელ გოგოსთან ურთიერთობაში სამთვიანი განშორების შემდეგ რამე ხომ არ შეიცვალა?**

— არაფერი შეცვლილა, ისევ ისე გვიყვარს ერთმანეთი, როგორც ადრე. ხათუნა მთელი პროექტის განმავლობაში მგულშემატკივრობდა, ფინალის დღეს კი უბედნიერესი იყო.

**— პიროვნულად რა ცვლილებებს ამჩნევთ საკუთარ თავს, პოპულარობამ როგორ იმოქმედა თქვენზე?**

— არანაირი ცვლილება! როგორი გიორგიც ვიყავი, დღემდე ისეთი ვარ. უცხო ადამიანების მხრიდან ყურადღება კარგია, მაგრამ ეს არაფერს ცვლის.

**— რას გეგმავთ სამომავლოდ, როდის ეწვევით მშობლიურ ქალაქ ბათუმს?**

— ჯგუფ „ვაკის პარკთან“ ერთად საქართველოს სხვადასხვა ქალაქში კონცერტები იგეგმება. ბენდის ბიჭები შევიკრიბებით და ჩამოვყალიბდებით, არჩევანს რომელ ჟანრზე შევაჩერებთ. დიდი ფუფუნებაა საკუთარი ბენდი და საკუთარი სარეპეტიციო ინსტრუმენტები. გვინდა, ახალი მუსიკა შევქმნათ.

**— ყველაზე მეტად ვისგან იგრძენით მხარდაჭერა?**

— პირველ რიგში, ჩემი ქალაქი, ბათუმი დამიდგა გვერდით. ვიცი, რომ ესემეს-ებს სრულიად უცნობი ადამიანები მიგზავნიდნენ. როცა სოციალურ ქსელში შევედი, მეგობრობის ძალიან ბევრი თხოვნა დამხვდა, მილოცავდნენ. უცხო ადამიანებისგან გვერდში ასეთი დგომა დიდი სიამოვნებაა. ერთი სული მაქვს, იქ როდის ჩავალ და ყველა მათგანს როდის ჩავეხუტები. ძალიან მენატრებიან გამზრდელი ბებია, რომელიც ძალიან ნერვიულობდა, მამა, რომელიც პროექტში ჩემს შესვლამდე 10 დღის ჩამოსული იყო საზღვარგარეთიდან.

**„მე და ხათუნას ისევ ისე გვიყვარს ერთმანეთი, როგორც ადრე. ის მთელი პროექტის განმავლობაში მგულშემატკივრობდა, ფინალის დღეს კი უბედნიერესი იყო“.**

**— ჟიურის წევრებიდან და პედაგოგებიდან ვისი ფავორიტი იყავით?**

— სანოს (მერაბ სანოძე) და ლანა ქუთათელაძეს გამორჩეულად მოვწონდი. მადლობა მათ ნდობისა და სიყვარულისთვის.

**— პროექტის გარეთ როგორ დაგხვდნენ მეგობრები?**

— მათთან შეხვედრა ძალიან მაგარი იყო. კარგად ვიქეიფეთ, დავთვერით, ვიგიჟეთ. რა თქმა უნდა, ერთი დღე ხათუნას დავუთმე, ძალიან კარგად გავერთეთ.

✓ ლანა კიკნაძე



Cyan Magenta Yellow Black

# ინტელექტუალურ მოთამაშეთა წყვილი ერთმანეთს წიგნების გამო ებუტება



სატელევიზიო ინტელექტუალური შოუს „რა? სად? როდის?“ მაყურებელს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომლებიც სხვადასხვა გუნდებში თამაშობენ და ერთმანეთს ემოციურად გულშემატკივრობენ. ირაკლი ბაკურიძე ბაჩანა შენგელიას ექვსეულის წევრია, მარი კორინთელი — მათე მაყაშვილის. „მოაზროვნეები“ 2 წლის წინ დაქორწინდნენ და 7 თვის გოგონას, ლეას მშობლები არიან. 26 წლის მარი იურისტია, 31 წლის ირაკლი — საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, თუმცა პროფესიით არ მუშაობენ, მათი შემოსავლის წყაროც და ცხოვრების საქმეც წიგნის მაღაზიაა ბათუმში, ირაკლის მშობლიურ ქალაქში.

მათი რომანი ინტელექტუალური თამაშიდან დაიწყო, სადაც მარიმ ირაკლის მოუგო და, როგორც ჩანს, ამით მოხიბლა კიდეც, თუმცა ამაზე დაწვრილებით თავად მოგვიყვებიან.

**ირაკლი**: მარი ჯეოპარდის თამაშზე გავიცანი, ინტელექტუალური თამაშების ერთ-ერთი სახეობაა. ერთმანეთის წინააღმდეგ მოგვიწია თამაში. ის შეხვედრა მარიმ მომიგო. აქედან დაიწყო ჩვენი ნაცნობობა, შემდეგ მეგობრობა და უფრო შემდეგ სიყვარულის ისტორიაც.

— **თავიდანვე იყო ურთიერთსიმპათია?**

**ირაკლი**: მარი დანახვისთანავე მომეწონა. როგორ შეიძლებოდა, არ მომწონებოდა, ისეთი ლამაზი იყო. მაშინვე მივხვდი, რომ ეს გოგო ჩემს ცხოვრებაში ისე, უბრალოდ არ ჩაივლიდა. შეყვარებული რომ ვიყავი, ესეც ძალიან მალე გავაცნობიერე. დღითიდღე უფრო მიყვარდებოდა.

**მარი**: მეც შევხედე თუ არა, მაშინვე ვიგრძენი რაღაც მის მიმართ. ჯერ მარტო იმით მიიპყრო ჩემი ყურადღება, რომ ძალიან ორიგინალურად გამოიყურებოდა. რამდენიმე წინადადებაში უკვე მივხვდი, რომ ყველაზე საინტერესო ადამიანი იყო მათ შორის, ვინც კი ოდესმე მცნობია. ჩვენი ურთიერთობა სწრაფად განვითარდა.

— **ვინ გამოტყდა პირველი გრძნობაში?**

**მარი**: ირაკლი. სიყვარულში რომ გამომიტყდა, მეც მაშინვე ვუთხარი, რომ მიყვარდა. სრულიად გაცნობიერებული მქონდა საკუთარი გრძნობები მის მიმართ. ალბათ ორივემ თანაბრად ვიაქტიურეთ. მე არ მიწვალებია და არც მას გავუწვალებივარ. ბუნებრივად, ორმხრივად მოხდა ყველაფერი.

— **როგორი იყო ის პერიოდი, როცა თქვენი ურთიერთობა იწყებოდა, ერთმანეთს აოცებდით რომანტიკული სიურპრიზებით?**

**მარი**: დიდი რომანტიკულობით არც ერთი გამოვირჩევით, განსაკუთრებული სიურპრიზებიც არ ყოფილა, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი ურთიერთობა ამას არ საჭიროებდა. ირაკლი თვითონ არის ადამიანი-სიურპრიზი. ფეიერვერკებზე, ბენზინის გულებსა და ბუშტებზე



■ ლეა, ირაკლი და მარი

**ირაკლი: „თამაშამდე მარის სულ ვამხნევებ და ვუმეორებ, რომ ყველაზე ჭკვიანი, ლამაზი და ღირსეულია. ვიცი, ამას თუ ჩაიბეჭდავს თავში, ნაკლებად ინერვიულებს. ვცდილობ, ყველა ყოფითი წვრილმანი მაქსიმალურად ავარიდო, რომ მხოლოდ თამაშზე იყოს კონცენტრირებული".**

ნამდვილად ძალიან გამეცინებოდა. მე კი მოვუწყვე ერთხელ სიურპრიზი — დოსტოევსკის ანტიკვარული გამოცემა უნდოდა, სულ იმ წიგნზე ოცნებობდა და ვაჩუქე.

**ირაკლი**: უზომოდ გამახარა მარის საჩუქარმა, თან ძალიან მოულოდნელი იყო. მე ის წიგნი ერთ ადამიანთან ვნახე. წარმოუდგენელი იყო მისი უზარმაზარ ქალაქში მოძებნა, როცა სახელის მეტი არაფერი იცოდა, მაგრამ მარიმ პატარა სასწაული მოახდინა ჩემთვის.

— **როგორი ქორწილი გქონდათ?**

**ირაკლი**: ქორწილი არ გვქონია, ასე გადავწყვიტეთ. ერთ ორშაბათ საღამოს მეჯვარეებთან ერთად მივედით ეკლესიაში, ჩუმად, წყნარად დავიწერეთ ჯვარი და იმ ღამესვე გავფრინდით პრაღაში. ჩემი ორივე მეჯვარე კლუბის წევრია, სოსო ბერიკაშვილი და დათო სიჭინავა.

— **ოჯახის შექმნის შემდეგ როგორი წყვილი შედგა თქვენგან, ერთმანეთში ახალი რა აღმოაჩინეთ?**

**მარი**: ქორწინების მერე ძალიან ბევრი რამ აღმოვაჩინეთ ერთმანეთში, უკეთ გავიცანით ჩვენი ყოველდღიური ჩვევები. ირაკლი ბევრად უფრო მზრუნველი აღმოჩნდა, ვიდრე შეყვარებულობის დროს იყო. საოცარი მხარდაჭერის და თანაგრძნობის უნარი აქვს.

**ირაკლი**: ნამდვილად შემდგარი წყვილი ვართ. საერთო ინტერესები და საქმე გვაქვს. შვილი გვყავს და, რაც მთავარია, ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. სადაც სიყვარული და ურთიერთგაგება არსებობს, როგორ შეიძლება, წყვილი ვერ შედგეს?

**მარი: „ირაკლის არც ერთი თამაში არ გამიცდენია. ყველაფერს საოცრად განვიცდი. 5 წლის სიცოცხლე მაკლდება ყოველ გადამწყვეტ მომენტზე. ბოლო თამაშზე 9 თვის ორსული ვიყავი. მაინც მივედი და ბოლომდე დავრჩი. რომ მოიგეს, სიხარულისგან ამხელა მუცლით ხტუნვა დავიწყე".**

— **ორი ინტელექტუალური მოთამაშე ერთ ჭერქვეშ როგორ თავსდება, კონკურენცია სახლში არ იგრძნობა?**

**ირაკლი**: რთული მაშინ იქნებოდა, ჩვენგან მხოლოდ ერთი რომ ყოფილიყო ინტელექტუალი. თანაცხოვრებაში საერთო მიდრეკილებები, საერთო ინტერესები ძალიან მნიშვნელოვანია და ამაში საოცრად გაგვიმართლა. თან, არა მგონია, სხვა სფეროდან მოსულმა, სხვა ინტერესების მქონე ადამიანმა ოდესმე გაიგოს, რატომ შეიძლება მთელი კვირადღე დაუთმო თამაშს „რა? სად? როდის?“, არ გახსოვდეს არაფერი მის გარდა, ჯეოპარდის თამაშში ღამეებს ათენებდე, უკანასკნელ ფულს წიგნებში ხარჯავდე...

**მარი**: ეს ყველაფერი ორივეს ცხოვრებაა, ახლა უკვე საერთო ცხოვრება.

— **მაგრამ ალბათ რაღაც განსხვავებებიც გაქვთ, თორემ საინტერესო აღარ იქნებოდა.**

**მარი**: ტემპერამენტით საკმაოდ განსხვავებულები ვართ. მე ცოტა თავშეკავებული ვარ ადამიანებთან ურთიერთობისას, ირაკლი კი საოცრად გახსნილია, უცებ შეუძლია ნებისმიერთან დამეგობრება და საერთო ენის გამონახვა. გრძნობების სიტყვებით გამოხატვა კი მე უფრო მეხერხება, ვიდრე ირაკლის.

**ირაკლი**: რაც მთავარია, ფასეულობების სისტემა გვაქვს ერთნაირი. ძირითად პრინციპებში ვემთხვევით ერთმანეთს, ერთნაირი რაღაცეები გვიყვარს. ჩემი აზრით, მთავარი განსხვავება ჩვენ შორის ისაა, რომ ცხოვრებისეულ საკითხებში მე უფრო პრაქტიკული ვარ. გრძნობებს მე უფრო ადვილად გამოვხატავ, მარი შედარებით ძუნწია გამოხატვის ფორმებში.

— **თქვენი გოგონა ადვილად გასაზრდელი ბავშვია, არ გაწვალებთ?**

**ირაკლი**: ლეა ჯერ სულ რაღაც 7 თვისაა. ვთვლი, რომ →24

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება
ლიგა
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge



Cyan Magenta Yellow Black



**მარი: „ჯერ მარტო იმით მიიპყრო ჩემი ყურადღება, რომ ძალიან ორიგინალურად გამოიყურებოდა. რამდენიმე წინადადებაში უკვე მივხვდი, რომ ყველაზე საინტერესო ადამიანი იყო მათ შორის, ვინც კი ოდესმე მცნობია".**

კარგი მშობლები ვართ, ადვილად ავუღეთ ალღო ახალ ამპლუას. ბავშვიც საოცრად ბუნჩულა და საყვარელია.

**მარი**: ირაკლი ფანტასტიკური მამაა, ასეთი არაფერი მინახავს, ყველაფერს უკეთებს ბავშვს, ყველაფერს აკონტროლებს, ნებისმიერი რამ შეუძლია მოახერხოს ბავშვთან დაკავშირებით. ერთხელ სულ ჩვილი, დღეების ლეა მარტომ აბანავა.

**— შვილს ლეა რატომ დაარქვით?**

**ირაკლი**: ლეა ძველ აღთქმაში იაკობის ცოლს ჰქვია და ქართული ლიას ებრაული ვარიანტია. ბავშვის სახელს რომ ვარჩევდით, იმ პერიოდში ფილმს ვუყურეთ და მთავარი გმირის სახელი იყო ლეა. ძალიან მოგვეწონა. ლეას ორივე ბებიას ლია ჰქვია, ასე რომ, ბებიები გავახარეთ და თან ის სახელი დავარქვით, რომელიც ულამაზესად მიგვაჩნია.

**— მარი, მამაკაცთა გუნდში ერთი ქალი თამაშობთ. ეს თქვენთვის რთულია თუ ადვილი?**

**მარი**: მადლობა ღმერთს, კლუბში მაინც არავინ უყურებს ქალს ზემოდან მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქალია! ინტელექტს სქესი არა აქვს, შესაბამისად მეც ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს 5 მამაკაცთან ერთ გუნდში. მით უმეტეს, მათთან უკვე ძალიან დიდი ხანია ვმეგობრობ.

**— ირაკლი, თქვენ მარის თითქმის ყველა თამაშს ესწრებით. ეკრანზე ჩანს, რომ ამ დროს საოცრად ღელავთ ხოლმე. რატომ ნერვიულობთ ასე?**

**ირაკლი**: ნამდვილად საშინლად ვღელავ, მარიზე მეტადაც კი, ვერ ვისვენებ. თამაშამდე მარის სულ ვამხნევებ და ვუმეორებ, რომ ყველაზე ჭკვიანი, ლამაზი და ღირსეულია. ვიცი, ამას თუ ჩაიბეჭდავს თავში, ნაკლებად ინერვიულებს. ვცდილობ, ყველა ყოფითი წვრილმანი მაქსიმალურად ავარიდო, რომ მხოლოდ თამაშზე იყოს კონცენტრირებული.

**მარი**: საოცრად ღელავს ხოლმე, მისკენ გახედვაც არ მინდა, ფერი აღარ ადევს. გადამწყვეტ მომენტებში სახეზე ხელებს იფარებს. ძალიან დიდი თანადგომა შეუძლია, სულ მამხნევებს. ვიცი, რომ ჩემი სჯერა და ყოველთვის ამაყობს ჩემით, მიუხედავად შედეგისა.

**— მარი, როცა ირაკლი თამაშობს, თქვენი ემოციები როგორია?**

**მარი**: ირაკლის არც ერთი თამაში არ გამიცდენია. ყველაფერს საოცრად განვიცდი. 5 წლის სიცოცხლე მაკლდება ყოველ გადამწყვეტ მომენტზე. ბოლო თამაშზე 9 თვის ორსული ვიყავი. მაინც მივედი და ბოლომდე დავრჩი. რომ მოიგეს, სიხარულისგან ამხელა მუცლით ხტუნვა დავიწყე.

**— ერთ გუნდში რატომ არ თამაშობთ?**

**ირაკლი**: ერთ გუნდში თამაში ჩვენზე არ იყო დამოკიდებული. მე უფრო ადრე დავიწყე სატელევიზიო თამაში, ვიდრე მარიმ. მარიზე 6 წლით უფროსი ვარ.

**— შეიძლება თუ არა, მოთამაშე ცოლ-ქმარი ერთმანეთის ობიექტურად შემფასებლები იყვნენ?**

**მარი**: ერთმანეთის შეფასებისას ძალიან ობიექტურები ვართ, შეიძლება ცოტა ზედმეტად მკაცრებიც კი. მოურიდებლად ვუთითებთ შეცდომებზე და ეს ასეც უნდა იყოს. ასეთი მიდგომა ძალიან გვეხმარება განვითარებაში.

**— რაზე შეიძლება იკამათოთ?**

**ირაკლი**: ყოფით საკითხებზე ნაკლებად. წიგნებზე ვკამათობთ ხოლმე და ისე საშინლად, რომ მერე ვიბუტებით. ზოგჯერ ხდება ისე, რომ ჩვენი გემოვნება ერთმანეთს არ ემთხვევა, მე მომწონს რაღაც წიგნი, მარის არ მოსწონს და პირიქით. მერე ამაზე იწყება დავა, კამათი და რაღაცეების მტკიცება. მარიმ იცის დიდხანს პრანჭვა სახლიდან გასვლის წინ. თუ ვაგვიანებთ და ის მაინც სარკესთან დგას, ამაზე ვჩხუბობ ხოლმე.

**— ვინ არის თქვენს ოჯახში კაპიტანი?**

**ირაკლი**: კაპიტანი ორივე ვართ, ფუნქციები თანაბრად არის განაწილებული. ორივეს თანაბრად გვაკისრია უფლება-მოვალეობები, გადაწყვეტილებებსაც ურთიერთშეთანხმებით ვიღებთ.

**— ინტელექტუალი მარი კორინთელი რამდენად მარჯვეა სამზარეულოში?**

**ირაკლი**: როცა დავოჯახდით, მარიმ გაზქურის ანთებაც კი არ იცოდა, ელემენტარულ უნარებს იყო მოკლებული. კვერცხიც კი არ შეუწვავს არასოდეს. სამზარეულოში უბრალოდ არ შედიოდა, სახლის ამ ნაწილის არსებობას იგნორირებას უკეთებდა, მაგრამ ერთ დღეს ასე, ჩვეულებრივად დადგა სამზარეულოში და საოცრებები ჩაიდინა. რასაც ხელი მოჰკიდა, ყველაფერი გამოუვიდა. ძალიან მაგარ, ურთულეს კერძებს ამზადებს, თან ისე, რომ რჩევასაც არ ეკითხება არავის. ყველა აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული ხელი აქვს.

**— ბათუმში წიგნის მაღაზია გაქვთ გახსნილი. რატომ გადაწყვიტეთ ამ ქალაქში გაკეთება?**

**ირაკლი**: მე ვარ ბათუმიდან, მარი თბილისელია. ძალიან გვიყვარს ბათუმი, თან წიგნის მაღაზიის გახსნა აქ უფრო მოსახერხებელი იყო. ამას ვახმართ მთელ ჩვენს ძალისხმევას, მთელი ჩვენი ცხოვრებაა ის მაღაზია. ფაქტობრივად, ჩვენი მეორე შვილია. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ აუცილებლად წიგნის მაღაზია გაგვეხსნა და არა, ვთქვათ, სუპერმარკეტი. თბილისში მარტო ვცხოვრობდით, ბათუმშიკი ჩემს მშობლებთან ერთად ვართ.

✓ **მანანა ნოდია**

# „ავარიამდე მოძღვარმა მისაყვედურა, 3 წელია ტაძარში არ ყოფილხარო...“

## ჟურნალისტის ერთ წამში შეცვლილი ცხოვრება

ტელეჟურნალისტ ცოტნე გეგეჭკორს ავტოსაგზაო შემთხვევებზე ბევრი სიუჟეტი აქვს გაკეთებული. ყოველთვის კარგად აცნობიერებდა, რა შედეგით სრულდება, როცა საჭეს ნასვამი მძღოლი მართავს, მაგრამ იმავე ხიფათს თავად ვერ ასცდა. ერთ საღამოს მისი ნასვამი მეგობარი მიუჯდა საჭეს და...

ავტოავარია წელს, 16 აპრილს, მოხდა და ცოტნეს დღემდე წოლითი რეჟიმი აქვს, მძიმე ტრავმებს იშუშებს. იმედი აქვს, რომ მალე ყავარჯნებით სიარულს მაინც შეძლებს. ყველაზე მეტად თავისი საქმე ენატრება და ერთი სული აქვს, სამუშაოს დაუბრუნდეს. ცოტნე 22 წლის არის. ის ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ საგამოძიებო გადაცემა „გრიფის გარეშე“ ჟურნალისტია.

**— ცოტნე, გვიამბეთ, რა მოხდა იმ დღეს.**

— ამ შემთხვევის გახსენება ძალიან მიჭირს. 16 აპრილს, ღამის პირველ საათზე, ჩემს მეგობარს სახლში მივყავდი. მანქანაში სამნი ვისხედით, ჩემი მეგობრები — წინა სავარძელში, მე — მძღოლის უკან. ავტომობილს ვინც მართავდა, ცოტა ნასვამი იყო. მან ჩვენ წინ მიმავალ ერთ-ერთ მანქანას გადაუსწრო, სველი საბურავები მოცურდა და ავტომობილი ბოძს შეასკდა, მერე — ხეს. ეს ყველაფერი თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მოხდა. ძალიან დიდი საშიშროება არსებობდა, რომ მანქანა მტკვარში გადავარდნილიყო, თან მაშინ მდინარე ძალიან ადიდებული იყო. გაგვიმართლა, რომ ასე არ მოხდა. იქვე ბენზინგასამართი სადგური იყო და

**„მარცხენა ფეხი ისე მქონდა მოტეხილი, ფაქტობრივად შემოტრიალებული იყო... ხელიც მოტეხილი მქონდა და მეკიდა... მაშველები მოვიდნენ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მათი მუშაობით კმაყოფილი არ ვარ. ზოგი მოტეხილ ხელზე მეტაკა, ზოგი — ფეხზე".**

მათი კამერა ამ ყველაფერს იღებდა. კადრებში ჩანს, რომ იმ ადგილს, სადაც შეჯახება მოხდა, ფეხით მოსიარულე ორმა ადამიანმა წამებში გაასწრო. ასე რომ, მარტო ჩვენ კი არ ვართ გადარჩენილი, ის ორი პიროვნებაც ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს.

**— ყველა ეს დეტალი გახსოვთ თუ შემდეგ გიამბეს?**

— ყველა დეტალი მახსოვს, არ გავთიშულვარ. ვცდილობდი, შეჯახებისას თავი დამეცვა. ჩემი მეგობრები ფანჯრიდან გადაძვრნენ, მე კი ვერ გადავდიოდი. მანქანა ჩემს მხარეს ნახევრად იყო გადაბრუნებული. იმ მომენტში არანაირ ტკივილს არ ვგრძნობდი. შემდეგ აღმოვაჩინე, რომ დაშავებული ვიყავი. ვცდილობდი, საკუთარი თავისთვის პირველადი დახმარება აღმომეჩინა.

**— რა ტრავმები მიიღეთ?**

— მხრის სამმაგი მოტეხილობა, ბარძაყის, ლავიწის და ბეჭის მოტეხილობები. მარცხენა ფეხი ისე მქონდა მოტეხილი, ფაქტობრივად შემოტრიალებული იყო. მართალია, ეს მძიმე სანახავი გახლდათ, მაგრამ იმ მომენტში სხვა გზა არ არსებობდა, საკუთარ თავს უნდა დავხმარებოდი. ვცდილობდი, მენახა, ღია ჭრილობა ხომ არ მქონდა. აღმოჩნდა, რომ ხელიც მოტეხილი მქონდა და მეკიდა. ასეთ დროს მოძრაობა არ შეიძლება.



„პირველად ჩემს თავზე კი არა, დედაზე ვიფიქრე, ამას ვერ გადაიტანს-მეთქი".

**— როცა დამტვრეული იჯექით მანქანაში და ვერ ინძრეოდით, იმ მომენტში რა ფიქრებმა გაგიელვათ თავში?**

— როცა ხვდები, რომ ცოცხალი ხარ, მერე იწყება რაღაცეებზე ფიქრი, ოღონდ პირველად ჩემს თავზე კი არა, დედაზე ვიფიქრე, ამას ვერ გადაიტანს-მეთქი. დედის შემდეგ ჩემს კარიერაზე დავიწყე ფიქრი, რომელსაც დიდი ხანია ვაშენებ და იმისთვის ვიბრძვი, რაც დღეს მაქვს. ჩემთვის ჟურნალისტიკა მხოლოდ სამსახური არ არის, ჩემი ცხოვრების ნაწილია...

მეგობრები მანქანიდან ჩემს გადმოყვანას ცდილობდნენ. მაშველები მოვიდნენ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მათი მუშაობით კმაყოფილი არ ვარ. ზოგი მოტეხილ ხელზე მეტაკა, ზოგი — ფეხზე. ვერ ვიტყვი, რომ მადლიერი არ ვარ, მაგრამ მეტი დაფიქრება და პროფესიონალიზმია საჭირო, როცა ადამიანის მრავლობით მოტეხილობას ეხება საქმე.

პირველ კლინიკურ საავადმყოფოში მიმიყვანეს. საბედნიეროდ, შინაგანი ორგანოები დაზიანებული არ აღმოჩნდა. იქ დარჩენა არ მოვისურვე და ღუდუშაურის კლინიკაში გადამიყვანეს, სადაც პირველადი დახმარება ქირურგმა ირაკლი ჭილაძემ აღმომიჩინა. 18 აპრილს ბარძაყის და ლავიწის ოპერაცია ჩამიტარდა. სპეციალური ლითონის, ტიტანის საშუალებით, ძვლების ნორმალურ ფორმაში დაწყობა ხდება. ეს ოპერაცია 4 საათის განმავლობაში გრძელდებოდა...

დაახლოებით ლიტრნახევრამდე სისხლი მქონდა დაკარგული. ამიტომ ანემიის სერიოზული პრობლემა შემექმნა, სისხლის გადასხმაც დამჭირდა. შემდეგ ოპერაციამდე ორგანიზმში სისხლის აღდგენა იყო საჭირო. მეოთხე თუ მეხუთე დღეს მხარში სპეციალური მეტალი ჩამისვეს, რომელიც მხრის თავსა და ძვალს ერთმანეთთან აერთებს. ამის რეაბილიტაციას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ალბათ საკმაო პერიოდი უნდა გავიდეს, რომ ხელი ისე ვამოძრაო, როგორც საჭიროა. ახლა სპეციალურ ვარჯიშებს ვაკეთებ და ნელ-ნელა ვამოძრავებ.

**— ექიმები რა პროგნოზს აკეთებდნენ?**

— ექიმმა მითხრა, ისეთი დაზიანებები გაქვს, მართლა გადარჩენილი ხარო. ლავიწის ქვეშ ისეთი არტერია გადის, რომლის დაზიანების შემთხვევაში შესაძლებელია, ადამიანს კიდურის ამპუტაცია დასჭირდეს... ვერავინ ამბობდა, რომ მალე გავივლიდი. დიდი მადლობა ქირურგებს, ირაკლი ჭილაძეს და ლევან თავბერიძეს, ასევე დიდი მადლობა ღუდუშაურის საავადმყოფოს ადმინისტრაციას.

**— საავადმყოფოში რამდენ ხანს იწექით?**

— ორი კვირა. მეგობრების და ახლობლების გამხნევება ძალიან მეხმარებოდა. ბევრი ადამიანი მოდიოდა სანახავად. როცა ექიმებს ერთი საავადმყოფოდან მეორეში გადავყავდი, ბიჭი, რომელიც რეანომობილს გამოჰყვა, მთელი გზა მამშვიდებდა. ასეთ დროს სიტყვებს დიდი მნიშვნელობა აქვს და ასევე იმ ადამიანებს, ვინც შენ გარშემო არიან.

**— ავარიის შემდეგ როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება, შინაგანად ხომ არ შეიცვალეთ?**

— ვიფიქრე, რომ ალბათ მანამდე ისე არ ვცხოვრობდი, როგორც საჭირო იყო, თუმცა ვთვლი, რომ სიკეთის მეტი არაფერი მიკეთებია. ავარიამდე სამი კვირით ადრე ჩემს მოძღვართან მივედი. მასთან დიდი ხანი არ ვიყავი ნამყოფი. მითხრა კიდეც, 3 წელია ტაძარში არ ყოფილხარ, მაგრამ შენს ცხოვრებას თვალს ვადევნებდიო. ჯერ ტელეკომპანია „კავკასიაში“ ვმუშაობდი, შემდეგ — ნანა ლეჟავას სტუდია „ჯიენესში“, ახლა „მეცხრე არხზე“ ვარ. მარხვას ვიცავდი, მაგრამ აღსარებაზე მისვლა ვერ შევძელი. ავარიის საღამოს თითქოს სიცარიელის შეგრძნება მქონდა. ალბათ ბოლომდე არ ვაფასებდი იმას, რაც მქონდა, თუნდაც სამსახურს. ბევრ ადამიანს ძალიან უჭირს, მე კი ცხოვრებაში რაღაცას მივაღწიე და ამას არ ვაფასებდი, მეტი მინდოდა. ეს შემთხვევა ალბათ იმის ნიშანი იყო, რომ დამეფასებინა ის, რაც მქონდა.



■ ტიტანით შეერთებული ძვლების რენტგენი

ვფიქრობ, ცხოვრებაში მეორე შანსი მომეცა, რომ ამ ყველაფერს სხვანაირად შევხედო. ჩემი ძირეული ფასეულობები არ შეცვლილა, მაგრამ რაღაცეების მიმართ სხვა აზრი გამიჩნდა. მომავალში მეტს გავაკეთებ, რომ სხვებს დავეხმარო.

**— როგორც ჟურნალისტს, ასეთი შემთხვევები გაგიშუქებიათ?**

— ავტოსაგზაო შემთხვევებზე არაერთი რეპორტაჟი მაქვს გაკეთებული. ჩემი ავარიის შემდეგ ახალგაზრდა პოლიციელის, ლუკა მახათაძის ოჯახი გამახსენდა. ლუკა ავარიაში იმის გამო დაიღუპა, რომ მისი კოლეგა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს საჭეს მთვრალი მართავდა. ძალიან კარგი ოჯახი ერთ წუთში გაუბედურდა. მე კი ასეთ ტრაგედიას გადავურჩი. ახლა შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანიაში „საჭესთან ნასვამი არ დაჯდე“ ჩავერთე. ჩემი მოტეხილი მხრის რენტგენის ფოტოც დევს, ჯერჯერობით პირველ ადგილზე ვარ. ეს საკმაოდ კარგი ინიციატივაა. ნამდვილად არ ღირს, დალევას შენი ცხოვრება შესწირო ან საერთოდ გარისკო.

**— თქვენი მეგობრები იმ ავარიის დროს ტრავმებს როგორ გადაურჩნენ?**

— მათ მინიმალური დაზიანებები მიიღეს. წინ ისხდნენ და ღვედები ეკეთათ. კარგი იქნება, ეს უკან სავარძელში მსხდომთათვისაც სავალდებულო გახდეს. მე რომ ღვედი მკეთებოდა, ასე არ დავშავდებოდი.

„კადრებში ჩანს, რომ იმ ადგილს, სადაც შეჯახება მოხდა, ფეხით მოსიარულე ორმა ადამიანმა წამებში გაასწრო. ისინიც ბეწვზე გადაურჩნენ სიკვდილს".

**— ახლა როგორია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

— წოლითი რეჟიმი მაქვს. ერთ კვირაში რენტგენი უნდა გადამიღონ და ნახავენ, რა მდგომარეობაა. სავარაუდოდ, ყავარჯნებით სიარულს შევძლებ. მინდა, სამსახურს დავუბრუნდე. ძალიან დიდი თანადგომა გამომიცხადა ჩემმა არხმა, გადაცემამ, მთელმა გუნდმა. სახლიდანაც ვახერხებ ექსკლუზიური ინფორმაციების და თემების მიწოდებას თანამშრომლებისთვის.

აქვე ვიტყვი, რომ ავარიის დროს პირველი გადაცემის პროდიუსერს, ნათია თოიძეს დავურეკე, ვთხოვე, მოდი-მეთქი. ამ ადამიანის სახელი და გვარი რაღაცნაირად ჩემს ცხოვრებას გასდევს. როცა „კავკასიაზე“ ვმუშაობდი, ნათია იქ მუშაობდა, ჩემი თავი გასაზრდელად მას მიაბარეს. შემდეგ, როცა „ჯიენესში“ გადავედი, ნათიაც იქ მუშაობდა, ყოველთვის ჩემ გვერდით იყო. ვფიქრობ, ჩემს წარმატებაში მასაც მიუძღვის წვლილი. ამ ადამიანის მადლიერი ვარ. იმ მძიმე მომენტებში, როცა ტკივილისგან ვყვიროდი, ვღრიალებდი, ჩემ გვერდით იდგა.

✓ ეკა ლემონჯავა

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ვანდა ანთიძე: „დღემდე ჩემი ქმრის მადლით მოვდივარ“

## რობერტ ბარძიმაშვილი — „გულმართალი კაცის“ გულმართალი გზა



გასული საუკუნის 60-იან წლებში თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კედლებში ერთი ლამაზი სიყვარულის ისტორია დაიწყო. სტუდენტი რობერტ ბარძიმაშვილი ინსტიტუტს ამთავრებდა, მუსიკით იყო გატაცებული და თავის მომავალს მასში ხედავდა. პირველკურსელი გოგონა ვანდა ანთიძე კი მისით აღფრთოვანებული იყო, მისი სჯეროდა და მასთან ერთად აწყობდა გეგმებს. ისინი ცოლ-ქმარი გახდნენ და ერთი შვილი შეეძინათ, ზურაბი. ერთად 44 წელი გაატარეს.

5 ივლისს რობერტ ბარძიმაშვილის გარდაცვალებიდან 10 წელი შესრულდა. ლეგენდარული „ორერას“, „ვია 75“-ის, „ლახტის“ შემქმნელი სრულიად მოულოდნელად თავის სტუდიაში მუშაობისას გარდაიცვალა. მისი მეუღლე შოკისა და ტკივილისგან ქმრის ხსოვნამ, მისი საქმის გაგრძელების აუცილებლობამ გამოიყვანა. დღეს ისევ მუშაობს რობერტ ბარძიმაშვილის სტუდია.

უნიჭიერესი ქართველი მუსიკოსისა და პროდიუსერის გვერდით გატარებულ წლებზე ქალბატონი ვანდა „სარკეში“ საუბრობს.

### საყვარელი ინსტიტუტის კედლებში

— მე და რობერტმა ერთმანეთი უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში გავიცანით. რობერტი ფრანგული ენის სპეციალობაზე სწავლობდა, მე — ინგლისური ენის. ერთმანეთი ძალიან შეგვიყვარდა, 10 თვის შემდეგ ვიქორწინეთ. მე პირველ კურსზე ვიყავი. კაცმა არ იცის, სიყვარული, ეს დიდი გრძნობა, როგორ მოდის. ამდენი წელი გავიდა და დღესაც არ ვიცი, რობერტმა რითი მომხიბლა. ალბათ უფრო თავისი ვაჟკაცური საქციელით და ნიჭით.

მაშინ უმაღლეს სასწავლებლებში თვითშემოქმედების ანსამბლები არსებობდა. უცხო ენების ინსტიტუტის ანსამბლი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. იქ მე როიალზე ვუკრავდი. ერთმანეთი ახლოს რომ გავიცანით, რობერტი გამომიტყდა, რომ პირველად ყურადღება მაშინ მომაქცია, როდესაც ერთ-ერთ კონცერტზე დარბაზიდან მის გამოსვლას აღფრთოვანებით ვუყურებდი. მაშინ ის გიტარაზე უკრავდა და თან მღეროდა. როცა დავქორწინდით, ანსამბლს გასტროლებზე ხშირად დავყვებოდი. ძალიან მიყვარს ის ფოტო, რომელიც ლენინგრადში გვაქვს გადაღებული. პეტერგოფის სამეფო ბაღში, ულამაზეს შადრევანთან ვდგავართ. ეს ფოტო რობერტსაც ძალიან უყვარდა.



უმაღლესის დამთავრების შემდეგ სწავლა მოსკოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში განვაგრძე, სადაც ხარისხიც დავიცავი. ჩამოსვლის შემდეგ კი თბილისში, პედაგოგიურ ინსტიტუტში ვასწავლიდი. მოსკოვში 3 წელი გავატარე. იმ დროს რობერტსაც ხშირად უწევდა საქმეზე ჩამოსვლა და კარგად ავეწყვეთ. მოსკოვში მარტოობა არ მიგრძვნია. არდადეგებზე ჩვენი შვილიც ჩამოჰყავდა და სამივე ერთად ვცხოვრობდით.

**„პრობლემებიც იყო და კონფლიქტებიც. ღალატიც იყო, ეჭვიანობაც... ერთი რამ ვიცოდი — სადაც უნდა წასულიყო და რაც უნდა გაეკეთებინა, ბოლოს მაინც სახლში, ჩემთან დაბრუნდებოდა".**

ის წლები ძალიან კარგად მახსენდება. რობერტი სიმღერებს მოსკოვში წერდა, რადგან საქართველოში მხოლოდ ერთი ხმის ჩამწერი სტუდია იყო და თვეობით უწევდა ლოდინი.

### აუხდენელი ოცნებები

— ამ სახლში, სადაც ახლა ვცხოვრობთ, 1974 წელში გადმოვედით. დიდი სარდაფი გვაქვს. რობერტი ამბობდა, აქ დისკოთეკას გავაკეთებო, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეძლო, ამისი არც დრო ჰქონდა და არც ფული. რამდენჯერაც სარდაფში ჩავალ, სულ მელიმება, მისი სიტყვები რომ მახსენდება. ამ მოუცლელობის გამო ხშირად ვსაყვედურობდი, მაგრამ ვერაფერს შევცვლიდი, მას ასეთი ცხოვრება ჰქონდა. დღემდე რობერტის მადლით მოვდივარ და მისი დანატოვარით ვცხოვრობ. პლეხანოვზე, სადაც მისი სტუდიაა, პატარა ფართი შეიძინა. მისი ოცნება იყო, პატარა საესტრადო თეატრი გაეკეთებინა. ესეც ვერ შეძლო, რადგან დიდ ფინანსებთან იყო დაკავშირებული.

### ლამაზი დღეები

— ბევრს ვმოგზაურობდით. მასთან ერთად ცხოვრება ძალიან საინტერესო იყო. ჩემთვის არასოდეს არაფერი დაუშლია, აბსოლუტური თავისუფლება მქონდა. რბილი, თბილი ხასიათი ჰქონდა. სტუმრიანობა, ქეიფი უყვარდა. მნიშვნელოვან დღესასწაულებზე მარტო არასდროს ვყოფილვართ.



**„ერთმანეთი ახლოს რომ გავიცანით, რობერტი გამომიტყდა, რომ პირველად ყურადღება მაშინ მომაქცია, როდესაც ერთ-ერთ კონცერტზე დარბაზიდან მის გამოსვლას აღფრთოვანებით ვუყურებდი. მაშინ ის გიტარაზე უკრავდა და თან მღეროდა".**

სიურპრიზები უყვარდა. გასტროლებიდან საჩუქრები ხშირად ჩამოჰქონდა. მაშინ საქართველოში ოქროულობა დიდად არ იშოვებოდა. ციმბირიდან ბრილიანტის ბეჭედი სამჯერ ჩამომიტანა.

კიდევ ასეთი სიურპრიზის მოწყობა იცოდა: ზოგჯერ ისე დაემთხვეოდა, რომ რობერტი გასტროლზე მიდიოდა, ამასობაში ჩემი დაბადების დღე დადგებოდა. იმ დღეს მოულოდნელად თავზე დამადგებოდა, მომილოცავდა. საკუთარი დაბადების დღე კი დიდად არ უყვარდა. 40 წლის რომ ხდებოდა, მახსოვს, წინა დღეს ამბობდა, ხვალ ჩემი ორმოციაო.

მე და ჩემი შვილი ზაფხულობით სამანქანო ტურზე მივყავდით. ჩვენი მანქანით აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში ვმოგზაურობდით. ჩვენს ტურში შედიოდა: უნგრეთი, პოლონეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია. ეს მოგზაურობები ძალიან კარგად მახსენდება. საერთოდ რობერტი ავტომობილების დიდი მოყვარული იყო. ჩვენი პირველი უცხოური მარკის მანქანა „ფორდ კაპრი“ იყო, რომელიც 1974 წელს შეიძინა. მერე „ფორდ მუსტანგი“ გვყავდა, რომელიც იმ დროს საქართველოში მხოლოდ ორი დადიოდა.

### ცოლის „სავიზიტო ბარათი"

— როდესაც რაღაც საქმის გაკეთება მინდოდა, პირველად ჩემი მეუღლე მიმყავდა და შემდეგ უკვე მე მივდიოდი. ვთხოვდი, მხოლოდ ერთხელ წამოსულიყო, რომ ხალხს მასთან ერთად დავენახე. ვეხუმრებოდი, ჩემი „ვიზიტკა“ ხარ-მეთქი. ამას რომ ვეტყოდი, უხაროდა. მერე თვითონაც ხუმრობდა, ჩემი ცოლისთვის „ვიზიტკა“ ვარო.

### ობოლი ბიჭი

— რობერტი პატარაობიდანვე ძალიან მშრომელი იყო. მამა რომ გარდაეცვალა, 17 წლის იყო. დედა და ორი ძმა დარჩა მისახედი. თავიდან პიონერთა ხელმძღვანელი გახდა. მერე სკოლა დაამთავრა, მაგრამ უმაღლესში იმავე წელს ვერ ჩააბარა. იმ პერიოდში ძმებ ამირან და სოსო ებრალიძეებთან ერთად გიტარაზე დაკვრა და სიმღერა დაიწყო. მთელი საქართველო მოიარეს, კონცერტებს ატარებდნენ. მეორე წელს სტუდენტი გახდა და ინსტიტუტის თვითშემოქმედებით ანსამბლებში გააგრძელა თავისი საქმიანობა. შრომის სიყვარული სიცოცხლის ბოლო წუთამდე გაჰყვა. ჩვენი შვილი მამას შრომის სიყვარულითა და პატიოსნებით დაემსგავსა. ზურაბი ახლა ცოლთან და სამ შვილთან ერთად ამერიკაში სწავლობს.

### ყველაზე ბედნიერი გასტროლი

— ზურაბი რომ დაიბადა, რობერტი აფრიკაში იყო გასტროლებზე, „ორერას“ სამთვიანი ტურნე ჰქონდა. ჩემს მეუღლეს იქ შევატყობინე, რომ ბიჭის მამა გახდა. ტურნედან დაბრუნებული ძალიან ბედნიერი იყო, რადგან თავისი თვენახევრის შვილი პირველად აიყვანა ხელში. სახელიც მან დაარქვა. მანამდე ბავშვს სახელი არ ჰქონდა, არ მინდოდა, მის გარეშე დამერქმია.

ჩვენი შვილი სანამ პატარა იყო, ჩემს მშობლებს ვუტოვებდი და რობერტს გასტროლებზე მივყვებოდი. 5 წლის რომ გახდა, მას მერე ზურაც ყველგან მიგვყავდა. ზაფხულობით საქართველოს ქალაქებში ჩემს მეუღლეს ბევრი გასტროლი ჰქონდა და მე და ზურაც მივდიოდით. ნანი ბრეგვაძეს თავისი ქალიშვილი, ეკა მოჰყავდა.

რობერტს ახალგაზრდობაში შვილისთვის ბევრი დრო არ ჰქონდა, შვილიშვილებისთვის კი უფრო მოიცალა, მათთან ურთიერთობით ტკბებოდა. ამბობდა, ამათთან ყოფნას არაფერი ჯობია, მაგრამ ამერიკაში ვერ ვიცხოვრებო. სურათი, რომელზეც ორ შვილიშვილთან ერთად არის, სიკვდილამდე 4 დღით ადრე გადაიღო. ფოტო რომ ნახა, თქვა, ჟურნალებს რომ ინტერვიუებს მივცემ, გამომადგებაო.

ზურას მუსიკა უყვარს, ამ სფეროში საკმაო ცოდნაც აქვს, მაგრამ თვითონ არც მღერის და არც უკრავს. მან მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. განათლებით ეკონომისტ-დემოგრაფია. უნგრეთში მუშაობდა, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა და დღემდე იქ არის.

ჩემი რძალი, ეკა, პიანისტია. ამერიკაში სტაჟირებაზე იყო წასული და ერთმანეთი იქ გაიცნეს. ოჯახი შექმნეს და დღეს სამ შვილს ზრდიან. უფროსს სტივენი ჰქვია, შუათანას — რობერტი, უმცროსს — ალექსანდრე. ზაფხულობით საქართველოში ჩამოდიან. რობერტი სამივე შვილიშვილს მოესწრო. როდესაც გარდაიცვალა, უმცროსი 2 წლის იყო.

ჩვენი შვილი პირველად რომ წავიდა საზღვარ-



Cyan Magenta Yellow Black

გარეთ, მის გარეშე ძალიან გაგვიჭირდა. ზურამ გასული საუკუნის 90-იან წლებში დატოვა საქართველო. წასვლის მიზეზი გაჭირვება არ ყოფილა. უნგრეთში სამსახურიდან გააგზავნეს, ხოლო ამერიკაში უკვე შეგნებულად, თავისი ნებით წავიდა. თავიდან მე და ჩემი ქმარი წინააღმდეგები ვიყავით, ჩვენს შვილს სხვა ქვეყანაში ეცხოვრა და ემუშავა. წლების შემდეგ კი, ქვეყანაში მძიმე ცხოვრება რომ დაიწყო, რობერტმა თქვა, ზურიკოს ვამტყუნებდი, მაგრამ თურმე მართალი ყოფილაო. იმედი მაქვს, 3-4 წელიწადში ზურა და მისი ოჯახი საქართველოში საბოლოოდ დაბრუნდება.

## მუსიკოსის „შვილები"

— ის დრო ძალიან ლამაზად მახსენდება და მართლაც ბედნიერები ვიყავით. სადაც კი წავიდოდით, ყველგან დიდი პატივისცემით გვხვდებოდნენ. მაშინ დროც სხვანაირი იყო და ხალხიც. ქეიფის ხალისი ყველას ჰქონდა. როგორც წესი, „ორერას“ კონცერტები საოცრად წარმატებული იყო. ყველა ქალაქს რომ მოვივლიდით, გასტროლს ბიჭვინთაში ვამთავრებდით.

საბჭოთა კავშირის დროს წინაღობაც ბევრი იყო. მაგალითად, ანსამბლის წევრებს ეტყოდნენ, თბილისზე ამდენი სიმღერა რატომ გაქვთო. რობერტი გამოსავალს პოულობდა, სიმღერას სხვა სახელს არქმევდა, მაგრამ იქ მაინც თბილისი იგულისხმებოდა. მაგალითად, ჰქონდა ასეთი სიმღერა „შენ ყველაზე ლამაზი ხარ“ და ამ სიტყვებით თბილისს მიმართავდა.

„გულმართალი კაცი“ რობერტის საკმაოდ პოპულარული სიმღერა იყო, რომელიც ფაქტობრივად თავად შექმნა. კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილს პატარა სიმღერა ჰქონდა. ჩემმა მეუღლემ ნუგზარ ერგემლიძეს სთხოვა ამ მუსიკაზე ისეთი ლექსის შექმნა, რომელიც ასე დაიწყებოდა — „გულმართალი კაცი მიყვარს“. ის მუსიკას იმდენად გრძნობდა, რომ ტექსტიც თვითონვე მოარგო. ამ სიმღერაში რობერტის ხედვა და თვისებები იგრძნობა.

არასდროს იმღერებდა არაფრისმომცემ, ზედაპირულ სიმღერას. მისი ტექსტები აზრიანი უნდა ყოფილიყო. ამინდზე და ბუნებრივ მოვლენებზე სიმღერა არ უყვარდა. ღიმილით იტყოდა ხოლმე, ასეთი რაღაც რატომ უნდა ვიმღერო, ამინდის ბიურო ხომ არ ვარო.

1978 წელს რობერტმა ანსამბლ „ორერასთან“ გააკეთა პროექტი „დისკოთეკა“, რომელიც სპორტის სასახლეში გაიმართა. თერთმეტიათასკაციანი დარბაზი რომ გაივსო და ყველა ცეკვავდა, მთავრობას შეეშინდა და კონცერტები შეწყვიტეს. ბიჭებს ხომ უნდა ემუშავათ და ამიტომ გასტროლზე წასვლა გადაწყვიტეს, რადგან აქ კონცერტები მოუხსნეს. მიწვევა ჰქონდათ ბალტიისპირეთში, სადაც ევროპული დონე უფრო იგრძნობოდა. იქაურებს ძალიან მოეწონათ ანსამბლის პროექტი და ნება დართეს, რომ ხალხს ეცეკვა, ეხმაურა, მთავრობამ კი წესრიგის დაცვა უზრუნველყო.

**„სურათი, რომელზეც ორ შვილიშვილთან ერთად არის, სიკვდილამდე 4 დღით ადრე გადაიღო. ფოტო რომ ნახა, თქვა, ჟურნალებს რომ ინტერვიუებს მივცემ, გამომადგებაო".**



რობერტმა ქართულ ესტრადაში ნამდვილად დატოვა თავისი მოკრძალებული კვალი. მან მრავალი ახალგაზრდა, ნიჭიერი თაობა აღზარდა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან და ანსამბლ „ორერადან“ დაწყებული, მის ხელში რამდენიმე ჯგუფმა გაიარა, თანაც საკმაოდ დიდი წარმატებებით. როდესაც „ორერამ“ თავისი თავი ამოწურა, „ვია 75“ ჩამოაყალიბა, რომელიც უკვე პროფესიონალებით — კონსერვატორიის სტუდენტებით დააკომპლექტა. „ვია 75“-ის შემდეგ ანსამბლი „ლახტი“ დააარსა.

1996 წელს ახალი ბავშვთა სტუდია ჩამოაყალიბა, რომელსაც რობერტის გარდაცვალების შემდეგ „ბარძიმი“ ეწოდა. სხვათა შორის, ჩემმა მეუღლემ გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისგან კურთხევა მიიღო, რომ რომელიმე ჯგუფისთვის „ბარძიმი“ დაერქმია. მართალია, ეს მისი გვარის შემოკლებული ვარიანტი იყო, მაგრამ ბარძიმი წმინდა სახელია და მისი უწმინდესობის ნებართვის გარეშე მისი დარქმევა არ უნდოდა. ამ ჯგუფის წევრების უმრავლესობა წარმატებული მომღერალი გახდა და სხვადასხვა სატელევიზიო მუსიკალურ კონკურსებშიც სცადეს ბედი. გარდა ამისა, ისინი ძალიან კარგ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ. რობერტი სულ ამბობდა, ჩემი მოსწავლეები თუ ბრწყინვალე მუსიკოსები არ დადგებიან, კარგი მოქალაქეები მაინც იქნებიან, ცუდს არასდროს გააკეთებენო. მისი სიტყვები გამართლდა, ისინი კარგი ადამიანები დადგნენ. ამასთანავე ძალიან კარგი მუსიკოსები არიან.

ყველა ის წარმატება, რაც რობერტს ქართულ სცენაზე ჰქონდა, უდიდესი შრომის ფასად მოვიდა. ყველა ანსამბლთან ჰქონდა პროგრამები, რომლებსაც ყოველწლიურად ცვლიდა. ერთზე მუშაობას როგორც კი დაამთავრებდა, მაშინვე მეორეს იწყებდა და საერთოდ არ ისვენებდა. ჩანაწერებს უსმენდა, კომპოზიტორებთან დადიოდა, დიდ ყურადღებას უთმობდა ტექსტის შერჩევას და ეს მოსამზადებელი პერიოდი 2-3 თვეს გრძელდებოდა.

## შეწყვეტილი სიმღერა

— ჩემი მეუღლე 2003 წლის 5 ივლისს, 69 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. დასვენება არ მჭირდებაო, ამბობდა, არადა ძალიან ბევრს მუშაობდა. რობერტი სწორედ სამუშაო ვითარებაში გარდაიცვალა. ის ლოგინში ჩაწოლილი ან ავადმყოფი არ მახსოვს.

გულმა პირველად გარდაცვალებამდე 10 წლით ადრე შეაწუხა, ინფარქტიც გადაიტანა, მაგრამ მსუბუქ ფორმებში. გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე ცუდად გახდა. მეორე დღეს შაბათი იყო, ჩვეულებრივად ადგა, პირი გაიპარსა და სტუდიაში წავიდა. მე აღვშფოთდი, ვუთხარი, გუშინ ასე ცუდად იყავი და სად მიდიხარ-მეთქი, მაგრამ მაინც წავიდა. იმ დღეს, სტუდიაში წასვლამდე, ტელევიზია „ევრიკაში“ იყო, თავის ბავშვებთან ერთად როკოპერა „საბრალონი“ დადგა. იქიდან სტუდიაში მივიდა და მეც დამირეკა. ვანო აბულაძის გამოფენაზე უნდა წავსულიყავით და ამ საკითხზე დამელაპარაკა. დაახლოებით ერთ საათში სტუდიაში, თავის სავარძელში მჯდომი გარდაიცვალა.



■ პეტერგოფში გადაღებული ფოტო

ასეთი იყო რობერტი — სიცოცხლის ბოლო წუთებიც კი შრომასა და თავისი საყვარელი საქმის კეთებაში გაატარა.

## ქმრის გარეშე

— რობერტის საფლავზე ხშირად გავდივარ. მისი გარდაცვალების დღეს კი ახლობლები და მეგობრები ვიკრიბებით. ვისაც კი ეს დღე ახსენდება, მოდიან და ჩემს მეუღლეს ერთად ვიხსენებთ. წელსაც ასე გავიხსენეთ რობერტი.

ცხოვრება გრძელდება, მაგრამ ის ტკივილი, რაც საყვარელი ადამიანის გარდაცვალებას ახლავს თან, არასოდეს ქრება. მე



■ ვანდა, ზურაბი და რობერტი

კიდევ იმან მიშველა, რომ მისი სტუდიის ბიჭები დამრჩნენ საპატრონო. ჩემი სამსახური მქონდა პედაგოგიურ ინსტიტუტშიდა სტუდიაც ჩემი მეორე სახლი გახდა, რადგან ეს იყო რობერტის დანატოვარი.

თავიდან სტუდიაში მისვლა სევდას მგვრიდა, შემდეგ კი ყურადღება საქმეზე გადავიტანე. ჩემი ქმრის საქმის გაგრძელებამ ტკივილი გადამატანინა. მასზე დარდი სტუდიაში მუშაობით ჩავიკალი. პედაგოგობას თავი დავანებე და დროს მთლიანად სტუდიას ვუთმობ. ასე მგონია, ჩემი მეუღლე ზეციდან მიყურებს და უხარია, რომ მის დანატოვარ საქმეს ვაგრძელებ. ერთმა პროფესორმა სუფრასთან მადლეგრძელა და ასეთი სიტყვები მითხრა, კაცს კარგი ცოლი სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო სჭირდებაო.

უფლის მადლიერი გახლავართ, რომ ასეთი ადამიანის ცოლი ვიყავი და დღემდე მისი მეორე ნახევარი ვარ. რობერტმა შეძლო, არაფერი მოგვკლებოდა და სამივეს ერთად ბედნიერად გვეცხოვრა. არ გეგონოთ, მე და ჩემს ქმარს სულ დალხენილი ცხოვრება გვქონდა. პრობლემებიც იყო და კონფლიქტებიც. ღალატიც იყო, ეჭვიანობაც და მსგავსი რაღაცეებიც. ჩემს ქმარს შავ დღეს ვაყრიდი, მაგრამ ამის გამო ოჯახს ზიანს არასდროს მივაყენებდი. ეჭვიანი ვიყავი, სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო, რადგან რობერტს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. რაღაც პერიოდი სახლის ტელეფონიც კი გათიშული მქონდა, რადგან ქალები ურეკავდნენ. როგორც ყველა კაცს, რა თქმა უნდა, ჩემს მეუღლესაც სიამოვნებდა ასეთი ყურადღება. მე ამაზე საშინლად ვბრაზდებოდი, ის კი მამშვიდებდა, სერიოზული არაფერიაო. ზოგჯერ მატყუებდა კიდეც და ყველაფერს ჩემს ეჭვიანობას აბრალებდა, მაგრამ ვიცოდი, რა და როგორ იყო. ასე რომ, ყველაფერი ხდებოდა, რაც ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შორის შეიძლება მოხდეს, ბევრი კარგიც იყო და ზოგჯერ ცუდიც. ერთი რამ ვიცოდი — სადაც უნდა წასულიყო და რაც უნდა გაეკეთებინა, ბოლოს მაინც სახლში, ჩემთან დაბრუნდებოდა.

✓ თეონა კენჭიაშვილი

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

# „ჩემი ნაშრომისთვის ჯილდო სხვას გადასცეს“



მე 15 წლის გოგო ვარ. სანამ სკოლიდან დაგვითხოვდნენ, ჩემს კლასში რაღაც მოხდა. ვფიქრობდი, რომ ამას ყურადღებას არ მივაქცევდი და დავივიწყებდი, მაგრამ ვერ შევძელი. ახლა კი სახალხოდ ვყვები, რადგან მინდა, ვიღაცეებმა სიმართლე გაიგონ.

მასწავლებელმა გაზეთის გაკეთება დაგვავალა. სხვადასხვა თემაზე მასალები უნდა დაგვეწერა და მერე აგვეკინძა. გაფორმებაზეც ჩვენ უნდა გვეფიქრა. თანაც ეს ყველაფერი ხელით უნდა შეგვესრულებინა. გვთხოვა, კომპიუტერი არ გამოიყენოთო. მე ამ საქმეში მთელი გულით და სულით ჩავერთე. ბავშვებს დაეზარათ და არ ამყვნენ. მე კი ღამეები ვათენე და ძალიან ბევრი საინტერესო მასალა მოვიძიე. დავწერე, ფოტოებით გავაფორმე. ბიბლიოთეკაში დავდიოდი, რომ საუკეთესო გაზეთი გამოსულიყო.

ყველაფერს რომ მოვრჩი, კლასში მივიტანე. კლასელებს ძალიან მოეწონათ. კი არ წაუკითხავთ, უბრალოდ თვალი გადაავლეს. მერე ერთ-ერთმა კლასელმა მითხრა, ამას ბიძაჩემს წავუღებ, სამსახურში სპეციალური ხელსაწყო აქვს და ავაკინძვინებო. ბიძამისს თურმე ძალიან მოეწონა და ლამაზი გარეკანი გაუკეთა.

მასწავლებელმა საბოლოო ნამუშევარი რომ ნახა, გადაირია, შეგვაქო, ბავშვებო, კარგად გიმუშავიათო. ჩვენს სკოლაში ასეთი წესია, ვინც რაღაცით გამოიჩენს თავს, გრანტის სახით გარკვეულ თანხას აძლევენ, რომელიც ისევ სკოლის საქმეებისთვის უნდა დახარჯო. ჩემმა გაკეთებულმა გაზეთმა ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, ეს გრანტი ჩვენთვის მოეცათ.

ერთ დღესაც, როცა თანხის გადაცემის დრო დადგა, ხუთი კლასი შეგვკრიბეს, მასწავლებლები მოვიდნენ და ამ გაზეთის განხილვა დაიწყეს. ბოლოს ჩვენი კლასის დამრიგებელი ადგა და თქვა, განსაკუთრებული წვლილი ერთ ბავშვს მიუძღვის და თანხასაც მას გადავცემთ, მერე კი თვითონ გადაწყვიტოს, რას მოახმარსო. მე შემრცხვა, გავწითლდი. ვფიქრობდი, რომ მე მაქებდა და თავი უხერხულად ვიგრძენი. წარმოვიდგინე, რომ ამდენი ბავშვის წინაშე მომიწევდა გასვლა. უცებ კი ჩემი კლასელის სახელი და გვარი გამოაცხადა, ანუ იმ ბავშვის, ვისმა ბიძამაც გაზეთი აკინძა.

ყურებას არ ვუჯერებდი, ვფიქრობდი, შეცდომას გამოასწორებენ და მე დამიძახებენ-მეთქი, მაგრამ ის გოგო ურცხვად გავიდა და ჯილდო გამოართვა, თან დიდი მადლობა გადაიხადა, რომ ასე დააფასეს. თავი შევიკავე, რომ მთელი ხმით არ ავტირებულიყავი. საშინლად ვიგრძენი თავი და დარბაზიდან გავვარდი. იმ დღეს სკოლაში არც მივსულვარ, არც კლასელებს დაველაპარაკებივარ.

ვთქვათ, მასწავლებელს შეეშალა, მაგრამ იმ გოგოს როგორ არ შერცხვა, ჩემი ნაშრომი რომ მიითვისა?! მან ხომ კარგად იცის, რომ არაფერი გაუკეთებია, მასალებში ერთი მძიმეც კი არ დაუსვამს. სხვა კლასელებისაც ძალიან მიკვირს. როგორ არ თქვეს, რომ უსამართლოდ მომექცნენ?! შეიძლება ისინი მარტო ლამაზმა გარეკანმა მოხიბლა და სულ არ აინტერესებთ, იქ რა წერია. არადა იმდენი ვიშრომე. თურმე სულ ტყუილად, მადლობაც კი არავინ მითხრა. ამის შემდეგ საერთოდ აღარაფერს გავაკეთებ. რა აზრი აქვს, თუ არავინ დაინახავს?

ბავშვებისთვისაც არაფერი მითქვამს, რადგან იტყოდნენ, კლასელის შეშურდაო. იმ გოგომ იმ ფულით სულელური ფოტოაპარატი იყიდა. ექსკურსიებზე ან სადმე რომ წავალთ, დაგვჭირდებაო. მე კი სულ სხვა რაღაცის გაკეთებას ვაპირებდი, მინდოდა, რამდენიმე სოციალური აქცია მოგვეწყო, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკსაც აზრი აღარ აქვს. იმასაც ვფიქრობ, ღირს თუ არა იმ სკოლაში სწავლის გაგრძელება, სადაც შენს შრომას სათანადოდ არ აფასებენ.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.
თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru ანონიმურობა დაცულია

# „მეგობრის დედა ჩემდამი შურს ვეღარ მალავს“

დედისერთა გოგო ვარ და მშობლები ყოველთვის დიდ ყურადღებას მითმობდნენ. მათმა მუდმივმა კონტროლმა კარგ მოსწავლედ მაქცია. რამდენიმე კონკურსში საპრიზო ადგილიც მივიღე. მშობლებს ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ძალიან ახარებთ და ხშირად მაქებენ, კარგი გოგო ხარო.

ჩვენ მეზობლად ცოლ-ქმარი ცხოვრობენ. მათ ოჯახში ხშირად ვარ, რადგან ჩემი ტოლი გოგონა ჰყავთ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტა საერთო ინტერესი გვაქვს, მასთან ვმეგობრობ. სწავლა დიდად არ ხიბლავს. მისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მე როგორი მოსწავლე ვარ, რასაც დედამისზე ვერ ვიტყვი.

მეგობრის დედა ყოველთვის გაღიმებული კი მეგებებოდა, მაგრამ რაღაცნაირად, გამომცდელად მიმზერდა ხოლმე. ყოველთვის ისეთ სასაუბრო თემას ეძებდა, რომელიც მისმა შვილმა ჩემზე უკეთ იცოდა. რამდენჯერმე შევამჩნიე, დედაჩემი რომ მაქებდა, უსიამოვნო გამომეტყველება მიიღო და საუბარი მაშინვე სხვა თემაზე გადაიტანა.

ერთხელ, როცა დედა ჩემი წარმატების შესახებ უყვებოდა, შეაწყვეტინა და უთხრა, შენი შვილი გაკვეთილების დაზეპირებაშია მაგარი, თორემ შეიძლება მისი შინაარსი სულაც არ ესმისო. ისიც დააყოლა, შენ სულ დაქალებში დადიხარ და ვერ ხვდები, როგორ სწავლობსო. ზუსტად იმ დროს გაკვეთილს ვსწავლობდი და ისე გავბრაზდი, მაშინვე შეპასუხება მომინდა, მაგრამ თავი შევიკავე. დედაჩემიც მოერიდა სიტუაციის გამწვავებას და არაფერი უთხრა. სტუმარმა კი საუბრის თემა უდარდელი ტონით შეცვალა და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოყოლა გააგრძელა.

იმ დღიდან მის მიმართ განსაკუთრებული ანტიპათია გამიჩნდა, მათთან აღარც მივსულვარ, მეგობარს კი ჩემთან ახლაც ხშირად ვეპატიჟები. დედამისი ყველგან ლაპარაკობს, რომ მისი შვილი ყველაფერში მჯობია. ამას წინათ ერთმა მეზობელმა მითხრა, „ზუბრიაჩკას“ გეძახისო. ჩემს მეგობარსაც არ მოსწონს დედამისის საქციელი, ისიც ხვდება, რომ ერთმანეთს გვაჯიბრებს, ამიტომ მასთან კონფლიქტი ხშირად მოსდის. მეშინია, იმ ქალმა ჩვენს მეგობრობას საფრთხე არ შეუქმნას, რადგან ჩემ მიმართ შურს ვეღარ მალავს.

**მკითხველი, 14 წლის**



# „ჩემი შეყვარებულის ძმაკაცმა სიყვარული ამიხსნა“

შარშან ჩვენს სკოლაში ახალი მოსწავლე გადმოვიდა. ის ბიჭი მაშინვე შემიყვარდა, რადგან ყველასგან განსხვავებულია. თავდაპირველად ჩემ მიმართ გულგრილი იყო, ყურადღებას არ მაქცევდა, მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა, თანდათან ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს და ბოლოს სიყვარული ამიხსნა. ამ არდადეგებზე კი რაღაცეები შეიცვალა.

სოციალური ქსელით მისი ძმაკაცი გავიცანი, რომელიც კომუნიკაბელური და მხიარული პიროვნება აღმოჩნდა. გაცნობის შემდეგ ხშირად ვწერდით ერთმანეთს, რამდენჯერმე ვნახე კიდეც, მაგრამ ყოველთვის ვახსენებდი, რომ ჩვენი დამაკავშირებელი ხიდი მისი მეგობარი იყო. არდადეგები დაიწყო თუ არა, ჩემი შეყვარებული სოფელში წავიდა დასასვენებლად. მისი ძმაკაცი კი ქალაქში დარჩა და რამდენჯერმე შეხვედრა მთხოვა, მეც დავთანხმდი. ორჯერ კინოშიც გავყევი და ბევრი ვიმხიარულეთ.

მასთან ურთიერთობა იმიტომ უფრო მსიამოვნებდა, რომ ჩემს შეყვარებულზე ბევრს მიამბობდა... რამდენიმე დღის წინ კი სიყვარული თვითონ ამიხსნა. ამან ძალიან დამაბნია. შევახსენე, რომ მისი ძმაკაცის შეყვარებული ვიყავი, მაგრამ ამან არ გაჭრა. ისევ იმეორებს, რომ მას უფრო ვუყვარვარ. მე იგნორირება გავუკეთე და აღარ ველაპარაკები, მაგრამ ის საოცარ რაღაცეებს მწერს. ახლახან მესიჯი გამომიგზავნა, შენი შეყვარებული დაგცინის, არ უყვარხარ, სოფელში იმ გოგოსთან ერთად არის, ვინც მართლა უყვარსო. იმ გოგოს ფოტოებიც გამომიგზავნა.

შეყვარებულს დავურეკე და ვთხოვე, სიმართლე ეთქვა. ეჭვიანობის გამო გამიბრაზდა და აღარ მელაპარაკება. ძალიან ავირიე, აღარ ვიცი, რომელს დავუჯერო. დაქალი მეუბნება, რომ ჩემი შეყვარებულის ძმაკაცი ცუდად იქცევა და ტყუილებს მეუბნება. ამას მეც ვხვდები, მაგრამ ეჭვის ჭია მაინც მღრღნის გულს. იქნებ ჩემი საყვარელი ბიჭი მატყუებს და მართლაც სხვა გოგო უყვარს?

**თქვენი ერთგული მკითხველი, 16 წლის**



Cyan Magenta Yellow Black

გამოხმაურება

## „დეიდაშვილმა ჩემს მშობლებთან დამაპირისპირა“

ჟურნალ „სარკის“ 27-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ბიძაშვილი ჩემს ცხოვრებას აკონტროლებს“. ამ სტატიამ გადამაწყვეტინა, ჩემს დეიდაშვილზე მომეყოლა. ჩვენ გოგოები ვართ, თანაც თანატოლები. თითქოს ერთმანეთის კარგად უნდა გვესმოდეს, მაგრამ სულ ვჩხუბობთ. ის რაღაცნაირი ბავშვია, სულ ცდილობს, ნერვები მომიშალოს.

პატარაობიდან ასე იქცეოდა, სულ ჩემს გაღიზიანებას ცდილობდა. რამეს რომ იყიდდნენ ჩემთვის, ის ტირილს იწყებდა და მართმევდა. ამის გამო ხშირად ვცემდი კიდეც, მაგრამ მერე უარეს დღეში მე მაგდებდნენ, ყველა მე მეჩხუბებოდა. ბებო დღემდე თვლის, რომ მას ვჩაგრავ, დედაჩემიც მეუბნება, ერთადერთი დისშვილი მყავს და იმასაც ვერ იტანო. არ უნდათ დაინახონ, რომ ცუდად იქცევა.

ჩემთან სულ კონფლიქტი აქვს, მაგრამ მაინც გვერდიდან არ მშორდება, ჩუმ-ჩუმად მაკვირდება და მერე ჩემებთან ენას ატლიკინებს. ამას წინათ „ფეისბუქში“ ვჩატაობდი, ის გვერდით მეჯდა, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რომ კითხულობდა. ვიფიქრე, მარტო ფოტოებს ათვალიერებდა. სოციალურ ქსელში ერთ ბიჭს ვწერ. ვშაყირობთ, ვითომ ერთმანეთი გვიყვარს. ამას ფლირტიც სახეც არ აქვს, უბრალოდ ბევრს ვიცინით ხოლმე. ხუმრობით მომწერა, ამ ზაფხულს გავიპაროთ, ჩვენი ბუდე შევქმნათო. მეც მივწერე, ეგრე მოვიქცეთ, თორემ შენი სიყვარული უკვე ტანჯვად მექცა-მეთქი.

ეს ყველაფერი ჩემმა დეიდაშვილმა აკრიფა და ჩემს მშობლებს სიტყვასიტყვით ჩაუკაკლა. ამის გამო საშინელ დღეში ჩამაგდეს. მამამ ყველა შარვალი დამიჭრა, მითხრა, ამის ღირსი არ ხარო. დედამ კი გამომიცხადა, რომ წელს დასასვენებლად არ წავალ. დეიდაშვილმა ფაქტობრივად მშობლებთან დამაპირისპირა. ძალიან ვეჩხუბე, ხმას არ ვცემ, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც ყველა მე მამტყუნებს.

ამბობენ, რომ მე ცუდი გოგო ვარ, ჩემი დეიდაშვილი კი წესიერი, დამჯერი ბავშვია. დედამ მითხრა, ასეთი ცუდი როგორ გაგზარდეო. მის ამ სიტყვებს არასოდეს დავივიწყებ. თუ ცუდი ვარ, სულაც წავალ სახლიდან, მათი არაფერი მჭირდება! ის „კარგი“ გოგო ჰყავდეთ შვილად და მისით იამაყონ!

„სარკის“ ერთგული მკითხველი

## „12 წლის ბიჭს დედის დევნა რაში მჭირდება?!“

ჟურნალ „სარკის“ 27-ე ნომერში დაიბეჭდა სტატია — „მშობლებმა ანსამბლთან ერთად გასტროლებზე არ გამიშვეს“. მშობლები ზოგჯერ ძალიან სასტიკად გვექცევიან. მამამ მეც ძალიან მაწყენინა, ექსკურსიაზე არ გამიშვა. დედას არ ეცალა, ვერ მომყვებოდა და ამიტომ არც მე გამიშვა.

მითხარით, 12 წლის ბიჭს დედის დევნა რაში მჭირდება, დედიკოს ბიჭი ხომ არ ვარ?! მშობლებს ამას ვერ ვაგებინებ.

მკითხველი

## „ჩვენი კლასის გამო მასწავლებელი დასაჯეს“

ჟურნალ „სარკის“ 26-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „მასწავლებელი მიგვიხვდა, რომ ვატყუებდით“. ბავშვები ზოგჯერ მართლაც ძალიან ცუდად ვიქცევით. ვერ ვხვდებით, ჩვენი სიცელქე და ხუმრობა ზედმეტობაში როგორ გადადის. შარშან ერთი მასწავლებელი გვყავდა, რომელიც ძალიან თბილად გვექცეოდა, არ გვიყვიროდა, მკაცრი არ იყო. ჩვენ კი ისე გავთავხედდით, რომ მას აღარც კი ვუსმენდით. კლასში ყირაზე გადავდიოდით.

ცოტა ხანში მთელი სკოლა ალაპარაკდა, რომ დისციპლინა არ ჰქონდა და მასწავლებლობა მისი საქმე არ იყო. ჩვენ არც ამას მივაქციეთ ყურადღება და ძველებურად გავაგრძელეთ. მერე ცოტა რომ გამკაცრდა ჩვენ მიმართ, ვერც ეს ავიტანეთ და უარესად დავიწყეთ მისი გაბრაზება. ბოლოს კიდევ რაღაცეები მოხდა და ის სკოლიდან დაითხოვეს...

მთელ კლასს სანანებელი გვაქვს, რომ პედაგოგს ასე მოვექეცით. ამას ნამდვილად არ იმსახურებდა.

თქვენი მკითხველი, 16 წლის

## „დირექტორმა საუკეთესო დაქალები ერთმანეთს გადაგვკიდა“



მე და ჩემი ბიძაშვილი ერთ კლასში ვსწავლობთ. ის ძალიან კარგი მოსწავლე და ჩემი კარგი მეგობარია. კლასში კიდევ გვყავს ერთი მეგობარი და ჩვენ, სამი გოგო, თითქმის სულ ერთად ვართ. ქულებსაც კი ერთნაირს ვიღებთ. მე და ჩემი ბიძაშვილი ძალიან ვგავართ ერთმანეთს და ეს არავის უკვირს, მაგრამ იერით იმ გოგოსაც ძალიან გვამსგავსებენ. უცხოებს დები ვგონივართ.

ამას წინათ რაღაც პროექტის დაწერა მოგვთხოვეს და სამივემ ერთად გავაკეთეთ. ისე მოხდა, რომ ამ პროექტმა რაიონში გაიმარჯვა. დირექტორმა კაბინეტში დაგვიბარა და გვითხრა, პროექტის ხელმძღვანელად ერთ-ერთი უნდა დაასახელოთ, რომელსაც პრიზს გადასცემენო. რატომღაც მე მითხრა, შენ აირჩიე, ვინ ჩავწეროთო. ძალიან უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. დირექტორმა ისევ გამიმეორა, ყველაზე კარგად შენ იცი, ამ პრიზს ვინ უფრო იმსახურებთ, ამიტომ დროულად გადაწყვიტეო. მეგობარმაც და ბიძაშვილმაც გაღიმებული სახეებით შემომხედეს. მე ორივეს დაბნეული ვუყურებდი.

ყველამ თანაბრად ვიმუშავეთ და ვიაქტიურეთ, მაგრამ ბიძაშვილმა რაღაც საკითხებში განსაკუთრებული გულმოდგინება გამოიჩინა. შეიძლება ითქვას, ჩვენ სამიდან პრიზი ყველაზე მეტად მას ეკუთვნოდა, მაგრამ მისი დასახელება მაინც მერიდებოდა. დირექტორს ვთხოვე, ვერ ავირჩევ, თქვენ გადაწყვიტეთ-მეთქი. მან კი მიყვირა, ამდენი დრო არ მაქვს, ჩქარა მითხარიო. ვიფიქრე, საუკეთესო მეგობარი გამიგებს, თუ ხელმძღვანელად ბიძაშვილს დავასახელებ-მეთქი. ასეც მოვიქეცი და მისი მონაცემები შეიტანეს საბუთებში.

კლასში დაბრუნებისას მეგობარმა გადამკოცნა, მითხრა, სწორად მოიქეციო, მაგრამ თავისი საქციელით მაგრძნობინა, რომ ეწყინა. ჯერ ერთი, პრიზის გადაცემისას სამივე იქ უნდა ვყოფილიყავით, ის კი არ წამოვიდა. მეორეც, კლასელებთან ლაპარაკი დაიწყო, რომ უსამართლოდ მოვექეცი. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ ამბავში დედამისი ჩაერთო. ბებიაჩემს დაურეკა და უთხრა, ნათესაური მაფიაა თუ რა არის, ჩემი შვილი რომ დაჩაგრეთო. სინამდვილეში ჩემი ბიძაშვილი მართლა იმსახურებდა პრიზს, მაგრამ შეცდომაც რომ დამეშვა, ჩემი აზრით, ასე მაინც არ უნდა მოქცეულიყვნენ. მეგობარს „ფეისბუქით“ მივწერე რაღაცეები, მაგრამ არ მიპასუხა. მერე კი მეგობრების სიიდანაც ამომშალა.

ახლაც მგონია, რომ სამართლიანი არჩევანი გავაკეთე, მაგრამ დედამ გამამტყუნა. მითხრა, ბიძაშვილი უფრო გაგიგებდა, ის უნდა დაგესახელებინაო. შეიძლება მართლაც ცუდად მოვიქეცი და მეგობარს გული ვატკინე. იმის გამო, რომ არ მეკონფლიქტება, ჩემი საყვარელი ჟურნალიდან მივმართავ: გთხოვ, მაპატიე, მართლა არ მეგონა, ასე თუ განაწყენდებოდი. ყველაფერი დირექტორის ბრალია, თავისი საქციელით საუკეთესო დაქალები ერთმანეთს გადაგვკიდა. მინდა, მეგობარს ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს.

მკითხველი, 15 წლის

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.





Cyan Magenta Yellow Black

# ანრი ჯოხაძე ახალ სკანდალს აცხობს



მომღერალი ანრი ჯოხაძე უკვე აღარ ხუმრობს, ის სერიოზულად გადაეშვა რეჟისურაში. ზედიზედ გადაიღო კლიპები, რომლებიც ერთიმეორეზე წარმატებული აღმოჩნდა. მისმა ბოლო ნამუშევარმა, სადაც მსახიობ გურამ საღარაძის კადრებია გამოყენებული, ყველაზე კრიტიკული მსმენელი, „ფეისბუქის“ მომხმარებელიც კი დადებითად განაწყო. უარყოფით კომენტარებს აშკარად ყველა მოერიდა. ანრი ამბობს, რომ გაჩერებას არ აპირებს და მალე ახალ სკანდალს გამოაცხობს. მანამდე კი ბულგარეთში კარგად დასვენებას აპირებს. სხვათა შორის, ერთი ზედმეტი საგზური აქვს და კასტინგს აცხადებს, ვინ წაიყვანოს თან. სრულიად უცნობ ადამიანსაც კი ეძლევა შანსი, მასთან ერთად ოქროს ქვიშებზე დაისვენოს.

**— ანრი, სოციალურ ქსელში თქვენს ბოლო კლიპზე ბევრი კომენტარი დაიწერა, უარყოფითს დადებითი აშკარად ჭარბობდა. თავად როგორ შეაფასებთ საკუთარ ნამუშევარს?**

— პირველ რიგში, ვიტყვი, რომ ღმერთმა ძალიან დიდი შემოქმედებითი საჩუქარი გამომიგზავნა, ის, რაზეც ნებისმიერი შემოქმედი იოცნებებს. წლები რომ გავა, ჩემი ნამუშევრებით ვიამაყებ, ვიტრაბახებ კიდეც და ვიტყვი, აი, ეს მე გავაკეთე-მეთქი. წლების შემდეგ ეს სიმღერა და კლიპი თანამედროვე ქართული კულტურის მარგალიტი იქნება.

ამ ბოლო დროს ხშირად აღვნიშნავდი, რომ „ფეისბუქი“ ბოროტების სავანედ გადაიქცა. ამ ქსელის საშუალებით დიდი დოზით ენთხევა ბოღმა და შური. კლიპის ტელეპრემიერის შემდეგ, არ იცით, ჩემი „ფეისბუქის“ გვერდზე რა ხდებოდა. კლიპი ყველამ გაიზიარა, კეთილგანწყობა აშკარად იგრძნობოდა. მერე ვხუმრობდი, „ფეისბუქი“ ერთი დღით მაინც ხომ გავაკეთილშობილე-მეთქი. უამრავი სითბო და სიყვარული მივიღე. ეს კლიპი ჩემს შემოქმედებაში კიდევ ერთი დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია.

**„ეს იქნება გამაოგნებული იდეა, რომელიც წლებია აკვიატებული მაქვს და ახლა ვაპირებ ფრთების შესხმას. თუ მართლაც შევძელი, ვიქნები ყველაზე ბედნიერი ქართველი, პატრიოტი მომღერალი“.**

**— როგორ გაჩნდა ამ კლიპის შექმნის იდეა და როგორ განხორციელდა?**

— მაშინ გურამ საღარაძე ცოცხალი იყო, მის ქალიშვილს, მარინას დავუკავშირდი და ჩემი იდეა გავანდე. ძალიან მოეწონა და გურამს დაელაპარაკა. ბატონ გურამს მოძრაობა უჭირდა, თუმცა მარინამ ის მაინც დაითანხმა. მოლაპარაკებიდან სამი დღის შემდეგ გადაღებები დავნიშნეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონი გურამი გარდაიცვალა... ეს იყო ჩემთვის ორმაგი ტრაგედია, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ასეთი არტისტი წავიდა ამქვეყნიდან და მეორე, მასთან თანამშრომლობა ვერ მოვასწარი.

თავს ვერ ვაპატიებდი, რომ ეს პროექტი არ გამეკეთებინა. სოციალურ ქსელებში გურამ საღარაძის მიერ წაკითხული პეტეფის ლექსის „მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ...“ სხვადასხვა ვერსია რომ ვნახე, ფონად ყველას მუსიკა ედო. საბედნიეროდ, ერთადერთი მაღალი ხარისხის ჩანაწერი საზოგადოებრივი რადიოს არქივში აღმოჩნდა, 12 წლის წინ არის გაკეთებული.

**— მსახიობის ოჯახის წევრებმა როგორ მიიღეს თქვენი ნამუშევარი?**

— მათგან ძალიან დადებითი შეფასებები მივიღე. მარინა საღარაძე პროგრესულად მოაზროვნე ქალბატონია. ზუსტად მიხვდა, რას ვაკეთებდი და ბოლომდე გამომყვა. მადლობა მას!

**„ბატონ გურამს მოძრაობა უჭირდა, თუმცა მარინამ ის მაინც დაითანხმა. მოლაპარაკებიდან სამი დღის შემდეგ გადაღებები დავნიშნეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონი გურამი გარდაიცვალა... ეს იყო ჩემთვის ორმაგი ტრაგედია, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ასეთი არტისტი წავიდა ამქვეყნიდან და მეორე, მასთან თანამშრომლობა ვერ მოვასწარი“.**

**— ალბათ ადვილი არ იქნებოდა, გურამ საღარაძის კადრები ხმისთვის ასე ოსტატურად დაგემთხვიათ.**

— გეთანხმებით, ეს ცალკე პრობლემა იყო. გურამ საღარაძის მიერ ამ ლექსის კითხვის ვიდეოვერსია ძლივს მოვიძიე. მისი ისეთი კადრები მინდოდა, როგორიც ის სიცოცხლის ბოლოს იყო. ბატონი გურამის მთელი გენიალურობა იმაში იყო, რომ ლექსებს ყოველ ჯერზე სხვადასხვანაირად კითხულობდა. ამიტომაც კადრი და მისი პირის მოძრაობა რთული დასამთხვევი იყო. კლიპის გადაღებაზე რომ მიდგა საქმე, იდეა მომივიდა, რომ ეს აუცილებლად რუსთაველის თეატრის კედლებში ყოფილიყო. გადასაღებ მოედანზე მოვიწვიე ის ქალები, რომლებსაც სცენაზე ბატონ გურამთან უშუალო შეხება ჰქონდათ. იანვრიდან ივლისის ბოლომდე ამ პროექტს ვუტრიალებდი, მინდოდა, ისეთი გამოსულიყო, როგორიც ამ მსახიობს ეკადრებოდა.

**— პირადად იცნობდით გურამ საღარაძეს?**

— მასთან მეგობრობის შანსი არ მომცემია, სულ რამდენჯერმე შევხვედრივარ, მაგრამ, როცა ერთმანეთს ვხედავდით, თბილად მესალმებოდა, რაც ჩემთვის დიდ პატივი იყო.

**— თქვენს კლიპში მინიშნებულია მსახიობის ერთ გატაცებაზეც — აზარტზე.**

— კი, ბატონო, კლიპის ერთ-ერთ კადრში ხელი ჩანს, რომელიც ბანქოს ათამაშებს. ეს ყოველივე შეიძლება ცხოვრებისეულ თამაშსაც დავუკავშიროთ და პირად, ძალიან დიდ სიყვარულს აზარტული თამაშების მიმართ. კლიპში მინდოდა, გამომეყენებინა სიყვარულის გამოხატვის სხვადასხვა ფორმა. როცა მე ვმღერი და ბატონი გურამი კითხულობს, ია სუხიტაშვილი ჟესტების ენით საუბრობს, რაც ძალიან ემოციურია. თათული დოლიძე უსინათლო ქალის როლს საოცრად თამაშობს. ქეთი სვანიძე ჩელოსთან ზის, თითქოს არაფერს აკეთებს, მაგრამ თვალებით გელაპარაკება, მასში დიდი ვნება დევს. მარინა კახიანი არის ქალი მსხვერპლი, მისი სცენის დროს სპეციალურად გამოვიყენე ნიღაბაფარებული ბიჭები. ეს სცენა გამოხატავს მამაკაცების არასწორ საქციელს ქალების მიმართ. აქ პარალელიც არის გავლებული, რომ გურამ საღარაძისნაირი რაინდი, მოსიყვარულე მამაკაცი აღარ არის. მთელმა საქართველომ იცის, როგორ უყვარდა მეუღლე ტანია ბუხბინდერი. ამ დროს რეალურ სამყაროში რჩებიან ისეთი ნაძირალები, რომლებიც ქალებს ძარცვავენ.

**— ჟესტიკულაციის ენა სმენადაქვეითებულებისთვის გამოიყენეთ?**

— ის ადამიანებიც, რომლებსაც სმენის და მეტყველების უნარი აქვთ შეზღუდული, გაიგებენ, რაზე ვმღერი. აქ არის გამოყენებული ყველა ის საკვანძო წინადადება, რაზეც შანდორ პეტეფის ლექსია აგებული. ვამაყობ, რომ ამ კლიპით სმენადაქვეითებულთა მიმართ სოლიდარობა გამოვხატე. ამით ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია დავაფიქსირე. იმ ადამიანებს, ვისაც ასეთი პრობლემა აქვთ, მხარდაჭერა გამოვუცხადე.

**— ია სუხიტაშვილმა ამ კლიპისთვის ისწავლა ჟესტების ენა?**

— რასაკვირველია, იამ სპეციალურ სკოლაში იარა და ისწავლა.

**— მაღალბიუჯეტიანი კლიპი ჩანს. რა სახსრებით მოახერხეთ ამის გაკეთება?**

— არ ამომიჭრათ, რასაც ახლა ვიტყვი: ანრი ჯოხაძის კლიპებს ღირსეული და ჭკვიანი ადამიანები აფინანსებენ! მინდა, მადლობა ვუთხრა ბიზნესმენ რომან ფიფიას, რომელიც ფინანსურად დაგვიდგა გვერდში.

**— ბარემ ისიც გვითხარით, რამდენი იყო კლიპის ბიუჯეტი.**

— დაკონკრეტება საჭირო არ არის, რადგან სხვები ამას სათავისოდ გამოიყენებენ, თუმცა ერთს ნამდვილად დაგიდასტურებთ, რომ კლიპი საკმაოდ მაღალბიუჯეტიანია. ასევე კლინიკა, სადაც თავის დროზე თმა გადავინერგე, ფინანსურად გვერდში დამიდგა. რა პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, დღევანდელ გაბოროტებულ საქართველოში ასეთი მეცენატი ტიპები ჯერ კიდევ არსებობენ. ყველა ბიზნესმენს მოვუწოდებ, რომ ამ ადამიანებს მიჰბაძონ.

**— თქვენ, როგორც მომღერალმა, იდეის ავტორმა და რეჟისორმა, ფინანსური მოგება ნახეთ?**

— დამიჯერეთ — არა! ჩემი მოგება ყოველდღიური, სამოძრაო ხარჯი იყო. ფინანსები სად უნდა დავზოგო, ჩემს შემოქმედებაში?! ეს ხომ გამორიცხულია!

**— როგორ შეძელით მსახიობი ქალების დათანხმება?**

— ამ არაჩვეულებრივი ქალების ნაშრომში რაც ყველაზე მეტად მომწონს, ისაა, რომ მოძრაობა მინიმუმამდეა დაყვანილი, მარინა კახიანს არ ვგულისხმობ. უდავოა, რომ ისინი სუპერპროფესიონალები არიან. რაც შეეხება მათ დათანხმებას, აქ არის ნდობის ფაქტორი. ისინი იცნობენ ანრი ჯოხაძეს, როგორც პერსონას. დარწმუნებულები იყვნენ, რომ კლიპში ღირსეულად იქნებოდნენ წარმოჩენილი.

**— სიმღერის არანჟირებაც თქვენ გეკუთვნით. არ ფიქრობთ, რომ საკუთარ თავზე ბევრს იღებთ?**

— ის, რაც შემიძლია თავად ვაკეთო, სხვას რატომ უნდა ვანდო? ბერდია ბერიაშვილის ლექსზე მუსიკა თავად დავწერე. მისი არანჟირებაც მე მეკუთვნის.

**— ალბათ ოქროს შუალედის დაჭერაც იყო საჭირო, რომ გურამ საღარაძეს თქვენი შემოქმედება არ დაეჩრდილა.**

— ამ შემთხვევაში ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული, ვცდილობდი, ყველაფერი სწორად დამებალანსებინა. გურამ საღარაძე იმდენად დიდია და ამოვარდნილია რაღაც ჩარჩოებიდან, ძნელია რამეში დაეწიო, მით უმეტეს, მაშინ, როცა ის აღარ არის ცოცხალი.

**— ამ კლიპის შემდეგ თავს ფუფუნების საშუალება მიეცით — საქართველოს ჰიმნი ჩაწერეთ და კლიპიც გადაიღეთ. ამაზეც გვიამბეთ.**

— საქართველოს ჰიმნის ჩაწერის იდეა უცებ გამიჩნდა და რომ არა რომან ფიფიას გადმორიცხული თანხა, რომელიც გურამ საღარაძის კლიპისთვის მივიღე, ვერაფერსაც ვიზამდი. სპონტანური ადამიანი ვარ, გამახსენდა, რომ ეს არავის გაუკეთებია, ჰიმნი ჩავწერე და მასზე კლიპიც გადავიღე. ხომ იცით, გახსნილი ადამიანი ვარ, სიმართლეს გეტყვით — ის ორიგინალი, კლასიკური ვერსია ძალიან ცუდი ჩანაწერია.

**— ეს თქვენი მხრიდან ძალიან ხმამაღალ ნათქვამად ჟღერს.**

— კი, ბატონო, ასეა! ჩვენ გვაქვს გენიალური ჰიმნი, უბრალოდ კლასიკური ვერსია თავიდან არის ჩასაწერი და ამაში ნებისმიერი პროფესიონალი მუსიკოსი დამეთანხმება. ეს არის ძალიან ცუდად ჩაწერილი ჰიმნი. ამით იმას არ ვამბობ და არც იმის პრეტენზია მაქვს, რომ საქართველოს ჰიმნის საუკეთესო შემსრულებელი ვარ. მე ვარ ესტრადის მომღერალი, რომელსაც ჰიმნის მღერა მოუნდა. მას კლასიკური ხაზი არ დავუკარგე და შევეცადე, რომ მოწოდების სიმაღლეზე ვყოფილიყავი.

ამ ყველაფერს კატასტროფულად მოკლე ხანში მოვაბი თავი. ჰიმნის ჩაწერის იდეა 24 მაისს მომივიდა, წავედი და ჩავწერე, 25 მაისს კლიპი გადავიღე, დავამონტაჟე და 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ჩემი ნამუშევარი ეთერში გავიდა. ეს ყველაფერი ჩემს ენერგიაზე და ფიზიკურ რესურსებზე იყო დამოკიდებული.

**— ახლა თქვენგან რა სიახლის მოლოდინში უნდა ვიყოთ?**

— სულ მალე ერთ დიდ სკანდალს გამოვაცხობ — ღირსეულს და ამავე დროს შოკისმომგვრელს. ეს იქნება გამაოგნებული იდეა, რომელიც წლებია აკვიატებული მაქვს და ახლა ვაპირებ ფრთების შესხმას. თუ მართლაც შევძელი, ვიქნები ყველაზე ბედნიერი ქართველი, პატრიოტი მომღერალი. ამ ყოველივეზე მე და თქვენ დეტალურად ვისაუბრებთ, ოღონდ მოგვიანებით.

**— თქვენი ზაფხულის გეგმები როგორია?**

— დასასვენებლად ბულგარეთში, ოქროს ქვიშებზე ვაპირებ წასვლას. ჩემმა მეგობარმა ტურისტულმა სააგენტომ რამდენიმე საგზური მაჩუქა. ერთი საგზურით მეტი მაქვს, ამიტომ სოციალური ქსელით გამოვაცხადე კასტინგი. მსურველების გამოხმაურების შემდეგ მოვიფიქრებ, ვის წავიყვან. არ აქვს მნიშვნელობა, ის ჩემი ახლო მეგობარი იქნება თუ სხვა. კანდიდატს ველოდები. ამ ეტაპზე ქველმოქმედების დიდი სურვილი ამ მცირე საჩუქრით მაქვს.

✓ ლანა კიკნაძე

# ვერიკო ტურაშვილი: „ამ სიყვარულზე უარს მხოლოდ შვილი თუ მათქმევინებს“



6 წლის წინ, როცა მომღერალ ვერიკო ტურაშვილის ცხოვრებაში ყველაფერი — პირადულიც და შემოქმედებითიც — ის-ის იყო იწყებოდა და ახალგაზრდა ქალი წინ იმედებითა და ოცნებებით იყურებოდა, მოულოდნელი განსაცდელი დაატყდა თავს — ქმარი გარდაეცვალა. ვერიკო 3 წლის შვილით მარტო დარჩა. საბედნიეროდ, მის ცხოვრებაში მეგობრები ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ და, რაც მთავარია, მასთან ყოველთვის არის სიმღერა. ის მძიმე პერიოდიც სიმღერით გადალახა. რაც უფრო უჭირდა, მით უფრო მეტს მღეროდა. დღეს კი მის ცხოვრებაში ახალი სიყვარულია. ამის შესახებ ვერიკომ „სარკესთან“ გაამხილა.

**— ვერიკო, როგორი ზაფხული გაქვთ, რას აპირებთ ამ ცხელ სეზონზე?**

— წინასწარ დაგეგმილი ცხოვრება ნამდვილად არ მაქვს, ერთი კი დაზუსტებით ვიცი, ამ ზაფხულს შვილთან ერთად დავისვენებ. პარალელურად თუ სამუშაო მექნება, ძალიან გამიხარდება, ჩემთვის ეს ყველაზე კარგი ვარიანტია. ბოლო პერიოდში ბევრს ვმუშაობ, ორი ვიდეოკლიპი გადავიღე და რეპერტუარიც განვაახლე. ერთ-ერთ რეპერთან დუეტს ვწერ, თუმცა არა მგონია, ამ ზაფხულს კლიპის გადაღება მოვასწრო.

**— თქვენს კლიპს „რაც ამქვეყნად სიყვარული მეფობს“, რომლის რეჟისორიც ანრი ჯოხაძეა, როგორი გამოხმაურებები მოჰყვა, კმაყოფილი ხართ? გოგი დოლიძის შემდეგ მისი შესრულება, თანაც ქალისგან, ცოტა სახიფათო ნაბიჯი იყო.**

— რა თქმა უნდა, ამ სიმღერის შესრულება რისკთან იყო დაკავშირებული. სიმართლე გითხრათ, ვნერვიულობდი, მაგრამ ანრი მაწყნარებდა. ეს ის სიმღერაა, რომელიც ჩვენი მშობლების თაობას ძალიან უყვარს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ავტორის, მარინა ლეკიშვილის აზრი იყო, რომელმაც მოიწონა. პრინციპში, საზოგადოებისგან კრიტიკა არ მიგვიღია. უამრავი კომპლიმენტი მითხრეს, თუ სამ-ოთხ უარყოფით შეფასებას არ ჩავთვლით.

**„ამ ბოლო პერიოდში გამოვცოცხლდი, ცუდად ყოფნას გამოვემშვიდობე. მეგობრები მეუბნებიან, ძველი ვერიკო დაგვიბრუნდაო".**

**— მომღერლებს ცუდ ტონად უთვლიან ძველი სიმღერების ახლებურად გამღერებას, ე.წ. რემიქსს. თქვენ ამაზე რას ფიქრობთ?**

— რატომაც არ უნდა ვიმღეროთ ძველი სიმღერები?! ახალმა თაობამ „რაც ამქვეყნად სიყვარული მეფობს“ საერთოდ არ იცოდა. თუ ძველს კარგად იმღერებ და ამ ყველაფერს კარგად გააკეთებენ, რატომაც არა! თანაც, ჩვენ ეს სიმღერა არ გადაგვიკეთებია, არ გაგვირემიქსებია, უბრალოდ სხვანაირი არანჟირება გავუკეთეთ. სიმღერა არ დავარღვიეთ. ანრის სჩვევია გადახვევები, მაგრამ ამ შემთხვევაში სიმღერა ჩუმად დაიწყო და ჩუმად დამთავრდა.

**— როგორია ანრის და თქვენი ურთიერთობა საქმის მიღმა?**

— საბედნიეროდ, ანრის მცირერიცხოვან მეგობართა შორის მეც ვარ. ის ჩემთვის მეგობარიც არის, ძმაც და მამაც. როგორც ყველაფერში, მეგობრობაშიც ძალიან ნიჭიერია. ამ ადამიანმა ყველაფერი თავისით გააკეთა. ის ვალდებული და იძულებულიც იყო, რომ ესწავლა არანჟირება, კამერის დაჭერა, კამერის უკან დგომა. მარტომ მიაღწია ყველაფერს. ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს.

**— ჩვენს შოუბიზნესში ძალიან იშვიათია, ერთი მომღერალი მეორის პრომოუშენზე რომ ზრუნავდეს.**

— გამიმართლა, რომ ასეთი ადამიანები მყავს გვერდით. წლების წინ, როცა პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, ჩემი პატრონი აჩიკო მეფარიძე იყო, დღეს კი ანრი მიდგას გვერდში. გამიმართლა, რომ ცხოვრებაში ასეთი ადამიანები შემხვდნენ.

**— ისიც გამართლებაა, რომ კლიპში ვარსკვლავების გვერდით იმუშავეთ — ოთარ მეღვინეთუხუცესი, ლეილა აბაშიძე, კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, გურანდა გაბუნია...**

— გადასაღებ მოედანზე მხოლოდ ლეილა აბაშიძე რომ მოსულიყო, მაინც ყველაზე ბედნიერი ვიქნებოდი. თქვენ წარმოიდგინეთ, სრულიად ვარსკვლავეთი დაგვთანხმდა. ყველაზე დიდი ბედნიერება ამ კორიფეების შეფასებები და დამოკიდებულება იყო.

**— ოთარ მეღვინეთუხუცესი დღეს ცოცხალი აღარ არის. როგორი იყო დიდი მსახიობი მუშაობის პროცესში?**

— ოთარ მეღვინეთუხუცესს იმ დროს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა ჰქონდა. ქალბატონმა გურანდამ ძალიან სთხოვა, ჩვენს პროექტში მიელო მონაწილეობა. დაგვთანხმდა, მივედით მარჯანიშვილის თეატრში და რეპეტიციის დროს გადავიღეთ. სამწუხაროდ, მისი კადრების გადაღებას ვერ დავესწარი.

**— პირადი ცხოვრებაშიც ასეთი აქტიური ეტაპი გიდგათ, როგორც საქმეში? ვიცი, რომ შეყვარებული ხართ.**

— ალბათ ისიც იცით, რომ ჩემს პირად ცხოვრებაზე საუბარი არ მიყვარს, თუმცა ერთს გეტყვით, არის მამაკაცი, რომელთანაც თავს კარგად ვგრძნობ, ეს ის მაქსიმუმია, რისი თქმაც შემიძლია ჩემს პირადზე.

**— ამ ურთიერთობამ თქვენი ცხოვრება შეცვალა?**

— ამ ბოლო პერიოდში გამოვცოცხლდი, ცუდად ყოფნას გამოვემშვიდობე. →32

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

მეგობრები მეუბნებიან, ძველი ვერიკო დაგვიბრუნდაო. რაც ყველაზე მთავარია, თავს კარგად ვგრძნობ.

— **ოჯახის შექმნის დროს ალბათ შვილის აზრი ყველაზე პრიორიტეტული იქნება თქვენთვის.**

— ეს საკითხი დღის წესრგიში არ დამდგარა, როცა ამის ჯერი მოვა, რა თქმა უნდა, ჩემი შვილის აზრი ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება. შევეცდები, ავუხსნა და თუ ლიზას ცუდი რეაქცია ექნება, მის ნებას დავემორჩილები.

— **ანუ, თუ მას უარყოფითი რეაქცია ექნება, სიყვარულზე უარს იტყვით?**

— დიახ, ლიზას აზრი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კაცს, რომელსაც ცხოვრებას დავუკავშირებ, ძალიან მნიშვნელოვანია, ჩემი შვილი უყვარდეს. ლიზას მამას ვერავინ შეუცვლის, მაგრამ ჩემს მეორე ნახევარს შვილთან ერთად უნდა ვუყვარდე.

— **გიჭირთ მარტოხელობა დედობა?**

— დედის როლს თავს მშვენივრად ვართმევ. ძიძა არასოდეს მყოლია, ლიზას ჰყავს ორი არაჩვეულებრივი ბებო. ჩემი შვილის გაზრდაში მათ დიდი წვლილი მიუძღვით. ვისაც როგორ შეგვიძლია, ისე ვერგებით ლიზას გრაფიკს. გასეირნება, კინოში, დაბადების დღეზე წაყვანა — ეს პუნქტები მხოლოდ და მხოლოდ მე მეხება. არ მიყვარს, როცა ლიზა ჩემ გარეშე სადმე მიჰყავთ. როდესაც საქმეზე ვარ, მინდა, ამ დროს სახლში იყოს ჩაკეტილი. ლიზა 9 წლისაა. ეს ის ასაკია, როცა ბავშვს დედის ზრუნვა და ყურადღება ძალიან სჭირდება. მუსიკალურ სკოლაშიც დადის. სურვილი აქვს, რომ იმღეროს, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამ მხრივ სერიოზული ნაბიჯები გადავდგით.



— **სიმღერის მონაცემები აქვს?**

— იყო პერიოდი, როცა მასში ამის პოტენციალს ვერ ვხედავდი, მაგრამ ახლა მგონია, რომ შეიძლება ვცადოთ. არ არის აუცილებელი, ვერიკოს შვილმა იმღეროს. თუ კარგად არ იმღერებს, პირველი მე ვიქნები, რომელიც ხელს შეუშლის და ამ საქმეს ჩამოაშორებს. ამ ეტაპზე კი შევეცდები, ხელი შევუწყო. ვნახოთ, რა გამოვა.

**„რომ მეგონა, ყველაფერი დასრულდა, ღვთის ნებით ყველაფერი ლაგდებოდა და ახლაც ასეა. მგონია, რომ ღმერთი არასდროს მტოვებს".**

— **ლიზა როგორ აღიქვამს იმ ფაქტს, რომ მამა ცოცხალი არ არის?**

— როცა ეს ამბავი მოხდა, ლიზა ძალიან პატარა იყო და ამიტომ მამა ბუნდოვნად ახსოვს. მას შემდეგ 6 წელი გავიდა. აქვს პერიოდები, როცა მამას ახსენებს, მაგრამ ცდილობს, ჩემთან და ბებოსთან ამ თემაზე იშვიათად წამოიწყოს საუბარი, რადგან იცის, როგორი მტკივნეულია ჩვენთვის. მიფრთხილდება და ცდილობს, მამა ხშირად არ ახსენოს. თუმცა, როცა სიცხე აქვს, ეს გარდაუვალია. ეს ის შემთხვევაა, როცა ლიზა განსაკუთრებული სიხშირით კითხულობს მამას.

— **თქვენს ცხოვრებაში ყველაზე დიდ მიღწევად რას მიიჩნევთ?**

— იმას, რომ არაჩვეულებრივი გოგონა მყავს. რაც შეეხება საქმეს, აქაც გამიმართლა. გზა, რომელიც გამოვიარე, სულაც არ იყო ეკლიანი. მეგობრების დახმარებით, ძალიან გამიადვილდა იმის მიღწევა, რაც დღეს მაქვს. ჩემი წარმატების ფორმულა იღბალია, ნიჭს, შესაძლებლობებს და შრომისმოყვარეობას აღარ ვთვლი. ბევრი პრობლემა მქონია და რომ მეგონა, ყველაფერი დასრულდა, ღვთის ნებით ყველაფერი ლაგდებოდა და ახლაც ასეა. მგონია, რომ ღმერთი არასდროს მტოვებს, ჩემი მეგობარი ზუზუ (მსახიობი ზაზაბეჟაშვილი, ავტ.) დამცინის ხოლმე, ღმერთი ამხანაგად ნუ გაიხადეო.

— **წლებისა და გამოცდილების დაგროვების შემდეგ თქვენში რისი გადაფასება მოხდა?**

— ადამიანების, ურთიერთობების! არ ვიცი, ბევრს ვითხოვ მეგობრებისგან? ისე ხდება, რომ ვიღაცეები თავისთავად მიდიან. პრინციპში, ფილტრაცია საჭიროა. ახლა უკვე აღარ მინდა, ჩემი ნამდვილი მეგობრების სიას ვინმე გამოაკლდეს.

✓ **ლანა კიკნაძე**

# ნიკა ცქიტიშვილს ცოლი მომავალი კალათბურთელის გაჩენას ჰპირდება

კალათბურთელი ნიკა ცქიტიშვილი აპრილში მეორე გოგონას მამა გახდა. ელენი ლიბანში დაიბადა. ასე კალათბურთელის ცოლმა, სოფო გოგებაშვილმა გადაწყვიტა. უნდოდა, რომ მისი ქმარი მშობიარობას დასწრებოდა და რადგან ნიკა იმ დროს ლიბანში თამაშობდა, ბავშვიც იქ გააჩინა. შვილები ნიკას სუსტი წერტილია. წაგებული მატჩის შემდეგ ვინც დალაპარაკებას უბედავს, ეს უფროსი ქალიშვილი ლიზაა.



ქართველ კალათბურთელს უკვე დაუმთავრდა ლიბანში კონტრაქტი და ჯერ გარკვეული არ არის, თამაშს სად გააგრძელებს. ცოლი მზად არის, ყველგან გაჰყვეს, მასთან ერთად უცხო გარემოში ცხოვრების არ ეშინია. ნიკას გვერდით დაცულად გრძნობს თავს. ბიჭი, რომელიც ერთ დროს მხოლოდ საკუთარ გართობაზე ფიქრობდა, სოფოს თქმით, მზრუნველ ქმრად და მამად იქცა.

**„ნიკა ჩემი მესამე ბავშვია. თავადაც ამბობს, შენი ბავშვი ვარო".**

— **სოფო, ყველა სპორტსმენის ცოლი აღნიშნავს, რომ ქმრის რეჟიმით ცხოვრება და რამდენიმე ქვეყნის ცაზე გამოკიდება ადვილი არ არის. ნიკა ცქიტიშვილის ცოლობა რამდენად რთული გამოდგა?**

— სირთულეების დასაძლევად გამოსავალი ყოველთვის მოინახება. ძალიან რთულია, როცა სამშობლოს მოწყვეტილი მარტო ხარ ორ ბავშვთან ერთად. ნიკა ჩემი მესამე ბავშვია. თავადაც ამბობს, შენი ბავშვი ვარო. შვილებს ცალკე მოვლა სჭირდებათ, ნიკას — ცალკე. რაც დრო გადის, ასეთ რეჟიმს ვეჩვევი, მაგრამ რთულია, უნივერსიტეტში ვსწავლობ და თან ორი პატარა შვილი მყავს. ნიკა მაქსიმალურად მიწყობს ხელს და ეს მშველის. სპორტსმენის ცოლობა რთული პროფესიაა. ქმრის განრიგით, მისი რეჟიმით ვცხოვრობ, ჩემი საქმე დროებით გვერდზე უნდა გადავდო. მის ცოლობას ბევრი პლუსიც აქვს და ამიტომ მინუსებზე თვალს ვხუჭავ. ყველა მეუბნება, ყოჩაღ შენ, ამდენს როგორ ახერხებო, მაგრამ მე და ნიკა ერთად ყველაფერს ადვილად ვუმკლავდებით.

— **მეორე შვილი როდის შეგეძინათ?**

— 16 აპრილს, ნიკას დაბადების დღეს ორი დღით ავცდით. მეორეც გოგო გვეყოლა — ელენი. ისე მინდოდა, ნიკა ამ დროს ჩემთან ერთად ყოფილიყო, რომ ლიბანში ვიმშობიარე. პირველი შვილის დაბადებას ვერ დაესწრო, ესპანეთში თამაშობდა, მე თბილისში ვიყავი, იქ გაფრენა ველარ მოვასწარი და აქ გავაჩინე. ძალიან გვინდოდა, მეორე შვილის დაბადებას დასწრებოდა. ნიკა მშობიარობას თავიდან ბოლომდე დაესწრო. მთელი მშობიარობა კამერით გადაიღო. მისმა იქ ყოფნამ 50 პროცენტით შემიმცირა სირთულეები, ისე გავაჩინე, ვერაფერი გავიგე, რასაც პირველი ბავშვის დაბადებაზე ვერ ვიტყვი.

— **ორი გოგოს მშობლები ხართ, ბიჭზე ხომ არ ფიქრობთ?**

— კი, იმედია, მესამე ბიჭი იქნება. მესამეც რომ გოგო მეყოლოს, სამ სიძეს ვერ ავიტან! ძალიან მინდა, ბიჭი მყავდეს, პირველ რიგში, იმიტომ, რომ კალათბურთელი გამოვიდეს და მეორეც, დებს ძმა აუცილებლად სჭირდებათ. მალევე მინდა გავაჩინო, რომ და-ძმებს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა არ იყოს. ნიკას ჯერ არ უნდა მესამე ბავშვი, ვეცოდები. მე კი თავს ვიგიჟებ, უკვე ვიყოლიოთ-მეთქი. მომავალ წელს ალბათ მესამე შვილსაც გავაჩენ. ჯერ ცოტა მოძლიერება მჭირდება.

— **ნიკა გეხმარებათ ბავშვების მოვლა-გაზრდაში?**

— ნიკა შვილების გაზრდაში ძალიან დიდ როლს თამაშობს. ისეთი მამაა, რომ მასთან ერთად ბავშვების მოვლა არ მიჭირს. როცა საქართველოში ვართ, ბევრი დამხმარე მყავს — დედამთილი, დედაჩემი. საზღვარგარეთ კი მარტოები ვართ და ძნელია.

სადაც გინდა ვიყო, აუცილებლად უნდა მყავდეს ვიღაც დამხმარე,





Cyan Magenta Yellow Black

თორემ ორი ბავშვის მოვლა ჩემთვის ძალიან რთულია, რადგან სამეცადინოც მაქვს. ლიზას ხშირად ვუშვებთ დასავლეთ საქართველოში ბებიასთან. დარწმუნებული ვარ, იქ ზედ ჰყვებიან, მაგრამ მაინც რაღაცნაირად მინდა, სულ ჩემთან იყოს. ამის გამო ყველა მეჩხუბება, ბავშვი სუფთა ჰაერზე გაუშვიო. ვეჩვევი, რომ ზოგჯერ საჭიროა, ჩემგან შორს იყოს. საერთოდ, ვთვლი, რომ შვილი დედამ უნდა გაზარდოს. ძიძის მომხრე ვარ,

**„გვითხრეს მიზეზი, რატომ არ იყო საქართველოს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში... თქვეს, რომ ნაკრებს გაახალგაზრდავება სჭირდებოდა. წელს ისევ ათამაშებენ და, ეტყობა, გაახალგაზრდავდა!".**

ბავშვს აუცილებლად უნდა ჰყავდეს, მაგრამ 3 წლამდე დედასთან უნდა იყოს. წინააღმდეგი ვარ, როცა ასეთ პატარებს ძიძები ჰყავთ, მეცოდებიან.

მეგობრები გიჟ დედას მეძახიან. ჯერ ბავშვები მახსენდება და მერე საკუთარი თავი. ყველაფერი ჯერ ბავშვებს და მერე — მე.

**— ძირითადად საზღვარგარეთ ცხოვრობთ. თბილისში სწავლას როგორ ახერხებთ?**

— ნელ-ნელა, მაგრამ ხარისხიანად ვსწავლობ. მირჩევნია, ერთი სემესტრი აკადემიური ავიღო და მერე გავაგრძელო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირებაზე ვსწავლობ, მეორე კურსზე ვარ.

**— ლიბანში ცხოვრებისას ენობრივი ბარიერი არ გექმნებოდათ?**

— ლიბანში ძალიან ბევრი ეროვნება ცხოვრობს — რუსი, არაბი, ამერიკელი... ყველასთან გვქონდა კონტაქტი, რაც ძალიან მიხაროდა, რადგან ლიზა მალე ითვისებს უცხო ენებს. ნიკაც მალე ითვისებს უცხო ენებს, შეუძლია არაბულადაც კი ილაპარაკოს. ირანში რომ ვცხოვრობდით, იქ ისწავლა. მომავალ წელს ლიბანში თუ ვიქნებით, ლიზას სკოლაში მივიყვან და ფრანგულსაც ასწავლიან. ლიბანში ბავშვები 3 წლიდან მიჰყავთ სკოლაში.

**— ორი შვილის მამობამ ნიკას პიროვნება მნიშვნელოვნად შეცვალა?**

— თვითონვე ამბობს, საკუთარ თავს ვერ ვცნობ, ისეთი შეცვლილი ვარო. როცა არც ცოლი ჰყავდა, არც შვილი და მარტო იყო, სხვანაირად ფიქრობდა, დიდად არც საოჯახო საქმეებში ერეოდა, დედასთან ერთად ცხოვრობდა. ახლა ხვდება, რომ ცოლ-შვილს ბევრი რამ სჭირდება. კალათბურთს და ოჯახს კარგად უთავსებს ერთმანეთს. თამაშიდან მოსულს შეუძლია მარკეტში წავიდეს და ბავშვებს რაღაცეები უყიდოს, არადა ზოგი სპორტსმენი თამაშის შემდეგ ისეთი დაღლილია, ადგილიდან ვერ ინძრევა. მე და ნიკა ყველგან ერთად დავდივართ. ორივე ბავშვს წამოვიკიდებთ ხოლმე და მივდივართ, ეს პროცესი გვიყვარს.

**— უცხოეთში როგორია თქვენი დღის განრიგი?**

— ნიკა ესპანეთში რომ თამაშობდა, საერთოდ ვერ ვხედავდი. ბოლო ორი წელია, რაც აზიაში გადავიდა და ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან სახლში ხშირადაა. დღეში ორი საათით თუ გადის, დანარჩენი დრო სულ ჩემთანაა. ჩემი ყოველი დილა ნიკას გაცილებით იწყება, რადგან ყოველთვის ძალიან ადრე გადის. მერე ბავშვებზე გადავერთვები, მერე ქმრის საჭმელზე ვზრუნავ, რადგან დაღლილი მოდის და სადილი უნდა დახვდეს. ნიკა რომ მოვა, ყოველთვის ვახერხებთ, შუადღეზე გარეთ გავიდეთ. უცხოეთში სახლში ჩამჯდარი ნამდვილად არ ვარ, საინტერესო ქვეყნებში თამაშობს და ბევრი რამ არის სანახავი. ასეც რომ არ იყოს, არც ბავშვებს გამოვკეტავ სახლში, მათთვის ჰაერზე სეირნობა აუცილებელია. სანამ უცხოეთში ვცხოვრობთ, მაქსიმალურად ვიყენებთ დროს, რომ ყველაფრის ნახვა მოვასწროთ.

**— ალბათ ნიკას განსაკუთრებული მიდგომა მაშინ სჭირდება, როდესაც სახლში დამარცხებული ბრუნდება.**

— ეს ცოტა რთული ამბავია. ნიკა არ მიეკუთვნება მათ რიცხვს, ვინც ამბობს, არა უშავს, რა მოხდა, თუ წავაგეთო. ყოველ წაგებულ მატჩს ძალიან განიცდის. ნარდშიც რომ წააგოს, მაშინაც ცუდ ხასიათზე დგება. წაგებული მატჩის შემდეგ თავის ოთახში წვება ან კომპიუტერთან ჯდება და კარს კეტავს. უკვე ვიცი, რომ ამ დროს რამდენიმე საათი ხმა არ უნდა გავცე, არაფერი უნდა ვკითხო. ორ საათში ლიზას ვუშვებ მასთან და ნიკა უკვე მომბალია.



ლიზა

იმ ორ საათს, როცა ნიკა არავის ეკონტაქტება, დუმილის საათებს ვეძახით. საერთოდ, ზედმეტი კითხვები არანაირ საკითხთან დაკავშირებით არ უყვარს. ლიზას ყოველთვის მოჰყავს ხასიათზე, რადგან მამასთან არანორმალურად თბილი დამოკიდებულება აქვს. ნიკას უნდა, მკაცრი მამა იყოს, მაგრამ არ გამოსდის, მე უფრო მკაცრი ვარ. ამის მიუხედავად, ლიზას შეუძლია ჩემთან ბევრი რამ გაბედოს, მაგრამ ნიკასთან მორიდებულია, მამის რიდი აქვს.

**— გასულ წელს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ნიკა საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდა. ალბათ ეს ფაქტიც ძალიან განიცადა.**

— გვითხრეს მიზეზი, რატომ არ იყო ნიკა ძირითად შემადგენლობაში და რა უნდა გვექნა? თვალი უნდა დაგვეხუჭა. მერე მიხვდნენ, რომ ნიკა გუნდში საჭირო ყოფილა და წელს ითამაშებს.

**— რა მიზეზი დაგისახელეს?**

— თქვეს, რომ ნაკრებს გაახალგაზრდავება სჭირდებოდა, რაც ცოტა გაუგებარი

**„დაოჯახებამდე ნიკა იყო ერთი ბიჭი, რომელიც გართობაზე ფიქრობდა. როცა ბავშვი გვეყოლა, მივხვდი, რომ სხვაზე არასოდეს იქნებოდა დამოკიდებული და ამან ძალიან დამამშვიდა".**

იყო, მით უმეტეს, რომ წელს ისევ ითამაშებს. ნიკა ყოველთვის მზადაა, საქართველოს ნაკრებს ემსახუროს და წლევანდელ თამაშზე უარს ნამდვილად არ იტყოდა. რადგან წელს ათამაშებენ, ეტყობა, გაახალგაზრდავდა! როცა ძირითად შემადგენლობაში არ მოხვდა, ყველა შოკში იყო, მაგრამ რას ვიზამთ, სპორტში ასეთი რაღაცეები ხდება.

**— ქმრის თამაშებზე სიარულს თუ ახერხებთ?**

— ორსულობის მეცხრე თვეში ვიყავი და თამაშებზე მაინც დავდიოდი, მაგრამ წამოხტომა და ყვირილი არ მახასიათებს. უცხოეთში ნიკას მხოლოდ ცოლ-შვილი ვყავართ



მამა-შვილი — ელენი და ნიკა

და ვფიქრობ, ჩვენი თამაშზე ყოფნა მისთვის სტიმულია. თან ლიზა გიჟდება კალათბურთზე. უფრო მისი ხათრით დავდივარ ხოლმე. სულ ამბობს, კალათბურთზე მინდაო.

**— ახლა ალბათ უკეთ გაქვთ გააზრებული, რა სირთულეები ახლდა თქვენი და ნიკას ქორწინების პირველ წელს.**

— ქორწინების პირველი წელი ყველაზე რთულად ითვლება, მაგრამ ჩვენთვის ეს პერიოდი საუკეთესო იყო და სულმინდა, ის დრო განმეორდეს. ზოგჯერ ვამბობ, ნეტა, იმ დროში დამაბრუნა-მეთქი, რადგან ძალიან ტკბილი იყო, ჯერ კიდევ შეყვარებულები გვერქვა. ნიკა ვინმეს ჩემს თავს მეუღლედ რომ აცნობდა, უხერხულად ვიყავი ხოლმე. ბავშვი რომ ჩნდება, მაშინ იწყება ცოლქმრობა, მანამდე შეყვარებულობის პერიოდია.

დაოჯახებამდე ნიკა იყო ერთი ბიჭი, რომელიც გართობაზე ფიქრობდა. შეყვარებულობის პერიოდში არ მქონდა გააზრებული, როგორი ქმარი იქნებოდა. როცა ბავშვი გვეყოლა, მერე მივხვდი, რომ ყველაფერს თავისით გააკეთებდა, სხვაზე არასოდეს იქნებოდა დამოკიდებული და ამან ძალიან დამამშვიდა. სპორტსმენებს არ ეხერხებათ ოჯახური საკითხების მოგვარება, მაგრამ ნიკა გამონაკლისი აღმოჩნდა.

**— ცოლ-ქმარს ერთმანეთისთვის დრო გრჩებათ, რომ თუნდაც სავახშმოდ წახვიდეთ მხოლოდ თქვენ ორნი?**

— წყვილისთვის ეს აუცილებელია. არ მინდა, ჩვენი ურთიერთობა გაუფერულდეს.

**— ქმრის გამო თქვენც საზოგადოების ყურადღების ქვეშ მოექეცით. პოპულარობა სასიამოვნოა?**

— ამის გამო სულ ფორმაში ყოფნა მიწევს, მაგრამ ამასაც შევეგუე. უცხოეთში სახლიდან გასული არ ვართ, რომ ნიკასთან ფოტოების გადაღება იწყება. თავიდან ამაზე მეცინებოდა, მაგრამ ახლა უკვე მივეჩვიე. ვიდრე სახლიდან გავალთ, ვეუბნები, მოემზადე, ხომ იცი, სურათების გადაღება მოგიწევს-მეთქი. ზოგმა არ იცის, ვინ არის, სად თამაშობს, მაგრამ იმ სიმაღლეა, მასთან ყველას უნდება ფოტოს გადაღება.

საქართველო ჭორების ქვეყანაა, ყველას აინტერესებს, ვინ როგორ ცხოვრობს, ყველა ყველას ცხოვრებაში ცხვირს ყოფს, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაღელვებს. ჭორები ყოველთვის იქნება და ვერ გავექცევით. ვფიქრობ, ესეც საინტერესოა.

✓ **ქეთი დინოშვილი**



Cyan Magenta Yellow Black

# შალვა ნათელაშვილის ცოლმა „გაჭირვების სალათა“ გამოიგონა

## ბელა ალანია: „მე და ცომი კარგი მეგობრები ვართ“



ლეიბორისტული პარტიის ლიდერს, შალვა ნათელაშვილს, მზრუნველი ცოლი სადილს სამსახურში უგზავნის. ქალბატონი ბელა მშვიდად მაშინაა, როცა იცის, რომ ქმარი მშიერი არ არის. მეგრული გვარის, ალანიების, წარმომადგენელი, გასაკვირი იქნებოდა, კარგი კულინარი არ იყოს, მაგრამ ქალიშვილობის პერიოდში სამზარეულოსგან საკმაოდ შორს იდგა. დედა და ბებია ანებივრებდნენ და იქ მხოლოდ გემრიელი კერძების დასაგემოვნებლად უშვებდნენ. მერე და მერე კი ბელა ალანია კულინარიაში დახელოვნდა. ახალ რეცეპტებსაც ითვისებს და თავის შტრიხებს ამატებს. ცომეულის „ხელოვნებასაც“ შესანიშნავად ფლობს და მაშინაც კი შეუძლია გემრიელი სადილი მოამზადოს, როცა მაცივარი თითქმის ცარიელია.

**— ქალბატონო ბელა, როდის დაიწყეთ სამზარეულოსთან აქტიური „ურთიერთობა“?**

— ადრე იმ კატეგორიას ვეკუთვნოდი, მხოლოდ მზამზარეულს რომ მიირთმევენ, რადგან ბებიას გოგო ვიყავი. ბებია და დედა ძალიან მათამამებდნენ. ყველა თავს მევლებოდა. დრო რომ გავიდა და მოსკოვში სასწავლებლად წავედი, მარტო დარჩენა ხშირად მიწევდა და იძულებული ვიყავი, ხელი გამენძრია. თავიდან, რა თქმა უნდა, არაფერი გამომივიდა, მაგრამ მერე ნელ-ნელა ვისწავლე. ჩემი რუსი კურსელები სტუმრად რომ მოდიოდნენ, ქართულ სამზარეულოზე გიჟდებოდნენ, სულ საცივს გაიძახოდნენ. ზოგჯერ დედას ვურეკავდი და ვეკითხებოდი, რა როგორ მომემზადებინა, თანდათან ძალიან ბევრი რამის გაკეთება ვისწავლე.

ბევრი რამ ჩემი ფანტაზიორობით გამიკეთებია, ინგრედიენტებს ერთმანეთთან ვაწყვილებ და ბოლოს კარგი საჭმელი გამოდის.

**„ადრე იმ კატეგორიას ვეკუთვნოდი, მხოლოდ მზამზარეულს რომ მიირთმევენ, რადგან ბებიას გოგო ვიყავი. ბებია და დედა ძალიან მათამამებდნენ... ჩემი საქმე მხოლოდ წიგნები, მუსიკა, ცეკვა, ტანვარჯიში იყო, სამზარეულო კი — არასოდეს“.**

**— რაიმე საიდუმლოს ფლობთ თუ თავისთავად გაქვთ კარგი ხელი?**

— ეს განწყობაზეა დამოკიდებული. საჭმელზე ისიც კი აისახება, თუ რა პერიოდია შენს ცხოვრებაში. მე კი, სამწუხაროდ, განწყობის ადამიანი ვარ. კერძის კეთებას რომ ვიწყებ, აუცილებლად კარგ ხასიათზე უნდა ვიყო, რომ ჩემი ფანტაზიები სისრულეში მოვიყვანო. დედა იყო ძალიან კარგი დიასახლისი და კარგ ტორტებსაც აცხობდა. მაშინ ქალები თავს იკლავდნენ ნამცხვრების ცხობაში, იყო შეჯიბრება, ვინ უფრო გემრიელს გამოიტანდა სუფრაზე. ყველა ცდილობდა, რაიმე ახალი გაეკეთებინა. ჩემი საქმე მხოლოდ წიგნები, მუსიკა, ცეკვა, ტანვარჯიში იყო, სამზარეულო კი — არასოდეს.

ერთხელ ქუთაისში მამიდასთან სტუმრად ვიყავი და ტორტის გამოცხობა გადავწყვიტე. თუ არ ვცდები, მაშინ მეორე კლასში ვსწავლობდი. რა თქმა უნდა, იქამდე ეს საქმე ნაცადი არ მქონდა, მაგრამ მახსოვდა, დედა როგორ აკეთებდა. რატომღაც ბისკვიტის ცომი ტორტის ფორმაში კი არ ჩავასხი, არამედ ჰაერლუმელის ბრტყელ ტაფაზე. მამიდა სახლში არ იყო, მე კი ვიჯექი და ტორტის გამოცხობას ველოდი. სახლში სასიამოვნო არომატი კი იყო და მამიდა რომ მოვიდა, ვუთხარი, ტორტი გამოგიცხვე-მეთქი. ჰაერლუმელი რომ გამოვაღეთ, ტორტი კი არა, რაღაც საშინელება დაგვხვდა, თან მთელი სამზარეულო ფქვილით იყო მოსვრილი. მამიდაჩემი ისეთ დღეში ჩავარდა...

**„საჭმელზე ისიც კი აისახება, თუ რა პერიოდია შენს ცხოვრებაში. მე კი, სამწუხაროდ, განწყობის ადამიანი ვარ. კერძის კეთებას რომ ვიწყებ, აუცილებლად კარგ ხასიათზე უნდა ვიყო, რომ ჩემი ფანტაზიები სისრულეში მოვიყვანო“.**

**— ახლა, როცა უკვე ყოველდღიურად გიწევთ სადილების მზადება, ეს საქმე მოსაბეზრებელი ხომ არ გახდა თქვენთვის?**

— ვერ ვიტყვი, რამდენიც უნდა ვაკეთო, არასოდეს მბეზრდება-მეთქი. შვილების, მეუღლის წინაშე ვალდებულება მაქვს. ჩემი შვილები მოზარდები არიან და სულ ვცდილობ, სასარგებლო საკვები მივაწოდო. ყველა ასაკს თავისებური მიდგომა სჭირდება, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომელ ასაკში რომელი საკვების მიღება ჯობს. ჩემი შვილებისთვის ისეთ მენიუს ვადგენ, რომელიც კალციუმით იქნება გაჯერებული, ძვლის ნახარშს ვაწვდი, ვცდილობ, ხორცის რაციონი ნორმალურად მიიღონ, ბევრი რძის პროდუქტი ჭამონ. 40 წლის ზემოთ იწყება იმაზე ფიქრი, რომ არ მიიღო ზედმეტი ქოლესტერინი, ამიტომ უკეთესია თევზეული. კვების საკითხს ძალიან სერიოზულად ვუდგები.

ქვეყანაში ჯანსაღი მდგომარეობა არ არის. სამწუხაროდ, საქართველო არის ის ქვეყანა, სადაც ბავშვები შიმშილით იხოცებიან. ეს კატასტროფაა! ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მენიუზე საუბარი უხერხულიც არის. საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სრულფასოვნად ვერ იკვებება. მზად ვართ, ფული ტანსაცმელში უფრო დავხარჯოთ, ვიდრე საკვებისთვის გავიმეტოთ. ხალხი იმაზეა გადასული, დღე როგორმე გადააგოროს, ქუჩაში ერთ ხაჭაპურს შეჭამენ ან სახლში უცებ კვერცხს შეიწვავენ. იმაზე კი არ ფიქრობენ, გარკვეული დროის შემდეგ ეს რა შედეგს მოიტანს. ჩვენი დედების თაობა უფრო ჯანმრთელი იყო. ჩვენც ასე თუ ისე ჯანსაღ პროდუქტებს ვიღებდით, მაგრამ თქვენი თაობა ძალიან ცუდად იკვებება. ჩვენ გვქონდა პირველ კერძი, მეორე, მერე აუცილებლად კომპოტი უნდა მიგვეყოლებინა. ეს იყო დღის მენიუ და, რაც მთავარია, საათობრივად ვჭამდით.

**— თქვენს ოჯახში ცდილობთ ეს პრინციპი დაიცვათ?**

— კი. საუზმე დილის 9-დან 10-მდე, სადილი 3-ის ნახევრიდან 3-მდე და ვახშამი 6-7 საათის შუალედში გვაქვს. ამის შემდეგ მე აღარაფერს გეახლებით. შეიძლება მხოლოდ ხილი მივიღო. საათობრივი კვება ორგანიზმისთვის არაჩვეულებრივია. თუ მუშაობთ, შეგიძლიათ სახლიდან წაიღოთ საჭმელი და იქ მიირთვათ.

**— ამ რეჟიმს არასოდეს არღვევთ?**

— კი, გამონაკლისი არის, მაგრამ არც ისე ხშირად. თვეში სამჯერ თუ კვების რეჟიმს დაარღვევ, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

**— თქვენი ქმარი, ბატონი შალვა თუ ახერხებს ოჯახურ სადილვახშმებს შემოუერთდეს?**

— შალვას სამსახურში ვუგზავნი სადილს. დილით ძალიან მსუბუქად ვიკვებებით. შვრიის ფაფა ჯანმრთელობის ელექსირია. შეიძლება ძალიან არ გიყვარდეს, მაგრამ მსუბუქია, ორგანიზმი ვიდრე ბოლომდე არ გამოფხიზლდება, მისი დატვირთვა არ შეიძლება, ამიტომ შვრიის ფაფა კარგი გამოსავალია. ხილი ახლა ძალიან ბევრია და შეიძლება ატამი, ბანანი ჩაახეხოთ. მე ალუბლებსაც კი ვყრი. ამას გარდა, ერთი ფინჯანი ყავა და დილისთვის სულიად საკმარისია. სადილი, რა თქმა უნდა, დატვირთული უნდა იყოს და შალვას ყოველთვის ვუგზავნი სამსახურში, რომ გემრიელად ისადილოს.

**— ე.ი. ქმრის კვების რეჟიმსაც მკაცრად აკონტროლებთ.**

— რა თქმა უნდა. შალვას კვების რეჟიმი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გარეთ ვერაფერს იყიდის, სადილი რომ გამოტოვოს, ღამით გვიან ბრუნდება და ცოდოა, ვერც გაუძლებს. ყოველთვის ვიცი, რომ 3 საათისთვის შალვა სამსახურში ჩემი ნახელავით სადილობს. ფაქტობრივად ვახშამი არ აქვს. ვარჯიშობს და იქიდან რომ ბრუნდება, მხოლოდ ერთ ჭიქა მაწონს მიირთმევს ორცხობილასთან ერთად.

**— თქვენი მომზადებული კერძებიდან ყველაზე მეტად რა უყვარს?**

— ყველას გვიყვარს სოკო და ხშირად ვაკეთებ სოკოს კრემსუპს. ხის სოკოს დავჭრით, თბილ წყალს დავასხამთ, თავსახურს დავახურავთ და ძალიან დაბალ ცეცხლზე დავდგამთ. ერთი საათი მაინც სჭირდება მოხარშვას. ამ დროის განმავლობაში თავსახურს არ ვხდით. კარგად რომ მოიხარშება, ბლენდერში გავატარებთ, ცალკე მოვშუშავთ ხახვს, ქინძს და ერთ კბილ ნიორს. ვისაც მწარე უყვარს, შეუძლია ცოტა წიწაკაც უყოს. ამ მოშუშულ მასასაც ბლენდერში გავატარებთ და ერთმანეთში ავურევთ. ძალიან გემრიელია, ცივადაც შეგვიძლია მივირთვათ და გავაცხელოთ კიდეც. ეს კერძი ერთადერთი სუპია, რომელიც გაცხელების შემთხვევაშიც კი ინარჩუნებს თავის სასარ-



Cyan Magenta Yellow Black

გებლო თვისებებს. სოკო ძალიან მდიდარი პროდუქტია.

ასევე ძალიან ხშირად ვაკეთებ გოგრის სუპს. გოგრას რომ მოვხარშავთ, შიგთავსს დავამატებთ აჯიკას, ხახვს, ყველაფერს ერთად ბლენდერში გავატარებთ და გოგრის სუპი მზადაა. მარცვლები რომ აქვს, შეგვიძლია ის მოვხალოთ და სუპში ჩავაყაროთ. ამას გარდა, შეგვიძლია ჩავყაროთ დაჭრილი ორცხობილა. ის სოკოს კრემსუპსაც უხდება.

**— იშვიათად, რომ ქართველებს წვნიანები უყვარდეთ. როგორც ჩანს, თქვენი ოჯახი გამონაკლისია.**

— ჩემს შვილებს არ უყვართ წვნიანი კერძები. ბოლო დროს ბორშჩსაც კი ბლენდერში ვატარებ და მაინც ვაჭმევ. შალვას ყველაზე მეტად მთიულური კერძები მოსწონს, მაგალითად, დოშხალას და მაწვნის სუპი. კვერცხჩახლილი მაწვნის სუპი ზაფხულში ცივად ყველაზე გემრიელი საჭმელია.

**— კერძის კალორიებს და ცხიმიანობას ყურადღებას აქცევთ?**

— ჩემი პირველი მისიაა, საჭმელი რაც შეიძლება მსუბუქი იყოს. არასოდეს ვხმარობ ერბოს. შეიძლება ეს კარგი არ არის, მაგრამ ჩვენი მენიუდან ამოღებულია.

ცოტა ხნის წინ ბათუმში ერთ ქალბატონთან ვიყავი სტუმრად. მან გაგვასინჯა ხორცი მაწონში. ძალიან გემრიელი საჭმელია. რეცეპტი ჩავიწერე და სახლში ღორის ხორცის ნაცვლად ქათმის ფილეთი გავაკეთე. ქათმის ფილეს თხლად დავჭრით. მაწონში ავურევთ ცოტა ფქვილს, მარილს, მწარე წიწაკას, ქინძს, ნიორს, ბლომად ქონდარს და ჩემი გემოვნებით ცოტა მწვანე ხახვიც დავამატე. შემდეგ ბლენდერში გავატარე, რომ ერთგვაროვანი მასა ყოფილიყო. თუ ბლენდერში არ გავატარებთ, შეგვიძლია ჩავნაყოთ და მაწონში გავხსნათ. ბოლოს ამ მასაში ქათმის ფილეს დავამუშავებთ. მაცივარში ორი საათით შევდგამთ. მე რომ მოვამზადე, დამავიწყდა, გაკეთებული რომ მქონდა. მეორე დღეს დაბალ ცეცხლზე დავდგი, მაცივარში ქამა სოკო მქონდა, ისიც ზედ მოვალაგე და ჰაერღუმელში შევდგი. ზედმეტი წვენი ამოშრა და უგემრიელესი გამოვიდა. შალვასაც ძალიან მოეწონა.

ცოტა ხნის წინ ბადრიჯანი ყველით გავაკეთე. ბადრიჯანს გრძლად დავჭრით, მარილს მოვაყრით და გავაჩერებთ. მერე კარგად გამოვწურავთ და ორმხრივად შევწვავთ. ბადრიჯანი ძალიან ბევრ ზეთს იწოვს, ეს რომ არ მოხდეს, როგორც კი ტაფაზე დავდებთ, ძალიან მალე უნდა გადმოვატრიალოთ. დავჩხვლიტოთ, რომ ზეთი კარგად გაუჯდეს. ბადრიჯანი რომ იწვება, კარგი იქნება, თუ ტაფას თავსახურს დავახურავთ, რომ კარგად ჩარბილდეს. პომიდორს თხლად დავჭრით, ქინძი, ნიახური, ხახვი, კუბიკებად დაჭრილი ყველი და ნიორი ცალკე გამზადებული გვექნება. ხახვს ცალკე მოვშუშავთ, ნიორს გავხეხავთ. ამ ყველა ინგრედიენტს ერთმანეთში ავურევთ ცხელ ბადრიჯანთან ერთად. ზემოდან დავაფარებთ, რომ ცხელი ბადრიჯანი კარგად ჩაიორთქლოს. ნახევარი საათის შემდეგ კარგად ამოვურევთ და კერძი მზადაა.

**— თქვენი ოჯახის მამაკაცებს ხორცეული არ უყვართ?**

— ჩემს შვილს, ბექას უყვარს. მამამისსაც კი უყვარს, მაგრამ ჩვენს ასაკში ხორცი მძიმე საჭმელია. შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ ხანდახან ისე გავა ორი კვირა, შეიძლება სახლში ხორციანი კერძი არ მქონდეს გაკეთებული.

შალვას ძალიან უყვარს თევზი, რომელსაც სხვადასხვანაირად ვამზადებ. ორაგულს ვაკეთებ ლუდში. ვიღებთ ლუდს, ვამატებთ იმდენ ფქვილს, რომ სქელი მასა მივიღოთ. უნდა ცოტა მეტი მარილი, რადგან თევზსაც კარგად უნდა ეყოს და წიწაკა. ამ ყველაფერში თევზს კარგად დავამუშავებთ. აუცილებლად უფხო უნდა იყოს. თევზისგან რასაც უნდა ვაკეთებდე, ფხისგან ყოველთვის ვათავისუფლებ. დამუშავებულ თევზს შევწვავთ. ეს კერძი აუცილებლად უპუროდ უნდა მიირთვათ.

**— ცომეულიც გიყვართ ოჯახში?**

— ცომეული გვიყვარს, განსაკუთრებით — მე, ალბათ იმიტომ, რომ რუსეთში დიდხანს ვცხოვრობდი. იქ ისეთი ღვეზელები აქვთ, შეუძლებელია, არ გიყვარდეს. მე და ცომი კარგი მეგობრები ვართ. არ არსებობს, ცუდი ცომი გამომივიდეს. ხაჭაპურის ისეთ ცომს ვაკეთებ, რომ ღვეზელების გასაკეთებლადაც გამოდგება. ნახევარ ქილა მაწონს ვუზამთ ერთ ჩაის კოვზ სოდას და გავთქვეფთ. მარილი არ დაგვავიწყდეს. როცა კარგად ამოფუშფუშდება, ჩავყრით ფქვილს ნელა და ნაზად, რადგან ცომი უხეშ მოპყრობას ვერ იტანს. 2-3 სუფრის კოვზ კარაქსაც ვუმატებ. ცომს გავაბრტყელებ, კარაქს წავუსამ, დავკეცავ, ისევ გავაბრტყელებ, წავუსვამ და დავკეცავ. საბოლოოდ ფენოვანი, ძალიან მსუბუქი ცომი გამოდის. თუ კარაქი არ არის სახლში, სამი სუფრის კოვზი ზეთი საკმარისია. ცომს მაცივარში რამდენი ხანიც გინდათ, იმდენს ხანს გააჩერებთ.

**„შალვას კვების რეჟიმი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გარეთ ვერაფერს იყიდის, სადილი რომ გამოტოვოს, ღამით გვიან ბრუნდება და ცოდოა, ვერც გაუძლებს. ყოველთვის ვიცი, რომ 3 საათისთვის შალვა სამსახურში ჩემი ნახელავით სადილობს“.**

მაწონი ძალიან სასარგებლო პროდუქტია. მისგან ყველაფრის გაკეთება შეიძლება. ხანდახან ორი თვის მაწონიც მაქვს მაცივარში. თუ ამჟავდება, კიდევ უფრო კარგი იქნება ბლინებისთვის.

**— ბატონი შალვა ნახელავს ხშირად გიქებთ?**

— როგორ არა! მაწონში რომ ჩავდე ქათმის ფილე, შალვას ძალიან მოეწონა, სამსახურში გავუგზავნე და თურმე ვერ ხვდებოდა, რაში იყო ხორცი ჩადებული. ჯერ ნიგოზი ეგონა და ბოლოს რომ გაიგო, მაწონი იყო, გაუკვირდა. მსუბუქი სალათებიც ძალიან უყვარს, ხშირად მიირთმევს. ბადრიჯანი ყველითაც ძალიან მოეწონა.

არსებობს „გაჭირვების სალათებიც“. ზოგჯერ მაცივარს ვაღებ და იქ არაფერია. ამ დროს ვიწყებ ფიქრს, რა ვქნა. ცოტა ხნის წინ გავაკეთე ასეთი „გაჭირვებული სალათა“. ვიპოვე კომბოსტოს პატარა ნაჭერი, 4 ცალი კარტოფილი იყო დარჩენილი. ჯერ ხახვი მოვშუშე, შემდეგ — კომბოსტო. კარტოფილი ოთხკუთხედებად დავჭერი და შევწვი. ცალკე მქონდა ბლომად ნიორი, ქინძი და შავი პილპილი. ეს ყველაფერი ერთმანეთში ავურიე და უგემრიელესი „გაჭირვების სალათა“ გამოვიდა.

✓ **ქეთი დინოშვილი**

# გვანცა დარასელია: „ვცდილობ, მანქანა ქალივით არ ვატარო“

ველესახე გვანცა დარასელია ისე ჩქარობდა მართვის მოწმობის აღებას, რომ გამოცდებზე ორსული გავიდა. ქმარმა კი „მიცუბიში პაჯეროთი“ დაასაჩუქრა. მართალია, სულ რაღაც ორი წლის წინ მიუჯდა საჭეს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ კარგი მძღოლია და უკვე სხვა ქალ მძღოლებსაც აკრიტიკებს.

გვანცას მანქანის სალონში საპატიო ადგილი „ფერარის“ კალათს უჭირავს, რომელშიც პატარა ერეკლე ზის. მშობლებმა იზრუნეს, რომ ბავშვი მანქანაში უსაფრთხოდ ყოფილიყო და ეს კალათი უცხოეთიდან სპეციალურად ჩამოუტანეს. ახლა დედა-შვილი ერთად მშვიდად მგზავრობენ.

**— გვანცა, გაიხსენეთ ის პერიოდი, როცა მართვის მოწმობა აიღეთ და საჭეს მიუჯექით.**

— ჩემმა მეუღლემ „მიცუბიში პაჯეროს“ ჯიპი 2 წლის წინ მიყიდა. მართვის მოწმობის აღების დროს 4 თვის ფეხმძიმე ვიყავი. ორსულობის გარკვეულ ეტაპზე გამოცდაზე გასვლა დაუშვებელია და ამიტომ მუცელს ვმალავდი. აშკარად არ შეიმჩნიეს და გამოცდაც ჩამაბარებინეს.

**— ასე რატომ ჩქარობდით მართვის მოწმობის აღებას?**

— ბავშვს რომ გავაჩენდი, მერე დიდხანს ველარ ავიღებდი. მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ მანქანა უკვე ძალიან მჭირდებოდა.

**— ავტომობილი თქვენთვის სიურპრიზი იყო?**

— მანქანის შერჩევაში მეც მივიღე მონაწილეობა და, როგორიც მინდოდა, ჩემმა ქმარმა ისეთი მიყიდა.

**— რატომ აირჩიეთ ასეთი დიდი ჯიპი?**

— გაანალიზებული მქონდა, რომ ჯიპი ბევრად უსაფრთხოა, განსაკუთრებით — დამწყები მძღოლებისთვის, თან კონკრეტულად ეს მოდელი, რადგან ძალიან შეკრული მანქანაა. ორკარიანია და გვერდითა გადაბმის ნაწილი იმდენად განიერია, დარტყმის შემთხვევაში ჭერსაც კი იცავს. დედაჩემს ზუსტად ასეთი ჰყავს. ერთხელ საშინელ ავარიაში მოყვა და ექსპერტებმა თქვეს, რომ არა ეს მანქანა, გადარჩენის ძალიან ცოტა შანსი იქნებოდაო. მამიდაჩემსაც ასეთივე ჰყავს და მისგანაც ვიცოდი, რომ ძალიან პრაქტიკული და უსაფრთხოა.

ძვირადღირებულ ავტომობილებ- →36

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

ზე პრეტენზია არასოდეს მქონია. ჩემს სოციალურ სტატუსს და მატერიალურ მდგომარეობას ეს მანქანა შეეფერება. არ მინდა, დათო ტურაშვილის კრიტიკის ობიექტი გავხდე, რომელიც ხშირად ამბობს, ქართველები შავი ავტობუსებით დადიანო. ჩემი ავტომობილი 50 ათასი არ ღირს, თუმცა ძალიან კომფორტულია, რაც მჭირდება, ყველაფერი აქვს და დაცულად ვგრძნობ თავს. არც სიგრძეშია დიდი და პარკინგის პრობლემას არ მიქმნის.

ჩემს ქმარს ქალაქგარეთ ყოფნა ხშირად უწევს, ამიტომ ჰიპერმარკეტებში მე დავდივარ და ოჯახში პროდუქტები მიმაქვს. ჩემს ავტომობილს საკმაოდ მოხერხებული და ტევადი საბარგული აქვს.

**— ავტომობილის ნაწილებში ერკვევით?**

— ძირითადში ვერკვევი. „კალოდკები“ თუ წუის, ამასაც ვხვდები. თუ მოძრაობის დროს საჭეს ხელს გავუშვებ და მანქანა რომელიმე მხარეს მიდის, ესე იგი ერთ-ერთ საბურავს ჰაერის დამატება უნდა და ვულკანიზაციაში მივდივარ, სულ 5 წუთის ამბავია. ჩემს ავტომობილს მშვენიერი პანელი აქვს, რომელიც ყველაფერს მანიშნებს, ზეთის გათავება იქნება თუ საწვავის.

**— მანქანა პროფილაქტიკაშიც თქვენ დაგყავთ?**

— არა, რადგან ეს ნამდვილად არ არის ჩემი საქმე, მეუღლე აგვარებს. ამ საქმის მოგვარება ძმისთვისაც მითხოვია და მამაჩემისთვისაც.

**— მოძრაობის დროს სარკეში გაპრანჭვის მიზნით თუ გაგპარვიათ თვალი?**

— სალონის სარკეს, რომელიც მოძრაობის დროს მჭირდება, ხელს არასოდეს ვკიდებ. გაჩერებული რომ ვარ, თუ დამჭირდება, მოძრავ სარკეს ვიყენებ. სხვათა შორის, როცა მანქანას ვყიდულობდი, სულ ვფიქრობდი, სარკეებს ალღოს როგორ ავუღებდი. ახლა კი მათ გარეშე მოძრაობა წარმოუდგენლად მიმაჩნია, უსაფრთხო მოძრაობაში ყველაზე მეტად ის მეხმარება.

**— უკანა სავარძელზე ბავშვის კალათი შევნიშნე. ერეკლე ხშირად დაგყავთ თქვენი მანქანით?**

— ერეკლე ჩემს ავტომობილში ძალიან უსაფრთხოდ ზის. „ფერარის“ მოდური და კომფორტული სავარძელი მამიკომ საზღვარგარეთიდან ჩამოუტანა, ზომაშიც რეგულირდება და ძალიან პრაქტიკულია. ერეკლე სავარძელში ჯდომას პატარაობიდან მივაჩვიე, მარტოც მშვენივრად ვმგზავრობთ. ძალიან დიდი დანაშაულია, თუ შენი შვილი ჩვეულებრივ სავარძელში დაუცველად ზის და არა — თავის კალათში. უკანა სალონის დიდი ნაწილი ბავშვის კალათს უკავია, რის გამოც იქ ბევრ მეგობარს ვერ ვსვამ. ჩემი ერთი მეგობარი, ანუკა, ისეთი გამხდარია, ერეკლეს სკამშიც გადასარევად თავსდება.

**— ქალები ძირითადად სულ გარეცხილ-გაპრიალებული მანქანებით დადიან. თქვენც დიდ დროს უთმობთ მანქანის მოვლას?**

— ვერ ვიტყვი, რომ ძალიან პეწიანი მძღოლი ვარ, ავტომობილი ჩემთვის უბრალოდ საჭირო ნივთია. ხანდახან ისეთი დაღლილი ვარ, ერთი სული მაქვს, დანიშნულების ადგილამდე მივიდე. სწორედ უდროობის გამო საჭესთან რამდენჯერმე ტელეფონზე ლაპარაკიც მომიწია, რის გამოც ჯარიმებიც მივიღე.

**— მხოლოდ ტელეფონზე საუბრისთვის გაჯარიმებენ ხოლმე?**



„ჩემს სოციალურ სტატუსს და მატერიალურ მდგომარეობას ეს ავტომობილი შეეფერება. არ მინდა, დათო ტურაშვილის კრიტიკის ობიექტი გავხდე, რომელიც ხშირად ამბობს, ქართველები შავი ავტობუსებით დადიანო".

— ერთხელ „სითი პარკისგან“ მივიღე ჯარიმა და ორჯერ ტელეფონზე საუბრისთვის. მგონია, რომ კეთილსინდისიერი მძღოლი ვარ. პატრული რომ მაჩერებს და მეკითხება, ქალბატონო გვანცა, ხომ იცით, რისთვის გაგაჩერეთო, აბსოლუტურად ვეთანხმები.

**— თქვენი ცნობადობა არ გშველით?**

— არ მინდა, ძალოვნების წინაშე თავი დავიმცირო. როცა ვიმსახურებ, ჯარიმაც უნდა გადავიხადო. ვცდილობ, მოძრაობის წესები არ დავარღვიო. ნერვები მეშლება მათზე, ვინც წესებს არღვევს, არ აქვს მნიშვნელობა, მძღოლი იქნება თუ ფეხით მოსიარულე.

ვაღიარებ, რომ რამდენჯერმე მეც დავარღვიე, ოღონდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ერთხელ ჩემმა შვილმა შუბლი გაიხეთქა და საავადმყოფოში წაიყვანეს. დამირეკეს და ისე ავნერვიულდი, მანქანა ძალიან ცუდ ადგილას მოვატრიალე. ზევით ავიხედე და ხუთასი კამერა მიღებდა, მაგრამ გადავრჩი, ვერ დამაფიქსირეს და არც ჯარიმა მიმიღია. ძალიან მიკვირს, მძღოლები შუქნიშანს რომ არ ემორჩილებიან. როცა შუქნიშანთან პირველი ვდგავარ, მწვანე ანთებული არ არის და უკნიდან მისიგნალებენ, ამაზე ძალიან მეშლება ნერვები. მეც ვუსიგნალებ ან გზას აუღელვებლად ვაგრძელებ.

**— ავარიულ სიტუაციაში მოხვედრილხართ?**

— ერთი ისტორია გამახსენდა. მაშინ ჯერ კიდევ ახალი მძღოლი მერქვა. ბევრ ადგილას ვიყავი მისასვლელი, მთელი დღე საჭესთან მომიწია ჯდომა. ორჯერ ავარიული სიტუაცია შევქმენი. ერთმა გოგომ ჩამიქროლა და ძალიან ცუდი რაღაც მომაძახა. ბოლოს მივხვდი, რომ უკვე ბნელოდა და მე ფარები არ მქონდა ანთებული. შეიძლება ითქვას, რომ გადავრჩი და ამისთვის ღმერთს მადლობა. ჩემი საქციელი მე თვითონაც გამიკვირდა, რადგან, როგორც მძღოლი, ყველასგან დადებით შეფასებებს ვიღებდი.

**— თუ ქმარი გვერდით გიზით, მისგან შენიშვნებს არ იმსახურებთ?**

— როცა მანქანაში ჩემ გვერდით ზის, ყოველთვის კრიტიკულად არის განწყობილი, მაგრამ იმასაც აღიარებს, რომ ძალიან მოკლე დროში შევძელი, კარგი მძღოლი გავმხდარიყავი. საერთოდ ჩემი ქმარი ძალიან კრიტიკულია და, მანქანაში როცა მიზის, მუდამ დაძაბული ვარ. როცა ნასვამია, მხოლოდ მაშინ უწევს ჩემ გვერდით ჯდომა. ერთადერთი შენიშვნა, რასაც ყველაზე ხშირად მაძლევს, დისტანციის დაცვაა.

**— თქვენ რა შენიშვნები გაქვთ მეუღლესთან, როცა ის მართავს მანქანას?**

— სისწრაფეზე ვაძლევ შენიშვნებს, მაგრამ უფრო უმატებს და ამიტომ ბოლო დროს აღარაფერს ვეუბნები. დიდი პლუსი აქვს, რომ საჭესთან ნასვამი არასოდეს ჯდება. მინდა, მისნაირი მძღოლი ვიყო, ძალიან მაგარია.

**— მამაკაცები ქალ მძღოლებს არ სწყალობენ. მათგან აგრესია თქვენც ხომ არ გიგრძვნიათ?**

— ქალი მძღოლების მიმართ მამაკაცები კი არა, მეც აგრესიულად ვარ განწყობილი. ხშირ შემთხვევაში მათ შორი მანძილიდან ვცნობ. მაქსიმალურად ვცდილობ, მანქანა ქალი მძღოლივით არ ვატარო. არ მინდა, თავის ქებაში ჩამეთვალოს, მაგრამ ოდნავ უფრო გაბედული ვარ, ვიდრე სხვა ქალი მძღოლები. შეიძლება რისკიანიც გახლავართ, რადგან თუ გადაწყვეტილებას სწრაფად არ მიიღებ და შეყოვნდები, ამ დროს ატყდება სიგნალები და ამას ვერიდები. თუ წინ მიმავალი სამარშრუტო ტაქსები სამ ხაზად დგანან და ადგილიდან არ იძვრიან, ვცდილობ, ისე გავძვრე, საცობი არ შევქმნა. ვერ ვიტყვი, რომ ნელა ვმოძრაობ. ზოგ გზატკეცილზე სიჩქარე 70 კმ-მდე შეამცირეს, ეს მე კი არა, ბევრ მძღოლს უქმნის დისკომფორტს, მაგრამ მაინც ვემორჩილები და არამხოლოდ იმიტომ, რომ ჯარიმის მეშინია. როცა ყველა დაშვებული სიჩქარით მოძრაობს, მეც სხვა გზა არ მრჩება. მაქსიმალური სიჩქარით 120-ით მივლია. ამ დროს ჩემი მანქანა „მეუბნება“, რომ სწრაფად მივდივარ და სიჩქარეს ვუკლებ.

**— არსებობს თბილისში რომელიმე გზის მონაკვეთი, სადაც მოძრაობას ჯერ კიდევ ვერ შეეგუეთ?**

— თავიდან გმირთა მოედანზე ახალ ესტაკადებს, როგორც ყველამ, მეც სამი წრე დავარტყი და ისე მოვხვდი სასურველ გზაზე.

**— ყველაზე შორს სად წასულხართ მანქანით?**

— ბათუმში წავსულვარ ქმართან ერთად. ასეთ დიდ გზებზე ერთმანეთს ვეხიდებით ხოლმე. შარშან ზაფხულში საგურამოში ვისვენებდი და დილის 6 საათზე სამსახურში მარტო დავდიოდი. ძალიან დიდი ძალისხმევა მჭირდებოდა, რომ საჭესთან არ ჩამძინებოდა.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



Cyan Magenta Yellow Black



BIOCODEX
“ძალიან დავიღალე”
“გამოფიტული ვარ”
“ძალა აღარ მაქვს”
“ყველა კუნთი მტკივა”
“ყველაფერი მავიწყდება”
სტიმოლი
ციტრულინის მალატი
ერთი პაკეტი (ფხვნილი ან ხსნარი) გახსენით 100 მლ წყალში ან წვენში, მიიღეთ საკვებთან ერთად 2-3-ჯერ დღეში.
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 296-72-27

# ზურაბ ცინცქილაძე: „სასიამოვნოა, როცა კარს ლამაზი ცოლი გიღებს“



■ ზურაბი და თამრიკო

**ზურაბი:** „სივრცე იმდენად გვიყვარს, სამი ოთახი ერთ დიდ მისაღებად გადავაკეთეთ“.

**თამრიკო:** „როცა სადმე მივდივართ, გული მწყდება, რომ ფოტოები მარტო რჩებიან. მგონია, რომ ძალიან განიცდიან“.

მსახიობების წყვილი, ზურაბ ცინცქილაძე და თამრიკო დათუაშვილი, თბილისში, ვაკეში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, სამოთახიან ბინაში ცხოვრობს და 25 წელია საკუთარი გემოვნებით, ახალშეძენილი თუ წინაპრების დატოვებული ნივთებით იქმნის კომფორტს.

სახლში შესულს მაშინვე თვალში მოგხვდებათ კედლებზე დაკიდული უამრავი ფოტო, რომელიც მათი ოჯახის ისტორიას ასახავს. ყველა ნივთი ვიღაცას ან რაღაცას ახსენებთ, ყველას თავისი ისტორია აქვს. მისაღები ოთახი სტუმრების სიმრავლეს კარგად იტანს, რადგან თავის დროზე სამი ოთახი ერთ „დარბაზად“ აქციეს. სივრცის მოყვარულ ცოლ-ქმარს გაუმართლათ — მათი აივნიდანაც შესანიშნავი ხედი იშლება.

**— ყველა ცდილობს, თავისი ბუდე ისე მოაწყოს, რომ თავი მშვიდად იგრძნოს. თქვენ რა გიქმნით მყუდროებას სახლში?**

**თამრიკო**: სიმდიდრეს და ფუფუნებას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ცუდია. სახლში მთავარი სიმყუდროვეა. ზოგიერთები რბილ ავეჯს ყიდულობენ და მათ არ იყენებენ, ჩვენ კი რაც გვაქვს, ყველაფერს ვხმარობთ. ყველაზე მეტად რბილი ავეჯი მომწონს. არ მიყვარს ის ნივთები, რომლებსაც არ ვხმარობთ.

**— ანტიკვარულ ჭურჭელსაც მოიხმართ ყოველდღიურობაში?**

**თამრიკო**: მაქვს ჭურჭელი, რომელიც ძალიან ძვირფასია ჩემთვის, მაგალითად, ბებიაჩემის ბებიის ნაქონია და მის თავს მახსენებს. რა თქმა უნდა, მათ ყოველდღე არ ვხმარობ.

**ზურაბი**: მაგალითად, სამოვარს ვერ ვხმარობთ, რადგან ნახშირი სჭირდება. არადა იყო დრო, როცა ვიყენებდით, ეს მაშინ, როცა საქართველოში უშუქობა იყო.

**თამრიკო**: ანტიკვარული ნივთია. მომწონს წინაპრების ნივთებს რომ ვეხები, ეს მსიამოვნებს, მავსებს. გადატვირთული სახლები არ მიყვარს, ეს დიდ დისკომფორტს მიქმნის.

**— სივრცე გიყვართ?**

**თამრიკო**: სწორად მიხვდით, ძალიან მიყვარს.

**ზურაბი**: სამი ოთახი ერთ დიდ ოთახად სწორედ ამიტომ გადავაკეთეთ.

**თამრიკო**: ერთი დიდი ოთახი მირჩევნია ხუთ პატარა ოთახს.

**— ცოლ-ქმარი სახლისთვის ნივთებს, ავეჯს ერთად არჩევთ?**

**ზურაბი**: კი, სულ ერთად დავდივართ, თამრიკო მარტო არ მიდის. ყოველთვის იცის, რისი ყიდვა უნდა და მეც ვურჩევ ხოლმე რაღაცეებს. ჩვენი აზრები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა. არ ყოფილა შემთხვევა, როცა მე სხვა ნივთის ყიდვა მდომებია და თამრიკოს სხვა აზრი ჰქონია.

**თამრიკო**: ზურა ავეჯის გადაადგილებაში თუ მომეხმარება. როგორც წესი, არ მეშლება, რა სად დავდგა. წარმოუდგენელი რაღაცეები გადამიადგილებია.

**— „წარმოუდგენელი რაღაცეების გადაადგილება“ რას ნიშნავს?**

**თამრიკო**: ერთხელ მე და ჩემმა ძმისშვილმა ძალიან ვიწრო კარში პიანინოს გატანა მოვინდომეთ. სასწაული დაგვემართა!

**ზურაბი**: სახლში მოსულს პიანინო კარში დამხვდა.

**თამრიკო**: ისეთ ავეჯს გადავაადგილებ ხოლმე ცეკვა-ცეკვით, რომ მამაკაცისთვისაც კი რთული იქნება. ზოგჯერ ავეჯის გადაადგილება აუცილებელია, თითქოს ნივთი ამას ითხოვს, რაღაც სხვანაირი მუხტი აქვს. სადმე რომ მივდივართ, ვგრძნობ, სად უნდა დავჯდე. რამდენჯერაც ზურამ არ დამიჯერა, მერე მიხვდა, რომ იქ ცუდი აურა იყო და ჯობდა, ჩემთვის ყური დაეგდო.

**ზურაბი**: ზოგჯერ სახლში ისეთი ცუდი აურაა, უკეთესია, საერთოდ არ დაჯდე და მალე წამოხვიდე.

**თამრიკო**: ჩვენს სახლშიც ავეჯის განლაგება დიდ როლს თამაშობს. ორადგილიან სავარძელში თუ ზიხართ, გგონიათ, რომ მისაღებში კი არა, საერთოდ სხვა ოთახში ხართ.

**ზურაბი**: ხშირად სტუმრები გვეკითხებიან, ამდენი დივანი რად გინდათ ორ ადამიანსო. სახლში რომ შემოვდივარ, თუ თამრიკო ორადგილიან სავარძელში ზის, ეს იმას ნიშნავს, რომ კარგ ხასიათზეა, თუ დიდ დივანზე ზის, მაშინ კომპიუტერი უდევს და ინტერნეტშია შესული, თუ შავ დივანზე ზის, ე.ი. ძალიან ცუდ ხასიათზეა.

**თამრიკო**: მიუხედავად იმისა, რომ ამდენი რბილი ავეჯი გვაქვს, შეიძლება კიდევ ვიყიდო, ისე მიყვარს. სტუმრები რომ მოდიან და ერთ დივანზე ველარავინ ეტევა, ეს ძალიან უხერხული მომენტია სტუმრისთვისაც და მასპინძლისთვისაც. სკამს სხვა



დანიშნულება აქვს და დივანს — სულ სხვა.

**— ქალბატონო თამრიკო, სამზარეულოში დიდ დროს ატარებთ?**

**თამრიკო**: სამზარეულო არ მიყვარს. როცა ბავშვები გყავს, აუცილებლად გიწევს საჭმელების კეთება და ვერც იტყვი, არ მეხერხებაო. ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, როგორც ბავშვს სჭირდება. 1 ივლისს 40 წელი შესრულდა, რაც მე და ზურა ერთად ვართ. როცა პატარები მყავდნენ, რა თქმა უნდა, სამზარეულოში ხშირად მიწევდა ტრიალი. უკვე დიდი შვილიშვილები მყავს, როცა საჭიროება მოითხოვს, კეთდება ჩვენს სამზარეულოში კერძები, თუ — არა, სახელდახელოდ მომზადებული საჭმელებით ვიკვებებით.

ძალიან მიყვარს ევროპულად გაკეთებული სახლები. მისაღების და სამზარეულოს



■ ბიძების სახსოვარი სარკე და ზარდახშა



■ „ნერგების" სინჯებისთვის გადაღებული ფოტო

გაერთიანება. თან ხომ ხედავთ, გაერთიანებული კი არის, მაგრამ მისაღებიდან არ ჩანს, რომ სამზარეულო აქვეა. ეს ვარიანტი ყველაფერს მირჩევნია.

— **ბატონო ზურაბ, თქვენთვის რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ სახლში მაქსიმალურად კარგად იგრძნოთ თავი?**

**ზურაბი**: ჩემთვის უმთავრესია, ყველა რბილ ავეჯთან სხვადასხვა წიგნი მელაგოს.

**თამრიკო**: და ყველა წიგნთან — სხვადასხვა სათვალე. ყოველდღე ვაგროვებ ამ წიგნებს და კაბინეტში შემაქვს. ძალიან მიყვარს წესრიგი და არ მომწონს, რომ ყველგან ამის წიგნებია.

**ზურაბი**: სამუშაო ოთახი მაქვს, მაგრამ ხან იქ მინდა წიგნის წაკითხვა, ხან — სხვაგან, ამიტომ ყველგან წიგნებია.

— **ბატონო ზურაბ, ეთანხმებით იმ აზრს, რომ სახლში სიმყუდროვეს და კომფორტს ქალი ქმნის?**

**ზურაბი**: რა თქმა უნდა. ისიც კი მომწონს, როცა კარზე ვაკაკუნებ და ცოლი მიღებს, რაც იშვიათად ხდება, რადგან ჩვენ ერთად გავდივართ და ერთად მოვდივართ.

**თამრიკო**: მე არ მიყვარს სახლში ყოფნა.



**ზურაბი: „სახლში რომ შემოვდივარ, თუ თამრიკო ორადგილიან სავარძელში ზის, ეს იმას ნიშნავს, რომ კარგ ხასიათზეა, თუ დიდ დივანზე ზის, მაშინ ინტერნეტშია შესული, თუ შავ დივანზე ზის, ე.ი. ძალიან ცუდ ხასიათზეა".**

**ზურაბი**: ჩემთვის ყველაზე ცუდი შეგრძნებაა, როცა სახლში მოვდივარ და გასაღებს მე ვუჩხიკინებ. სასიამოვნოა, როცა კარს ლამაზი ცოლი გიღებს. თქვენ კარგი რამ აღმომაჩენინეთ, ახლა დავფიქრდი, რა ცუდ ხასიათზე მაყენებს საკეტში გასაღების ჩხაკუნი.

**თამრიკო**: იმიტომ, რომ როცა ერთად მოვდივართ, მაშინაც კი სულ მე ვაღებ კარს.

**ზურაბი**: თუ შეამჩნიეთ, ჩვენს კარს სათვალთვალო არ აქვს. ყველას ვუღებთ, ვინც კი აკაკუნებს. ახლა უკვე სულ პოლიციიდან გვსტუმრობენ, სასურველი სტუმარი ათიდან ორი თუ იქნება. →40






**ზურაბი: „ჩვენს სახლში ყველაზე ძვირფასი თამრიკოს ბებიის სკოლის ბლოკნოტია, რომელშიც აკაკი წერეთლის ხელნაწერია. ეს ლექსი წერეთელს თამრიკოს ბებიისთვის აქვს მიძღვნილი".**




ძირითადად ჯარიმის ქვითრები მოაქვთ. ჩემი შვილები მანქანით მოძრაობენ, აქ არიან ჩაწერილი და მათი ყველა ჯარიმა ჩვენთან მოდის.

**— ძალიან ორიგინალური ჭაღები გაქვთ. წინაპრების ნაქონია?**

**თამრიკო:** კი, ყველა მათგანი წინაპრების ნაქონია. დივანის გვერდით რომ ღამის ლამპაა, მე-17 საუკუნისაა და პეტერბურგიდანაა ჩამოტანილი. ნათურა კი თანამედროვე უკეთია. ორივეს ძალიან გვიყვარს განათებული სახლი. საღამოს რომ მოხვიდეთ, სახლში ყველა ნათურა ანთია.

**— ყველა ოთახის კედლებზე ნახატები და სურათებია. ეს ალბათ თქვენი ოჯახის ისტორიაა.**

**თამრიკო:** როცა სადმე მივდივართ, გული მწყდება, რომ ფოტოები მარტო რჩებიან. მგონია, როცა სახლში არ ვართ, ისინიც ძალიან განიცდიან. უამრავი ფოტო გვაქვს და მათთან ბევრი მოგონება გვაკავშირებს.

**— ქალბატონო თამრიკო, მისაღებში კედელზე თქვენი ახალგაზრდობის შავ-თეთრი ფოტო კიდია, რომელიც არ შეიძლება ვინმეს შეუმჩნეველი დარჩეს. მისი ისტორია როგორია?**

**თამრიკო:** მე უკვე შეჩვეული ვარ, მაგრამ ვინც შემოდის, მართლაც ყველა აღნიშნავს, რომ ეს ფოტო მაშინვე თვალში ხვდებათ. ეს სურათი ფილმ „ნერგებზე" მუშაობის დროს რეზო ჩხეიძემ გადამიღო. იმ ფილმიდან მხოლოდ ეს ფოტო დამრჩა. ახლაც ძალიან მიყვარს ფოტოების გადაღება. ეს მთელი ცხოვრების ისტორიაა, რაც სულ რჩება. უკვე აუტანლად ბევრი ფოტო გვაქვს.

კედლებზე დაკიდულ სურათებს რომ ვუყურებ, წარსულიდან ბევრი რამ მახსენდება. ბევრ ფილმზე მამტკიცებდნენ, მაგრამ თეატრს ვერ ვღალატობდი და გადაღებებზე ვერ მივდიოდი, ამიტომ ბევრჯერ გვერდით დავრჩი, მაგრამ არა უშავს. მე და ზურა მოსკოვშიც მიგვიწვიეს, როლებზე დაგვამტკიცეს, მაგრამ ჩვენს თეატრს არ ვუღალატეთ და არ წავედით. იქიდანაც მხოლოდ ფოტოები დაგვრჩა. ლედი მაკბეტს ვთამაშობდი და ეს ფოტო ზურას გადაღებულია, ძალიან მიყვარს.

**ზურაბი:** ამ ფოტოებს რომ ვუყურებ, თამრიკო ისევ ისეთია, როგორიც წლების წინ იყო.

**თამრიკო:** სურათებზე აღბეჭდილია ჩვენი ახლობლობა ზვიად გამსახურდიასთან. სკოლებში ერთად დავდიოდით და ბავშვებს „ვეფხისტყაოსანს" ვუკითხავდით. ფოტო, რომელიც გიგა ლორთქიფანიძის ფილმ „პრემიერადან" არის, ძალიან მიყვარს. ამ ფილმში ჩემთან ერთად ზურაც თამაშობს. მას წვერის გაპარსვა დასჭირდა და ჩვენმა შვილმა, ანიმ, მამა ვეღარ იცნო. შეხედეთ, ფოტოზე როგორი გაკვირვებული უყურებს. გაოცებული იყო, ორი-სამი დღე დაგვჭირდა, რომ შეჩვეოდა. სახეზე უყურებდა და ვერ ცნობდა, მაგრამ რომ დაელაპარაკებოდა, ხმა ეცნობოდა. ზურას ხმას რომ იგებდა, ტიროდა.



**— წარსულიდან შემონახული რელიკვიები თქვენს სახლში მრავლად შევნიშნე.**

**თამრიკო:** კი, ძალიან ბევრი ასეთი ნივთი გვაქვს. მაქვს თოჯინა, რომელიც მამამ შოტლანდიიდან ჩამოიტანა, პატარა რომ ვიყავი. ჩემი უფროსი ქალიშვილის მამამთილმა, რეზო წულეისკირმა მაჩუქა საქართველოს სიმბოლო ლომი. იოსებ ბაბუას ლუპაც მაქვს სახლში, რომელიც სულ თავის კაბინეტში ედო. მეც და ანიც გველის წელიწადში ვართ დაბადებული და რეზო ჩხეიძემ ეს გველი-სუვენირი პარიზიდან ჩამოგვიტანა. პატარა ყვავილი, რომელიც ქორწილში თავზე მეკეთა, დღემდე შენახული მაქვს და ძალიან მიყვარს. ეს ყვავილი 40 წლის არის და ცოტა დაიშალა. ანტიკვარულ კარადაზე სამოვართან ერთად დალაგებული ლამაზი ნივთები ბებიის ნაჩუქარია.



**ზურაბი:** მე ვთვლი, რომ ჩვენს სახლში ყველაზე ძვირფასი თამრიკოს ბებიის სკოლის ბლოკნოტია, რომელშიც აკაკი წერეთლის ხელნაწერია. ეს ბლოკნოტი ყველაფერს „უჯოკრავს". ეს ლექსი წერეთელს თამრიკოს ბებიისთვის აქვს მიძღვნილი. მაგიდაზე რომ ლამპაა, ეგეც თამრიკოს ბებიის სახსოვარია.

**თამრიკო: „ისეთ ავეჯს გადავაადგილებ ხოლმე ცეკვა-ცეკვით, რომ მამაკაცისთვისაც კი ძნელი იქნება".**

**თამრიკო:** სამზარეულოში თაროებზე დალაგებული სერვიზი წინაპრების ნაქონია. გვერდები ჩამოტეხილი აქვს, მაგრამ მე ეს მომწონს. ამ ჭურჭლით კი, რომელსაც ფოტოებიც გადავუღეთ, ბავშვობაში ვთამაშობდი. ჩემს მერე შვილები და ბოლოს უკვე შვილიშვილები ერთობოდნენ. დღემდე შემომრჩა. ასევე მაქვს ყანწები, რომლებიც მე და ზურას ქორწილში გვაჩუქეს.

**ზურაბი:** ზედ წარწერაც აქვს: „თამრიკოს და ზურას თანაჯგუფელებისაგან. გილოცავთ გაბედნიერებას" და თარიღი აქვს მითითებული. ჩვენი ქორწილი 1973 წლის 30 ივნისს იყო და 1 ივლისსაც გაგრძელდა.

**— თაროებზე რომ ორი თოჯინაა, მათთვისაც დაუტყვია დროს თავისი კვალი.**

**თამრიკო:** ეს ორივე თოჯინა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ანი პატარა რომ იყო, თავისმა მეგობარმა აჩუქა. უთხრა, გამიხსენებ ხოლმეო. სიცოცხლეს სადღაც აპირებდა წასვლას და სახსოვრად დაუტოვა. მეორე თოჯინას ჩემი შვილიშვილის სახელი ლიზი ჰქვია. ლიზი რომ დაიბადა, მაშინ აჩუქეს და რომ წამოიზარდა, მე მომცა, თავად აღარ დაინტერესდა. ასე რომ, ყველა ნივთი ვიღაცას მახსენებს. კედლებზე, თაროებზე მთელი ჩვენი ისტორიაა.

**— მისაღებში რომ სარკე კიდია, როდინდელი შენაძენია?**

**თამრიკო:** ის სარკე ბიძაჩემმა მაჩუქა, როდესაც სკოლა დავამთავრე. ზარდახშა, რომელიც საძინებელში დევს, მეორე ბიძამ მაჩუქა. ძალიან ბევრი წლის არის, კონკრეტულად არ გეტყვით, თორემ გამოვა, რომ ჩემი ასაკი გავამხილე. ამ ზარდახშის გარეშე საერთოდ არ შემიძლია, ძალიან ტევადია.

**— სარწეველა სკამი ვისი საკუთრებაა?**

**ზურაბი:** რა თქმა უნდა, ჩემი. თამრიკოსაც ძალიან უყვარს. ეგეც ანტიკვარია.

**— ვამხმარი ვარდები გაქვთ შენახული. ბატონმა ზურაბმა ხომ არ მოგართვათ?**

**თამრიკო:** არა, ეს ვარდები ჩემს ქალიშვილს, ანის, მეუღლემ პირველად მოუტანა და ამიტომ დღემდე შენახული მაქვს.

✓ ქეთი დინოშვილი

# ავერსის აფთიაქებში

# ყოველ ოთხშაბათს

ნებისმიერ შენაძენზე მიიღეთ

# ყველაზე დიდი ფასდაკლება

მათ შორის კოსმეტიკაზე და საბავშვო პროდუქტებზე



დააგროვეთ გა3მაგებული ქულები მტრედი ბარათზე მთელი ზაფხულის განმავლობაში

და

აირჩიეთ საჩუქრად ნებისმიერი პროდუქტი




ავერსი
AVERSI

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

www.aversi.ge

☎ 2-967-227

# იუნა შაფათავას ერთლარიანმა კაბამ ბედნიერება მოუტანა

სამოსი



სკანდალური იმიჯის მქონე იუნა შაფათავა ბოლო დროს ცდილობს, თავისი ჩაცმულობით ხალხი არ გააღიზიანოს. ასე მას შემდეგ იქცევა, რაც „მეცხრე არხის“ ეთერში გამოჩნდა, თუმცა ტყავის შარვალზე უარი მაინც არ თქვა. ჩვეულებრივ დღეებში თამამად ჩაცმას არასოდეს ერიდება. ქმართან, რომელთანაც 8 წელი იცხოვრა, შეეძლო გაუთავებლად ეკამათა იმის თაობაზე, რა უნდა ჩაეცვა და რა — არა. ერთი პერიოდი ძალიან ძვირფასი სამოსით დადიოდა, შანელის კაბები ეცვა, ძვირადღირებული სამკაულები ეკეთა, მაგრამ ეს წარსულში დარჩა. მიხვდა, რომ ბედნიერება ცხოვრებაში სხვა რამეს მოაქვს. ახლა მეორადი ტანსაცმლის მაღაზიებსაც სტუმრობს და გარდერობში ერთლარიანი კაბაც აქვს.

— **იუნა, როგორია თქვენი ყოველდღიური და საქმიანი ჩაცმულობა?**

— თუ საქმიან შეხვედრაზე არ მივდივარ, მოკლე შავ კაბასთან შავ ფეხსაცმელს ვიცვამ, ვიკეთებ შესაფერის საყურეებს, ზოგჯერ — მწვანე ლინზებს და შავ ჩანთას ვიჭერ. ჩემი ყოველდღიური ფორმა ესაა. როცა ოფიციალურ შეხვედრაზე მივდივარ, კაბას მუხლამდე ვაგრძელებ და პიჯაკს ვიცვამ. დღეს ცოტაა ისეთი ადამიანი, ვინც პროტოკოლურ ჩაცმას იმსახურებს, ამიტომ ვცდილობ, მეც ჩვეულებრივად გამოვიყურებოდე.

**„ჩემმა ყოფილმა ქმარმა „მიანდერძა“, ძალიან გთხოვ, დეკოლტესიანები არასოდეს ჩაიცვაო“.**

— **ყოველთვის ასეთი სტილი გქონდათ თუ დროსთან და ასაკთან ერთად გემოვნება შეგეცვალათ?**

— ჩემი სტილი ძალიან შეიცვალა. ადრე, როგორც თინეიჯერი, ისე ვიცვამდი. სტუდენტობის დროს მე და ჩემი დაოფიციალურად ჩაცმულები დავდიოდით, პიჯაკი ხან კაბაზე გვეცვა და ხან — ჯინსის შარვალზე. მაშინ ჩემი ყოველდღიური სტილი ეს იყო. მერე კი ნელ-ნელა შანელის შავ კაბებსა და მარგალიტებზე გადავედი. ადრე ბევრ აქსესუარს ვხმარობდი, ბეჭდების გაკეთება მიყვარდა. ოქროსა და ბრილიანტსაც ხშირად ვხმარობდი, მაგრამ შემდეგ ეს ყველაფერი ჩემი ყოველდღიურობიდან ამოვარდა. აღარც მაქვს ოქროს და ბრილიანტის სამკაულები.



მაქვს ბრიჯიტ ბარდოს ბეჭედი, ჩემთვის ეს ამ ქალის სიმბოლოა და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ძალას მაძლევს. მაქვს ძოწის ჯვარი, რომელიც მაშინ მიჭირავს ხელში, როდესაც ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ. ერთი საყურე მაქვს, რომელსაც ძალიან ვუფრთხილდები, ის რომ გაფუჭდეს, თავს მოვიკლავ. ისე, სამკაულების გარეშე ყოფნა უფრო მიყვარს, რადგან ნამდვილ სილამაზეს ბევრი ბიჟუტერია არ უხდება.

— **რატომაა ის საყურე თქვენთვის ასეთი საყვარელი?**

— ალბათ — იმიტომ, რომ ვარდისფერის და შავის შეხამებაა, ეს კი ჩემთვის იდეალურია. შავისა და თეთრის შეხამებაც ძალიან მაგარია. სამწუხაროა, რომ ჩვენ ნამდვილი ბომონდი არ გვყავს. ცოტა ხნის წინ ჩვენი პრემიერმინისტრის მეუღლეს მიღება ჰქონდა და მთელი დიპლომატიური კორპუსი ამაზრზენად ჩაცმული მივიდა. ჩვენთან ეკონომიკური დონე ძალიან დაბალი კი არის, მაგრამ ხალხის გარკვეული ნაწილი მაინც უნდა ხმარობდეს შანელის სამოსს, ბრილიანტის აქსესუარებს. მე არ ვარ იმდენად მდიდარი, რომ ეს ყველაფერი მქონდეს — ძვირფასი სამოსი, მანქანები, კარგი სახლი. ვიცი ისეთი ქალები, რომლებიც ბეჭდის თუ კაბის ყიდვის გამო შიმშილობენ. ჩემთვის ასეთი რამ მიუღებელია და ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ გარდერობში ერთლარიანი კაბაც მაქვს.

**„როცა ოფიციალურ შეხვედრაზე მივდივარ, კაბას მუხლამდე ვაგრძელებ და პიჯაკს ვიცვამ. დღეს ცოტაა ისეთი ადამიანი, ვინც პროტოკოლურ ჩაცმას იმსახურებს, ამიტომ ვცდილობ, მეც ჩვეულებრივად გამოვიყურებოდე“.**

— **ერთლარიანი კაბა სად იშოვეთ?**

— ქუჩაში ეკიდა და ვიყიდე. სხვათა შორის, ეს კაბა კარგად დამებედა, მას შემდეგ კინოში გადამიღეს. მიშა აფხაზავამ ქუჩაში მნახა იმ კაბით, თეთრი ფეხსაცმელები მეცვა, თეთრი ჩანთა მეკავა და მარგალიტები მეკეთა. მოვეწონე და ერთ-ერთი ბანკის რეკლამაში გადამიღეს. ერთლარიანი უძახეთ, მაგრამ ჩემთვის ძალიან ბედნიერი კაბაა. არ მივეკუთვნები იმ ქალებს, ვინც საყიდლებზე პარიზში მიდიან. მაგიჟებენ ადამიანები, რომლებიც კომპიუტერთან სხედან და სხვადასხვა საიტიდან სამოსს იწერენ.

— **თქვენ არ სარგებლობთ ინტერნეტშოპინგით?**

— ჩემი ტყუპისცალი დაა ამის მანიაკი. დეას სხვადასხვა ბრენდის ბევრი სამოსი აქვს. ჰქონდა ძალიან ძვირადღირებული ფეხსაცმელი, რომელშიც 1000 ევროზე მეტი გადაიხადა. ერთხელ მივლინებაში იყო და ჩუმად ჩავიცვი. ქუჩაში მივდიოდი და ჩემთვის ვფიქრობდი, მერე რა, რომ ასეთი ძვირფასი ფეხსაცმელი გაცვია, ეს რას გმატებს-






**„ცოტა ხნის წინ ჩვენი პრემიერმინისტრის მეუღლეს მიღება ჰქონდა და მთელი დიპლომატიური კორპუსი ამაზრზენად ჩაცმული მივიდა".**

მეთქი. რა მომცა იმ ფეხსაცმლით სიარულმა? არაფერი. გოგონებს, ვისაც ასეთი ძვირადღირებული სამოსის ყიდვის საშუალება არ აქვთ, მინდა ვუთხრა, რომ გული არ დაგწყდეთ. ეს არაფერს მოგცემთ, გარდა იმისა, რომ ვიღაცის თვალში თითქოს იმ ფენის წარმომადგენლად იქცევით, ვისთვისაც ასეთი სამოსი იკერება, ამიტომ თავს ნუ მოიტყუებთ.



ის ქალებიც, რომლებიც ძვირადღირებული სამოსის გამო შიმშილობენ, თავს ნუ იტყუებენ, ტანსაცმელი ამად არ ღირს. არსებობს საკმაოდ ლიბერალური მაღაზიები, რომლებსაც არანაირი ბრენდის სახელი არ აქვთ, ჩაიცვით და ისიამოვნეთ!

**— ძნელია არაა მიხვედრა, რომ ერთ ლარად კაბას მეორადი სამოსის მაღაზიაში იყიდდით. ასეთ ადგილებში ხშირად დადიხართ?**

— კი, რატომაც არა? მახსოვს, პარიზში შევედი მაღაზიაში, მეგონა, ვინტაჟის მაღაზიაში მოვხვდი, მაგრამ სინამდვილეში მეორადი ტანსაცმლის მაღაზია ყოფილა. ამის წინააღმდეგი არ ვარ. ვიცი ცნობილი სახეები, ვისაც მეორადი სამოსი სახლში მიაქვთ და იქ არჩევენ სასურველ ტანსაცმელს, მაღაზიებში შესვლას კი არ კადრულობენ. სტუდენტობიდან მოყოლებული მშვენივრად ვსარგებლობდი ასეთი მაღაზიებით. ამაში ცუდი არაფერია, პირიქით. გამონაცვალ სამოსში ბავშვები იზრდებიან და ჩვენ რომ ჩავიცვათ, რა მოხდა? ზოგი ამბობს, სამოსი იმის აურას ატარებს, ვისაც აცვიაო, მაგრამ ტანსაცმელი, რომელიც ქიმიურად მუშავდება, რა აურას უნდა ატარებდეს?

**— უნდა აღვნიშნო, რომ თქვენი ჩაცმულობით ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცევით. არ ერიდებით დეკოლტეს, მინი კაბებს. ამ სტილში თავს ბუნებრივად და კომფორტულად გრძნობთ?**

— რუსებს აქვთ ასეთი გამოთქმა — სოფლიდან გოგო კი წამოვა, მაგრამ გოგოდან სოფელი არასოდეს წავაო. რატომღაც ჩვენთან მიღებული არ არის მოკლე კაბების, დეკოლტეების ჩაცმა. მე იმიტომ განვსხვავდები სხვებისგან, რომ 50 პროცენტი რუსული სისხლი მაქვს. მოსკოვში ვცხოვრობდი, სადაც ქართველებისგან რადიკალურად განსხვავებულად იცვამენ. იქ ბომონდი სულ სხვა დონეზეა. სულ იმას ვჩივი, რომ ჩემმა ქვეყანამ, რომელსაც მე ყველაფერი მივეცი, მისთვის ბოლომდე დავიხარჯე, სამწუხაროდ, უკან ვერაფერი მომცა. კანონით, მე უნდა მყავდეს ბენტლი, მემსახურებოდეს მძღოლი, მქონდეს აგარაკი, ძვირფასი სამკაულები, გვერდს მიმშვენებდეს ჩემი რანგის მამაკაცი. როცა შეხვედრაზე მივდივარ, ჩემგან პიჯაკის ჩაცმას ითხოვენ, ასევე მე ვითხოვ მათგან, რომ საზოგადოება იყოს იმ დონეზე, ამისი საშუალება მქონდეს. იმედია, ადრე თუ გვიან ყველა ფენის წარმომადგენელი მიხვდება, რა ჩაიცვას.



ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ სამინისტროში ვიყავი, სადაც რიგით თანამშრომელს ნახევარკილოიანი ოქროს ჯაჭვი ეკეთა. ჩვენს მამაკაცებს ამ ჯაჭვების თუ ძვირფასი სამაჯურების მანია აქვთ. ძალიან მომწონს, როდესაც კაცები ბრენდებში ერკვევიან, ვგიჟდები ისეთებზე, რომლებსაც კარგი გემოვნება აქვთ. ასეთს კი მთელ საქართველოში მხოლოდ ორს ვიცნობ.

**— ქართველი ტელეწამყვანების ჩაცმულობაზე რას იტყვით, გემოვნებით იცვამენ?**

— ჩვენი რამდენიმე ქალბატონი ტელევიზორიდან სულ თვალებში

**„ზაფხულში ძირითადად შორტებით დავდივარ, ზამთარში — ტყავის შარვლით".**

მეჩრებიან თავიანთი შანელებით. მათ არც ის შანელი უხდებათ და არც ივ სენ ლორანი, რადგან ის სამოსი მათთვის არაა შეკერილი. ჯობია, ქართული ბრენდები ჩაიცვან და პარიზში რომ წავლენ, თქვან, ქართველი დიზაინერის ნაწარმი მაცვიაო. მოკლე ფეხებს ის უფრო მოუხდება, ვიდრე შანელის სამოსი. არავის ეწყინოს, ძალიან ბევრი ლამაზი ქალი გვყავს, რომლებსაც ხშირად →44


# შარდის შეუკავებლობა განკურნებადია

კლინიკა „მედულაში" უნიკალურ ოპერაციებს ჩაატარებს ცნობილი უროგინეკოლოგი თელ ავივის საუნივერსიტეტო კლინიკის სამედიცინო ცენტრიდან

კლინიკა მედულა
დავით თაბაგარის
კლინიკური კვლევების ცენტრი

შარდის შეუკავებლობა, რომელსაც ძირითადად იწვევს მენჯის ღრუს ორგანოების პროლაფსი (დაწევა ან სრული გამოვარდნა), ძალზე გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს თითქმის ყველა ასაკის ქალბატონისათვის. სამწუხაროდ, ასეთი პაციენტები, სიმორცხვის გამო, ამ საკითხზე არ საუბრობენ და ხშირად ექიმსაც კი არ მიმართავენ. არადა, ეს დაავადება დღეს განკურნებადია როგორც თერაპიულად, ასევე ქირურგიულად.

ზემოაღნიშნული პათოლოგიით დაავადებული პაციენტების კონსულტაციისა და მათი შემდგომი მკურნალობის მიზნით, მიმდინარე წლის 19 ივლისს კლინიკა „მედულას" სამუშაო ვიზიტით ეწვევა ჩვენი დიდი ხნის პარტნიორი, თელ ავივის საუნივერსიტეტო კლინიკის სამედიცინო ცენტრის უროგინეკოლოგიური სამსახურის უფროსი, **ბატონი შიმონ გინათჰი**, რომელიც ქართველ კოლეგებთან ერთად კონსულტაციებსა და სათანადო მკურნალობას ჩაუტარებს ამ სენით დაავადებულ მანდილოსნებს (იგულისხმება პაციენტების როგორც თერაპიული, ასევე ქირურგიული მკურნალობა).

აგრეთვე, ზემოაღნიშნული დაავადების სრულფასოვანი განკურნების მიზნით, კლინიკა „მედულაში" ჩამოყალიბებულია ექიმთა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: გინეკოლოგი, უროლოგი, ნევროლოგი და ფსიქოლოგი.

ჩვენი რჩევაა, ნუ შეიქმნით დისკომფორტს იმ პრობლემის გამო, რომელიც სავსებით მოგვარებადია.

**დაგვიკავშირდით. ანონიმურობა სრულად დაცულია.**
**სრულყოფილი ინფორმაცია იხილეთ კლინიკის Facebook-ზე ან ვებგვერდზე: www.medulla.ge**

ექიმი კარინა ბუცხრიკიძე — ☎ 599-92-41-32.
კლინიკა „მედულა" — ☎ 230-45-02; 597-30-45-02.
მის.: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №6 (ყოფილი ჯიქიას ქუჩა).



ულამაზესს ეძახიან. ვუყურებ ამ ქალებს და ვფიქრობ, ახლა ამათ ლამაზი რა აქვთ-მეთქი და მათში ლამაზი მხოლოდ ის შანელის სამოსია, რაც ქართველებს ძალიან უკვირთ. მათ ფონზე კი მართლა ლამაზი გოგონები არ ჩანან. ეს საზოგადოების გაუნათლებლობის შედეგია.

ეს გამოცდილება ჩემმა ასაკმა და საჭირო ხალხთან ურთიერთობამ მომიტანა. მეც მქონდა პერიოდი, როდესაც ვერსაჩეს და ბულგარის ბეჭდები მეკეთა მაშინ, როცა საქართველოში ეს ყველაფერი არავის ჰქონდა. დახეული ჯინსებითაც დავდიოდი ჯერ კიდევ სკოლის ასაკში.

**„37 წელია საკუთარ თავზე მესმის, რა ვულგარული, „პახაბნიაო". მხოლოდ ჭკვიანი ხალხისგან თუ გამიგია, რა სექსუალური და მიმზიდველიაო".**

**— ახლა აღარ იცვამთ დახეულ ჯინსებს?**

— როგორ არ ვიცვამ, მაგრამ ისე გავსუქდი, რომ ცოტა ხნის წინ ჯინსის შარვალი შუა ქუჩაში შემომასკდა. ზაფხულში ძირითადად შორტებით დავდივარ, ზამთარში — ტყავის შარვლით. ეთერშიც ტყავის შარვალი მაცვია. გადაცემისთვის ისეთი სტილი შევარჩიე, რომელიც მაყურებელსაც არ მოხვდებოდა თვალში და მეც კმაყოფილი ვიქნებოდი.

**— თქვენი ჩაცმულობა კრიტიკის ობიექტი გამხდარა?**

— ძალიან ხშირად. გავუკრიტიკებივარ ქმარს, საყვარელ მამაკაცს. ბოლო დროს კრიტიკამ იმიტომ იმატა, რომ მცნობენ და თავს ჩემკენ ატრიალებენ. 37 წელია საკუთარ თავზე მესმის, რა ვულგარული, „პახაბნიაო". მხოლოდ ჭკვიანი ხალხისგან თუ გამიგია, რა სექსუალური და მიმზიდველიაო.

**— ასეთი შეფასებები თქვენზე მოქმედებს?**

— ზოგჯერ გული მწყდება, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან ჩამორჩენილია. რუსულ ტელეარხებზე ყოველდღე ხედავენ მკერდგადმოგდებულ ლამაზ ქალებს. საქართველოში ძალიან უყვართ სლავური გარეგნობის ქალები, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ქართველი ქალები ძალიან სექსუალურები არიან. უკვე იმ ასაკში არ ვარ, რომ ვიღაცეების აზრს ყურადღება მივაქციო.



**— ქართველი ქალებისგან ხშირად გამიგია, იმას არ ჩავიცვამ, რაც ჩემს ქმარს არ მოსწონსო. თქვენ თუ ითვალისწინებდით მეუღლის აზრს?**

— ჩემს ქმარს ტრადიციული ოჯახი ჰქონდა, რომელმაც ვერ მიმიღო. არ მიმიღეს იმიტომ, რომ რუსი ვიყავი. მამამთილი კი ძალიან პროგრესული ადამიანი იყო, უხაროდა, რომ ასეთი ვიყავი. თეთრი, ვარდისფერი კაბები მიყვარდა. მოკლე კაბებსაც ვიცვამდი და ვიწროსაც. სამი საათიც დამიგვიანია სამსახურში მხოლოდ იმის გამო, რომ ძალიან მოკლე კაბა ჩამიცვამს და ქმარი მეუბნებოდა, ასე ჩაცმულს სამსახურში არ წაგიყვანო. ალბათ მართალი იყო, რადგან, როდესაც კაცები ქალს მოკლე კაბაში ხედავენ, ჰგონიათ, ადვილად დასაპყრობია. ეს კაცის თვისებაა, მაგრამ აქ რაღაც საძაგლობას მოგაძახებენ და თუ ყურადღებას არ მიაქცევ, გაგინებენ.





მამაკაცები ჩვენ რომ ფორმაში ყოფნას გვთხოვენ, ჯობს, თავიან ლიპებს მიხედონ! ამას რომ ვამბობ, ძალიან მწარდებიან, მაგრამ საშინელებაა, ორსულივით რომ დადიან. სირცხვილია, ჩვენი ბიჭები კიევში, მოლდოვაში რომ მირბიან, უკეთესია, თავიანთ ქალებს მიაქციონ ყურადღება. უკრაინელები იმიტომ არიან ასეთი მოვლილები, რომ კაცებისგან ყურადღებას ითხოვენ და იღებენ კიდეც, ჩვენც ვითხოვთ, მაგრამ ვერ ვიღებთ. ამას მხოლოდ მე არ ვამბობ, ძალიან ბევრი გოგოსგან გამიგია, ქართველმა კაცმა ყურადღების გამოჩენა არ იცისო.

**„ერთ-ერთ სამინისტროში ვიყავი, სადაც რიგით თანამშრომელს ნახევარკილოიანი ოქროს ჯაჭვი ეკეთა. ჩვენს მამაკაცებს ამ ჯაჭვების თუ ძვირფასი სამაჯურების მანია აქვთ".**

**— განსაკუთრებულად საყვარელი სამოსი თუ გაქვთ?**

— შეიძლება სამოსი არ მიყვარდეს, მაგრამ, როცა ვიცვამ, შეიძლება იმ დღეს ისეთი რაღაც მოხდეს, რომ შემიყვარდეს. როცა ჩემი და თამაშს იგებს (იუნას უმცროსი და, სოფო, ჩოგბურთელია. ავტ.), იმ კაბით დავდივარ მთელი კვირა, რაც მისი გამარჯვების დღეს მეცვა. ერთი თეთრი კაბა მქონდა, რომელიც მის ოთხ თამაშზე მეცვა. ნახევარფინალის წინ ელვა გამიფუჭდა, ამოვკერე და მაინც ის კაბა ჩავიცვი. ცრურწმენაა, მაგრამ მაინც კარგად მაქვს დაცდილი.



**— ფეხსაცმელებს რა ადგილი უკავიათ თქვენს გარდერობში?**

— სიგიჟემდე მიყვარს, ოღონდ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები. ჩემმა ყოფილმა ქმარმა „მიანდერძა", ძალიან გთხოვ, დაბალქუსლიანები არასოდეს ჩაიცვაო. 1.80 სანტიმეტრი რომ ვყოფილიყავი, შეიძლებოდა მაშინაც არ ჩამეცვა დაბლები, რადგან ამ დროს ქალი „სექსი" არაა. ქალი უნდა იყოს ძალიან „სექსი", მოვლილი, მოქნილი.

**— ქალს მხოლოდ ჩაცმა და მაღალი ქუსლები ხდის ასეთს?**

— ქალი მაშინაა ყველაზე ქალური, როდესაც შეყვარებულია და იცის, რომ ვიღაცას უყვარს. როცა ბედნიერი ვარ, ყველაფერში მეტყობა და თუ არ ვარ ბედნიერი, ჩამქრალი დავდივარ. არის დღეები, როდესაც შემიძლია ერთი ჩვეულებრივი კაბით ყველგან წავიდე, მაგრამ ხანდახან საკუთარ თავს ვეუბნები, ახლა უნდა გაიპრანჭო, მაიკიაჟიც უნდა გაიკეთო-მეთქი.

**„სტუდენტობის დროს მე და ჩემი და ოფიციალურად ჩაცმულები დავდიოდით, პიჯაკი ხან კაბაზე გვეცვა და ხან — ჯინსის შარვალზე. მერე კი ნელ-ნელა შანელის შავ კაბებსა და მარგალიტებზე გადავედი. ოქროსა და ბრილიანტსაც ხშირად ვხმარობდი, მაგრამ შემდეგ ეს ყველაფერი ჩემი ყოველდღიურობიდან ამოვარდა".**

ჩვენს ქალებზე ძალიან ვბრაზდები, რომლებიც ჩემზე ჩივიან, როგორ დადის, თმა მაინც დაივარცხნოსო, მაგრამ ახლა თქვენთანაც შეგნებულად დაუვარცხნელი მოვედი. ეს ჩვენთანაა, სალონიდან გამოვარდნილები ვარცხნილობით და მაკიაჟით აუზზე რომ მიდიან. ქალი მოვლილი უნდა იყოს, მაგრამ ვთვლი, რომ ჯობს ყოველთვის ისეთი იყო, როგორიც ხარ და საკუთარი თავი არ შეფუთო.

✓ ქეთი დინოშვილი

# სოსო ცინცაძეს გეიშებმა იმედი გაუცრუეს

ვ ოლიტოლოგი სოსო ცინცაძე განსაკუთრებით ბევრს მაშინ მოგზაურობდა, როცა აფრიკის კონტინენტზე ცხოვრობდა და მუშაობდა. ეს პერიოდი მისთვის მრავალმხრივ საინტერესო აღმოჩნდა. დროთა განმავლობაში აფრიკელებთან ურთიერთობასაც აუღო ალღო და ბოლოს იქიდან წამოსვლა აღარ უნდოდა. კიდევ ბევრ ქვეყანასა და კონტინენტზეა ნამყოფი. ამერიკაში არასოდეს ყოფილა და არც აქვს წასვლის სურვილი, უბრალოდ არ აინტერესებს.

ბატონი სოსოსთვის მოგზაურობა ის ერთადერთი საშუალებაა, როცა შეუძლია საკუთარ თავთან მარტო დარჩეს, ვალდებულებებისგან გათავისუფლდეს და საკუთარი სურვილისა და გემოვნებისამებრ გაატაროს დრო.



## „რომის ქუჩებში ჯინა ლოლობრიჯიდას ამაოდ ვეძებდი“

**სოსო ცინცაძე:**

— მოგზაურობას თავისი შარმი აქვს. რა სტატუსით მოგზაურობ, ამაზეა დამოკიდებული და აგრეთვე ფინანსურ შესაძლებლობებსა და ქვეყნებზე. ჩემი ძირითადი სპეციალობა ბრიტანეთის კოლონიური პოლიტიკა გახლდათ აფრიკაში, ამიტომ გასული საუკუნის 70-იან წლებში აფრიკისა და აზიის ქვეყნებში ბევრს ვმოგზაურობდი. ამ მხრივ, ყოველთვის დიდი არჩევანი მქონდა, მაგრამ გამუდმებით აფრიკას ვირჩევდი.

— **რატომ მაინცდამაინც აფრიკა?**

— აფრიკა ეგზოტიკა, სულ სხვა პლანეტა, ხალხი, დამოუკიდებლობა და მენტალობაა. ბავშვური გულუბრყვილობა და უბოროტო ეშმაკობა აფრიკელების დამახასიათებელი თვისებებია. როცა რაღაცას ყიდულობ, თუ არ შეევაჭრე, არაფრად გაგდებენ და სულელად გთვლიან. აფრიკაში მოგზაურობა რომ დავიწყე, მაშინ მისი ქვეყნების უმრავლესობა უკვე თავისუფალი იყო. საინტერესო იყო, როგორ ფორმირდებოდა ელიტა. ჩემი აფრიკელი კოლეგები მეუბნებოდნენ, რუსი და ამერიკელი ხელს რომ ჩამოგვართმევს, ხელი მაშინვე ცხვირსახოცისკენ მიაქვთ და იწმენდენ, ინგლისელი ამას ხომ არასოდეს იზამსო. ეს მათზე ძალიან მოქმედებდა. საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები მეტყოდნენ ხოლმე, ცივილიზაციის უკანასკნელი იმედი ინგლისი და ინგლისელები არიან, ცივილიზაციას ჩვენ და ამერიკელები დავღუპავთო. ამას ინტელიგენტი რუსები ამბობდნენ, ძირითადად კი ჩეკისტები.

აფრიკაში ყოფნის დროს ინგლისელების მიმართ ათასჯერ მეტი პატივისცემით განვიმსჭვალე. იქ რუსები და ამერიკელები ერთნაირად არ უყვარდათ. ჩემი მეუღლე ამერიკის ლიტერატურის სპეციალისტია, ამერიკაში 50-ჯერ მაინც არის ნამყოფი, მე კი ერთხელაც არ წავსულვარ. იქაურობა არასოდეს მაინტერესებდა. მაშინ მოსკოვში აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის კომიტეტი არსებობდა, თუმცა ძირითადად პოლიტიკური უწყება იყო. ამ კომიტეტის თავმჯდომარეები ყოველთვის ცნობილი მწერლები და მეცნიერები იყვნენ და უთვალავი ვიზიტი გვქონდა.

— **ჩეკისტებთან ურთიერთობა ხშირად გიწევდათ?**

— ძალიან, მათ გარეშე უცხოეთში წასვლა წარმოუდგენელი იყო. თავიანთ ვინაობას არც მალავდნენ. გაცილებით ინტელიგენტები, ხელგაშლილები და ნაკლებად ლოთები იყვნენ. სიამოვნებით გიამბობთ, რა მოხდა ეგვიპტეში ჩემი ერთ-ერთი ვიზიტის დროს.

კაიროს გარეუბანში ღია ცის ქვეშ კინოთეატრი იყო. სეანსები გვიან საღამოს იწყებოდა. ისრაელის ხუთდღიანი ომი ახალი დამთავრებული იყო და არაბები საკმაოდ ფრთხილობდნენ. შუადღისას კინოთეატრში 4-5 ქალი შენიშნეს, დაბნელებას ელოდნენ. ეს ამბავი უშიშროებაში განაცხადეს და გაირკვა, რომ ის ქალები საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომელთა ცოლები იყვნენ, რომლებსაც საღამოს ბილეთების ყიდვა არ უნდოდათ და დღისით მზეში ჯდომა ერჩივნათ. მახსოვს, მაშინ ჩვენმა ელჩმა კრებაც ჩაატარა, სადაც პრიმაკოვიც (მაშინდელი საბჭოთა პოლიტიკური ჩინოსანი) გამოვიდა სიტყვით და მათ ქმრებს ტყავი გააძრო. ეგვიპტეში მოგზაურობა განსაკუთრებულად მახსენდება.

შარმ ელ შეიხში ვიყავი. ასუანის კაშხლის მშენებლობა მიმდინარეობდა. საბჭოთა კავშირმა დიდი ტურბინები ჩამოიტანა, თითო ასი ათასობით ღირდა. ამ ტურბინებს ეგვიპტის სპეცრაზმი იცავდა. სკანდალი ჩვენ თვალწინ მოხდა: ისრაელის 4-5 თვითმფრინავი მოფრინდა, ყველა ტურბინა ააფეთქეს და გაფრინდნენ. სპეცრაზმს ძებნა რომ დაუწყეს, შემთხვევის ადგილიდან 15 მეტრში ნახეს წაკუნცხულები. ლოცვის დრო ყოფილა, უკან არც მოუხედავთ.

— **ბევრგან ხართ ნამყოფი, სხვა ქვეყნებიდან რა შთაბეჭდილებები გამოგყვათ?**

— საფრანგეთსა და იტალიაში პირველად რომ ჩავედი, საოცრად უარყოფითი შთაბეჭდილება დამრჩა. რომისა და პარიზის ქუჩები მოვიარე და ერთი ლამაზი ქალი ვერ ვნახე. ამან დამთრგუნა. რატომღაც მეგონა, რომში გავიდოდი და ყოველ მეორე ნაბიჯზე ჯინა ლოლობრიჯიდა ისეირნებდა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. საელჩოს თანამშრომლები სიცილით დაიხოცნენ, აქ ლამაზი ქალები ოქროს ფასი ღირან, ფეხით არ დადიან, მანქანები ემსახურებათ ან სახლში სხედანო.

— **საფრანგეთმა რითი გაგაოცათ?**

— ქართულმა ემიგრაციამ გამაოცა. არარაციონალურები, არაპრაქტიკულები და უგუნურად დაკომპლექსებულები არიან. ერთხელ საელჩო იქაური სომხებით გაივსო. ძვირფასი მანქანებით მოდიოდნენ და შიგ საელჩოდან გამოტანილ შეფუთულ ყუთებს აწყობდნენ. ვკითხეთ, ყუთში რა იყო. ერთმა რუსმა მიპასუხა, სომხები ქართველებივით კი არ არიან, თქვენი მოქალაქეები საელჩოს ქუჩას ახლოს არ ეკარებიან, სომხები კი საბჭოთა კავშირის პატრიოტები არიან, ამ ყუთებში ბრეჟნევის დაწერილი წიგნებიაო. ზოგიერთი ქართველის საქართველოში დაბრუნების საშუალება იყო კიდეც, მაგრამ თავიანთი ქვეყნის სახელის გაგონებაც არ სურდათ.

ჩემს თაობას ფრანგები ალექსანდრე დიუმამ შეგვაყვარა. საფრანგეთში ბევრჯერ ვარ ნამყოფი. ვის აღარ შევხვედრივარ, მათ შორის, ქართული წარმოშობის ელენ დანკოსაც. ის ერთი პერიოდი საფრანგეთის უკვდავების აკადემიის პრეზიდენტიც იყო. საქართველოსადმი არცთუ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. მოსკოვში ათჯერ მაინც იყო ნამყოფი და თბილისში ერთხელაც არ ჩამოსულა. პარიზში ურთიერთობებში კეთილშობილება ვერ ვნახე. ქართველები ხშირად მეუბნებოდნენ, გამორიცხულია, ფრანგმა სახლში დაგპატიჟოსო.

— **ასეთი დამოკიდებულება ევროპის სხვა ქვეყანაშიც იგრძენით?**

— იტალიელები ძნელად სანდოები აღმოჩნდნენ. პატარა, იაფი სასტუმროს მეორე სართულზე ვცხოვრობდი, პირველ სართულზე კი მაღაზია იყო. დაბრუნებული ხურდის დათვლა ყოველთვის მერიდებოდა, მაგრამ იმდენი ნამდვილად არ მქონდა, რომ არ დამეთვალა. ნომერში რომ ავიდოდი, იქ ვითვლიდი ხოლმე. პირველად ვიფიქრე, რომ გამყიდველს შეეშალა და ხურდა შეცდომით დამიბრუნა, მაგრამ მეორედაც რომ დამაკლო ფული, ჩავედი და ვუთხარი. ფული დამიმატა და ბოდიში მომიხადა. დავითვალე და ისევ აკლდა. მერე საბჭოთა კავშირის იტალიელმა სპეციალისტმა მითხრა, თანამედროვე იტალიელები თქვენ ძველი რომაელები ნუ გგონიათო.

პოლიტკორექტურულ დარღვევაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ყოფით დონეზე იტალიელებს ეს თვისება შემორჩათ. ჩრდილოეთ ევროპელები გაცილებით ცივები არიან. ჩვენ რომ დღეს ადამიანს გავიცნობთ და ხვალ მეგობრად ვთვლით, ასეთი რამ →46

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

მათგან შორსაა.

— **უცხო ქალაქების დათვალიერება სიამოვნებას განიჭებთ?**

— რა თქმა უნდა. თუ გსურთ, ქალაქი გაიცნოთ, ფეხით უნდა იაროთ. მართალია,

**„ტურბინებს ეგვიპტის სპეციალისტი იცავდა. სკანდალი ჩვენ თვალწინ მოხდა: ისრაელის 4-5 თვითმფრინავი მოფრინდა, ყველა ტურბინა ააფეთქეს და გაფრინდნენ. სპეციალისტს ძებნა რომ დაუწყეს, შემთხვევის ადგილიდან 15 მეტრში ნახეს წაკუნცხულები. ლოცვის დრო ყოფილა, უკან არც მოუხედავთ".**

საზღვარგარეთ ფეხით სიარული მიყვარს, მაგრამ ცუდი ორიენტაციის უნარი მაქვს. ფეხით სიარული ერთია, მაგრამ ქუჩის მოვაჭრეებთან კონტაქტიც აუცილებელია. ეროვნული ჩვევები, თვისებები და ყველაფერი მათში ჩანს. ხალხის ეროვნული თავისებურებები ძალიან მაინტერესებს.

— **მუზეუმებშიც შედიხართ?**

— რა თქმა უნდა. ლუვრსა და ვერსალის მუზეუმში ერთდღიანი, ერთკვირიანი, ერთთვიანი და ექვსთვიანი დათვალიერების პროგრამებიცაა. რას ნახავს ქართველი ტურისტი, რომელიც ლუვრში ერთი საათით შედის? სადაც კი ნაპოლეონი იბრძოდა, პირველი, რაც მოჰქონდა, ფერწერული ნამუშევრები იყო. იტალიაში ლაშქრობისას საფრანგეთში ყოველდღიურად ათობით ნახატს გზავნიდა. ლუვრი მხოლოდ საფრანგეთის კი არა, მთელი მსოფლიოს მუზეუმია. ვერსალის მუზეუმს როგორ დაათვალიერებთ, როცა 1300 ოთახისგან შედგება? თითო ოთახს თავისი ისტორია აქვს. 2 საათი ვეღარ გამოვედი ოთახიდან, სადაც პირველად შეიკრიბა „40 უკვდავი აკადემიკოსი". იცით, რატომ არის 40? როცა აკადემია დაარსდა, აკადემიის პრეზიდენტის გარდა, სხდომების დროს ყველა ფეხზე იდგა. ხალხს მობეზრდა ფეხზე დგომა, მაგრამ ლუვრში მხოლოდ 40 თავისუფალი სავარძელი აღმოჩნდა და აკადემიკოსების რაოდენობაც სკამების მიხედვით დადგინდა. ლუვრში იაპონიიდან, ჩინეთიდან და სხვა უამრავი ქვეყნიდან ჩასული ხელოვნებათმცოდნე მინახავს, რომლებიც მუზეუმებში თვეობით ისხდნენ და სწავლობდნენ.

— **იაპონიაშიც ხართ ნამყოფი?**

— როგორ არა. იაპონია უნიკალური ქვეყანაა, სადაც მოახერხეს და ეროვნულობა და გლობალიზაციის პროდუქტი ორგანულად შეერწყა ერთმანეთს. ხანდახან იაპონელი მილიონერის ქცევები უაზრო რიტუალად მიაჩნიათ. მას თუ ყველაზე ძვირადღირებული საათი უკეთია, სამსახურში ძვირადღირებული მანქანით დადის, ოფისში უკანასკნელი ტექნიკა უდგას და ყავასაც ლამის უკვე რობოტი უდუღებს, ამაში რა არის ცუდი? სახლში რომ დაბრუნდება, ტანსაცმელს გამოიცვლის, ჩაიცვამს კიმონოს და იაპონური რიტუალით საღამოს ჩაის სვამს. ამით ის ვინმეს კი არ აწონებს თავს, ეს მისი მოთხოვნილებაა. ჩვენთან დღეს განათლების სისტემა ვერა და ვერ აეწყო. იაპონელებმა ომის შემდეგ გაპარტახებულ ქვეყანაში მიიღეს კანონი, რომ ბიუჯეტის 30% განათლებისთვის დაეთმოთ. ყველაფერი აქვს ქვეყანას, სადაც არანაირი წიაღისეული არ არის. ლითონებიც შეაქვთ, ნავთობიც და პროდუქცია მაინც გაცილებით ხარისხიანია, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომლებსაც ყველაფერი თავისი აქვს. რუსეთს იმდენი ლითონი აქვს, აღარ იციან, სად წაიღონ, მაგრამ „ჟიგულის" წარმოებას ვერ გასცდნენ.

იაპონიაში რომ ჩავედი, მითხრეს, თუ გინდა, ჩვენს ქვეყანაზე წარმოდგენა შეგექმნას, ტოკიოში თევზის ბაზარი უნდა ნახო, ოღონდ დილის ექვსის ნახევარზე უნდა წახვიდეო. წავედი, რა თქმა უნდა. უზარმაზარ სტადიონისხელა ტერიტორიაზე თევზის ბაზარი დამხვდა. თუკი საერთოდ პლანეტაზე რომელიმე მდინარეში, ტბაში, ზღვაში, ოკეანეში რაიმე თევზი არსებობს, ყველაფერი იყიდებოდა. არავითარი ხმაური და ყაყანი, გამყიდველები მყიდველს თითებით ანიშნებდნენ და აუქციონიც ასე იმართებოდა. საათნახევარში ამხელა ბაზარი ცარიელი იყო, 2 საათში კი იქაურობა უკვე კრიალებდა.

— **უცხო ქვეყნის სამზარეულოს დაგემოვნება გიყვართ?**

— კი მაინტერესებს, მაგრამ, გულახდილად რომ გითხრათ, უფრო ხშირად რესტორნებში ადგილობრივი კოლეგები მპატიჟებენ. იაპონური სამზარეულო რომ გიყვარდეს, გურმანი უნდა იყო. იქაურ კერძებს მხოლოდ ზრდილობის გამო ვჭამდი. ჩინეთის საელჩოში ხშირად მიწვევენ, მაგრამ სახლში ჯერ კარგად ვსადილობ და მერე მივდივარ შეხვედრაზე. ერთადერთი, რაც მიყვარს, ინდური სამზარეულოა. რესტორანში რომ შევედი და ნადული

**„აფრიკა ეგზოტიკა, სულ სხვა პლანეტა, ხალხი, დამოუკიდებლობა და მენტალობაა. ბავშვური გულუბრყვილობა და უბოროტო ეშმაკობა აფრიკელების დამახასიათებელი თვისებებია. როცა რაღაცას ყიდულობ, თუ არ შეევაჭრე, არაფრად გაგდებენ და სულელად გთვლიან".**

ვნახე პიტნით, გავოცდი. თუ რამე კარგი არსებობს, ინდურ სამზარეულოშია.

ჩვენ, ქართველებს გვიყვარს უცხო სუნელები, მაგრამ იმ დონემდე მინც ვერ მივალთ... 50-მდე მარტო საწებელი აქვთ. ინდოეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც დამტკიცდა, რომ თურმე ღატაკი ქვეყანაც შეიძლება იყოს დემოკრატიული. ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ დემოკრატია სოციალური ფონი არ არის. ინდოეთში რა სოციალურ ფენაზეა საუბარი, როცა გამხმარი, 70 წლის მამაკაცი ერთი ღერი სიგარეტისთვის დღის ერთი თავიდან ბოლოში რიქშაში შებმული გაგიყვანს, მაგრამ იქ დემოკრატიაა.

— **ცოლ-შვილთან ერთად გიმოგზაურიათ?**

— მთელი ცხოვრება უცხო ქვეყნებში დავდიოდი, მაგრამ ოჯახთან ერთად არასოდეს მიმოგზაურია. ცოლ-შვილთან ერთად შეიძლება თეატრსა და კინოში წახვიდე, მაგრამ არა — უცხოეთში. ოჯახისგან თავისუფალი საზღვარგარეთ მაინც უნდა იყო. არსებობს პერიოდი, როცა ქალმაც და კაცმაც მხოლოდ თავისთვის უნდა იცხოვროს და ანგარიში მხოლოდ თავის ჭირვეულობასა და გემოვნებას გაუწიოს. ეგოისტი არ უნდა იყო, მაგრამ არ მიმაჩნია, რომ ეს ეგოიზმია. არსებობს პერიოდები, როცა კაცს უნდა, თავისი ნებისამებრ ადგეს, დაწვეს, ვისაც უნდა, აკოცოს და მოეფეროს.

— **ყველაზე ლამაზი ქალები სად ნახეთ?**

— ფილიპინებზე, მაგრამ არა — სოფლებში. ლამაზი გლეხი საქართველოშიც იშვიათია. ქალი, რომელიც დღეში 5 საათი სიცხეში ფიზიკურად მუშაობს, არ შეიძლება ლამაზი იყოს. თუ რუსეთსაც უცხოეთად ჩავთვლით, რუსი ქალებისნაირები მსოფლიოში არ არსებობენ. ეს უკვე კონკურენტგარეშეა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ რუსეთის ომებში ქალებმა უდიდესი როლი შეასრულეს. იაპონელი ქალებიც ლამაზები არიან. იქ იოსებ ნონეშვილთან ერთად ვიყავი და ერთი იაპონელი პროფესორი ხელში შევიკალით, გეიშები გვაჩვენე-თქო.

— **მოახერხეთ მათი ნახვა?**

— კი. ეს სანახაობა საკმაოდ ძვირადღირებული ყოფილა. ამ პროფესორმა გეიშები საღამოს თავის სახლში დაპატიჟა და თან მე და იოსები გაგვაფრთხილა, არაფერი შეგეშალოთ, მათზე თითის დაკარება არც იფიქროთო! გეიშები კარგ აურას ქმნიან, ადამიანს ყველანაირი სტრესისგან ათავისუფლებენ. მათთან სექსზე ზღაპრებს რომ ყვებიან, ეს ტყუილია! სიმართლე გითხრათ, მე და იოსები ცოტა იმედგაცრუებულებიც დავრჩით, უფრო ზღაპრულს ველოდით რაღაცას.

— **იოსებ ნონეშვილი როგორი თანამგზავრი იყო?**

— ბრწყინვალე! მიუხედავად იმისა, რომ ასაკით ჩემზე უფროსი იყო, მასთან ახლო მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ვაკეში მეზობლებიც ვიყავით და ყოველ წელიწადს 5-6-ჯერ საზღვარგარეთ ერთად მივდიოდით. საბჭოთა პერიოდში ეს დიდი ფუფუნება იყო.

მახსოვს, მე, იოსები და სხვა მწერლები ჩინგიზ აიტმატოვთან ერთად იტალიაში ვიყავით. იოსები უკვე ნამყოფი იყო იტალიაში, მე კი პირველად გახლდით. იოსებმა მითხრა, მოდი, ყველაზე იაფი „ჩინზანო" დავლიოთო. ეს სასმელი ისეთივეა, როგორც ბორჯომის წყალი, ოღონდ მცირე რაოდენობით ალკოჰოლს შეიცავს. „ჩინზანო" მოვითხოვეთ. აიტმატოვმა გვითხრა, რასაკვირველია, თქვენ, ქართველებს უბრალო სასმელი არ გეკადრებათო და მინერალური სასმელი მოითხოვა. ეგონა, იაფად გამოვიდოდით, მაგრამ სამჯერ ძვირის გადახდა მოგვიხდა. უცხოეთში თითქმის ყველა მოგზაურობაში რაღაცას სწავლობ.

— **ყველაზე კარგად სად ისვენებთ?**

— ბაზალეთის ტბასთან მემკვიდრეობით მივიღე პატარა აგარაკი და ყველაზე მშვიდად იქ ვგრძნობ თავს. უცხოეთში დასვენებას თუ შევეხებით, არასოდეს დამავიწყდება ინდოეთში, ბაჰაბალაპურამში გატარებული 20 დღე. ეს გახლავთ ოკეანისპირა კურორტი თავისი ბუნგალოებით. ნამდვილი ეგზოტიკაა! ყველას პერსონალური ბუნგალო გვქონდა ბამბუკის კიბეებით. ამ დროს კი იქ მთელი კომფორტია. შუაში ამაღლებული საწოლი დგას, ზემოდან კი მწერებისგან დასაცავად პარაშუტივით

**„რატომღაც მეგონა, რომში გავიდოდი და ყოველ მეორე ნაბიჯზე ჯინა ლოლობრიჯიდა ისეირნებდა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. საელჩოს თანამშრომლები სიცილით დაიხოცნენ, აქ ლამაზი ქალები ოქროს ფასი ღირან, ფეხით არ დადიან, მანქანები ემსახურებათ ან სახლში სხედანო".**

ბადე ახურავს. მთელი ღამე ოკეანის ტალღების შრიალის მოსმენა ყველაფრად ღირს.

— **თვითმფრინავით მგზავრობის პირობები ადრინდელთან შედარებით ალბათ ბევრად დაიხვეწა.**

— რა თქმა უნდა. მაშინ აფრიკაში 22 საათი მივფრინავდით, ახლა კი ამერიკაში 8 საათიანი ფრენა გვეჩვენება ჯოჯოხეთად. ის დროც კარგად მახსოვს, როცა მოსკოვამდე თვითმფრინავის ბილეთი 35 მანეთი ღირდა, თან შემწვარი წიწილა „ტაბაკა" და კონიაკი მოჰქონდათ და არა — საწუწნი „პოდუშკები" და „ბორჯომი", როგორც ახლა. მოსკოვში ფეხბურთის საყურებლად დავფრინავდი. თვითმფრინავში თავს მშვენივრად ვგრძნობ, ძირითადად მძინავს.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



Cyan Magenta Yellow Black

# გვალიორი – ინდოეთის ისტორიის ნაკვალევზე

გვალიორი ინდოეთის მადჰია-პრადეშის შტატის ერთ-ერთი დიდი ისტორიული ადგილია და ქალაქ აგრადან სამხრეთით 122 კილომეტრში მდებარეობს. ქალაქი სამი ისტორიული ცენტრისგან შედგება — გვალიორის, ლაშქარის და მორარისგან.

გვალიორი ხალხმრავალი და ხმაურიანია, რაც გამოწვეულია იმით, რომ ქალაქი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრია და იქ განთავსებულია საუკეთესო სასტუმროები, გასართობი ცენტრები, ისტორიული ძეგლები... ასე რომ, გვალიორი სასურველია მათთვის, ვისაც აქტიური დასვენება უყვარს.



## კლიმატი

გვალიორისათვის სუბტროპიკული კლიმატია დამახასიათებელი. აქ ცხელი ზაფხული და გრილი ზამთარი იცის. წლის ნებისმიერ სეზონზე ხშირია წვიმები, აგვისტოში კი თითქმის ყოველდღიურად წვიმს. გვალიორში ზაფხული მარტის ბოლოს იწყება და ტემპერატურა პიკს მაისში აღწევს. ყველაზე მაღალი ტემპერატურა, რაც კი ქალაქში დაფიქსირებულა, 48 გრადუსია. ყველაზე დაბლა ტემპერატურა იანვარში ეცემა, ამ დროს 5 გარდუსი ფიქსირდება, თუმცა ნალექი იშვიათობას წარმოადგენს.

გვალიორში ჩასვლას ოქტომბრის ბოლოს ან მარტის დასაწყისში გირჩევთ. დარწმუნებული იყავით, ამ დროს არანაირი დისკომფორტი არ შეგექმნებათ.

## ენა

გვალიორის ოფიციალური ენა ჰინდია. ჰინდიზე წერენ ე.წ. დევანაგარის შრიფტით. მასზე მოსახლეობის მხოლოდ 40% საუბრობს. ჰინდისთან ერთად ინგლისური დროებით ოფიციალურ ენადაა გამოცხადებული. ასევე გამოიყენება ბენგალიური, ურდუ, თამილური, ტელუგუ და სანსკრიტი.

საგანმანათლებლო სისტემა ორივე ოფიციალურ ენაზეა დაფუძნებული. ასე რომ, გვალიორში ინგლისური ენით თავს უპრობლემოდ გაიტანთ.

## ფული

რუპია გვალიორის და მთელი ინდოეთის ოფიციალური ვალუტაა. 1 რუპიაში 100 პეისი შედის. როგორც წესი, დახეული ან გაცრეცილი რუპია ხურდაში არასოდეს უნდა აიღოთ. გამყიდველები ასეთი ფულის გასაღებას ძირითადად ტურისტებზე ცდილობენ. თუ მაინც შემოგაპარეს, შეგიძლიათ ნებისმიერ ბანკს მიაშუროთ, სადაც გამოცვლაზე უარს არ გეტყვიან.

ქალაქში ამერიკული დოლარით სარგებლობასაც უპრობლემოდ შეძლებთ, რასაც სხვა სახის ვალუტაზე ვერ ვიტყვით. 1 ამერიკული დოლარი 50 რუპიის ტოლფასია. რაც შეეხება საკრედიტო ბარათებს, რესტორნების, მაღაზიებისა და სასტუმროების დიდ ნაწილში სწორედ ამგვარი მომსახურებაა.

## რელიგია

რელიგიას ინდოელი ხალხის ცხოვრებაში მთავარი ადგილი უკავია. გვალიორის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 83%, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი რელიგიის, ინდუიზმის მიმდევარია. 11% ისლამის აღმსარებელია, ხოლო დარჩენილი რაოდენობა ქრისტიანები და ბუდისტები არიან.

## გადაადგილება

გვალიორის აეროპორტი ქალაქიდან 25 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ფრენებსაც აქტიურად ემსახურება. აეროპორტიდან ცენტრამდე მისვლას ტაქსით შეძლებთ, რომელშიც 600 რუპიაზე მეტი არ უნდა გადაიხადოთ.

ინდოეთის დანარჩენი შტატებიდან თუ ქალაქებიდან გვალიორში ჩასასვლელად ყველაზე კომფორტული სატრანსპორტო საშუალება მატარებელია. გაითვალისწინეთ, რომ აზიის ქვეყნებიდან მატარებლით ან ავტობუსით მგზავრობა შედარებით იაფი დაგიჯდებათ.

ქალაქის ტერიტორიაზე გადასაადგილებლად ოპტიმალურ საშუალებას ტაქსი წარმოადგენს, რომელიც ძალიან იაფი და კომფორტულია. ყველაზე მოთხოვნადი ტრანსპორტი მინი ავტობუსი, ე.წ. ტემპოსია, რომლის დაქირავებაც რამდენიმე ადამიანს ერთად შეუძლია. მას ყოველდღე ათასობით მგზავრი გადაჰყავს. ავტობუსი ძალიან პოპულარული და ყველაზე უსაფრთხო საშუალებაა.

გვალიორის, ისევე როგორც მთელი ინდოეთის, ავტობანები ყველაზე მოწესრიგებულია მთელ მსოფლიოში. ავტობუსით მგზავრობისას არ დაიღლებით. გზები ყოველთვის სავსეა მოტოციკლეტებით, რიქშებით, ველოსიპედებით. უთუოდ შეხვდებით აქლემების ქარავანს და ადვილი შესაძლებელია, ძროხების თანხლებითაც მოგიწიოთ მგზავრობა.

## სამზარეულო

მსოფლიოში განთქმულ სამზარეულოებს შორის ინდურს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ინდური სანელებლები საყოველთაოდაა აღიარებული. ინდოელებს ზედმეტად ცხარე და ცხელი კერძები უყვართ. ნაციონალური კერძების დაგემოვნებას ნელ-ნელა შეუდექით, რომ შეეჩვიოთ, სხვაგვარად თვალებიდან ცრემლები წამოგცვივათ.

ნაციონალური კერძების უმრავლესობა ხორცით, თევზეულითა და ზღვის პროდუქტებით მზადდება. სწორედ ამ უკანასკნელში გაუმართლათ ვეგეტარიანელებს, თორემ შიმშილი მოუწევდათ, რადგან მათთვის გათვლილი რესტორნები იშვიათობას წარმოადგენს.

ინდოელების ყველაზე განთქმული ეროვნული კერძი ვინდალოოა, რომელიც გოაში პორტუგალიელებმა შეიტანეს. პორტუგალიურიდან თარგმანში ის ნივრიან ღვინოს ნიშნავს. ეს გახლავთ ნივრიან ძმარში ჩადებული მოხარშული ღორის ხორცი, რომელიც ათასგვარი ინდური სანელებლითაა შეზავებული.

გაითვალისწინეთ, რომ ადგილობრივები ყველანაირ საჭმელს, მათ შორის დესერტსაც, ერთი და იმავე თეფშიდან მიირთმევენ. არ გაგიკვირდეთ, თუ პირდაპირ ხელებით შეჭამენ ნებისმიერი სახის კერძს. დანა-ჩანგალს ინდოეთში იშვიათად იყენებენ.

ინდოელების საყვარელი ხილი მანგოა. სასმელებს შორის ჩაი ყველაზე მოხმარებადია. მისი ფასი 2-5 რუპიამდე მერყეობს. ინდური ჩაი რძით შეუდარებელია. რაც შეეხება ალკოჰოლს, მას თავისუფლად ვერ შეიძენთ. ინდოელები ღვინოს აწარმოებენ. ერთი ბოთლი ღვინის ფასი 500 რუპიაა. ლუდი ყველაზე იაფი სასმელია. ეგზოტიკური სასმელებიდან აღსანიშნავია ქოქოსისაგან დამზადებული წვენი, რომლის დაგემოვნების გარეშე არც ერთი ტურისტი სამშობლოში არ ბრუნდება.

## ღირსშესანიშნაობები

გვალიორი ისტორიული ქალაქია, ის თვალსაჩინო როლს ასრულებდა ინდოეთის ისტორიაში. საკუთრივ გვალიორი თავდაპირველად ციხის სახელწოდება იყო. ამ ციხესიმაგრის არსებობა, რომელიც ქალაქის უმთავრესი ღირსშესანიშნავი ადგილია, ჯერ კიდევ მე-6 საუკუნიდანაა ცნობილი. ციხის კედლების შიგნით შემონახულია 6 სასახლე, 6 ტაძარი, მეჩეთი, 8 აუზი და მე-11 საუკუნის ინდური არქიტექტურის იშვიათი ძეგლები. მე-15 საუკუნეში ციხის კედლებთან კლდის სიღრმეში გამოუკვეთიათ 18 მეტრი სიმაღლის გიგანტური ძეგლები. ციხესიმაგრე გვალიორიდან ქალაქის მთელი პანორამა ხელისგულივით იშლება.

გვალიორის ძველი ქალაქი, ოფიციალური სახელწოდებით ჰაზირასი, საკმაოდ პატარა ადგილზე, კლდის ძირშია გაშენებული. სწორედ იქ მდებარეობს წმინდა მუჰამედ სჰაუსის მავზოლეუმი, შორიახლოს კი ცნობილი მუსიკოსის, ტანსენის საფლავია.

ქალაქს ენით აუწერელი ბუნება აქვს და მიღებული შთაბეჭდილებები არასოდეს დაგავიწყდებათ. ველური ბუნების სილამაზით დასატკბობად მარტოობის მოყვარულნი მიდიან, რომელთაც სადა და უბრალო დასვენება, ფიქრი და რომანტიკა ხიბლავთ.

## უსაფრთხოების წესები

როგორც ინდოეთის ნებისმიერი ქალაქი, არც გვალიორი გამოირჩევა დიდი სისუფთავით, ამიტომ კარგად დააკვირდით, რას მიირთმევთ. კრიმინალური თვალსაზრისით, თუ ჯიბის ქურდებს არ გავითვალისწინებთ, გვალიორი ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქალაქია მსოფლიოში. უმეტეს შემთხვევაში არეულობისა და უსიამოვნების მიზეზი თავად ტურისტები ხდებიან. ნებისმიერი ტურისტი ვალდებულია, დაიცვას კვების წესები, გაუფრთხილდეს ბუნებას და, რაც მთავარია, არ დააბინძუროს წყალი.

გაითვალისწინეთ, გვალიორი მათხოვრებითაა სავსე, რომლებიც პირდაპირ ტანსაცმელზე გეკიდებიან. მათი მოშორების საუკეთესო მეთოდი იგნორირებაა. არ არის მიზანშეწონილი, საპირისპირო სქესის წარმომადგენლებმა, თუნდაც ცოლ-ქმარმა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხელიხელჩაკიდებულებმა იარონ. ქალებმა განსაკუთრებით მოკრძალებულად უნდა ჩაიცვან. მატარებლებში რამდენიმე ვაგონი მხოლოდ ქალებისთვისაა განკუთვნილი.

თუ ადგილობრივები სახლში სტუმრად მიგიპატიჟებენ, შესვლის წინ ფეხსაცმელი აუცილებლად გაიხადეთ.

## უბის წიგნაკი

*ქვეყანა — ინდოეთი;*
*ქალაქი — გვალიორი;*
*ფართობი — 362 კვ.კმ;*
*მოსახლეობა — 1.101.981;*
*ოფიციალური ვალუტა — რუპია;*
*ოფიციალური ენა — ჰინდი, ინგლისური.*

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ



Cyan Magenta Yellow Black



# ხილი კრემების ნაცვლად

ხილით გაინებივრეთ არამხოლოდ თავი, ასევე კანიც. შედეგი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ.

### ატამი

წვნიანი, ალისფერი ატამი გემრიელი სასუსნავია არამხოლოდ თქვენთვის, ასევე თქვენი კანისთვისაც. სახის კანი ატამივით ნორჩი და ხავერდოვანი რომ იყოს, შეგიძლიათ კვირაში ერთხელ არომატული ნიღბები გაიკეთოთ.

ყველაზე მარტივი რეცეპტი, რომელიც 5 წუთზე მეტს არ მოითხოვს, ასეთია: მწიფე ატამი კანისგან გაასუფთავეთ, რბილობისგან პიურე გააკეთეთ და სახეზე 10 წუთი დაიდეთ (თვალების ირგვლივ ადგილი გამორიცხეთ). ატამის შემადგენლობაში არსებული A, PP, C და E ვიტამინები თქვენი სახის ჯანსაღ ფერზე იზრუნებს, ხოლო პექტინები პატარა ანთებებს გააქრობს. ეს რეცეპტი განსაკუთრებით მოეწონებათ ნორმალური და კომბინირებული კანის მფლობელებს.

თუ მშრალი კანი გაქვთ, ატმის რბილობს 1 სუფრის კოვზი ცხიმიანი ხაჭო და 1 კვერცხის გული დაუმატეთ. ნიღაბი სახეზე 15 წუთი გაიჩერეთ, თბილი წყლით ჩამოიბანეთ და სარკეში თქვენს გამოსახულებას ვერ იცნობთ: კანი ნორჩი და დატენიანებული გახდება.

### ვაშლი

მას ტყუილად არ უწოდებენ გამაახალგაზრდავებელ კოსმეტიკურ საშუალებას. ვაშლში კანის სილამაზისთვის აუცილებელი ბევრი ვიტამინი და მიკროელემენტია. გაუხეშებულ და აქერცლილ ხელის კანს წესრიგში მოიყვანს კანგაცლილი ვაშლის ნაჭრით 2-3 წუთიანი მასაჟი. ვაშლის ნატურალური ძმრის ტონიკი (სანახევროდ წყლით გააზავეთ) დაღლილ კანს ტონუსს სწრაფად დაუბრუნებს. ასევე შეგიძლიათ სახე უბრალოდ ვაშლის ნაჭრით გაიწმინდოთ. მშრალი კანისთვის უმჯობესია გამოიყენოთ ტკბილი ჯიში, ცხიმიანისთვის — მჟავე.

**ნიღაბი დაღლილი კანისთვის.** 40 მლ ნაღები ადუღეთ, 1 სუფრის კოვზი კანგაცლილი, გახეხილი ვაშლი დაუმატეთ. ცეცხლზე 2-3 წუთი გააჩერეთ, ჩამოდგით და ნახევარი საათი დადგით. ცხიმიანი კანისთვის ფაფაში ათქვეფილი ცილა დაუმატეთ. ნიღაბი სახესა და ყელზე 20-30 წუთი დაიდეთ, შემდეგ გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

### გარგარი

ჯერ კიდევ ძველმა რომაელებმა იცოდნენ, რომ ნარინჯისფერი ხილის წვენი სწრაფად გარუჯვას ეხმარება. ახლახან დერმატოლოგებმა გამოავლინეს, თუ წვენს მზის აბაზანის მიღებამდე დალევთ, შესაძლებელია არათანაბრად გაირუჯოთ. ასე რომ, გარგარის წვენს პლაჟიდან დაბრუნების შემდეგ მიეძალეთ. თქვენი ნამზეური ლამაზ შეფერილობას შეიძენს და დიდხანს შენარჩუნდება, ხოლო თუ ცოტა დაიწვით, კანის გაწითლებულ ადგილებზე მწიფე გარგარის რბილობის ფაფა წაისვით.

**ნაოჭების საწინააღმდეგო ნიღაბი.** გარგარის წვენში (რბილობის გარეშე) რამდენიმე ფენა მარლა დაასველეთ და სახეზე 15-20 წუთი დაიდეთ. გაშრობის შემდეგ ისევ წვენში დაასველეთ და კვლავ დაიდეთ. ნიღაბი არ ჩამოიბანოთ, არამედ ბამბის მშრალი ბურთულით გაიწმინდეთ.

### ალუბალი

ქორფა ალუბალი სახის კანის გასაუმჯობესებელი და ცხიმიანი კანის მოსავლელი შესანიშნავი საშუალებაა.

**ნიღაბი პრობლემური კანისთვის.** მწიფე, თითქმის შავი ალუბლისგან წვენი გამოწურეთ. შემდეგ მასში მარლის ხელსახოცი დაასველეთ და სახეზე დაიდეთ (თვალის ირგვლივ ადგილებს მოერიდეთ). 20 წუთის შემდეგ გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

### ქლიავი

ქლიავს კანი და კურკა მოაცილეთ, რბილობი დასრისეთ და ხელთ გექნებათ კანის მოვლის შესანიშნავი საშუალება. ქლიავს გამწმენდი ეფექტი აქვს, ფორებს ავიწროებს, ნაოჭებს ასწორებს. ნაყოფი მწიფე უნდა იყოს. მჟავე ქლიავი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენოთ, თუ კანი ცხიმიანი გაქვთ, ხოლო ნორმალურსა და მშრალს მხოლოდ ტკბილი ჯიში მიესადაგება.

**მათეთრებელი ნიღაბი.** ქლიავის ფაფაში 0,5 ჩაის კოვზი არაჟანი და 1 ჩაის კოვზი სახამებელი დაუმატეთ. სახეზე 20-30 წუთი დაიდეთ, შემდეგ ჩაის სუსტ ნაყენში დასველებული ბამბის დისკით მოიცილეთ.

**მატონიზირებელი ნიღაბი.** 1 ჩაის კოვზ ახალგამოწურულ ქლიავის წვენს 1 კვერცხის გული შეურიეთ. სახეზე 20 წუთი დაიდეთ. ჯერ თბილი, შემდეგ ცივი წყლით ჩამოიბანეთ. კურსის შემდეგ (სულ 15-20 პროცედურა კვირაში 2-ჯერ) კანი უფრო გლუვი და ხავერდოვანი გახდება, წვრილი ნაოჭები გაქრება.

### ნესვი

სინამდვილეში ის ბოსტნეულია, მაგრამ კოსმეტიკური თვისებებით ხილთან უფრო ახლოა, ვიდრე თავის ახლო ნათესავ კიტრთან. ნესვი აქერცვლას აქრობს და ნებისმიერ ასაკში ყველა ტიპის კანისთვის გამოდგება, ხოლო მისი წვენი კანისთვის შესანიშნავი ტონიკია.

**ნიღაბი ნამზეურის შემდეგ.** 2-3 სუფრის კოვზ ნესვის რბილობს 1 სუფრის კოვზი არაჟანი და კვერცხის გული შეურიეთ. სახე და ყელი ნესვის წვენით გაიწმინდეთ. შემდეგ მომზადებული ნიღაბი სამ ფენად დაიდეთ (ყოველი წინა ფენა უნდა გაშრეს). 30 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე

## ნიღაბს სწორად იკეთებთ?



თანამედროვე ცხოვრების ტემპი ყოველთვის არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დრო სილამაზის სალონში დავხარჯოთ. სახისა და სხეულის მოვლა სახლის პირობებშიც შეიძლება. მთავარია, ეს სწორად გააკეთოთ. სახელდობრ, როგორ?

- ნიღაბი თქვენი კანის ტიპის შეარჩიეთ, რათა მისი მდგომარეობა გაუმჯობესდეს და არა პირიქით.
- ნარევი ნიღბისთვის უშუალოდ გამოყენების წინ მოამზადეთ.
- სანამ ნიღაბს დაიდებთ, სახის კანი კარგად გაისუფთავეთ. საუკეთესო ეფექტი რომ მიიღოთ, რეკომენდებულია ჯერ სახე ორთქლში დაირბილოთ. ეს ფორების გაფართოებას და მათ გასუფთავებას ეხმარება. ეს მეთოდი მიესადაგება მათ, ვისაც ცხიმიანი კანი აქვს.
- ნიღაბი მასაჟის ხაზების მიხედვით დაიდეთ, კანი არ დაჭიმოთ. ყელზე ნიღაბს ქვევიდან ზევით, ყელის ფუძიდან ნიკაპისკენ იდებენ.
- პროცედურის დროს უმჯობესია მოდუნდეთ და არ ისაუბროთ, სახის კუნთები უძრავი უნდა იყოს. პროცედურების ოპტიმალური ხანგრძლივობა 15-20 წუთია, ცალკეულ შემთხვევებში — 30 წუთი.

ნიღაბი ფრთხილად მოიცილეთ, კანი არ გაწელოთ და ტრავმა არ მიაყენოთ. ამისთვის შეგიძლიათ გადადუღებული წყალი ან ბალახების ნაყენი გამოიყენოთ. ნიღბის შემდეგ აუცილებლად თქვენი კანის ტიპის შესატყვისი მკვებავი კრემი წაისვით.



Cyan Magenta Yellow Black

# როგორ შევაყვაროთ ბავშვს წიგნი



იყო დრო, როცა ბავშვების ინტერესი წიგნებისადმი იმდენად დიდი იყო, რომ ღამეებსაც კი ათენებდნენ კითხვაში. დღეს სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა — აღარც წიგნის ინტერესი აქვთ და აღარც კითხვის სურვილი, ინფორმაციის მისაღებად სხვა თანამედროვე საშუალებებს ანიჭებენ უპირატესობას. როგორც აღმოჩნდა, მშობლებმა საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ დამნაშავე, რადგან წიგნებისადმი პატარების ასეთი დამოკიდებულება, პირველ რიგში, ჩვენი ბრალი ყოფილა.

### რატომ კითხულობენ დღეს ბავშვები წიგნებს იშვიათად

სიმართლე ისაა, რომ ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო — წიგნი — თანამედროვე ბავშვებისთვის ცოტათი მოძველდა. პატარების უმრავლესობა სასურველი და საინტერესო ინფორმაციის მისაღებად უპირატესობას ინტერნეტს ანიჭებს.

ერთი მხრივ, ეს არც არის გასაკვირი, რადგან ეს ფორმა ბევრად უფრო კომფორტული და იოლია, ვიდრე, მაგალითად, საჯარო ბიბლიოთეკებში ჯდომა და ინფორმაციის ამ გზით მოპოვება. გარდა ამისა, კითხვის დროს ადამიანის ტვინი საკმაოდ აქტიურად მუშაობს და ბევრად უფრო მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე ინტერნეტში მუშაობისას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც ბავშვებში კითხვისადმი ინტერესის გაქრობას უკავშირდება, ეს არის ოჯახში კითხვის ტრადიციის არარსებობა. როცა ბავშვი ვერ ხედავს მშობლების ხელში წიგნს და მაგალითად, ძილის წინ მშობლები ზღაპრების წაკითხვის ნაცვლად მულტფილმების ყურებს ურჩევენ, ასევე თუ ოჯახში წიგნების აშკარა დეფიციტია, ძნელი წარმოსადგენია, პატარას წიგნისადმი ინტერესი გაუღვივდეს.

მშობელთა არცთუ მცირე ნაწილი ამ ყველაფერს არასერიოზულად უყურებს და რაც მთავარია, ფიქრობენ, რომ პრობლემა თავისთავად მოგვარდება, როგორც კი შვილს სკოლაში მიიყვანენ. ეს არასწორი დამოკიდებულებაა. სკოლა არათუ პრობლემას მოაგვარებს, პირიქით, რეალურად სიტუაციას კიდევ უფრო გაამწვავებს და გაართულებს.

### რას აძლევს წიგნი ბავშვს

სპეციალისტების დაკვირვებით, პირველ რიგში, წიგნი არაჩვეულებრივი აღმზრდელია და, რაც მთავარია, ამას „აკეთებს“ ბუნებრივად და მშვიდად. მეორე — ბავშვი თანაუგრძნობს წიგნის გმირებს და ცდილობს, გაუგოს მათ. მესამე — წიგნი პატარას ეხმარება წარმოსახვის უნარის განვითარებაში, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად უძლიერებს აზროვნების უნარს.

და კიდევ, კითხვა ინტიმური პროცესია, რომელიც პატარას საშუალებას აძლევს, საკუთარ თავთან მარტო დარჩეს, მოდუნდეს, მოეხსნას დაძაბულობა, სტრესი და ა.შ.

მეცნიერულმა დაკვირვებებმა ცხადჰყო, რომ სკოლის ასაკის ბავშვებისთვის ბევრად უფრო საინტერესოა იმ ლიტერატურის კითხვა, რომელიც მათ „დავალებას“ არ წარმოადგენს. ფსიქოლოგები თვლიან, რომ, როგორც ბევრი სხვა მნიშვნელოვანი თვისების, კითხვის სიყვარულიც ბავშვებს ძალიან პატარა ასაკიდან უნდა გაუღვიძოთ. უკითხეთ ლექსები, ზღაპრები, დაათვალიერებინეთ ილუსტრირებული წიგნები. ეს იმის წინაპირობაა, რომ უკვე 2-3 წლის ასაკის ბავშვს ფერადი, ილუსტრირებული წიგნის დანახვა რაღაც საინტერესოს და ახლის გაგების ასოციაციას შეუქმნის.

ბავშვისათვის წიგნების შერჩევისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მისი ასაკი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია წიგნების კარადის ადგილმდებარეობა და გაფორმებაც. პატარასთვის საჭირო წიგნები ისეთ ადგილზე უნდა იყოს, რომ დამოუკიდებლად აღება და დათვალიერება შეძლოს. როცა ბავშვს ყოველდღიურად უხდება წიგნებისთვის თვალის შევლება, როგორც წესი, ეს კონკრეტული წიგნის მიმართ ინტერესს უღვიძებს.

თუ ბავშვმა კითხვა იცის, მაგრამ მშობლისგან ითხოვს, რომ ზღაპრები წაუკითხოს, ამაზე უარი არ უთხრათ. უბრალოდ შეგიძლიათ ეშმაკობა გამოიჩინოთ და ძალიან საინტერესო ადგილზე შეწყვიტოთ კითხვა იმ არგუმენტით, რომ რაღაც საქმე გაქვთ გასაკეთებელი. როგორც წესი, ამ შემთხვევაში ბავშვს ინტერესი უძლიერდება და თვითონ აგრძელებს კითხვას.

ბავშვთან ერთად თუნდაც თვეში ერთხელ აუცილებლად წადით წიგნების მაღაზიაში და ერთი წიგნი მაინც იყიდეთ როგორც თქვენთვის, ისე მისთვისაც.

არავითარ შემთხვევაში აკითხოთ ძალდატანებით! დაუშვებელია, წიგნის კითხვა ბავშვისთვის დასჯის ფორმა იყოს, მაგალითად, სკოლაში დაბალი ქულის მიღების გამო მას 20 გვერდის წაკითხვა „მიუსაჯოთ“. ამგვარი მეთოდის გამოყენება ლიტერატურისადმი სიძულვილის გარდა არაფერს მოიტანს.

როგორ მოიქცეთ, რომ სასკოლო პროგრამის სწავლის პროცესი ბავშვისთვის არ იყოს მომაბეზრებელი და უინტერესო? ეცადეთ, შვილს უფრო საინტერესო და ვრცელი ინფორმაცია მიაწოდოთ, ვიდრე ეს სასკოლო სახელმძღვანელოშია. შეგიძლიათ იმ ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ფილმის ან სპექტაკლის ნახვა შესთავაზოთ, რომელიც მას დავალებად აქვს მიცემული. ეს თქვენ შორის საინტერესო პოლემიკას წარმოშობს და ბავშვს საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალებას მისცემს. როგორც წესი, ასეთი მეთოდით ბავშვის დაინტერესება საკმაოდ ეფექტურია.

## სიცხეში პატარებს წვნიანი ხილი აჭამეთ

ადამიანის ორგანიზმის დაახლოებით 60-70% წყლისგან შედგება, არც ერთი პროცესი წყლის დახმარების გარეშე არ მიმდინარეობს, ამიტომ მის ნაკლებობას მთელი ორგანიზმი და ყველა სისტემა მტკივნეულად განიცდის. პატარების მზარდი ორგანიზმისთვის კი ეს საკითხი ორმაგად საპასუხისმგებლოა. გაითვალისწინეთ, როცა წყურვილის შეგრძნება ჩნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმი უკვე გაუწყლოებას განიცდის, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი რეგულარულად და საკმარისი რაოდენობით მიღება.

პატარებისთვისაც და დიდებისთვისაც გაუწყლოების საწინააღმდეგოდ სიცხეში კარგია ცოცხალი ხილის ჭამა. გარდა იმისა, რომ სიცხისგან გათანგული ადამიანი სასიცოცხლო ძალების მნიშვნელოვან დაქვეითებას უჩივის, ასევე დასუსტებულია, აწუხებს თავის ტკივილი, პირის სიმშრალე, არასასიამოვნო სუნი პირის ღრუში და სხვა.

პატარებს სიცხეში თავიდან რომ ავაცილოთ დეჰიდრატაცია, ყოველ ნახევარ საათში ერთხელ მცირე რაოდენობით სითხე უნდა მივაღებინოთ. ძალიან სასარგებლოა წვნიანი, ცივი საკვების ჭამაც — საზამთრო, ნესვი, მარწყვი, ბალი, ალუბალი, ატამი, გარგარი, კიტრი, პომიდორი, მოკლედ, ყველა ის ხილი და ბოსტნეული, რომლებიც წვნიანობით გამოირჩევიან. მათი სარგებელი ორმაგია, რადგან, წყლის გარდა იმ ვიტამინებსა და მინერალებს შეიცავენ, რომლებიც აუცილებელია ორგანიზმისთვის.

## ბავშვები კიტრის მარინადს მოარიდეთ!



მუდმივ შეკითხვაზე, რა ვჭამოთ, რომ წონაში არ მოვიმატოთ, იდეალური პასუხია — კიტრი! ის იდეალური დიეტური პროდუქტია, რომელიც სწრაფად ავსებს კუჭს, იოლად გვანაყრებს და, რაც მთავარია, არ შეიცავს კალორიებს, რადგან 95-98% წყალია.

წყალი, რომელსაც კიტრი შეიცავს, რბილია, წმენდს თირკმლებს. კიტრი შეიცავს 0,7% უჯრედისს, 2-2,5% ნახშირწყლებს, 1% ცილას და დაახლოებით 15-30 კკალორიას! ის იდეალურია პატარებისთვისაც.

ოღონდ სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო დაკონსერვებულ კიტრთან მიმართებაში, რადგან მასში 12-ჯერ მეტი რაოდენობითაა მარილი, ვიდრე ეს ორგანიზმს სჭირდება. დაკონსერვებული კიტრის ჭამას განსაკუთრებით უნდა მოერიდონ ბავშვები, ჰიპერტონიკები, რადგან იწვევს თავის ტკივილს, უპეების შეშუპებას.

უარესი, თუ კიტრის მარინადი დიდი რაოდენობით ძმარს შეიცავს. განსაკუთრებით პატარებში ის იწვევს გულძმარვას და შესაძლოა გასტრიტის გამწვავების მაპროვოცირებელიც გახდეს.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

ჩემი მშვენიერი ლედი

# ქართლოს ნატროშვილი: „დავშორდი გოგოს, რომელსაც იუმორის გრძნობა არ ჰქონდა“



პაროდისტი ქართლოს ნატროშვილი, რომელიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმიტაციით გახდა პოპულარული, გოგონების მოსახიბლადაც ამ ნიჭს იყენებს. სიყვარული ცხოვრებაში ორჯერ ეწვია და ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული გოგონები შეუყვარდა. პირველ სიყვარულთან დღემდე მეგობრობს, მეორესთან — არა. ქალთან ურთიერთობას პატივისცემაზე აგებს. ამის დასტურად ერთი ისტორია გვიამბო, რომელიც მოსკოვში რუს გოგონასთან გადახდა თავს.

— **ქართლოს, თქვენს პირად ცხოვრებაზე ბევრი არაფერი გვსმენია. შეყვარებული ყოფილხართ?**

— კი. 2009 წლის შემოდგომაზე გოგო შემიყვარდა, ეს ჩემი პირველი სიყვარული იყო, მაგრამ ერთ წელიწადში ერთმანეთს დავშორდით. ეს არც დაკომპლექსებული ურთიერთობა იყო და არც ვალდებულებებზე დამყარებული. ძალიან ჰარმონიული რომანი გვქონდა.

— **როგორ დაიწყო ეს ურთიერთობა?**

— სამარშრუტო ტაქსში გავიცანი. მანქანა გამიფუჭდა და ძმაკაცებთან ერთად საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვმგზავრობდი. მომეწონა, ჩემი ტელეფონი მივაწოდე და თავისი ნომრის ჩაწერა ვთხოვე. მერე ერთმანეთს ვხვდებოდით. 3 თვის შემდეგ

**„ათი ხუმრობიდან, მაქსიმუმი, ორჯერ თუ გავაცინებდი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მას იუმორი არ გააჩნდა. კარგად გადაფურცლოს ჟურნალი „სარკე" და რამდენჯერმე წაიკითხოს! მიშას პაროდიას რომ დავანებოთ თავი, ისედაც ვერ გააცინებდი. მოკლედ, გადაჭარბებულად ჩაკეტილი იყო".**

მეგობრებად დარჩენა შემომთავაზა. ვინმეს შეწუხება არ მახასიათებს, ამიტომ მას ავუხსენი, რომ ვერ ვიმეგობრებდით და დავშორდით. ათასში ერთხელ თავს მაინც ვახსენებდი, არ ვაწუხებდი, მაგრამ არც ვეკარგებოდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს სახლთან ძალიან ახლოს ცხოვრობდა, მის ნახვას არც ვცდილობდი. ერთ ზაფხულს თითქოს შევრიგდით, მაგრამ ისევ მალე დავშორდით. 6 თვე ძალიან გამიჭირდა. ამ ადამიანს დღესაც დიდ პატივს ვცემ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის დღეს ჩემი მეგობარია. სიყვარულის შემდეგ თურმე მეგობრობაც შეიძლება.

— **მას შემდეგ აღარავინ გყვარებიათ?**

— ამ სიყვარულის მერე ცოტა ხნით გულთან არავის ვიკარებდი, მაგრამ 2011 წელს ერთი გოგო შემოვუშვი. მის მიმართ რასაც ვგრძნობდი, ამასაც შემიძლია სიყვარული ვუწოდო, მაგრამ მას რომ დავშორდი, მეორე დღეს უკვე ბედნიერი ვიყავი.

— **რატომ, ამ სიყვარულს სირთულეები ახლდა?**

— ძალიან ჩაკეტილი გოგო იყო. ათი ხუმრობიდან, მაქსიმუმი, ორჯერ თუ გავაცინებდი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მას იუმორი არ გააჩნდა. კარგად გადაფურ-

**„ქალი რომ მომეწონება, დიდგორის ბრძოლაზე ხომ არ დავუწყებ ლაპარაკს, ლექსი უნდა წავუკითხო".**

ცლოს ჟურნალი „სარკე“ და რამდენჯერმე წაიკითხოს! მიშას პაროდიას რომ დავანებოთ თავი, ისედაც ვერ გააცინებდი. მოკლედ, გადაჭარბებულად ჩაკეტილი იყო. იცით, რა მითხრა? შენ ასეთი გახსნილი, კომუნიკაბელური, მხიარული ხარ და მე რატომ მიტანო. მიყვარდა და ვიტანდი! ურთიერთობა უკიდეგანო უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ გრძნობა მქონდა, დაშორების შემდეგ უბედნიერეს ადამიანად ვიქეცი. დღეს სადმე რომ შემხვდეს, რეაქცია არ მექნება, თუმცა სალამი ღვთისაა და მივესალმები. ჩემი პირველი სიყვარული კი შემიძლია მთელი გულით და ჩახუტებით მოვიკითხო. დღეს ის გათხოვილია, ბედნიერია და ამით მეც ბედნიერი ვარ.

მიხარია, რომ ორ რადიკალურად განსხვავებულ გოგოს გადავაწყდი ცხოვრებაში. ფეხბურთელი ორ კლუბს რომ გამოიცვლის, ისეა. მესამე კლუბში რომ გადავა, უკვე იცის, როგორი უნდა იყოს. ორივე გზის გავლა აუცილებელი იყო.

— **როგორი ხართ, როცა გიყვართ?**

— ერთგული ვარ. თუ მანქანაში შეყვარებული მიზის, როგორმა კარგმა გოგომაც უნდა დამირეკოს, საყვარელ ქალს არ მივატოვებ და მასთან არ წავალ.

— **როგორი ქალი იქცევს თქვენს ყურადღებას?**

— ჩამოწერილი კრიტერიუმები არ მაქვს. გოგო გახსნილი უნდა იყოს, იმას არ ვამბობ, რომ გამუდმებით სიცილით კვდებოდეს. იუმორს, შავი იქნება თუ თეთრი, უნდა მიმიხვდეს. თუ კაცმა მარტო ქალის გარეგნობას შეხედე, უკვე მაგარ შარში ხარ. ყველა ქალი უნდა იფასებდეს თავს, მაგრამ „ოქროს ჩარჩო“ უნდა ჰქონდეს.

ჩემი აზრით, სიყვარული არ უნდა ეძებო, გარემოება მოიტანს. ოდესმე აუცილებლად გეწვევა და როდის მოვა, არც ეგ მანაღვლებს.

— **ლამაზ გოგოს ყოველთვის ამჩნევთ, თვალს აყოლებთ?**

— მთავარია, კარგი გოგოს დანახვაზე 90 გრადუსით არ შემოვბრუნდე, 30-40 გრადუსი დასაშვებია.

— **როგორ ჩაცმულობაში მოგწონთ ქალი?**

— მოკლე კაბის ჩაცმას არავის შევუზღუდავ. ნებისმიერ ქალს შეუძლია მკერდიც გამოაჩინოს და სხვა ლამაზი ადგილებიც. გოგოს ჩაცმულობაზე ვატყობ, რამდენად აფასებს თავის რესურსს. ზოგს ეს „რესურსი“ არ აქვს და ჩაცმულობით უნდა, რომ შეიქმნას, მაგრამ რომ შეხედავ, ეგრევე ეტყობა. ჩემთვის ქალი ლამაზი ყურძნის მტევანია. რთველში რომ ჩაივლი, აღარ იცი, რომელი მოწყვიტო, ზოგის ქვევრში ჩაწურვა გენანება კიდეც. როცა გჯერა, ეს ისეთი ქალია, ენკენისთვეში ქვევრს თავს რომ მოხდი და იმ ღვინოს შესვამ, აუცილებლად დაგათრობს... მამაპაპურად რომ ვთქვათ, ქალს შაქრის დაყრა არ უნდა სჭირდებოდეს. შაქარდაყრილი ღვინო რა არის? არც არაფერი!

— **რით არის ქართველი ქალი გამორჩეული?**

— ქართველს აქვს ის, რაც არ აქვს ფრანგს, იტალიელს, უკრაინელს და რუსს. სექსუალურობა, სილამაზე და ეშხი ყველა ეროვნების ქალს აქვს. ქართველები კი ვნებიანობით გამოირჩევიან. ისინი სწორედ ამას უნდა გაუფრთხილდნენ და შეინარჩუნონ. ქართველი ქალი თავისი საქციელით სარწმუნოებას არ უნდა დაუპირისპირდეს. ეკლესიაში ისეთი კაბით არ უნდა შევიდეს, რომელშიც საცვლები უჩანს.

— **ქალიშვილობის ინსტიტუტს როგორ უყურებთ, საჭიროა ამ ტრადიციის დაცვა?**

— ჩვენს ქვეყანაში უკვე არსებობენ გოგონები, რომლებიც გათხოვებამდე ქალიშვილები აღარ არიან. მთავარია, ბიჭმა იცოდეს, გოგოს რა ვითარებაში დაუცდა ფეხი. შეიძლება ქალიშვილმა ისეთი უხამსობა ჩაიდინოს, რომ... როცა ქალი შემიყვარდება და მას ამოვიცნობ, არ დავიწყებ ჩხრეკას, ის ქალიშვილია თუ არა და არც ორჭოფობას, ცოლად მოვიყვანო თუ არა.

— **თქვენს პაროდიის ნიჭს იყენებთ მშვენიერი სქესის მოსახიბლად?**

— სხვათა შორის, გოგოსთან ურთიერთობაში მიშას პაროდიაც დამხმარებია. მაგალითად, შარშან ბათუმის პლაჟზე გოგო

**„ჩემთვის ქალი ლამაზი ყურძნის მტევანია. რთველში რომ ჩაივლი, აღარ იცი, რომელი მოწყვიტო, ზოგის ქვევრში ჩაწურვა გენანება კიდეც".**

მომეწონა, მაშინ ცნობილი არ ვიყავი. მივედი და მიშას ხმით დავუწყე ლაპარაკი. ეს გოგოსთან ურთიერთობაში ყველანაირ კომპლექსს მიხსნის, თუმცა არც ისე ვარ კომპლექსებიანი. იმ გოგოს გაცნობა შევთავაზე. ბატონო პრეზიდენტო, თქვენი გაცნობა არ მინდა, დიდი მადლობაო, მითხრა. 9 წელია ნატო-სგან უარს ვიღებ და ვიცი, რა რთულია ეს. წყალში ჩავედი. ზღვიდან რომ ამოვედი, მისი ფიქრები ამოვიკითხე და მაინც გავიცანი.

— **ქალის ფიქრების ამოკითხვა ასეთი იოლია?**

— იმ წუთას რას ფიქრობს, შეიძლება მივხვდე. გოგო როცა პლაჟზეა, რთული მისახვედრი არაა, რომ ის ნერვიულობს, კარგად გაირუჯება თუ არა. არ ვფიქრობ, რომ ქალის გამოსაცნობად 3 თვიანი ურთიერთობაა საჭირო. 5 წუთით გავესაუბრები და უამრავ „ფუნქციას“ ამოვუყრი, თუმცა ზოგადად ქალი ამოუცნობია და ფრთხილად უნდა მიუდგე. ყველა მამაკაცს კარგი გაგებით მოვუწოდებ: ნუ შეეცდებით ქალის ბოლომდე ამოცნობას, რადგან სიცრუის მორევში წახვალთ.

— **თქვენც მოუტყუებიხართ?**

— კი. მერე ამ ტყუილებზე ფეხი დაუცდათ და დღესაც კოჭლობენ. თუ კარგად



Cyan Magenta Yellow Black

იმკურნალებენ, გაივლიან კიდეც.

**— ქალების ყურადღებით განებივრებული ხართ?**

— უნივერსიტეტში ორ გოგოს სიგიჟემდე ვუყვარდი. მეგობრის გვერდით გადაწევა არ მჩვევია, ადამიანებს არასოდეს ვკარგავ. ამიტომ ორივეს ვხვდებოდი და ვარწმუნებდი, რომ უკეთესი იყო, ჩვენ შორის მეგობრობა ყოფილიყო. დღეს ისინი გათხოვილები არიან, მათთან ისევ მაგარი ურთიერთობა მაქვს. მეც რომ ანალოგიურ სიტუაციაში აღმოვჩენილიყავი, გოგოსგან ასეთი მიდგომა მესიამოვნებოდა, მით უმეტეს, თუ ის ჩემს დარწმუნებას შეძლებდა. საერთოდ, ყველა კაბიანს არ ვეკიდები და არც ისე ვცხოვრობ, რომ გამორჩენაზე ვიყო.

**— როგორი წარმოგიდგენიათ თქვენი ოჯახური იდილია?**

— ვგმობ სიტყვებს „ქალის ადგილი სამზარეულოშია“. როცა დილით ავდგები და ქალს ვეტყვი, შარვალი დამიუთოვე-მეთქი, იმ შარვალში ბედნიერად ვერ ვიგრძნობ თავს. როცა დილით დაუთოებული დამხვდება, ის შარვალი ჩემთვის არასოდეს დაიჭმუჭნება. თუ ავდგები და ვიყვირებ, ჭურჭელი გარეცხე-მეთქი, ისეთ თეფშზე საჭმელს გემოს ვერასოდეს ჩავატან და თუ დასარეცხ ჭურჭელს ვერ დავინახავ, ის თეფში ჩემთვის არასოდეს დაისვრება.

იმასაც გეტყვით, რომ სიდედრების გინება ჩემთვის მიუღებელია. შეიყვარე ცოლის დედა მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა შვილმა გაგაგიჟა. თუ სიდედრი ცუდია, მაშინ გოგომაც უნდა იკაიფოს დედამთილზე. ცუდი დედამთილებისა და სიდედრებისთვის სპეციალური კაფე უნდა იყოს გახსნილი. გამოგიტყდებით და, იმ გოგოების დედებთან, რომლებიც მიყვარდა, ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა.

**— რომანტიკული ხართ?**

— საგრძნობლად რომანტიკული ვარ. პოეზია ძალიან მიყვარს. „ქალი ნაზი არსებაა, დააშაოს თუნდაც, ქალი მაინც ქალია, მოფერება უნდა“ — ეს ლექსი ბევრი გოგოსთვის წამიკითხავს. ქალი რომ მომეწონება, დიდგორის ბრძოლაზე ხომ არ დავუწყებ ლაპარაკს, ლექსი უნდა წავუკითხო. კომპლიმენტების თქმაც მჩვევია, მთავარია, ქათინაური საცერში არ გაატარო, უნდა მიაყარო და ვინც ჩამოიფერთხავს, ღირსეული კომპლიმენტი ზედ შერჩება.

**„ქართველი ქალი თავისი საქციელით სარწმუნოებას არ უნდა დაუპირისპირდეს. ეკლესიაში ისეთი კაბით არ უნდა შევიდეს, რომელშიც საცვლები უჩანს“.**

**— ქალის გამო მსხვერპლზე წასვლა შეგიძლიათ?**

— 2007 წელს მოსკოვში ჩემს მშობლებთან ვიყავი ჩასული და ფანჯრიდან დაშა „შევკერე“. ჩემები პეტერბურგში მიდიოდნენ და მოვიტყუე, ცუდად ვარ, ვერ წამოვალ-მეთქი. დაშას გარდა ნასტია, იულია და სხვა გოგოებიც შევნიშნე. ის ეზო ედემის ბაღს ჰგავდა, შვლები დარბოდნენ. ბიძაჩემი მაშინვე მიხვდა, რატომ ვრჩებოდი.

ყველამ სათითაოდ დამიტოვა ფული, მარტომ რა უნდა ქნა. 500 დოლარი მქონდა. როგორც კი ისინი გავისტუმრე, გოგოების დასახვედრად მზადება დავიწყე. 19 წლის დაშას აივნიდან ხელებით ტელეფონის ნომერი ვანიშნე და დამირეკა. 15 წუთში ლუდის ბოთლებით ამომადგა. კარი გავუღე და, რომ გაიარა, ამოვყირავდი, რაღაც დამემართა. ლუდს ვსვამდით და მუსიკას ვუსმენდით. დაშას დარჩენის ჟამიც დადგა. გაიხადა და ტირილიც დაიწყო. არანაირი ძალადობას არ ჰქონია ადგილი. თუ ლაჩარი არ ხარ, უნდა გაიგო, გოგო რისთვის ტირის. თურმე ჩემი დაშუნია ერთი კვირით ადრე სომეხს და აზერბაიჯანელს ტყეში გაუუპატიურებიათ. ბუნებრივია, მასში რაღაც გრძნობებმა გაიღვიძა და ამიტომაც ატირდა. ვუთანაგრძნობდი, მთელი ღამის განმავლობაში ხელი არ დამიკარებია. დილით გაიღვიძა, ტანსაცმელი მივაწოდე და გავუშვი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთული იყო ნებისყოფის შენარჩუნება, მაინც ამაყი ვიყავი. იმ წუთებში დაშა ჩემთვის კახპა არ ყოფილა, პირველ რიგში, მანდილოსანი იყო, ქალის ღირსებას კი დიდად ვაფასებ.

**— თქვენი მშობლები მოსკოვში ცხოვრობენ. იქიდან თქვენს გაკონტროლებას ცდილობენ?**

— აქეთაც ჩამოდიან ხოლმე. დედაჩემი ძალიან დემოკრატი ადამიანია და ნაკლებად ერევა ჩემს ცხოვრებაში. როცა მირეკავს და ვეუბნები, რომ რესტორანში მივდივარ, არ მეტყვის, ბევრი არ დალიოო. იცის, რომ ბევრს არ დავლევ. არც იმას ჩამჩიჩინებს, ცოლი მოიყვანეო. უბრალოდ მეკითხება ხოლმე, შენს ცხოვრებაში გოგო არსებობს თუ არაო. სხვანაირი ამბიციები რომ ჰქონდეს, ალბათ ტვინსაც შემიჭამდა, ასეთი ან ასეთი ქალი მოძებნეო. ზუსტად ვიცი, ვისაც მივუყვან და საცოლედ გავაცნობ, დედაჩემი აუცილებლად მიიღებს.

✓ სოფიო ბოჭორიძე

# მესის სკანდალები



არგენტინის ნაკრებისა და კატალონიური კლუბის „ბარსელონას“ თავდამსხმელმა ლიონელ მესიმ და მამამისმა ხორხემ თანხმობა განაცხადეს, ესპანეთის საგადასახადო სამსახურებს 15 მილიონი ევრო გადაუხადონ. ამის საპასუხოდ ქვეყნის ხელისუფლება ფეხბურთელსა და მამამისს 2007 წლიდან 2009 წლის ჩათვლით საგადასახადო საბუთების გაყალბებისა და გადასახადების დამალვის ბრალდებას მოუხსნის.

მამა-შვილის მიერ სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალი 4,1 მილიონ ევროდ შეფასდა. ესპანეთის კანონის თანახმად კი, ამ ქმედებისთვის ლიონელსა და მამამისს დიდი ფულადი ჯარიმა და 2-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდათ. ასევე საგადასახადო ორგანოები აპირებდნენ, შეემოწმებინათ მესის 2010-2011 წლის საგადასახადო დეკლარაციები, მაგრამ ფეხბურთელმა 15 მილიონი ევრო გადაიხადა და ამით ხელისუფლებასთან შეთანხმებას მიაღწია.

სკანდალები მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავის გარშემო ამით არ დასრულებულა. მიმდინარე წლის 3 ივლისს ამერიკის ქალაქ ლოს ანჯელესში უნდა გამართულიყო საქველმოქმედო მატჩი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო „მესის მეგობრების“ გუნდს, მაგრამ არგენტინელმა ფორვარდმა ყოველგვარი განმარტების გარეშე უარი თქვა აშშ-ში ჩასვლაზე.

მატჩის ორგანიზატორებმა ფეხბურთის ვარსკვლავს ბრალი დასდეს, რომ არაფერი მოუმოქმედებია ლოს ანჯელესში გასამართი მატჩის ორგანიზებისთვის. მათი განცხადებით, ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდნენ ფეხბურთელთან დაკავშირებას, მაგრამ უშედეგოდ, რის შემდეგაც არგენტინელს ადრე გაფორმებული შეთანხმებისა და მისი გულშემატკივრების უპატივცემულობაში დასდეს ბრალი.

ამასობაში მესიმ მონაწილეობა მიიღო პერუს დედაქალაქ ლიმაში გამართულ ამხანაგურ მატჩში, რომელშიც ერთმანეთს „მესის მეგობრების“ გუნდი და მსოფლიოს ნაკრები დაუპირისპირდნენ. არც ამ მატჩმა ჩაიარა სკანდალის გარეშე. არგენტინელი ფეხბურთელის გუნდს ცნობილი იტალიელი მწვრთნელი ფაბიო კაპელო ხელმძღვანელობდა, ხოლო მსოფლიოს ნაკრებს წარსულში ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, ამჟამად კი მწვრთნელი ზიკო. მატჩი „მესის მეგობრების“ გუნდის გამარჯვებით (8:5) დასრულდა. თავად არგენტინელმა ვარსკვლავმა ამ მატჩში 2 გოლი გაიტანა.

სკანდალი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ფაბიო კაპელომ მატჩის დროს უარი განაცხადა გუნდის სათადარიგო სკამზე დაესვა ლიონელის ძმები როდრიგო და მათიასი, ხოლო როცა მესიმ შეიტყო, როგორ მოეპყრნენ მის ნათესავებს, აღშფოთდა, შეცვლა მოითხოვა და სტადიონი ისე დატოვა, რომ შხაპიც არ მიუღია.

# მატჩის შემდეგ ჩოგბურთელი კანკანს ცეკვავს



პოლონელმა ჩოგბურთელმა ლუკაშ კუბოტმა განაცხადა, რომ მას მწვრთნელებმა მატჩების შემდეგ ცეკვის შესრულება ურჩიეს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ცეკვა ერთგვარი ვარჯიშია. სწორედ ამგვარად ახსნა კუბოტმა ის ფაქტი, რომ უიმბლდონის ტურნირის მერვედფინალური მატჩის შემდეგ კანკანი იცეკვა. ამ ტურნირში ის ფრანგ ადრიან მანარიონს შეხვდა.

კუბოტმა, რომელიც წყვილთა თანრიგის სპეციალისტად ითვლება, განაცხადა, რომ უკვე 2 წელია, მატჩების შემდეგ ცეკვას ასრულებს, მაგრამ ამას მხოლოდ ერთეულთა თანრიგის მატჩების შემდეგ აკეთებს.

რაც შეეხება თავად მატჩს, მის მოსაგებად კუბოტს 5 სეტი დასჭირდა, დასრულების შემდეგ კი პოლონელმა ჩოგბურთელმა ფრანგული ცეკვა კანკანი შეასრულა (ამ ცეკვის ვიდეოჩანაწერი YouTube-ზეა განთავსებული).

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა



## პროპოლისი სუფთა და გლუვი კანისთვის

პროპოლისის საშუალებები ეფექტური წამალია კანისთვის. ისინი ეხმარებიან სხვადასხვა უსიამოვნებების დროს — დამწვრობიდან და კოჟრიდან დაწყებული ეგზემითა და წყლულით დამთავრებული.

ხელისა და ფეხის კანზე ნახეთქებს 10-15%-იანი პროპოლისის მაზი კურნავს.

მსუბუქი თერმული და ქიმიური დამწვრობის, მოყინვის დროს პროპოლისში დასველებულ სახვევს იდებენ. ის ანთებასა და ტკივილს სწრაფად აქრობს, ნაწიბურების გარეშე შეხორცებას ეხმარება.

პროპოლისის 15%-იანი მაზის წყალობით, ვარიკოზული წყლულები სწრაფად ქრება.

ძველი კოჟრისა და გასქელებული კანის მოშორებას ასეთი პროცედურა ეხმარება. ღამით ფეხებისთვის 20 წუთიანი თბილი აბაზანა გაიკეთეთ. ამის შემდეგ კოჟრზე პროპოლისით გაჟღენთილი პურის გულის კვერი დაიდეთ და ბინტით გადაიკარით დილამდე. ეს პროცედურა 2-3-ჯერ გაიმეორეთ, შემდეგ კოჟრი პემზით მოიშორეთ.

ნეიროდერმიტისა და ეგზემის დროს პროპოლისი ბალახებთან ერთად გამოიყენეთ. 1 ლიტრი მდუღარე 1 ჭიქა დაქუცმაცებულ მუხის ქერქს დაასხით, 15 წუთი ადუღეთ. შემდეგ გამხმარი ორკბილას ბალახის 0,5 ჭიქა ნაყენი დაუმატეთ და დაბალ ცეცხლზე კიდევ 5 წუთი ადუღეთ. 30 წუთი დადგით. გაფილტრეთ და 2 სუფრის კოვზი პროპოლისის 20%-იანი სპირტიანი ნაყენი დაუმატეთ. ამ ნარევით სველი საფენები დღეში 2-ჯერ (ერთი საათი) გაიკეთეთ.

## სად ვიპოვოთ ანტიმჟანგავები?

ანტიმჟანგავები — ეს ბუნებრივი ან ხელოვნური ნივთიერებებია. მათ შეუძლიათ ორგანიზმში წარმოქმნილი მავნე თავისუფალი რადიკალები გაანეიტრალონ. მათი საუკეთესო წყაროა ნატურალური პროდუქტები, მცენარეული ექსტრაქტები, ზეთი. მათი შემადგენლობა შემოწმებულია თვით ბუნების მიერ. ამიტომ ისინი მავნე თავისუფალი რადიკალებისგან უფრო უკეთესად გვიცავენ, ვიდრე ნებისმიერი სინთეტიკური პრეპარატები.

ყველაზე მეტი ანიმჟანგავი წარმოდგენილია მცენარის, ხილისა და ბოსტნეულის კანსა და კურკაში. განსაკუთრებით მათში, რომლებსაც ხასხასა შეფერილობა აქვთ. ანტიმჟანგავებით ყველაზე მდიდარია ყურძნის წიპწების ზეთი.

სამკურნალო მცენარეებიდან ძლიერი ანტიმჟანგავური მოქმედებით გამოირჩევა ელეუტეროკოკი, ჟენშენი, არალია, ლიმონურა. აფთიაქებში იყიდება მათი მცენარეული ექსტრაქტები და ბალზამები.

სასარგებლოა კოჭას, წითელი ვარდის ფურცლების, სალბის ჩაი. უმჯობესია, ლიმონით დალიოთ.

არსებობს აგრეთვე ბიოლოგიურად აქტიური დანამატები და სინთეტიკური პრეპარატები. მაგრამ მათი გამოყენების წინ საკონსულტაციოდ ექიმს მიმართეთ.

## ორი ნიღაბი ერთში

თუ მშრალი კანი გაქვთ, გამოიყენეთ ორმაგი მოქმედების ნიღაბი: მატონიზირებელი და დამარბილებელი. მისი შემადგენლობა კანის კვებას აუცილებელი ნივთიერებებით უზრუნველყოფს. ერთი კურსი (10-12 პროცედურა) თქვენს გარეგნობას შესამჩნევად შეცვლის.

40 მლ ახალგამოწურულ სტაფილოს წვენს 2 სუფრის კოვზი ახალი ხაჭო (ცხიმიანობა შეიძლება ნებისმიერი იყოს), 40 მლ ზეითუნის ზეთი და 2 ჩაის კოვზი თაფლი დაუმატეთ. ყველაფერი კარგად აურიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. წინასწარ გასუფთავებულ სახესა და ყელზე 25-30 წუთი დაიდეთ. ნიღაბი ჯერ თბილი, შემდეგ ცივი წყლით ჩამოიბანეთ. ბოლოს სველ კანზე თხელ ფენად მკვებავი კრემი წაისვით.

## შინნამზადი მკვებავი კრემი ხელებისთვის



მხოლოდ ასაკში შესული ვხვდებით, რომ ხელებს განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროება. ის უფრო სწრაფად ბერდება, ვიდრე სახე და ყელი.

ნებისმიერი შესაძლებლობისას ხელები დაასვენეთ. მათი კანი კვებეთ, საყოფაცხოვრებო ქიმიის მავნე ზემოქმედებისგან დაიცავით, მასაჟი გაიკეთეთ და ნიღბებით, შინაური კრემებით ხშირად გაანებივრეთ.

თითო სუფრის კოვზი კალენდულა, გვირილა, ორკბილა აურიეთ. ნარევს 200 მლ მდუღარე დაასხით. 5-7 საათი დადგით, გაწურეთ. 2 სუფრის კოვზი ნაღების კარაქი და 1 ჩაის კოვზი თაფლი აურიეთ, 2 სუფრის კოვზი ბალახის ნაყენი დაუმატეთ. კრემი ძილის წინ ხელების დასარბილებლად გამოიყენეთ.

მაშინაც კი, თუ ხელებისთვის განსაკუთრებული ნიღბის ან კრემის მომზადებას ვერ ასწრებთ, ასე მოიქეცით: საღამოს, როდესაც ყველა საქმეს დაასრულებთ, ხელებზე სქელ ფენად ნაღების კარაქი წაისვით და პოლიეთილენის ხელთათმანი ჩამოიცვით. ხელები 1 საათი ასე გქონდეთ, მაგალითად, სანამ ტელევიზორს უცქერთ. შემდეგ ქაღალდის ხელსახოცით გაიწმინდეთ, მაგრამ დილამდე არ დაიბანოთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

## ეს იცოდით?

❖ რომის იმპერატორ იულიუს კეისრის ავტოგრაფი 2 მილიონ დოლარადაა შეფასებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ მყიდველი არ გამოჩენილა.

❖ შენობაში, სადაც ამერიკის პრეზიდენტმა თომას ჯეფერსონმა „დამოუკიდებლობის დეკლარაცია" დაწერა, ახლა ჰამბურგერები იყიდება.

❖ ერთხელ ალბერტ აინშტაინს ისრაელის პრეზიდენტობა შესთავაზეს, მაგრამ მეცნიერმა თქვა, რომ ზედმეტი პრობლემები არ სჭირდებოდა.

❖ ჰოლივუდის მსახიობი ტომ კრუზი ვეგეტარიანელია და არც სასმელს ეკარება.

❖ როკ ენ როლის მეფის, ელვის პრესლის მეორე სახელი არონი იყო.

❖ ბილ გეიტსმა კომპიუტერული პროგრამირება 13 წლის ასაკში დაიწყო.

❖ მერილინ მონროს ბიუსტჰალტერი, რომელიც ეცვა ფილმში „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან", 14.000 დოლარად გაიყიდა.

❖ აინშტაინს დღე-ღამეში 10 საათი ეძინა.

❖ ისააკ ნიუტონი 23 წლის იყო, როდესაც გრავიტაციის კანონი აღმოაჩინა.

❖ სიმდიდრის ღმერთი პლუტოსი ბრმა იყო.

❖ ზევსს სამი ასული ჰყავდა. ისინი ბედის ქალღმერთები იყვნენ და ბარეკები ერქვათ. ერთი და ადამიანის სიცოცხლის ძაფს ართავდა, მეორე ახვევდა, მესამე კი ჭრიდა.

❖ ბერძნულ მითოლოგიაში ქურდების მფარველი ღმერთიც მოიძებნება. მას ჰერმესი ჰქვია.

❖ ცხოველთა სამყაროში მხოლოდ სპილოებს აქვთ დაკრძალვის რიტუალი. როდესაც თანამოძმე კვდება, სპილოები ორმოს თხრიან, შიგ ნეშტს ათავსებენ და ზემოდან ტალახსა და ტოტებს აწყობენ.

❖ იტალიის დროშა ნაპოლეონ ბონაპარტის შექმნილია.



Cyan Magenta Yellow Black

# სიბერეში რომ არ ინანოთ

ხანდაზმულობის ასაკში ბევრი ადამიანი იმაზე წუხს, რომ ახალგაზრდობაში რაღაც ვერ გააკეთა, უბრალოდ ვერ გაბედა, შეეშინდა და იმიტომ. ყველას კარგად გვახსოვს, თავის დროზე ცოტა რისკზე რომ წავსულიყავით, ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები სიბერეში სანანებელი არ გვექნებოდა. მოდით, თავში ცოტა გამბედაობა ვიპოვოთ და შესაძლებლობები რეალობად ვაქციოთ.



### თუ ძალიან გსურთ, მაგრამ რისკზე წასვლის გეშინიათ!

სანამ ამგვარად ან იმგვარად არ მოიქცევით, ვერ გაიგებთ, ის რაღაც ნამდვილად გჭირდებათ თუ არა. შემდეგ თამამად შეუდექით მის განხორციელებას. უარეს შემთხვევაში იმას მაინც გაიგებთ, რომ არასწორი არჩევანი გააკეთეთ. როგორც ცნობილია, უმჯობესია, გააკეთო და ინანო, ვიდრე ინანო, რომ არ გააკეთე.

### წინ გაიქეცით

ავტომობილის შეძენა გსურთ, მაგრამ კრედიტის გამოტანის გეშინიათ — კლასიკური სიტუაციაა. არსებობს ორი ვარიანტი: ჩვეულებრივი ხარჯები შეამციროთ, კრედიტი აიღოთ და რამდენიმე წელი იხადოთ, ან წინანდებურად იცხოვროთ, მეტროთი ან ავტომობილით მგზავრობა გააგრძელოთ.

რამდენიმე წლით წინ „გაიქეცით". წარმოიდგინეთ, რომ დაუძლურებული მოხუცი ხართ. თქვენი განვლილი ცხოვრება შეაჯამეთ. ალბათ იმაზე დარდობთ, რომ მანქანისთვის კრედიტი უკვე დიდი ხნის გადახდილი გექნებოდათ და დავიწყებულიც. კომფორტული და თავისუფალი გადაადგილებით დატკბებოდით. შეგეძლოთ მანქანით სამოგზაუროდ წასულიყავით. შვილიშვილს პირადად თქვენ ასწავლიდით მანქანის ტარებას და სრულწლოვანს ატომობილსაც აჩუქებდით.

ახლა აწმყოში დაბრუნდით და ყველაფერი ხელახლა კარგად აწონ-დაწონეთ.

### პლუსები და მინუსები

ამქვეყნად თითქმის ყველაფერს ორი მხარე აქვს — დადებითი და უარყოფითი. ეს ყოველთვის გაიხსენეთ, როდესაც რაღაც ახლის ზღურბლზე დგახართ.

ვთქვათ, გამოჩნდა შესაძლებლობა, კომპანიაში ხელმძღვანელის ადგილი დაიკავოთ, მაგრამ ამის გაფიქრებისაც კი გეშინიათ. ერთი შეხედვით, პასუხისმგებლობის რამდენჯერმე გაზრდა — ეს მინუსია. ეს შესაძლებლობას გაძლევთ, თქვენში არსებული ხელმძღვანელის ფარული ტალანტი გამოავლინოთ — ეს პლუსია. არის რისკი, საქმეს თავი ვერ გაართვათ და კომპანია შერცხვენილმა დატოვოთ (მინუსია), მაგრამ მაინც არის შანსი, ამ საქმეში წარმატებას მიაღწიოთ (პლუსია) და ა.შ.

### დასაბუთება

ხშირად გვეჩვენება, რომ გარკვეული რაღაც გვჭირდება, უბრალოდ ის ჩვენთვის აუცილებელია, მაგრამ როგორც შემდეგ ირკვევა, ის მხოლოდ მოდის ხარკია. მაგალითად, ყველას დედაქალაქში ცხოვრება სურს და მეც მათ შორის. მაგრამ ღირს საკუთარი ცხოვრების დანგრევა იმ სურვილისთვის, რომელიც არა — თქვენში, არამედ ხალხში აღმოცენდება?

თავს ორი კითხვა დაუსვით: ეს მესაჭიროება? რისთვის მჭირდება? პასუხი დაასაბუთეთ, იდეალურია — დიქტოფონზე ჩაიწეროთ. თქვენი აზრების გაანალიზებით შეძლებთ გაიგოთ, ნამდვილად ღირს თუ არა აწყობილი ცხოვრების დანგრევა და დედაქალაქის მზის ქვეშ ადგილის დასაკავებლად ბრძოლაში ჩაბმა. ან შეიძლება უბრალოდ, საზოგადოებრივი აზრის, მოდის, ისტერიის ხაფანგში გაებით?

### გონების შტურმი

როდესაც რაღაც სერიოზული გადაწყვეტილების მიღების ზღურბლზე იმყოფებით, აიღეთ ქაღალდის ფურცელი და სწრაფად ჩამოწერეთ ყველა პლუსი, რასაც ეს ნაბიჯი მოგიტანთ. მაგალითად, მოსაწყენი სამუშაოდან გათავისუფლება. ყველა ნეგატიური განცდისგან დაისვენებთ, თქვენს ჭეშმარიტ მოწოდებას იპოვით, სახლში რემონტს დაამთავრებთ, მეგობართან ესპანეთში წახვალთ... სია გააგრძელეთ.

მეორე ქაღალდზე ჩამოწერეთ ყველაფერი, რა მოხდება, თუ მოვლენები სხვაგვარად განვითარდება. ორივე სია შეადარეთ და დაფიქრდით: რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ყველაფერი ის, რაც პირველად დაწერეთ? იქნებ ეს ნაბიჯი სინამდვილეში საჭირო არ არის?

### მტკიცებულებები

შეარჩიეთ ერთი ან ორი მტკიცებულება, რომლებსაც ეთანხმებით და ხმამაღლა ან გულში წარმოთქვით, როდესაც ამის აუცილებლობა აღმოცენდება.

ყოველ ადამიანს აქვს შეცდომის დაშვების უფლება. ამიტომ ნებისმიერი გადაწყვეტილება თამამად შემიძლია მივიღო.

თუ რაღაცის გაკეთება მსურს, ამას გავაკეთებ. ხოლო გადაწყვეტილება რამდენად სწორია, ეს შემდეგ გახდება ცხადი.

უმჯობესია, მოვსინჯო და გავაკეთო, ვიდრე ჩემი გაუბედაობის გამო შემდეგ ვინანო.

ჩემ სურვილებში თავისუფალი ვარ და თუ რაღაც მსურს, ამის გაკეთების უფლება მაქვს.

თუ არასწორად ვიქცევი, დავისჯები, მაგრამ ეს ჩემთვის ცხოვრებისეული გამოცდილება გახდება.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

## ჭკვიანი აზრები

ვინც ხელს უწყობს დამნაშავეს, იგი ერთიორად დამნაშავეა.

❖

დაუდევრობა, უზრუნველობა — ჭკუის ძილია.

*სირუსი*

ღონე იმისთვის მოუნიჭებია ჩვენთვის ღმერთს, რომ ჩვენი ქონება დავიცვათ და არა იმისთვის, რომ სხვისი დავისაკუთროთ.

*მონტესკიე*

წრეგადასული უნდობლობა ისეთივე მავნებელია, როგორიც მეტისმეტი მიმნდობლობა.

*კოვერნავი*

ვინც ბევრს გპირდება, იმას ნაკლებად უნდა მიენდო.

*ჰორაციო*

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

## ტექსასში ორთავიანი კუ დაიბადა



ტექსასის შტატის ქალაქ სან მარინოს ზოოპარკში ორთავიანი კუ დაიბადა, რომელსაც ძალიან მალე წარუდგენენ საზოგადოებას. ცხოველს 1991 წლის ცნობილი ოსკაროსანი ფილმის სახელი „ტელმა და ლუიზა“ დაარქვეს.

ზოოპარკის თანამშრომლების თქმით, კუ სრულიად ჯანმრთელია, კარგად დადის და ცურავს.

## 3 წლის აუტისტი გოგო ნახატებით საუბრობს



3 წლის ბრიტანელ ირის გრეის ჰელმშოუს 1 წლის წინ ექიმებმა აუტიზმის დიაგნოზი დაუსვეს. თერაპიის ერთ-ერთ ნაწილს ხატვა შეადგენდა, რომელიც პატარამ მალე შეიყვარა და ახლა დროის მნიშვნელოვან ნაწილს ფუნჯით



ხელში ატარებს. ირისი ვერ ლაპარაკობს, მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმას ნახატებით ახერხებს.

ირისი ისე კარგად ხატავს, რომ მის ნახატებში კოლექციონერები დაუფიქრებლად იხდიან ასობით დოლარს. გოგონას განსაკუთრებით უყვარს წყალი, ხეები, ქარი და ცეკვა.

## სკოლის ატესტატი 100 წლის ასაკში



მექსიკელმა მანუელა ერნანდეს ველასკესმა საშუალო სკოლა 100 წლის ასაკში დაამთავრა. ერნანდესი 1913 წელს სამხრეთ მექსიკის შტატში დაიბადა. სკოლაში მხოლოდ 1 წელი იარა, მერე კი მიატოვა, რათა თავის ღარიბ ოჯახს დახმარებოდა. მან სწავლა 99 წლის ასაკში გააგრძელა შვილიშვილის რჩევით, 100 წლის იუბილეზე კი საჩუქრად სკოლის ატესტატი მიიღო.

მანუელა საშუალო განათლების მიღებით არ დაკმაყოფილდა და უახლოეს მომავალში სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში აპირებს.

## ტალახიანი მარათონი



ინგლისის ქალაქ მელდონში ტრადიციული ტალახიანი მარათონი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა 200-მდე ადამიანმა მიიღო. მარათონის დროს ისინი ერთმანეთს ტალახიანი მდინარის გადალახვაში შეეჯიბრნენ. ამჯერად მონაწილეები სხვადასხვა სასაცილო კოსტიუმებში გამოწყობილები გამოჩნდნენ. ტალახიანი მარათონი საქველმოქმედო აქციაცაა, მასზე დასასწრები ბილეთი 1 ფუნტი ღირს, შემოსული თანხა კი საქველმოქმედო ორგანიზაციებში ირიცხება.

ტალახიანი მარათონის გამარჯვებულმა ჯო ჰიქსიმ, რომელიც ყოველ წელს იღებდა მონაწილეობას ტურნირში, ახალი რეკორდი დაამყარა. მან ტალახიანი მდინარე 3 წუთსა და 15 წამში გადალახა.

## მსოფლიოში ყველაზე დიდ ნიანგს დაბადების დღე გადაუხადეს






მსოფლიოში ყველაზე დიდი ნიანგი ავსტრალიაში, კვინსლენდში მდებარე „მერინელენდ მელანესიის“ პარკში ბინადრობს. ნიანგი, სახელად კასიუს კლეი, ერთ ტონას იწონის, ხოლო სიგრძეში 5 მეტრი და 48 სანტიმეტრია. წელს მას 110 წელი შეუსრულდა. კასიუს კლეის მფლობელ ბილი კრეიგის განცხადებით, სინამდვილეში ნიანგის ასაკი უცნობია, სავარაუდოდ, ის 100 წელზე მეტისაა, ამიტომ დაბადების თარიღი მან თავად შეურჩია.

ნიანგს დაბადების დღეზე წიწილისა და საქონლის ხორცისაგან დამზადებული 20 კილოგრამიანი ტორტი მიართვეს. იუბილარმა საჩუქარი დაახლოებით 30 წამში გადასანსლა. გასულს წელს კასიუსი გინესის წიგნშიც შევიდა, როგორც ყველაზე დიდი რეპტილია.



Cyan Magenta Yellow Black

## ქალმა ქმრად ხიდი აირჩია






ავსტრალიელი ჯოდი როუზი ხიდზე ოფიციალურად დაქორწინდა. ის ბოლო 10 წლის განმავლობაში მუშაობდა პროექტზე „მომღერალი ხიდები“, ამიტომ უამრავი ქვეყნისა თუ ქალაქის მონახულება მოუხდა, რომ ხიდებისათვის ფოტოები გადაეღო.

საფრანგეთის სამხრეთით, ეროს დეპარტამენტში ყოფნისას ჯოდი მიხვდა, რომ „ეშმაკის ხიდი“ ერთადერთი იყო, რომელზეც ოდესმე გათხოვდებოდა. ქალმა ჟურნალისტებს თამამად განუცხადა, რომ ხიდი არაჩვეულებრივი ქმარია, ძალიან ძლიერი და ამავდროულად მშვიდი, ზუსტად ისეთი, როგორიც სჭირდებოდა.

ქორწინების ცერემონიალს ჯოდის რამდენიმე მეგობარი დაესწრო. პატარძალს თეთრი კაბა ეცვა და თაიგული ეჭირა, ხოლო „ნეფე“ ლამაზად იყო გაფორმებული.



## რესტორანი კატებისათვის

ბრიტანეთში ელიტური კატებისათვის „სი მოგიფიქიუს“ რესტორნების ქსელი გაიხსნა, რომლის მენიუში ასთაკვი, შემწვარი იხვი და სვიის ხიზილალა შედის. კატებისთვის განკუთვნილი ეს კერძები ცნობილმა შეფმზარეულმა სიმონ რიმერმა შექმნა.

საყვარელი კატებისთვის ასეთი სიამოვნების მინიჭება პატრონებს იაფი სულაც არ დაუჯდებათ — რესტორანში კერძების ფასები 36 დოლარიდან იწყება.

## ქურთუკი მამაკაცის ზანჯგვლით

ბრიტანელი დიზაინერების ჯგუფმა მამაკაცის გულმკერდის ბეწვისაგან დამზადებული ქურთუკები გასაყიდად გამოუშვა. სამოსი მთლიანად მამაკაცის გულმკერდის თმისგანაა შექმნილი და თითოეული მათგანის ღირებულება 2.499 ფუნტი სტერლინგიდან იწყება. ერთ ასეთ ქურთუკს დაახლოებით 200 საათი და მილიონობით თმა დასჭირდა.



უჩვეულო ქურთუკი ახალი რძიანი შოკოლადის სასმელის სარეკლამო კამპანიისთვის შეიქმნა, რომელიც სპეციალურად მამაკაცებზეა გათვლილი, რადგან მასში 40%-ით მეტი პროტეინია, ვიდრე სხვა რომელიმე რძიანი შოკოლადის სასმელში.

## 0,75 მილიმეტრიან წიგნში 22 გვერდია



იაპონურმა კომპანია „ტოპანმა“, რომელიც დღემდე იმით იყო ცნობილი, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდ წიგნებს უშვებდა, ამჯერად საპირისპირო რეკორდი დაამყარა და მსოფლიოში ყველაზე პატარა წიგნი გამოუშვა — „ოთხი სეზონის ყვავილები“.

წიგნი, რა თქმა უნდა, იაპონურ ენაზეა დაწერილი. მისი სიმაღლე და სიგანე 0,75 მმ-ია. მასში 22 გვერდია და იაპონიის ყველა ყვავილია წარმოდგენილი, მხოლოდ მონოქრომულად. მსოფლიოში ყველაზე პატარა წიგნის დამზადებას 8 თვე მოუნდა, მის წაკითხვას კი სპეციალური გამადიდებელი შუშა სჭირდება. ამჟამად წიგნი ტოკიოს „ბეჭდვის მუზეუმშია“ გამოფენილი.

## ფლორიდაში ათეიზმის ძეგლი დადგეს




ფლორიდის შტატის ქალაქ სტარკში ათეიზმის ძეგლი დადგეს, რომელსაც სკამის ფორმა აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ ამერიკელმა ათეისტებმა სასამართლოს მოთხოვნით მიმართეს, 10 მცნების ძეგლი აეღოთ და მის ადგილზე ათეიზმის ძეგლი დაედგათ. სასამართლომ მათი სარჩელი არ დააკმაყოფილა, მაგრამ ათეიზმის ძეგლის დადგმის უფლება მისცა. ახლა უკვე ორივე ძეგლი სასამართლოს წინ, ერთმანეთის გვერდიგვერდ დგას.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# ნამდვილი მამაკაცი თუ პატარა ბიჭი?



**1. სამსახურში უამრავი საქმე გამოგიჩნდათ, რამაც სერიოზული პრობლემები შეგიქმნათ, თქვენ...**

ა) ეცდებით, ან შვებულებაში გახვიდეთ ან ბიულეტენზე — 0

ბ) მთელი ენერგიისა და ყურადღების კონცენტრაციას საქმეზე მოახდენთ და თანმიმდევრობით ყველაფერს გააკეთებთ, ყველაზე რთულით დაიწყებთ — 5

გ) პატარა ტაიმ-აუტს აიღებთ, რათა გაერკვეთ, როგორ იმოქმედოთ — 3

**2. დღესასწაული ახლოვდება, თქვენ კი ფინანსურ კრიზისს განიცდით და საყვარელი ქალის საჩუქრისთვის ფული არ გაქვთ. თუ არაფერს აჩუქებთ, განაწყენდება, რას იზამთ?**

ა) ეცდებით, საყვარელი ქალი კომპლიმენტებით აავსოთ და საოჯახო საქმეებში დაეხმაროთ — 3

ბ) არაფერს იზამთ, ფული ციდან არ გაჩნდება, თანაც დროც არაფრისთვის დაგრჩათ, საყვარელი ქალი კი მთელი ცხოვრება ნამდვილად არ იქნება განაწყენებული — 5

გ) ეცდებით, რამენაირად ფული გამოიმუშაოთ, რათა საჩუქარი იყიდოთ — 0

**3. საყვარელ ქალთან ერთად სეირნობთ, ვიღაც ნასვამი აგეკიდათ, რომელსაც, როგორც ჩანს, ვიღაცასთან ჩხუბი სურს, თქვენ...**

ა) საყვარელ ქალს გვერდით გაიყვანთ, ნასვამ მამაკაცს კი შესაბამის პასუხს გასცემთ, რათა გარშემომყოფები არ შეაწუხოს — 5

ბ) ეცდებით, მას ყურადღება არ მიაქციოთ, მაგრამ თუ მაინც არ მოგეშვათ, ერთიორს წაუთაქებთ — 3

გ) ეცდებით, მშვიდად და ზრდილობიანად აუხსნათ, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება, თუ ამან შედეგი არ გამოიღო, საყვარელ ქალს სხვა ადგილზე წაიყვანთ სასეირნოდ — 0

**4. მშობლებმა წვეულებაზე დაგპატიჟეს, საყვარელ ქალს კი ახალი არაფერი აქვს, რომ ჩაიცვას და ნერვიულობს. ხელფასი ახალი აღებული გაქვთ და გეგმავდით, ავტომობილისთვის სათადარიგო ნაწილები შეგეძინათ. როგორ მოიქცევით ასეთ სიტუაციაში?**

ა) საყვარელ ქალს ურჩევთ, კაბა დას ან დაქალს სთხოვოს ერთი დღით, თუ ეს არ დაგეხმარათ, მაშინ გარკვეულ თანხას მისცემთ კაბის საყიდლად — 3

ბ) საყვარელ ქალს იმდენ ფულს მისცემთ, რამდენიც სჭირდება, მთავარია სიმშვიდე იყოს და ეს ყოველივე კონფლიქტში არ გადაიზარდოს, სათადარიგო ნაწილებისთვის კი ფულს მერეც იშოვით — 5

გ) ეტყვით, რომ ძველ სამოსშიც ძალიან მომხიბვლელია — 0

**5. თქვენმა მეორე ნახევარმა სიურპრიზი გაგიკეთათ და იყიდა ნივთი, რომელზეც ოჯახის ერთი თვის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი წავიდა, რა რეაქცია გექნებათ?**

ა) გესიამოვნებათ ასეთი ყურადღება, არა უშავს, ფულს კიდევ იშოვით — 0

ბ) მადლობას გადაუხდით, მაგრამ აგრძნობინებთ, რომ ასე აღარ მოიქცეს — 3

გ) ბუნებრივია, ყურადღება გესიამოვნებათ, მაგრამ ოჯახის ბიუჯეტის თქვენთან შეუთანხმებლად ხარჯვა არ გესიამოვნებათ და ამის შესახებ ხმამაღლა ეტყვით — 5

## შედეგები:

**0-8 ქულა** — ისე იქცევით, როგორც პატარა ბიჭი, რომელსაც მუდმივად ზრუნვა, ყურადღება სჭირდება და თვლით, რომ ეს ქვეყანა მხოლოდ მისთვისაა შექმნილი. ჯერ კიდევ ვერ გაიგეთ, რომ ცხოვრება სერიოზული „საქმეა“ და ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობა არც ისე მარტივი და უპრობლემოა, როგორადაც ეს ლამაზ ფილმებშია წარმოდგენილი.

**9-17 ქულა** —მართალია, პატარა ბიჭად არ გთვლიან, მაგრამ მამაკაცურობა და სიბრძნე ნამდვილად გაკლიათ. გესმით, რომ ქალი სუსტი არსებაა და ამიტომ უნდა დაუთმოთ, მაგრამ ამავდროულად გვერდს ვერ უვლით ნაბიჯებს, რომლებიც პატარა ბიჭებისთვისაა დამახასიათებელი.

**18-25 ქულა** —ნამდვილი მამაკაცი ხართ, რომელმაც იცის, როდის როგორ მოიქცეს, ვისთან როგორ ილაპარაკოს. იცით, როგორ იმოქმედოთ ქალთან. არც სიბრძნე გაკლიათ, რაც გეხმარებათ, პრობლემებს სათანადოდ გაუმკლავდეთ.

# ნიჭიერი შვილი გყავთ?

ქულები ასე გაანაწილეთ: „დიახ“ — 2, „არა“ — 0 , „ვერ ვიხსენებ“ — 1 ქულა.

1. თქვენი შვილი აბსტრაქტულ სურათებს თუ ხატავს?
2. ოდესმე ახალი სიტყვა გამოუგონია?
3. უცდია ავეჯის თავისი სურვილისამებრ გადაადგილება?
4. გასართობ თამაშებს თუ იგონებს?
5. ყოფილა შემთხვევა, რაიმე საგანი არადანიშნულებისამებრ გამოუყენებია?
6. ლექსებს ან მოთხრობებს თხზავს?
7. მისთვის გაუგებარი მოვლენების ახსნას ხშირად გთხოვთ?
8. რაიმე ნივთის დანიშნულებას დამოუკიდებლად ხვდება?
9. უყვარდა, როცა ზღაპრებს უკითხავდნენ?
10. თვლით, რომ მას თავისი შინაგანი სამყარო აქვს?
11. ტანსაცმელს საკუთარი გემოვნებით ირჩევს?
12. გიყვებათ სიზმრებს?

## შედეგები:

**0-8 ქულა** —თქვენს შვილს ალბათ გამჭრიახობა და საზრიანობა აკლია, თუმცა, რასაც ეტყვით, უსიტყვოდ ასრულებს. იმედია, გულს არ გაიტეხთ და ბავშვის გონებრივ განვითარებას მეტ დროს დაუთმობთ.

**9-19 ქულა** — თქვენი ბავშვი ნამდვილად გონიერია, მაგრამ ზოგჯერ საპირისპირო თვისებასაც ამჟღავნებს. გირჩევთ, მის აღზრდას მეტი ყურადღება მიაქციოთ.

**20-24 ქულა** — თქვენი შვილი შეიძლება ვუნდერკინდი არ იყოს, მაგრამ ნამდვილად გონიერია და ეს უდავოა. მხოლოდ ერთს გირჩევთ, აუცილებლად სხვა ბავშვების გარემოცვაში უნდა ამყოფოთ, თუ გსურთ, რომ საკუთარ თავში არ ჩაიკეტოს.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

# სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 3 | | | | | 9 |
| 8 | | | 5 | | | | 6 | |
| | 4 | | | 2 | 1 | | | |
| 3 | | | | | | | 7 | 1 |
| | 9 | | | | 8 | 2 | | |
| | | 5 | | 7 | | | | 4 |
| 6 | | | 4 | | 5 | 7 | | |
| | | 1 | | 3 | | 9 | 8 | |
| 2 | 7 | | | | | | | 3 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | | | 1 | | | 6 |
| 2 | | | 4 | | | | 5 | |
| | | 3 | 8 | | | | | 9 |
| | 5 | | | | 3 | | 2 | |
| 8 | | 1 | 7 | | | 6 | | |
| | | 4 | | 8 | 9 | | | |
| 6 | | | | | | 8 | | 5 |
| 9 | | | 2 | | 4 | | | 1 |
| | 3 | | | 5 | | | | |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

ტესტი ქალებისთვის

# როგორი დედამთილი იქნებით?



**1. წარმოიდგინეთ, რომ მალე შვილიშვილები გეყოლებათ...**

ა) ალბათ ყველაფერის გაკეთება მე მომიწევს, ვერ წარმომიდგენია ჩემი ვაჟი მამის როლში.

ბ) რძალს დავარწმუნებ, სამსახურიდან წამოვიდეს და ბავშვს მოუაროს.

გ) რძალს ათასგვარ სპეციალურ ლიტერატურას მივცემ და ექიმსაც წინასწარ მოველაპარაკები, რომ ყველაფერმა გართულებების გარეშე ჩაიაროს.

დ) არ უნდა გამეშვა ცალკე საცხოვრებლად, ახლა მთელი ქალაქის გავლა მომიწევს, რომ შვილიშვილი ვნახო.

**2. თქვენი ვაჟი ბავშვობაში...**

ა) საბავშვო ბაღში არ დადიოდა, სკოლაში მიმყავდა და მომყავდა, მოკლედ, დედიკოს ბიჭი იყო.

ბ) ბავშვობიდანვე ნიჭიერი იყო, მუსიკაზე დადიოდა, ხატავდა, სპორტს მისდევდა.

გ) ადრიანად მიეჩვია დამოუკიდებლობას, დადიოდა საბავშვო ბაღში, მერე სკოლაში, გახანგძლივებულში...

დ) ძალიან ცელქი იყო, ძლივს ვიმორჩილებდი.

**3. რა რეაქცია გექნებათ, შვილმა რომ გამოგიცხადოთ, ცოლი მომყავსო?**

ა) ერთდროულად სიხარულისა და მწუხარებისაგან ავტირდები.

ბ) ვერ წარმომიდგენია, რომ სხვა ქალი ზრუნავდეს ჩემს ბიჭზე.

გ) გულითადად გამიხარდება, როგორც იქნა!

დ) არ ვიცი, რძალთან როგორ ავაწყობ ურთიერთობას, ერთ ჭერქვეშ მოგვიწევს ცხოვრება.

**4. ზაფხულში მთელი ოჯახი აგარაკზე მიდიხართ დასასვენებლად...**

ა) როგორც იქნა, ყველა ერთად ვართ, ყოველდღე შვილს საყვარელ კერძებს მოვუმზადებ.

ბ) წვეულების მოწყობა იქნება საჭირო და ნათესავების დაპატიჟება.

გ) ჩვენი შვებულებები იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს.

დ) ერთი კვირაა ერთად ვართ და უკვე დავიღალე — ხმაური, სტუმრები...

**5. რას უშვრებით ძველ სამოსს?**

ა) სახლში ვიცვამ, ძალიან გაცვეთილებს კი საოჯახო საქმეებში ვიყენებ.

ბ) ვყრი, ზედმეტ ნივთებს ვერ ვიტან.

გ) ვყიდი ინტერნეტის დახმარებით ან საკომისიოში ვაბარებ.

დ) საკუჭნაოში ვინახავ, შემდეგ კი აგარაკზე მიმაქვს.

**6. ვინაა თქვენს ოჯახში უფროსი?**

ა) ჩემი ქმარი.

ბ) მე, განა შეიძლება სხვას ენდო?!

გ) ყველანი თანაბარუფლებიანები ვართ.

დ) ახლა ჩემი ქმარი, პირველი ქორწინების დროს კი მე მიწევდა ყველაფრის კეთება.

**7. შვილთან ხართ სტუმრად, რძალმა გემრიელი კერძი შემოგთავაზათ...**

ა) შევაქებ, რეცეპტს შევეკითხები და შვილს სადღესასწაულოდ მოვუმზადებ.

ბ) ვეცდები, ინგრედიენტები ამოვიცნო და სახლში ექსპერიმენტს ჩავატარებ.

გ) სახელს ვკითხავ და როცა რესტორანში ვიქნები, აუცილებლად შევუკვეთავ, სახლში საჭმელს იშვიათად ვაკეთებ.

დ) გემრიელია, მაგრამ ცხიმიანი, ჩემი რეცეპტი ჯობია.

**8. შვილმა გითხრათ, რომ წელს შობას სახლში არ შეხვდება...**

ა) გავნაწყენდები, არანაირ ოჯახურ ტრადიციას არ ცნობს და არ სურს, დედასთან გაატაროს დრო.

ბ) დაე, დაისვენოს, ტელეფონით მივულოცავ, საჩუქრებს კი მერე მივცემ.

გ) არა უშავს, მე და ჩემი ქმარი თბილ ქვეყნებში წავალთ სამოგზაუროდ.

დ) მეწყინება და ამის მიზეზს შევეკითხები, იქნებ შეყვარებულის მშობლებთან მიდის სტუმრად.

**9. მალე თქვენი ვაჟის დაბადების დღეა..**

ა) წინასწარ დავიწყებ მზადებას.

ბ) ყურადღებით ვიქნები, რომ სტუმრების სიიდან არავინ გამომრჩეს.

გ) მალაზიაში წასვლა უნდა მოვასწრო, მე კი სამსახურში ძალიან დაკავებული ვარ.

დ) შვილი ყველაფერს თავის ჭკუაზე აკეთებს და მე ყველაფერს ბოლო მომენტში ვიგებ.

**10. ხშირად ავადმყოფობთ?**

ა) მე — არა, ჩემი ვაჟი კი ხშირადაა ავად.

ბ) ასეთი ფუფუნების უფლება არ მაქვს, ოჯახში უამრავი რამაა გასაკეთებელი.

გ) არა, რადგან საკუთარ თავს დიდ ყურადღებას ვაქცევ.

დ) შვილი თავისი საქციელით ალბათ მალე ინფარქტამდე მიმიყვანს.

**დაითვალეთ, თქვენს პასუხებში რომელი ვარიანტი ჭარბობს.**

## შედეგები:

### „ა" ვარიანტი — ტრადიციების დედოფალი

ტიპური დიასახლისი, რომელიც აღმერთებს საოჯახო საქმეებს. მის სახლში მუდამ სისუფთავე და წესრიგია. ერთი სული გაქვთ, როდის მოეფერებით შვილიშვილებს. არამარტო იმაზე ზრუნავთ, რომ თქვენი ვაჟი დანაყრებული, ჩაცმულ-დახურული იყოს, არამედ ცდილობთ, მუდმივად აკონტროლოთ, ათასგვარი რჩევა მისცეთ. გაგიმართლებთ, თუ რძალი თქვენნაირი ოჯახის გოგო იქნება, ესიამოვნება თქვენი რჩევების მოსმენა, სხვაგვარად უსიამოვნებას ვერ ასცდებით, მათ შორის, საკუთარ შვილთანაც. ალბათ ძალიან მომთხოვნი ხართ. შესთავაზეთ დახმარება, მაგრამ საკუთარ აზრს ზედმეტად ნუ მოახვევთ თავს ახალგაზრდებს.

### „ბ" ვარიანტი — ორკესტრის დირიჟორი

მიჩვეული ხართ, ყველაფერს დამოუკიდებლად მიაღწიოთ. როგორც ოჯახის უფროსი, ახლობლებისგან უსიტყვო მორჩილებას ითხოვთ. რძლის შესარჩევად ალბათ კასტინგს ჩაატარებთ — გამოკითხავთ, სად სწავლობდა, წარმომავლობას, რამდენი შვილის გაჩენას აპირებს და ა.შ. კარგი იქნება, თუ შვილი რბილი ხასიათის გოგონაზე დაქორწინდება, სხვაგვარად ოჯახში სერიოზული დაპირისპირებაა მოსალოდნელი. ეცადეთ, ცოტა თავისუფლება მაინც მიანიჭოთ შვილს. შვილის დაქორწინება ტრაგედია არაა. უბრალოდ თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყება, საშუალება მოგეცემათ, საყვარელი საქმით დაკავდეთ — შვილიშვილებს მოუაროთ.

### „გ" ვარიანტი — დამოუკიდებელი

მხოლოდ თქვენი სიამოვნებისთვის ცხოვრობთ. გსურთ, რომ ყველამ მხოლოდ თქვენ მოგაქციოთ ყურადღება. ოჯახურ გარემოს კარიერის გაკეთება გირჩევნიათ. თქვენს მომავალ რძალს ძალიან გაუმართლებს — დედამთილის ნაცვლად კარგი მეგობარი ეყოლება, რომელიც არ ჩაერევა მის ოჯახურ ცხოვრებაში და სიამოვნებით დაუთმობს ადგილს სამზარეულოში. მართალია, ახალგაზრდებს საკუთარ თავზე ზრუნვა შეუძლიათ, მაგრამ ეცადეთ, თქვენს დატვირთულ გრაფიკში დრო გამოძებნოთ შვილთან და რძალთან ურთიერთობისათვის, თორემ შვილიშვილები ისე წამოიზრდებიან, ვერც მიხვდებით...

### „დ" ვარიანტი — ვითომ ავადმყოფი

მიჩვეული ხართ, მუდმივად ყურადღების ცენტრში იყოთ და ყველა თქვენზე ზრუნავდეს. საკმარისია, სულ ცოტა ინერვიულოთ და დაავადებების მთელი თაიგული გახსენებთ თავს. განა შეიძლება არ ინერვიულოთ, როცა შვილი მთელი დღით სადღაც იკარგება და არაფერს გაგებინებთ. რძალს თქვენი ვაჟის „მომტაცებლად" ჩათვლით და ეცდებით, შვილი ნებისმიერი საშუალებით სახლში დააბრუნოთ. გახსოვდეთ, საკუთარი ჯანმრთელობით მანიპულაცია სიკეთემდე არ მიგიყვანთ. ეცადეთ, საკუთარი ცხოვრებით იცხოვროთ, დაკავდით ჰობით და სამშვიდობო მოლაპარაკებები გამართეთ. იმის ნაცვლად, რომ მოითხოვოთ, საკუთარ ვაჟს დახმარება შესთავაზეთ — სადილის მომზადება ან მაღაზიაში საყიდლებზე წასვლა.



Cyan Magenta Yellow Black

# წითელი ლოყები ყოველთვის ჯანმრთელობას არ ნიშნავს



სიმორცხვისგან ლოყების აწითლება სასიამოვნოა, ხოლო, თუ მყარი სიწითლე კაპილარების გაფართოების გამო ვლინდება, ამაში კარგი არაფერია.

კუპეროზი არამხოლოდ ესთეტიკური დეფექტი, არამედ დაავადებაა. გაფართოებულ სისხლძარღვებსა და მყიფე კაპილარებს კანამდე მისთვის აუცილებელი მკვებავი ნივთიერებები, ჟანგბადი ვერ მიაქვთ. შედეგად, კანი გამოშრობას იწყებს, იფიტება და დროზე ადრე ბერდება. გარდა ამისა, კუპეროზი კანის მგრძნობელობას აძლიერებს, რაც ქავილითა ლა ანთებით ვლინდება. ამიტომ ამ დაავადების პროფიქალტიკა და მკურნალობა რაც შეიძლება ადრე უნდა დაიწყოთ.

მიჩნეულია, რომ წითელი ვარსკვლავები სახის კანსა და სხეულზე — მემკვიდრეობითია. ამიტომ, თუ თქვენს ახლობლებს ისინი აქვთ, თქვენც რისკის ჯგუფში იმყოფებით. ვარიკოზული, გულ-სისხლძარღვთა, ღვიძლისა და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადებები ნეგატიურ გავლენას ახდენენ სისხლძარღვებისა და კაპილარების მდგომარეობაზე, მათ სუსტსა და მყიფეს ხდიან. სისხლძარღვების მუშაობას ჰორმონული დარღვევებიც აუარესებს. კუპეროზი ქალებში ხშირად აღმოცენდება ფეხმძიმობისა და კლიმაქსის პერიოდში, როდესაც ჰორმონების ბალანსი მკვეთრად იცვლება.

თუ არ გსურთ, არაჯანსაღი სიწითლე შეიძინოთ, ცხოვრების წესი სასწრაფოდ შეცვალეთ.

**სიგარეტის მოწევასა და ალკოჰოლს თავი დაანებეთ.** ნიკოტინი და სპირტიანი სასმელი უკიდურესად დამღუპველად მოქმედებს სისხლძარღვების სისტემაზე.

**მოერიდეთ ცხელ კერძებსა და სასმელებს.** ნუ გამოიყენებთ კოფეინის შემცველ და გაზიან სასმელებს. შავი ჩაის და ყავის მაგივრად მწვანე ჩაი დალიეთ — სისხლძარღვებს ამაგრებს.

**ცხარე კერძებისა და სანელებლებისგან თავი შეიკავეთ.** საჭმელებიდან სისხლძარღვებს ამაგრებს მცენარეული ზეთი, A, E ვიტამინებითა და ნახევრადუჯერი ცხიმმჟავებით მდიდარი ცხიმიანი ზღვის თევზი. სისხლძარღვების სისტემისთვის ასევე სასარგებლოა ჟოლო, მოცხარი, მოცვი, შტოში.

**მოერიდეთ ქარსა და ყინვას.** ტემპერატურის მკვეთრი კონტრასტების გამო, სუსტი სისხლძარღვები შეიძლება დასკდეს. ამიტომ ზამთარში სახისთვის ყოველთვის გამოიყენეთ უამინდობისგან დამცავი სპეციალური კრემი, რომელიც ცხიმსა და ზეთებს შეიცავს. გაიკეთეთ გვირილის კომპრესები — კაპილარებს ამაგრებს.

**მოერიდეთ მზეს.** ზაფხულში ქუჩაში მზისგან დამცავი კრემის გარეშე ნუ გახვალთ. სოლარიუმებზე საერთოდ უარი თქვით. დასხივება სუსტი სისხლძარღვების დროს აკრძალულია.

**დაივიწყეთ საუნა და აბანო.** თუ აბანოს გარეშე არ შეგიძლიათ, მაშინ იქ იშვიათად წადით, მხოლოდ 10 წუთი დაყავით, ამავდროულად სახე პირსახოცით დაიფარეთ.

**გამოიყენეთ კოსმეტიკა წარწერით „მგრძნობიარე კანისთვის“.** კუპეროზისკენ მიდრეკილების დროს, არ გამოიყენოთ სპირტისა და თაფლის შემცველი საშუალებები. ისარგებლეთ კოსმეტიკური საშუალებებით, რომლებიც შეიცავენ P, k, A, E და C ვიტამინებს, ისინი სისხლძარღვების სისტემას ამაგრებენ.

კუპეროზისკენ მიდრეკილების დროს სახის გასაწმენდად არ გამოიყენოთ ხილის მჟავები. უპირატესობა მიანიჭეთ ენზიმურ პილინგს — მცენარეული ფერმენტებით კანის ღრმა გაწმენდას.

სისხლძარღვოვანი ვარსკვლავებისგან გათავისუფლება ლაზერული და ფოტოთერაპიით შეიძლება.

# როგორ ავიცილოთ თავიდან ათეროსკლეროზი

**ყველამ იცის, რომ ათეროსკლეროზი არტერიების სანათურის თანდათანობითი შევიწროება, ორგანოების სისხლით მომარაგების დარღვევა, ინფარქტი და ინსულტი, თირკმლების დაზიანებაა და ა.შ. ამ პათოლოგიურ პროცესში მთავარ როლს ქოლესტერინი თამაშობს.**

## ყველაფერში დამნაშავეა ქოლესტერინი?

ჩვენი ორგანოების სისხლით მომარაგების დარღვევა ყველაზე ხშირად დაკავშირებულია იმასთან, რომ სისხლძარღვების შიგა ზედაპირზე ქოლესტერინი (ცხიმოვანი კრისტალები) დალექვას იწყებს. ასე წარმოიქმნება ე.წ. ფოლაქები. ზოგჯერ ფოლაქები იმდენად ბევრია, რომ სისხლძარღვებს ახშობს. საკვებისა და ჟანგბადის ნაკლებობის გამო, უჯრედები „გაგუდვას“ იწყებენ. თუ ეს გულის უჯრედებია, მაშინ ადამიანში გულმკერდის უკან უეცარი ტკივილის შეტევები — სტენოკარდია აღმოცენდება, ხოლო თუ სისხლძარღვების დაცობა სრულად მოხდა, ეს უკვე ინფარქტია. ათეროსკლეროზი ისეთი მძიმე დაავადებების მიზეზად ითვლება, როგორებიცაა: აორტის ანევრიზმა, იშემიური ინსულტი და ა.შ.



არის მეორე მხარეც. ქოლესტერინის გარეშე ადამიანს არსებობა არ შეუძლია. ის არ არის ჩვენს ორგანიზმში საკვებთან ერთად შემთხვევით მოხვედრილი უცხო ნივთიერება. ქოლესტერინი უჯრედების მემბრანის გარსის შემადგენლობაში შედის. ასევე ადამიანის სხეულშიც საკმაოდ ბევრია, დაახლოებით 140 გრამი.

ქოლესტერინი სტეროიდული ჰორმონების სინთეზისთვის აუცილებელი „ნედლეულია“. ქოლესტერინის 80% ღვიძლში მზადდება. ღვიძლში ქოლესტერინისგან წარმოიქმნება ცხიმების გადასამუშავებლად აუცილებელი ნაღვლის მჟავები. ამიტომ ქოლესტერინი მუდამ მზადდება ჩვენი უჯრედების მიერ. დღეში ორგანიზმს დაახლოებით 1,2 გრამი ესაჭიროება. ამის მესამედს საკვებთან ერთად იღებს, დანარჩენი სინთეზირდება.

ადამიანის სისხლში ქოლესტერინის რაოდენობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, როგორიცაა: სქესი, ასაკი, კვების ხასიათი, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მუშაობის ინტენსივობა, ფიზიკური აქტივობა.

## ათეროსკლეროზის პროფილაქტიკა

მოწევა და ალკოჰოლის უზომო მოხმარება სისხლში ქოლესტერინის დონეს ამაღლებს.

აუცილებელია ფიზიკური დატვირთვა, ამ დროს ყველაზე წვრილი სისხლძარღვებიც კი იღება და „ირეცხება“.

სასარგებლოა ნებისმიერი პროცედურები, რომლებიც სისხლის დენადობასა და ინტენსივობას ცვლის, მაგალითად, იოგის ბევრი პოზა. მშვენიერი პროფილაქტიკაა აბანო და ცივი წყლის გადავლება.

შეამცირეთ ცხოველური ცილების მოხმარება. დღეში არაუმეტეს 15-20 გრამისა ნაღების კარაქი მიირთვით, დანარჩენი მცენარეულით შეცვალეთ. შეზღუდეთ ქოლესტერინით მდიდარი პროდუქტები — ღვიძლი, თირკმლები, ტვინი, კვერცხის გული, ცხიმიანი ხორცი.

ჭამეთ არაუმეტეს 100 გრამისა რუხი და 150 გრამი ჭვავის პური. შაქარი არაუმეტეს 40 გრამისა.

რაციონში ჩართეთ სხვადასხვა ფაფა, ვეგეტარიანული წვნიანი, ბოსტნეულის სალათები, უცხიმო ხაჭო, მაწონი, კეფირი, მოხარშული უცხიმო ხორცი.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# გვპასუხობს ექიმი



**— როცა მივირთმევ თხილს, მზესუმზირას სახეზე და მკერდის მიდამოებში მაყრის. რისი ბრალია და ვის მივმართო?**

— კაკალი, თხილი, მზესუმზირა და მსგავსი პროდუქტები დიდი რაოდენობით ზეთებს შეიცავენ, რაც ხშირად ალერგიის მიზეზი ხდება. თქვენ უნდა მოერიდოთ აღნიშნულ საკვებს. უმჯობესია, მიმართოთ ალერგოლოგს.

**— ვარ სამი წლის გათხოვილი, არ დავრჩენილვარ ფეხმძიმედ. მითხრეს, მილები გაქვს გადაკეტილიო, გავიწმინდე, მაგრამ არ მიშველა. ახლა მეუბნებიან, ლაპარასკოპიით ოპერაცია გაიკეთეო. რას მირჩევთ?**

— ლაპარასკოპიით ოპერაცია ხშირად საუკეთესო გამოსავალია პრობლემის მოსაგვარებლად. აღნიშნული ოპერაციის დროს უმნიშვნელო პრობლემაც გამოჩნდება და მისი დროულად მოგვარებაც არის შესაძლებელი.

**— გავიკეთე სისხლის საერთო ანალიზი. ყველაფერი რიგზე მაქვს, მხოლოდ ეოზინოფილები მაქვს მომატებული საკმაო რაოდენობით. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

— ეოზინოფილების მატების მიზეზი ხშირად ალერგიაა, რომელიც სხვადასხვა ორგანიზმში სხვადასხვა სიმპტომებით ვლინდება. სისხლის საერთო ანალიზის მხოლოდ ერთი მაჩვენებლით დაზუსტებით არაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ალერგია მაინც უნდა გამორიცხოთ, რომელიც შეიძლება ჯერ შემაწუხებელი არ არის და ამიტომ ყურადღებას ნაკლებად ამახვილებთ.

**— აწეული მაქვს ანტისპერმული ანტისხეულები. შეიძლება არდაფეხმძიმების მიზეზი ეს იყოს?**

— ანტისპერმული ანტისხეულების მნიშვნელოვანი მატება დაფეხმძიმებას ხელს უშლის. არ აქვს მნიშვნელობა, რომელი მეუღლის სისხლში დაფიქსირდება მისი მომატება. საჭიროა მეუღლის სპერმის გამოკვლევაც.

**— ერთი წლის წინ მქონდა ტკივილი გულის არეში. ახლა არ მაწუხებს გული, მაგრამ მტკივა ფეხები, შეიძლება ფეხების ტკივილი გულიდან იყოს გამოწვეული. რამდენად საშიშია და ვის მივმართო?**

— აუცილებლად მიმართეთ კარდიოლოგს. ქვედა კიდურების ტკივილი შეიძლება უშუალოდ გულიდან არ მომდინარეობდეს, მაგრამ სისხლძარღვების სრული გამოკვლევა უნდა ჩატარდეს, რადგან შეიძლება ამ უკანასკნელიდან მომდინარეობდეს გულის ჩივილები. აუცილებლად გაიკეთეთ კოაგულოგრამა. ეს არის ანალიზი, რომელიც სრულ სურათს მოგცემთ სისხლის შედედების შესახებ.

**— მკერდში დამიდგინეს ფიბროადენომა, რომელიც ნელ-ნელა იზრდება. ვაპირებ ოპერაციის გაკეთებას. შეიძლება თუ არა დაფეხმძიმება და რა პერიოდის შემდეგ?**

— ფიბროადენომის წარმოშობის მიზეზი სხვადასხვაა. ხშირად მას ორგანიზმში ჰორმონალური დისბალანსი იწვევს. თუ დინამიკაში იზრდება, აუცილებელია ოპერაციული ჩარევა, რაც არ წარმოადგენს დიდ სირთულეს. სასურველია, თქვენი მდგომარეობიდან გამომდინარე, მკურნალ ექიმთან შეთანხმებით, დაგეგმოთ ორსულობა. რამდენიმე თვეში შეგიძლიათ დაფეხმძიმდეთ. თუ სხვა პრობლემა არ გექნებათ, ორსულობის ფიზიოლოგიურ წარმართვაში გადატანილი ოპერაცია ხელს არ შეგიშლით.

**— სახეზე მაქვს გამონაყარი. მაქვს ტკივილები. ვიმკურნალე ბევრჯერ, შედეგი არ მაქვს. ციკლის დადგომამდე ერთი კვირით ადრე მაწუხებს გაზები. რას მირჩევთ?**

— თუ იმ ტიპის გამონაყარი გაქვთ სახეზე, რომ ტკივილს იწვევს, დერმატოლოგს უნდა მიმართოთ და თუ საჭირო გახდება, დამატებითი გამოკვლევები უნდა ჩაიტაროთ თერაპევტის კონსულტაციით. გაზები რომ გაწუხებთ, ეს ნაწლავური ფლორის დაზიანებაზე მიუთითებს და არ არის გამორიცხული, რომ გამონაყარსაც ის იწვევდეს.

**— ვარ 3 თვის გათხოვილი. ტესტმა დადებითი პასუხი აჩვენა, მაგრამ თან მაქვს ციკლი, ოღონდ დიდი შუალედებით. მუცელი მეზრდება. ასეთი რამ ნორმალურია?**

— ფეხმძიმობის დროს ნებისმიერი სახის და რაოდენობის სისხლიანი გამონადენი ექიმის სასწრაფო ჩარევას მოითხოვს.

**— იმუნიტეტის ასამაღლებლად რა შეიძლება რომ მივიღო?**

— უმჯობესია, ექიმს მიმართოთ და მის მიერ დანიშნული წამლებით დაიწყოთ ორგანიზმის მოძლიერება. მცდარია მოსაზრება, რომ ვიტამინებით მდიდარ აბებს თუ მიიღებთ, იმუნიტეტს გაიძლიერებთ, თვითნებურად ნუ დატვირთავთ ორგანიზმს. სახლის პირობებში კი კარგია, თუ ყოველ დილით, უზმოზე ერთ კოვზ თაფლს მიიღებთ.

**— მენსტრუაცია ჯერ არ მომსვლია, მაგრამ მაქვს თეთრი, ბლანტი გამონადენი. რისი ნიშანია? ვარ 14 წლის.**

— თეთრი, ბლანტი გამონადენი ხშირად საფუარი სოკოს არსებობით არის გამოწვეული. ამიტომ, უმჯობესია, მიმართოთ ბავშვთა გინეკოლოგს, რომელიც ანალიზს ჩაგიტარებთ და მკურნალობას დაგინიშნავთ. არ გეგონოთ, რომ მენსტრუაციის წამოსვლის შემდეგ პრობლემა მოგეხსნებათ.

**— 2-3 თვის წინ დამეწყო მარცხენა ბეჭის ტკივილი, თითქოს ჭიანჭველები დაცოცავენ. ექიმების დანიშნულებას ვასრულებ, მაგრამ უშედეგოდ. იქნებ მირჩიოთ ვის მივმართო.**

— მიმართეთ ნევროპათოლოგს.

**— ვარ 23 წლის, პულსი სულ აჩქარებული მაქვს, ზოგჯერ 150-მდე ამდის, მაქვს აკვიატებული შიშები. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

— თქვენი სიმპტომები შეიძლება ენდოკრინოლოგიური, კერძოდ, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალური ცვლილებებით იყოს გამოწვეული. გირჩევთ, მიმართოთ ენდოკრინოლოგს, რომლის კონსულტაციის შემდეგ შეიძლება ნევროპათოლოგის კონსულტაციაც დაგჭირდეთ, რომ გამოირიცხოს ვეგეტონევროზიც.

**— ციკლის დროს ქმართან ვცხოვრობ. ეს დაფეხმძიმებას ხელს შეუშლის?**

— მენსტრუაციული ციკლის დროს ქალი პრაქტიკულად არ ფეხმძიმდება.

## რატომ გვეწვის ენა?

გლოსალგია ენის დაავადებაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მტკივნეული შეგრძნებები. ეს არის დროდადრო ენის წვა, ჩხვლეტა რაიმე გარეგანი ცვლილებების გამოვლენის გარეშე. გლოსალგია ჩვეულებრივ დაკავშირებულია რამდენიმე ორგანოს ან სისტემის მუშაობაში დარღვევებთან.



პირველ რიგში, ეს არის ნევროლოგიური მოშლილობა და ენდოკრინულ სისტემაში უთანხმოება.

გლოსალგია ყველაზე ხშირად აღმოცენდება ხანდაზმულ ქალებში ჰორმონული გარდაქმნის პერიოდში.

ენის ტკივილი და წვა ასევე შეიძლება ნიშანი იყოს საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემების: გასტრიტი, კოლიტი, ჰეპატიტი ან ქოლეცისტიტი.

დაბოლოს, ზოგჯერ გლოსალგია მოწმობს$B_{12}$-ის დეფიციტით გამოწვეულ ანემიას.

პირველ რიგში, საჭიროა გლოსალგიის მიზეზის დადგენა და ძირითადი დაავადების მკურნალობა. სტომატოლოგი ნიშნავს წამლებს, რომლებიც უსიამოვნო სიმპტომებს შეამცირებს. ეს არის ადგილობრივი ტკივილგამაყუჩებლები, პირის ღრუში სისხლის მიმოქცევის გამაუმჯობესებელი, ვიტამინური კომპლექსი. თითოეულ შემთხვევაში მკურნალობა ინდივიდუალურია. ხალხური მედიცინიდან გამოიყენება შავბალახასა და ვალერიანის ჩაი, ასევე გვირილის, პიტნის, კრაზანის, მუხის ქერქის გამოსავლები.


თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887
მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.



კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.





Cyan Magenta Yellow Black

1. გომბეშოს სახეობა; 2. ქუთაისი ძველად; 3. აზრი, ჩანაფიქრი; 4. აღმოსავლური შაში; 5. ყველაფრის წამალი; 6. იფანი; 7. იტალიური ღვეზელი; 8. სრული კრახი; 9. გულშემატკივარი; 10. წერილი ძველად; 11. მერქნიანი ხე თეთრ-ყვითელი ყვავილებით; 12. ... კვალიაშვილი; 13. უსხეულო არსება, ღვთის მოციქული; 14. მთათა სისტემა ლეჩხუმში; 15. პარკოსანი მცენარე; 16. ნეპტუნის თანამგზავრი; 17. ასო ჭ-ს სახელი; 18. სახოტბო ლექსი; 19. რა მიზეზით, რის გამო; 20. ერთი მხრიდან შეზნექილი და მეორე მხრიდან გამოზნექილი მინა; 21. ... კრუზი; 22. ვაზის ჯიში; 23. აშშ-ის უმაღლესი სატელევიზიო პრემია; 24. რომის პაპის გვირგვინი; 25. ქალისადმი მიძღვნილი პატარა ლირიკული ლექსი; 26. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 27. მსახიობი ... ჯიროტი; 28. ჭამის სურვილი; 29. რუმინულ-მოლდავური ხალხური სიმღერა; 30. მეექვსე ნოტი; 31. ძველებური ოთხადგილიანი ღია ეტლი; 32. პერანგის მიბმული ან მიკერებული მაჯა; 33. ეპიკური პოეზიისა და ისტორის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 34. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 35. ქალაქი უკრაინაში; 36. ვაზის ჯიში; 37. მკითხავი; 38. სანელებელი; 39. სხვა ქვეყანაში საიდუმლო დავალებით გაგზავნილი პირი; 40. ბერძნული ანბანის ასო; 41. მდინარის მტაცებელი თევზი; 42. ფრანგი ფერმწერი; 43. მუშაობისა და ენერგიის საზომი ერთეული; 44. ტბა აფხაზეთში; 45. თამბაქოს სახეობა მომწვანო ყვავილებით; 46. ნავსადგურის მტვირთველი მუშა; 47. მდინარე საფრანგეთში; 48. ტროპიკული ძვირფასმერქნიანი მცენარე; 49. სანოტო ხაზების შემაერთებელი კავი; 50. ალექსანდრე მაკედონელის ცხენი; 51. პატარა, ჭრელი მგალობელი ჩიტი; 52. ოტელოს პერსონაჟი; 53. ტყის ფრინველი; 54. ფრანგი ფერმწერი და გრაფიკოსი; 55. ფიროსმანი; 56. ხარი ან კამეჩი შუბლზე თეთრი ნიშნით; 57. მდინარე ოზურგეთის რაიონში; 58. ქალაქის ან სოფლის ნაწილი; 59. დედამიწის ბირთვის მომდევნო გარსი; 60. ვარდის „მცველი“; 61. მუხის ნაყოფი; 62. სითხის ტევადობის საზომი ინგლისსა და აშშ-ში; 63. ინგლისური მაგარი ლუდი; 64. სასტუმროს შიკრიკი ბიჭი.




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. რომანი; 2. მარინადი; 3. კამეა; 4. ია; 5. ამია; 6. კარელ; 7. პაი; 8. ნაირა; 9. არიანე; 10. ეპიკურე; 11. იენა; 12. პოლემიკა; 13. ემე; 14. სალაკა; 15. კაბრიოლეტი; 16. პეპია; 17. ედი; 18. ადა; 19. ერგი; 20. გლისერი; 21. „ილიადა“; 22. პარსეკი; 23. სპა; 24. ამბივალენტური; 25. ინოლა; 26. „ყორნალი“; 27. სიო; 28. კაოლინი; 29. ბრასი; 30. პიერ; 31. ოყა; 32. კოლი; 33. ორე; 34. რა; 35. ნალია; 36. ცენტი; 37. იოფე; 38. სეტერი; 39. ოკა; 40. ტომი; 41. ბი; 42. კია; 43. კაპოტი; 44. აპრილი; 45. ოპერა; 46. ოფელია; 47. ლესია; 48. ეკლესია; 49. ერე; 50. კაპრონი; 51. ერეკლე; 52. კორომი; 53. მესა; 54. არა; 55. ადეპტი; 56. „იმედი“; 57. აკა; 58. კრედო; 59. კაკაო; 60. აყირო; 61. მალაყი; 62. ლოტო; 63. არშია; 64. სტეფანია; 65. მედიანა; 66. მოტორი. **სურათებზე:** იან სომერჰოლდერი; ლერინ ფრანკო; შტეფანი რაისი; ედი რედმეინი.

**კოდი: პიოპი.**



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი

1. სოფელი აბაშის რაიონში
2. იაპონური თეატრი
3. ჟარგონული მიმართვა
4. ბილიარდის ჯოხი
5. ტბა სამხრეთ ამერიკაში
6. თოფის ნაწილი
7. დიდი ტროპიკული ფრინველი
8. მობილურის სახეობა;
9. ილიას ლექსი
10. მსახიობი მინა ...
11. თევზსაჭერი გემი
12. ... პუგაჩოვა
13. საგამოფენო დაფა
14. ორდენოსანი პირი
15. სიგრძის ერთეული
16. კენკრა
18. ფირნიში
19. სარწყავი არხი
20. ხახა
21. დგამის ნაწილი
22. უქოჩრო თუთიყუში
23. ჩვევა
24. ყვავილი
25. ბატონო ინგლისურად

## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. იო; 2. ალ; 3. კიი; 4. ილი; 5. ბელი; 6. ბაქია; 7. კორდოვა; 8. ავარია; 9. ამაო; 10. ქურციკი; 11. ნირვანა; 12. ურტიკარია; 13. იხვი; 14. ალოე; 15. ბეკონი; 16. შინ; 17. ორქიდეა; 18. თეატრალი; 19. ელი; 20. აცანა; 21. დუ; 22. რუ; 23. პარადი.**სურათებზე:** ლეკვი; ძაღლი; კვიცი; ცხენი.



Cyan Magenta Yellow Black

# საჩუქრის სწორად მიძღვნას ვსწავლობთ



საჩუქრის შერჩევა მეტად ფაქიზი საქმეა. მას შეუძლია ადამიანი გაახაროს ან განწყობა გაუფუჭოს. როგორ და რა ვაჩუქოთ, ყველა კმაყოფილი რომ დარჩეს? გთავაზობთ სასარგებლო რჩევებს.

### იდეების ძიებაში

უკანასკნელ დროს უაღრესად პოპულარულია საჩუქრების სია, რომელსაც საჩუქრის მიღების მსურველი ინტერნეტში განათავსებს ან ბინაში კედელზე თვალსაჩინო ადგილზე გააკრავს. ახლობელი ადამიანის გახარების ყველაზე მარტივი გზა ერთ-ერთი პუნქტის შესრულებაა. მართალია, საჩუქარი სასურველი იქნება, მაგრამ სიურპრიზი არ გამოვა. თუ ერთიც გსურთ და მეორეც?

1. უმჯობესია სიურპრიზი გააკეთოთ არა რაიმე წლისთავის, მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად, არამედ ისე, უბრალოდ კეთილი გულით, თუმცა ეს არ გათავისუფლებთ პასუხისმგებლობისგან, რომ თქვენს ოჯახში დაწესებული მნიშვნელოვანი მოვლენების აღნიშვნა არ დაივიწყოთ.

2. რაც უფრო მეტი გეცოდინებათ იმ ადამიანის ჩვევებზე, ხასიათსა და გატაცებებზე, რომლის სიამოვნებაც გსურთ, მეტი შანსია, თქვენი საჩუქარი მოეწონოს.

3. მეტად ფრთხილი იყავით საჩუქრის შერჩევისას. მოკავშირედ გაიხადეთ იუბილარის ახლობლები, მეგობრები. ისინი იდეალური საჩუქრის შერჩევაში დაგეხმარებიან.

4. საჩუქრის ღირებულება მისი მიღებით გამოწვეული სიხარულის ტოლფასი არ არის. საყვარელი სამშვენისი სიტყვებით ორიგინალურად „შეკმაზული“ უფრო მეტად ახარებს ადამიანს, ვიდრე ცალყბა ღიმილით მირთმეული ბრილიანტები.

### როგორ მივართვათ?

მხოლოდ ძვირფასეულობას და წავის ქურქს არ გააფუჭებს უბრალო საფუთავი. სხვა შემთხვევებში საჩუქრის გარეგნობა 60%-ით განსაზღვრავს მის წარმატებას.

**ყველაზე სწორი (მაგრამ არაორიგინალური) საშუალება:** მიართვით საჩუქარი, თვალებში უცქირეთ ადამიანს და გულწრფელად რამდენიმე სასიამოვნო სიტყვა უთხარით.

**ეგზოტიკური:** შეადგინეთ ქალაქის, ქუჩის ან ბინის მარშრუტი-რუკა მინიშნებებით, როგორ მოძებნოს საჩუქარი.

**ტრადიციული:** ლამაზად შეფუთული, ლენტით გაფორმებული და სურვილების მინაწერი.

### რისი ჩუქება არ ღირს

საჩუქრის შერჩევისას გაითვალისწინეთ ზოგიერთი ცრურწმენა.

**შავ სიაში შედის:** დანა, ჩანგალი, სხვა ბასრი საგნები — ჩხუბის ნიშანია;

საათი — სიცოცხლეს ამოკლებს; თავის მორთულობა ან ცხვირსახოცი — ჩხუბის, ცრემლისა და სულიერი განცდების მაუწყებელია; საფულე — სიღარიბე, უფულობა მოაქვს.

მაგრამ „ცუდი“ საჩუქრების უარყოფითი მოქმედების განეიტრალება ადვილია. საფულეში ახალი კუპიური ან მონეტა მოათავსეთ და ამის შემდეგ აჩუქეთ.

როგორ მოიქცეთ, თუ ადამიანმა რომელიმე „ცუდი“ საჩუქარი შეუკვეთა? ამ პიროვნებასთან თბილი ურთიერთობა რომ შეინარჩუნოთ, უბრალოდ საჩუქარი სიმბოლურ ფასად „მიჰყიდეთ“.

## გალამაზება სახელდახელოდ

ქალები უძველესი დროიდან იყენებენ ნატურალურ კოსმეტიკას, რომელიც კონსერვანტებსა და სხვა ქიმიურ დანამატებს არ შეიცავს. შეიხედეთ თქვენს მაცივარში. ზოგიერთი ჩვეულებრივი პროდუქტი წლების განმავლობაში სილამაზის შენარჩუნებას ეხმარება.



1. კვერცხი (ქათმის, მწყრის) კანსა და თმას კარგად კვებავს, გარემოს აგრესიული ზემოქმედებისგან იცავს. გარდა ამისა, ნაოჭებსა და თმის ცვენას ებრძვის.

2. თაფლი მეტად ძვირფასი პროდუქტია. მინერალური მარილების შემადგენლობით შეიძლება შევადაროთ ჩვენს სისხლს. შეიცავს ბიოგენურ სტიმულატორებს, კანისკენ სისხლის დინებას ზრდის და მის კვებას აუმჯობესებს.

3. არაჟანი, ხაჭო და კეფირი. შეიცავენ ბალანსირებულ აქტიურ ნივთიერებებს. მშრალ და ნორმალურ კანს კვებავენ, ატენიანებენ, ასუფთავებენ, აახალგაზრდავებენ და ათეთრებენ. კეფირი ცხიმიან კანს კარგად წმენდს, ფორებს ავიწროებს.

4. მცენარეულ ზეთში მაქსიმალურად კონცენტრირებულია მკვებავი ნივთიერებები, რომლებიც ყველა ტიპის კანზე სასიკეთოდ მოქმედებენ. ნებისმიერ ასაკში მოვლილი გარეგნობის შენარჩუნებას ეხმარება.

5. ნაღების კარაქი უნიკალური პროდუქტია. მასში ბევრი A, E, D და K ვიტამინია. ისინი პასუხისმგებლები არიან კანის მდგომარეობის, ლორწოვანი გარსების, თმისა და ფრჩხილების ჯანმრთელობასა და სილამაზეზე.

## კერატინი თმის ჯანმრთელობისთვის

კერატინი — ეს არის ნატურალური ცილა, რომელიც თმის მნიშვნელოვან კომპონენტად ითვლება. ორგანიზმში მას გამოიმუშავებენ განსაკუთრებული უჯრედები — კერატინოციდები. არსებობს სინთეტიკური კერატინიც. ხარისხიანი შამპუნის შემადგენლობაში ის მოქმედებს, როგორც „საკერებელი“ თმის დაზიანებულ ნაწილზე. თმა არ სქელდება, არამედ ისეთი ხდება, როგორიც ბუნებრივად უნდა იყოს. კერატინი ქერცლს აწებებს, დაცვას აუმჯობესებს, თმას ელასტიკურობას, ბრწყინვას და ჯანსაღ შესახედაობას აძლევს.

კერატინის შემცველი შამპუნის გამოყენება სასარგებლოა შეღებვამდე (თმას ამაგრებს), შეღებვის შემდეგ (ფერს განამტკიცებს) და კულულების გასწორების მერე (ეფექტს აძლიერებს). კერატინი ასევე თმის კვებასა და ზრდას აუმჯობესებს, ვარცხნას აადვილებს. კერატინი არამხოლოდ შამპუნში გამოიყენება, ასევე წარბების, წამწამებისა და ფრჩხილების მოსავლელი კოსმეტიკური საშუალებების შემადგენელი კომპონენტია.

## თუ მზე „იკბინება“

ქალს ისე არაფერი ალამაზებს, როგორც თანაბარი, ლამაზი ნამზეური და ძალიან დასანანია, რომ კანზე მის მაგივრად მზის დამწვრობა და გაღიზიანება ჩნდება, ხოლო რუჯის მაგივრად — ლაქები. მზის სხივებმა ზიანი რომ არ მოგაყენოთ, მარტივი ხალხური საშუალებები გამოიყენეთ.

თუ გრძნობთ, რომ კანი „იწვება“, ალოეს ახალგამოწურული წვენი წაისვით, რომელიც გაღიზიანებასა და ქავილს სწრაფად ხსნის.

დამწვარ კანზე დასრესილი მრავალძარღვას კომპრესი ნახევარი საათით დაიდეთ. ბებერას გაჩენას და აქერცვლას ხელს უშლის. გარდა ამისა, კანის აღდგენას ეხმარება.

კანს კარგად ამშვიდებს, ნამზეურს უნარჩუნებს და ანთებას აქრობს კალენდულას, ორკბილას, კრაზანის მაგარი ნაყენი, ასევე ქაცვის ზეთი. მათ ბამბის ტამპონით ისვამენ.

მზის დამწვრობის დროს მარტივი და ეფექტური საშუალებაა გახეხილი კარტოფილის ფაფა. ნიღბის სახით დამწვარ ადგილზე წაისვით და 30-40 წუთი დაიტოვეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

## ქართული ანეკდოტები



**— იმფერი ზარმაცი მამალი მყავს, იმფერი ზარმაცი, დილას დაყივლება ეზარება!**

**— არ გადამრიო, კაცო!**

**— გეუბნები, ასეა. დილაობით სილოვანას მამალი ყივილს რომ დეიწყებს, ეგი თავს უქნევს.**



**დეპუტატს თავისი მასწავლებელი ხვდება:**

**— ბიჭო, სკოლაში სულ არ ვიცი, არ ვიცის გაიძახოდი და პარლამენტში როგორ მუშაობ?**

**— ვიცი, რო?**

— ექვსი წლის წინ წევიდა, გოგო, ჩემი ქმარი გერმანიაში სამუშაოთ. მეგონა, ცოცხალი აღარაა-თქვა და გუშინ წერილი არ მივიღე?

— რაო, რას იწერება?

— მოკიდე ჩვენ ორ ბალანას ხელი და ჩამოდი, გავმდიდრდი აქანაო.

— ბედნიერო... მერე რატომ არ მიდიხარ?

— იგი მეორე ორი ბალანა ვის დოვუტიო აქანა?!

❖ ❖ ❖

დედა შვილს ლანძღავს:

— მამაშენივით უტვინო და მექალთანე ხარ!

მეორე ოთახიდან ქმარი აყვირდა:

— მე ვარ, ქალო, უტვინო და მექალთანე?

— შენ არა, კაცო, ნეტა შენ გგავდეს!

❖ ❖ ❖

— ექიმო, მარჯვენა ფეხი მეფხანება და მეფხანება.

— სად მუშაობ?

— არსად, ექიმო.

— აბა, მეტი რა საქმე გაქვს, შე კაცო, დაჯექი და იფხანე!

❖ ❖ ❖

— რა კარგი კაცი იყო თქვენი მეუღლე. ჯერ არ უნდა მომკვდარიყო, საწყალი!

— ჩემი ახალი ქმარიც მაგას ამბობს... მეც დამლუპაო.

❖ ❖ ❖

— მამა, ვინ არიან ლოთები?

— ეგერ რომ ოთხი ნაძვი დგას, ლოთებს რვა ჰგონიათ. მიხვდი?

— როგორ არა, მაგრამ იქ ოთხი კი არა, ორი ხე დგას.

❖ ❖ ❖

— გუშინ რესტორანში მაგრად შევუბერეთ.

— ბევრი იყავით?

— არა, მე და არაყი.

❖ ❖ ❖

— რას გააკეთებს ქალი, თუ შეიტყო, რომ მისი ქმარი ოპერაშია, თან საყვარელთან ერთად?

— შინ გასამართი კონცერტისთვის მოემზადება.

❖ ❖ ❖

— აღარ შემიძლია ჩემი ცოლის ატანა.

— როგორ, შე კაცო, მხოლოდ სამი დღის შერთული გყავს!

— ეჰ, შენ რა იცი. საგზაო პატრულის ინსპექტორია.

— მერე?

— უკვე სამჯერ დამაჯარიმა: გადაჭარბებული სიჩქარის, გასწრებისა და აკრძალულ ადგილზე გაჩერებისათვის.



**მეზობლის ავზში ოსი ცურავს. რომ ამოვიდა, მეზობელს ეკითხება:**

**— ავზის ფსკერზე კაფელი ვინ დააგო?**

**— მუშებმა.**

**— მალადეც, ძმაო, მაგათ მაგარი დიხანია ქონიათ.**

❖ ❖ ❖

— მერე რა, რომ შენი ახალმოყვანილი ცოლი კოჭლია, სამაგიეროდ დიპლომი აქვს, — ეუბნება მამა შვილს, — მერე რა, რომ ბრუციანია, უხდება კიდეც...

— ცოტა ხმამაღლა შეაქე, მამი, ყურში არ ესმის.

❖ ❖ ❖

ქუთაისელმა ომის ვეტერანმა ბუფეტში ლუდი მოითხოვა.

— რაია, ბუჯო, ე ამჟავებული პივა, ეგი მეკუთვნის ომის ვეტერან კაცს?!

— შემეგეშვათ, ბიძია, გერმანელები და დაგალევინებდი ბავარიულ პივას!



**კახელი ზაქრო კედლის საათს ყიდის. მივიდა კლიენტი და ფასი იკითხა.**

**— ასი ლარი.**

**— რა ამბავია, კაცო, ეგერ გუგულიანი საათი ათი ლარი ღირს!**

**— ეგა სხვანაირია.**

**— მაინც როგორი?**

**— გუგული მაგივრად მე გამოვვარდები ხოლმე ყვირილითა: „ადე, შე ვირო, დაიხოცა პირუტყვი!“.**



**— მიხოვ, გაიღვიძე! ჩვენი 25 ქათამი წაიყვანა მელამ!**

**— ვაა, 25 როგო წაიყვანა, ქალო, გრუზავიკით იყო?!**

❖ ❖ ❖

— საზიზღარ სადილებს ამზადებს ჩემი ცოლი, ყოველი სადილობის შემდეგ ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ გადავრჩი.

— ჩემსაში გაგიცვლი, ჩემი ცოლი კარგ სადილებს ამზადებს, მაგრამ მის დანახვაზე შეიძლება ვერ გადარჩე.

❖ ❖ ❖

— რატომ მაწვები? — ეკითხება გატენილ მეტროს ვაგონში გოგო სოლიდურ კაცს, — რაიმე ხომ არ გინდა?

— არა, რა თქმა უნდა, ქალბატონო.

— არა და ეგერ რო ტანდაბალი ბიჭი თხლაშავს თვალებს, იმას ნაღდად უნდა და გამოატარე, კლიენტს მაკარგვინებ ამხელა კაცი!

❖ ❖ ❖

— სად ეგდე წუხელ? — უყვირის ცოლი ქმარს, — ისევ იმ გათახსირებული ჟანეტას სახლში ეგდე, არა?

— არა, შენს თავს გეფიცები, ჟანეტას სახლში არ ვყოფილვარ! დედ-მამა ჩამოუვიდა რაიონიდან და ღამე სასტუმროში გვეძინა.

✓ შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატები

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

კლოდ იზნერი

# მკვლელობა ეიფელის კოშკზე



დასაწყისი №24-27

ის იყო, ტაშამ ეზოში შეაბიჯა, რომ გვერდით ველოსიპედმა ჩაუქროლა, შემოუბრუნდა და მის წინ გაჩერდა. სახლის დიასახლისი, აშკარად კმაყოფილი, სულის მოთქმის საშუალება რომ მიეცა, ველოსიპედიდან ძლივს გადმოვიდა, მოკლე, განიერი შარვალი შეისწორა და მდგმურს გაუღიმა.

— სალამი, მადმუაზელ ხერსონ! ხომ არ გეჩვენებათ, რომ ველოსიპედის ტარებაში წარმატებები მაქვს?

— მერე როგორი, მადმუაზელ ბეკერ! თუ ასე გააგრძელებთ, შეიძლება მონსოს პარკსაც კი ესტუმროთ!

— იმდენ ხალხში მოკლე შარვლით ველოსიპედზე? რას ამბობთ, მადმუაზელ ხერსონ! იქნებ სიცილიც დამაყარონ, რასაც ვერ ავიტან. ისე, თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ქალების მომავალი მოკლე შარვლებია. მართლა, მომილოცავს, თქვენი გაზეთი წავიკითხე და ნახატები ძალიან მომეწონა. როგორც ჩანს, მიცვალებულების თემა საკმაოდ გიზიდავთ!

— მაპატიეთ... ჩემთან უნდა ავიდე. ბინის ქირას ხვალ დილით გადაგიხდით... ანუ დროულად.

— მაგაში ეჭვიც არ მეპარება, ზოგზოგიერთებს კი არ ჰგავხართ, იცხოვრებენ, იგრიალებენ, მერე კი ისე აითესებიან, გროშსაც არ გადაგიხდიან! აი, თუნდაც ის სერბი ავიღოთ...

ტაშა მას აღარ უსმენდა, მინის კარი შეაღო, მეექვსე სართულზე ავიდა და თავის ოთახს მიადგა. ჩანთიდან გასაღები ამოიღო და უკვე კარის სახელურს აბრუნებდა, როცა მეზობელი კარი გაიღო და წვერმოშვებული გიგანტი გამოჩნდა, პერანგისამარა, გრძელ შარვალში და დოქით ხელში.

— გამარჯობათ, მუსიე დუკოვიჩ, — მიესალმა ხერსონი.

— ო, როგორ გამახარეთ, მადმუაზელ ტაშა! დაინახეთ, ჩვენი დიასახლისი ბორბლებს რა ყოჩაღად ატრიალებდა? მისთვის მხოლოდ ერთი ღმერთი არსებობს, სახელად „დროზე გადაიხადე“, მე კი გასაჭირში ვარ.

— ნუ გეშინიათ, მალე დაიღლება და სახლში შეიკეტება.

— სამი თვე ხდება, რაც ეს კომედია გრძელდება. თუთუნის საყიდლადაც კი ვერ გავსულვარ!

— ისე, თუ ცოტა ხნით თავს მის ადგილზე წარმოიდგენთ, შეიძლება გაუგოთ კიდეც. ორი მდგმური ისე აეთესა, კაპიკი არ გადაუხდიათ. ისიც ადგა და გდარაჯობთ, იგივე რომ არ დაემართოს.

— თუ შეიძლება, დანილო დამიძახეთ. რაც შეეხება სხვის ადგილზე თავის წარმოდგენას, ამას თავს ვარიდებ, რადგან შეიძლება საკუთარი დავკარგო.

— დანილო, თქვენ ისევ იმ, რა ჰქვია, უძველესი დასახლების იმიტაციაში სტატისტად მუშაობთ?

— შემპირდით, მოვალ და გნახავო, მაგრამ არ შეასრულეთ, რაც, თქვენი მხრივ, თავაზიანობად არ ჩაითვლება. მისმინეთ და დაიხსომეთ: იქ ისტორიამდელ ადამიანს ვასახიერებ, ნადირის ტყავში გახვეულს, აი, ისეთს, გამოქვაბულებში რომ ცხოვრობდნენ და ლაპარაკიც კი არ იცოდნენ. და ასეთი ვარ მე. მე, რომელიც მოდესტ მუსორგსკის ოპერაში სიმღერაზე ვოცნებობდი!

— იმუშავეთ, ხალხი გააოცეთ, წარმატება კი მოვა.

— კეტით ხელში? კარგით, რა! შუა საუკუნეების საცხოვრებელი რომ იყოს ან აღორძინების ხანის ციხე-დარბაზი, ჩემს ხმას როგორღაც გამოვავლენდი, ამ გამოქვაბულში კი იმ რომანის წაკითხვის დროც არ მაქვს, თქვენ რომ მათხოვეთ. ჩემი ვოკალის პატრონი პირველყოფილ ველურს უნდა ვასახიერებდე? მოკლედ, ტანით გოლიათი, სულით კი ბავშვი. აი, ვინ ვარ მე!

დანილო უცებ გაჩუმდა, ქალიშვილის ჩანთას დააცქერდა, სადაც სხვადასხვა ბოსტნეული ჩანდა და საწყალობლად იკითხა:

— ჭარხალი გიყვართ?

— არც ისე, სამაგიეროდ, იაფია. პიურეს გავაკეთებ, სტაფილოს, მარილს, არაჟანს შევურევ და მორჩა.

— გემრიელია?

— თქვენც შემოგიტანთ და თავად გასინჯეთ, — სწრაფად მიუგო ტაშამ, კარი შეაღო და შევიდა.

— გმადლობთ, მადმუაზელ ტაშა!

— დაადევნა დანილომ, — მართლა ძალიან კეთილი ხართ! ო, ღმერთო! როგორ დავეცი!.. არადა, ჩემგან დიდი მომღერალი უნდა დამდგარიყო!

ჟოზეფს წიგნი მუხლებზე დაედო და ისე კითხულობდა, თან დროდადრო ვაშლსაც იკბიჩებოდა. ზანზალაკის ხმაზე თავი ასწია:

— მუსიე ვიქტორ! ბატონი მორი საუზმისთვის გელოდათ. მადმუაზელ ჟერმენმა ესკალოპი შეწვა მილანურად, მაგრამ თქვენ არ მოხვედით და წავიდა.

— გუშინ გავაფრთხილე, სამ საათამდე რომ არ მოვიდოდი, — შენიშნა ვიქტორმა, — თქვა, სად წავიდა?

— კოლეგასთან შესახვედრად.

— თქვენ თუ გაყიდეთ რამე?

— ბევრი არაფერი.

— რას კითხულობთ?

— „ბატონ ლეკოკს“, თქვენ რომ მირჩიეთ. ძალიან გამიტაცა.

ვიქტორმა გაიღიმა:

— ჟოზეფ, რომანებით ვერ გაძღები. ჭამაა საჭირო და არა მხოლოდ ვაშლის. მილანური ესკალოპი თუ გასინჯეთ?

— მაპატიეთ, მაგრამ... კუჭის ამოყორვას ტვინის კვება მირჩევნია. დედა სულ ამბობდა, ავადმყოფობების სამი მეოთხედი ღორმუცელობის შედეგიაო.

— ჰო, მაგრამ... ავადმყოფობას შიმშილიც იწვევს.

— ყველაფერი ზომიერად, მუსიე ვიქტორ, რაც კითხვას არ ეხება. ლეკოკის დასკვნები მართლაც ჭკვიანურია, მაგრამ... საინტერესოა, რას იტყოდა, ჩემი უბის წიგნაკი რომ წაეკითხა! — ჟოზეფმა ჯიბიდან ტყავგადაკრული ბლოკნოტი ამოიღო და დახლზე დააგდო.

— ასეთს რას იწერთ? კლიენტების გვარებს თუ თქვენს სასიყვარულო გამარჯვებებს?

— უფრო უკეთესს! ყველაზე მეტად უჩვეულო ფაქტები და ამოუცნობი ისტორიები მაინტერესებს. აი, ნახეთ!

ვიქტორმა ბლოკნოტი გაშალა:

„ბაყაყების წვიმა მონტობანეში... დანაშაული ვაგონში... თავმოჭრილი ქალი ბონდში... თევზები მდინარიდან ნაპირზე ხტებიან...“

ვიქტორის ყურადღება 13 მაისის ჩანაწერმა მიიპყრო:

„გუშინ დილით, ბატინიოლის ვაგზალზე, ბუფალო ბილის და მისი გუნდის დასახვედრად შეკრებილ ხალხში პარშემინერის ქუჩაზე მცხოვრები ჟან მერენგაც ერია, რომელიც ფუტკრის კბენამ იმსხვერპლა ანუ იქვე გარდაიცვალა“.

— ეს გასული თვის „ეკლერიდან“ ამოვჭერი, — განმარტა ჟოზეფმა, — საინტერესოა, არა? უჰ, გაბორიოსავით წერა რომ შემეძლოს, რა რომანს გამოვაცხობდი!

ვიქტორს ბუფალო ბილმა ტაშასთან შეხვედრა გაახსენა და გაეღიმა.

— დამცინით, ხომ? განათლება არ მაქვს, მაგრამ წიგნებიდან უამრავ ამბავს ვიგებ.

— ჟოზეფ, თქვენ არაფერ შუაში ხართ. უბრალოდ, რაღაცა გამახსენდა და...

— მუსიე ლეგრი! ბოლოს და ბოლოს გიპოვეთ! გუშინ ორჯერ მოვედი, მაგრამ ვერ გნახეთ! — ეს უკვე გრაფინია დე სალინიაკი იყო, ქარივით რომ შემოიჭრა მაღაზიაში და ვიქტორს ეცა.

ეს უკანასკნელი ადგილზე შეხტა, შეტრიალდა და არც არაფერი უთქვამს, ისე გაუჩინარდა მაღაზიის სიღრმეში.

— რა ბუზმა უკბინა?! — შესძახა გაოცებულმა გრაფინიამ.

— ამჟამად ბუზებზე კი არა, ფუტკრებზეა ეჭვი, — ღიმილით შენიშნა ჟოჟომ და ვაშლი ისევ ჩაკბიჩა.

— ყმაწვილო, შეგიძლიათ მითხრათ, მუსიე ლეგრი სად აორთქლდა?

— ალბათ ქვევით ჩავიდა, თავის სახელოსნოში, საწყობის გვერდით რომაა. იქ ფოტოებს ამჟღავნებს. ბუხარზე, მოლიერის ბიუსტის უკან, პატარა ნათურას ხომ ხედავთ? თუ ის ანთია, ე.ი.



Cyan Magenta Yellow Black

მუსიე ლეგრი თავის სახელოსნოში ჩაიკეტა და ითხოვს, არავინ შეაწუხოს...

— მართლა? ახლა ანთია, ანუ არ უნდა შევაწუხო და არ უნდა გავიგო, მომიძებნა თუ არა ბოლოს და ბოლოს „არწივი და მტრედი“?

— ეს წიგნი ფრინველებზეა? — მიამიტურად იკითხა ჟოზეფმა.

— რა გაუგებარი ხართ! ფრინველებზე კი არა, სასიყვარულო რომანია ზინაიდა ფლერიოსი!

კენძი მეთოდურად ავსებდა ფორმულარს, გრაფინია დე სალინიაკი კი თავს დასჩხაოდა:

— აკი გითხარით, მუსიე ლეგრი ორივე წიგნის პოვნას შემპირდა! ესენია „არწივი და მტრედი“ და „ცუდი დღეები“! ვალენტინა ჩემთან ერთად იყო და შეუძლია დამემოწმოს!



„ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“, — გაიფიქრა ჟოჟომ, ძლივს რომ იკავებდა სიცილს. ვალენტინამ, გრაფინიას დისწულმა, გრძელცხვირა გოგომ, ჩურჩულით მიმართა მას:

— კმარა, დეიდა. სხვა დროს მოვიდეთ.

— რას ჰქვია, სხვა დროს? საქმე გამომლევია თუ რა? მუსიე, მიპასუხებთ რამეს?

— რომ აქ სადგურის ბიბლიოთეკა კი არა, წიგნების მაღაზიაა, — ცივად ესროლა კენძიმ.

გრაფინია აჭარხალდა და საპასუხოდ მოემზადა, მაგრამ ამ დროს უკნიდან ვიქტორის ხმა მოესმა:

— ჩემო ძვირფასო კენძი, ამ რომანების თქვენ ხომ არაფერი გაგეგებათ! ისინი გვაცოცხლებენ, საშინელი გვალვის გაძლებაში გვეხმარებიან, მოპასანისა და ზოლას ვულგარიზმისგან გვიცავენ, ბოლოს და ბოლოს!

ვალენტინა აღფრთოვანებით შეაცქერდა ვიქტორს, გრაფინიამ კი „პასპარტუს“ ბოლო ნომერი მაგიდაზე დააგდო და შესძახა:

— ვულგარიზმი რბილი ნათქვამია! ეს გარყვნილებაა და გათახსირება, რაც ადამიანებსაც ანგრევს და მთელ ქვეყანასაც!

ვიქტორმა ჩაახველა:

— ქალბატონო გრაფინია, ვწუხვარ, მაგ წიგნების მოძებნა ჯერ რომ ვერ მოვახერხე, მაგრამ შემიძლია რაულ დე ნავერი შემოგთავაზოთ. ასევე ადვილად იკითხება და მადმუაზელს აუცილებლად მოეწონება.

ვალენტინამ მადლიერი მზერა ესროლა ვიქტორს, მერე კი ისევ თავის ქოლგას ჩააფრინდა, თითქოს ქვეყნად სხვა არაფერი აინტერესებსო.

— ჟოზეფ, — მიმართა ვიქტორმა ხელქვეითს, — საწყობში ჩადით და რაულ დე ნავერის სრულტომეული ამოიტანეთ. იმ თაროზეა, „ტუფტა“ რაღაცეები რომ აწყვია.

ჟოზეფი წავიდა, გრაფინიამ კი იკითხა:

— ეს რა სიტყვაა?

— ჰო... როგორ გითხრათ, ის... — დაიბნა ვიქტორი და ასეც დარჩებოდა, კენძის რომ არ ეშველა:

— ქალბატონო, ჩვენ, წიგნებით მოვაჭრენი, ასე ვეძახით ყველაზე კარგ, ყველაზე გამორჩეულ წიგნებს.

— მართლა? მე კი პირველად გავიგონე...

— მადამ! გრაფინია! აი, ისიც! — გამარჯვებული ხმით შესძახა მუყაოს ყუთატატებულმა ჟოზეფმა, — შეგიძლიათ დაათვალიეროთ.

ვიდრე ქალები დამტვერილ ტომებს ფურცლავდნენ, ვიქტორი გაზეთს დააცქერდა.

— ოჰ! — შესძახა უცებ გრაფინიამ, — ეს რა იყო? ჭია თუ ტარაკანა? ისე გაიქცა, შეხედვაც ვერ მოვასწარი.

— ხის ხოჭოებია, ქალბატონო, — აუხსნა ვიქტორმა, — არც იკბინებიან და არც არაფერი. უბრალოდ, წიგნებში ძრომიალი მოსწონთ.

— ამ თქვენი ნავერის ყველა ტომი რომ შევიძინოთ, ცოტას დაგვიკლებთ, ხომ? — ჩაილაპარაკა გრაფინიამ.

— თავისთავად, — სწრაფად და გულწრფელად მიუგო ვიქტორმა, რომელსაც ნავერიც მობეზრებოდა და გრაფინიაც.

— და შინ მოგვიტანთ?

— რა თქმა უნდა, — შეჰპირდა ღიმილად ქცეული კენძი, — დღეს საღამოს ჟოზეფი გაახლებთ შენაძენს.

— ძალიან კარგი, — თქვა გრაფინიამ, — ფული ახლავე გადავიხადო, თუ...

— ახლავე აჯობებს, — მოკლედ მიუგო იაპონელმა.

გრაფინიამ ძვირფასი საფულე გახსნა, საჭირო თანხა გადაიხადა და გრძელცხვირა დისწულთან ერთად ამაყად დატოვა მაღაზია.

— ვიქტორ, — მიუბრუნდა მას კენძი, — იმედია, ხვალ თავისუფალი ხართ, თუ დაგავიწყდათ, ინვენტარიზაციის ჩატარებას რომ ვაპირებთ?

„მგონი, უნდა, რომ არ ვიყო“, — გაიფიქრა ვიქტორმა და კონტრშეტევაზე გადავიდა:

— ცხადია, არა. მგონი, თქვენ დაგავიწყდათ, გეთქვათ, როგორ წავიდა საქმე ოდეონის ქუჩაზე მდებარე ბიბლიოთეკაში?

— ცუდად. ძვირია, ძალიან ძვირი.

„აი, ტალანტიც ამას ჰქვია! ისე ოსტატურად ცრუობს, მართალი გეგონება“, — გაიფიქრა ვიქტორმა და ახალ შეტევაზე გადავიდა:

— ცოტა ხნით გოიას „კაპრიჩოს“ იქნებ მათხოვოთ?

კენძი საკატალოგო ყუთზე ბოლომდე გადაიხარა და ყრუ ხმით მიუგო:

— ახლა არ გამოვა. ხელოსანს მივუტანე ახალი ყდის გადასაკრავად, მას კი ბევრი შეკვეთა აქვს.

გაზეთში აურზაური იდგა.

ვიქტორმა გუვიეს მხარზე ხელი დაჰკრა, მისი ყურადღება რომ მიექცია. მოხუცმა ბულდოგის მზერა მიაპყრო და გაფანჩული ულვაში ააცმაცუნა:

— გამარჯობათ, მუსიე ლენუარ!

— ლეგრი.

— მაპატიეთ... იმდენი სამუშაოა, რომ...

— მე წაველი, — თქვა იქვე მყოფმა ედოქსი ალარმა ისე, ვიქტორი თითქოს არც შეუმჩნევია, — ქრონიკაა მოსაძებნი.

— მარიუსი აქაა? — შეეკითხა გუვიეს ვიქტორი.

— ბონეს კლიუზელი ცვლის, ის კი უელსის პრინცის პატივსაცემად გამართულ მიღებას ესწრება, — მიუგო ისიდორმა, — წავიდეთ, წავიდეთ!

ინგლისურ კოსტიუმში გამოწყობილი ანტონენი საროტაციო მანქანას დაყრდნობოდა, პირში სიგარა გაეჩარა და მოწინავეს ჩაჰკირკიტებდა.

— მთავარი ულუფა ექსტრა ხარისხისაა! — ესროლა მან ვიქტორს, რომელმაც ლიტერატურული ქრონიკის ორი ფურცელი უსიტყვოდ გაუწოდა, — იმ ორ გვამს ვგულისხობ, ფუტკარმა რომ იმსხვერპლა.

კლიუზელი ქრონიკის კითხვას შეუდგა, მერე სიგარა ძირს მოისროლა და ჩაიცინა:

— ყველაფერი კარგია, ოღონდ დღეის გამოშვებაში ვეღარ მოესწრება, ხვალ კი გავა.

— მაშინ ესეც მიაწებეთ, — თქვა ვიქტორმა და ანტონენ კლიუზელს შედარებით მომცრო ქაღალდის ფურცელი გაუწოდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი

www.facebook.com/Tinatinbonney

თინათინ ბონი

# ეიფორია

## მესამე ნაწილი

დასაწყისი №7-27

### მომავლის დასაწყისი

ვახელ თვალებს. სანდრო დაბოდიალობს ბოქსერში. მეღიმება. ჩამესმის „Simply Red - Ghetto Girl“. სანდრო მაისურს იცვამს და თან მუსიკის ჰანგების ქვეშ ტაკოს აქიცინებს. ვაიმე, რა საყვარელია!

— როდის გაიღვიძე? — მამჩნევს, როგორ ვათვალიერებ მის სხეულს.

— ახლა.

— და რომელ ნაწილს ათვალიერებდი? — კუნთებს ჭიმავს.

— მაგას არა, — ვეუბნები სიცილით.

სანდრო საწოლზე ხტება და მიღიტინებს. ისტერიკულად ვიცინი.

— გული გამისკდება, გაჩეეერდი! — ცუდად ვარ უკვე.

სანდრო ზურგზე ეცემა.

— ლენ, რამე რომ იყოს, იქითა კვირას რომ დავოჯახდეთ?

ვჯდები საწოლზე და გამჭოლი მზერით ვუყურებ.

— დარწმუნებული ხარ?

— როგორც არასდროს.

— მელოდრამა „სთაილი“ გავაკეთოთ, ხალხის გარეშე?

— ვაიმე, არა! საუკეთესო თეთრი კაბა, დიდი ევროპული ქორწილი. უბრალოდ ავიყვან ხალხს, რომ ერთ კვირაში მოაგვარონ.

— კარგი, — ვეხუტები და ვკოცნი.

— კაბაა მარტო შენზე. გეუბნები, თუ გინდა, არმანის დავურეკავ.

— მიდი, რა!

— დავურეკავ-მეთქი, ვახ!

— კარგი, დაურეკე.

— შედი საიტზე და მიახლოებით მაინც ნახე, რა გინდა და მერე ჯორჯოს მე დაველაპარაკები.

— ასეთი ჩახუტებულები ხართ?

— საკმაოდ.

— ხომ არ ევასები? — თვალს ვუკრავ სანდროს.

ელვისებრი სისწრაფით სახეში მხვდება ბალიში.

— აუუ, დაგერხა! — ვახტები ზემოდან და ბალიშით ვგუდავ.

სანდრო ცდილობს, დაიხსნას თავი ჩემი კლანჭებიდან.

— მნებდები, მარანძანა?

სანდრო საწოლზე არტყამს ხელს. ვათავისუფლებ. ღრმად ისუნთქავს ჰაერს.

— ტყიური ხარ.

— მე მეგონა, შენ ეგ მოგწონდა ჩემში.

— მომწონს.

სანდრო ზურგზე მაგდებს და მკოცნის.

— შენ მართლა იყავი იმ ამბავზე წამსვლელი? — მეკითხება უეცრად.

— რომელ ამბავზე? ენდიზე არ დაიწყო, თორემ გავგიჟდები!

— არა, მერე რაც მოხდა, იმაზე, — თვალს მიკრავს.

— მარანძანა, გადაბრძანდი ახლავე ჩემი სხეულიდან!

— კაი, გაგეხუმრე, რა იყო, — იცინის და ხელებს მიჭერს.

— სადისტო!

— მე მეგონა, შენ ეგ მოგწონდა ჩემში, — მისი ცინიკური ღიმილი მადნობს.

— მე შენში ყველაფერი მომწონს.

— სულ ყველაფერი, დავიჯერო?

— ამ წამს კი და არ გადამაფიქრებინო.

სანდრო მკოცნის და მაისურს იხდის.

— ნეტა, შეიძლება, რომ მეტი არაფერი ვაკეთოთ? — ვეკითხები გაბადრული სახით.

— მე თანახმა ვარ, — სანდრო უჯრიდან რაღაცას იღებს.

— რა გაქვს?

— საჩუქარი.

— ჩემთვის?

— არა, მამაჩემისთვის.

თვალებს ვაცეცებ. სანდრო კონვერტს მაწვდის. ვხსნი და რაღაც იტალიური საბუთია, რომელსაც ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ახლავს. გაოცებას ვერ ვმალავ.

— ეს ჩვენი სახლია?

— კი, თანამფლობელები ვართ.

— მილანშია ვილა?

— კი.

მხეცივით ვეხუტები სანდროს და ვკოცნი. არ ვიცი, რა უფრო მიხარია, რომ ვილა მაქვს, რომ მენდობა ამ დონეზე, თუ, რომ ძლივს ბედნიერება გვეწვია.

— ვიფიქრე, ქორწილის მერე მანდ წავიდეთ და გავჩერდეთ ერთი-ორი კვირა.

— სიამოვნებით!

— მანამდე რაღაცას ვაკეთებდით, მგონი, — ღიმილით ამბობს სანდრო.

— კი, კი! — ვტენი საბუთებს ბალიშის ქვეშ.

— იცოდე, ლენ, რომ აწი ყველა შენს პრობლემას მე მოვაგვარებ. შენ უბრალოდ იყავი ჩემი, მე მეტი არაფერი მინდა.

ცრემლი მადგება. ყველა ქალის საოცნებო სიტყვებს ვისმენ, თანაც ვისგან?! კაცისგან, რომელიც მარტო თვალის დაფახულებით გონებას მაკარგვინებს.

— ლენა, ჯღავილი არ დაიწყო!

— არააა, — ვამბობ ნიკაპის კანკალით.

— რა გატირებს, გამაგებინე.

— უბრალოდ ბედნიერი ვარ.

— კარგია მერე. ახლა უფრო გაგაბედნიერებ, — სანდრო კისერში მკოცნის.

■

სამსახური. საქმე. დოდოს ბჟუტურები. არეული ტვინი. შევდივარ არმანის საიტზე. ვზივარ და ვათვალიერებ. ნეტა, არ შეიძლება, რომ არმანის ჩემი ფოტო გავუგზავნოთ და თვითონ შემირჩიოს? თუ ეს თავზე გადაკუკვაა ცოტა?

— ლენა, რას აკეთებ? — მესმის დოდოს ხმა.

როგორ შემოდის, კაცო, ეს ქალი, რომ არ მესმის და ვერც ვხედავ?!

— კაბას ვეძებდი.

— ერთი კაი მკერავი ვიცი...

— არა, სანდროს მზა კაბა უნდა.

— სანდრო იცვამს?

— კაი, ახლა.

— დღეს სადილის მერე, ერთგან მინდა, რომ გამყვე. ჩვენი გუნდისთვის მინდა ტრენინგი ავიღო და სადმე ბუნებაში გავიდეთ და „სომადა“ მირჩიეს.

— ვიცი ეგ. დედაჩემი დადიოდა.

— მერე?

— კმაყოფილი იყო ძალიან.

— კაი, მაშინ სადილის მერე გავიდეთ. სად აპირებ ჭამას?

— არ ვიცი ჯერ. გაქვს გეგმები?

— არა და გავიდეთ ერთად.

— კაი.

დოდო გადის და მე კაბების თვალიერებას ვუბრუნდები. შეიძლება რაიმეს შერჩევა.

მე და დოდომ კარგად ვისადილეთ. შეიძლება ითქვას, ზედმეტად კარგადაც. გახეთქვაზე მაქვს მუცელი. მივდივართ „სომადაში“. დოდოს ცოტა უჭირს ტარება და დაძაბული ვზივარ.

— იცი, ლენა, მე და მურადის დღემდე გადასარევი სექსი გვაქვს.

— როგორ მიხარია, — ვეუბნები და ვიცი, რომ ამას არასაჭირო დეტალები მოჰყვება.

— ეს იმის დამსახურებაა, რომ მიჯერებს.

— აჰა.

— აი, მე როცა მინდა, რასაც მინდა, იმას ვაკეთებთ და პრობლემებიც ნაკლებია.

— აჰა.

— აი, წინაზე მოინდომა უეცრად, რომ...

— ბოდიში, მობილური რეკავს.

— ხმა იყო?

— არა, ვიბრაციაზეა.

ვიდებ ყურზე მობილურს და საკუთარ თავს ველაპარაკები.

— ხო, დედა. კი, კი. აბა, რა. შენ მაგაზე არ იფიქრო. კი, კი. ხო. აბა, რა.

საბედნიეროდ, მალევე მივდივართ დანიშნულების ადგილზე. გადმოვდივართ მანქანიდან და შევდივართ ძალიან საყვარელ, მწვანე ფერში გაწყობილ ოფისში. გვეგებება სასიამოვნო გარეგნობის გოგონა. დოდო კაბინეტში შედის და მე მოსაცდელში ვარჩევ ყავის დალევას. არ შემიძლია ახლა ტრენინგებზე ფიქრი, თუმცა ვიცი, რომ აუცილებელი და სასარგებლოა. ვწრუპავ ყავას და ვფიქრობ ცხოვრებაზე. ვხედავ წიგნს. ვშლი და ვკითხულობ.

„ცხრილი 5: შიშისა და სურვილების ემოციები:

შიში — დაწუნების, უარყოფის, მარცხის, კონტროლის დაკარგვის, სიკვდილის, სამსახურის დაკარგვის, სხვების შეურაცხყოფის, მარტოობის, ტკივილის, გაურკვევლობის.

სურვილი — ბედნიერების, სიმდიდრის, წარმატების, თანხმობის



Cyan Magenta Yellow Black

მიღების, მოწონების მიღების, უსაფრთხოების, უტყუარობის, სიამოვნების, ძალაუფლების, განვითარების.

როდესაც კარგად გესმით შიშისა თუ სურვილის, რომელი ემოცია იწვევს თქვენში ძლიერ რეაქციას, შეგიძლიათ გაიგოთ, რატომ გაქვთ მწვავე ემოციური რეაგირება. ახლა უკვე შეგიძლიათ ჩაფიქრების საშუალებით ისარგებლოთ და განსაზღვროთ სიტუაციის სერიოზულობა, იპოვოთ საუკეთესო გამოსავალი და დაადგინოთ, რა გესაჭიროებათ ამ გამოსავლის გამოყენებისთვის“.

გვერდებს ვფურცლავ.

„დამოკიდებულების შეცვლა“.

ეს საინტერესო უნდა იყოს!

„მომხდარ სიტუაციასთან დაკავშირებით საკუთარ თავთან გამართული დიალოგების გამოსასწორებლად კიდევ ერთი საშუალება დამოკიდებულების შეცვლაა. ძლიერ რეაქციას, ხშირ შემთხვევაში, საკუთარ თავთან გაჩაღებული მწვავე დიალოგი მოჰყვება. შესაძლოა, საკუთარ თავს ნეგატიური, კონტრპროდუქტიული განცხადებებით მიმართოთ. მაგალითად:

1. არ მჯერა, რომ ეს გავაკეთე — რა სულელი ვარ!

2. ამას ვერასოდეს გავაკეთებ — უსიამოვნება მელის!

3. მორჩა, ამის ატანა აღარ შემიძლია!

4. ეს ადგილი უბრალოდ ამაზრზენია.

5. აქ არავის აინტერესებს, მე რას ვფიქრობ.

6. მე მოვრჩი მცდელობების განხორციელებას. დაე, ახლა თავად მოაგვარონ ყველაფერი.

7. უკანასკნელად ვცდილობ, მას კარგად მოვექცე.



ამგვარი განცხადებები კარგს არაფერს მოგიტანთ. თუ აღნიშნულ ემოციურ რეაქციას ნებას დართავთ, გამოვლინდეს ქცევაში, თქვენ მალევე დანებდებით, საქმეს მიატოვებთ, დაიტანჯებით, გაბრაზდებით, დაიბოღმებით ან გააფუჭებთ ურთიერთობას. სანაცვლოდ, შეგიძლიათ დამოკიდებულება ისე შეცვალოთ, რომ ხელი შეგიწყოთ პროდუქტიული ქმედებების განხორციელებაში. ალტერნატიული ხასიათის მატარებელი ფრაზები შემდეგნაირი შეიძლება იყოს:

1. მე დავუშვი შეცდომა, რაც დასანანია, მაგრამ ნამდვილად შემიძლია ამის გამოსწორება.

2. საჭიროა პრიორიტეტებზე გავამახვილო ყურადღება და დახმარება ვითხოვო.

3. უნდა შევისვენო, რათა არ დავუშვა, რომ იმედგაცრუებამ საქმის შესრულებაში ხელი შემიშალოს.

4. დღეს რაღაც ვერ ვარ კარგ ხასიათზე.

5. ჩემს იდეებს ყოველთვის არ ირჩევენ. ალბათ უკეთესი იქნება, ბოლო იდეის შესახებ სხვისი აზრიც გავითვალისწინო.

6. საჭიროა დავრწმუნდე, რომ სრულად გავიგე, რას წარმოადგენს დასახული მიზანი. რისი გაკეთება შემიძლია მისი განხორციელების ხელშესაწყობად?

7. მას, დასაშვებია, არ სურს ჩემთან მეგობრული ურთიერთობის დაჭერა, არა უშავს“.

— რას კითხულობთ? — მესმის მამაკაცის ხმა.

ვიხედები გვერდით და ვხედავ მამაკაცს. ჩახველების საოცარი სურვილი მიჩნდება. შავგვრემანი ღვთაება მიზის გვერდით. ვერ ვიგებ, ქართველია თუ არა. ოდნავ წვრილი თვალის ჭრილი აქვს, გეგონება, შავად ჩახატული.

— ვაიმე, არ ვიცი, — ვეუბნები დაბნეული.

მართმევს წიგნს და უკანა ყდას ათვალიერებს.

— ემოციური და სოციალური ინტელექტი. ძალიან საინტერესო თემაა.

— ნამდვილად, თუმცა მე ვერ ვერკვევი, — ვატყობ, რომ ვიპრანჭები.

— მე ჩემს კომპანიაში მუდმივად ვატარებ ტრენინგებს. ახლაც მოლაპარაკებაზე მოვედი და ცოტა ადრე მომივიდა. თქვენ სად მუშაობთ?

— სამკაულებში, — რაღაც გავდებილდი, ხო?

— იცით, ჩვენ ვგრძნობთ ფარულ კავშირს.

— მე და თქვენ? — თვალებს ვპრაწავ.

— თუნდაც, — მომაჯადოებლად მიღიმის, — ნეირომეცნიერება ამტკიცებს, რომ ჩვენი ტვინის ფორმირება ხდის მას კონტაქტურს. ამ ნეიროკავშირის დროს ჩვენი ტვინი ეგრეთ წოდებულ „ემოციურ ტანგოს“ განიცდის. ეს ფაქტი ქმნის იმ კავშირებს, რომლების დროსაც ვიცინით იგივე ხუმრობაზე, ან გამოხედვით ვხვდებით, რა სურს ჩვენს ახლობელ ადამიანს, ან გვიზიდავს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, — ეროტიკული მზერით მაჯილდოებს.

ეს კაცი აშკარად მახვევს თუ მელანდება?

— საინტერესოა.

— თუმცა ჩემი ბიზნესი წარმატებული ბიზნესია, სამეცნიერო საქმიანობითაც აქტიურად ვარ დაკავებული.

— რას მელაპარაკებით?

— დიახ. ნაშრომს ვამზადებ თემაზე „სოციალური აუტიზმი“.

— აჰა, — უკვე მაბნევს.

— იცით, იმდენი დრო ეთმობა ამიგდალას და მის გატაცებას. ხმას არ ვიღებ. ეს ამიგდალა ძაან მაგარი ნაშა უნდა იყოს.

— ტვინზე მაქვს საუბარი, იცით, ხო?

— კი, კი, — რაიო?!

— ხოდა, მე ვერ ვიგებ, რატომ არ ბჭობენ მოხეტიალე ნერვზე. რეალურად იგი არეგულირებს გულისცემას და სხვა ორგანოების მუშაობას და დასტრესილი ორგანიზმის დამშვიდებაზეა პასუხისმგებელი.

— რას ამბობთ! — ცოცხალი მაგალითი, რომ ძალიან სიმპათიური კაცი ბევრს არ უნდა ლაპარაკობდეს.

— მოგაწყინეთ ალბათ თავი, — მამაკაცი ფეხზე დგება.

საშუალება მაქვს, მისი სხეული შევათვალიერო. მაღალი და ნავარჯიშევია. ხელზე როლექსი უკეთია. ფეხზე პრადა აცვია. არ უნდა იყოს გასაჭირში. დაფიქრდებოდა ქალი...

— ძალიან საინტერესო მოსაუბრე ბრძანდებით, — მამაკაცი ჯიბიდან სავიზიტო ბარათს იღებს და მაწვდის, — ოდესმე თუ მოხვდებით, შემოგვიარეთ, ოფისს დაგათვალიერებინებთ.

— გმადლობთ, — მაგარი მოსაუბრე ვარ! საკუთარ თავს ელაპარაკა საათი.

კაბინეტიდან დოდო გამოდის და მამაკაცის დანახვაზე ცქმუტვას იწყებს. მამაკაცი კაბინეტში შედის და ჩვენ მივდივართ. დოდო მთელი გზა ზუის, რომ, აი, ისეთი ქმარი უნდა ჰყოლოდა, როგორიც ეს კაცი იყო. უცებ დაავიწყდა მურადიკო. მე ჩუმად ვარ. ჯიბეს კი სავიზიტო ბარათი მიხურებს.

დავბრუნდით ოფისში. ვზივარ კომპიუტერთან. მინდა, მამაკაცი მოვძებნო. უბრალოდ მაინტერესებს, კაცო. ვხსნი გუგლის გვერდს და ვწერ მისი ორგანიზაციის სახელს. ვარდება ტონა ინფორმაცია. სურათებში არა უშავს. დიდი ფულის პატრონი. აუტანელი ტვინიკოსა. უი, საცვლებში ამოვარდა სურათი. შეხედე შენ! კარგად უვლის თავს. ვკეტავ ფანჯარას. მის სავიზიტოს ჩემი სავიზიტოების ჩასადებში ვათავსებ. იქნებ ოდესმე დამჭირდეს.

დღეისთვის საქმე აღარაფერია. ბოლო „თვაიალითი“ არ მაქვს ნანახი და რომ ვუყურო? ვრთავ და ყურსასმენებს ვიკეთებ. ვიცი, რომ ჩემს ასაკში არ უნდა ვუყურებდე ასეთ კინოებს. უბრალოდ წინა სერიები ნანახი მაქვს და თანაც ის ნატანჯი სერიაც ვნახე, ბელა რომ მშობიარობს. ამიტომაც ბოლო სერია ნამდვილად უნდა ვნახო. ვუყურებ გათიშული სახით. მგელუკას გაშიშვლება დღემდე კარგად მოქმედებს ჩემზე. ეს კინო, მგონი, სამ დღეშია გადაღებული. დექსტერის ახალი სერიაც არ მინახავს და ჰანიბალსაც ჩამოვრჩი. რომ დაუკვირდე, ცოტა პათოლოგიური სერიალები მიზიდავს. ეტყობა, გაფრენილი მაქვს. იმედია, რომ დავოჯახდებით, დავწყნარდები. ისე, დღეს შვებულება უნდა დავწერო, სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი და უნდა მოვწესრიგდე. უნდა ვიყო ყველაზე ლამაზი. აქ კიდე ეს ვალტური, რას ფართხალებენ. დაანებონ ამ ბელას და ედიკას ბაიას თავი. ისე, უნდერვოლდიც მაგრა მიყვარს. რამ გამახსენა? თემატურია. და ისე რამდენს ვფიქრობ? გამომრჩა ნახევარი კინო.

კინო დავასრულე. შვებულება დავწერე. კომპიუტერი გამოვრთე. 6 საათია. წავალ სახლში, გოგოებს ვეჭორავები, ჩემს ზოსიკოს ვეთამაშები. მერე სანდროს ვნახავ და ჩავეხუტები და ვაკოცებ და ვეტყვი, როგორ მიყვარს. ვიღებ ჩანთას და მივდივარ კართან. ვაღებ კარს და ფეხები უკან მრჩება. ვბრუნდები ჩემს მაგიდასთან. ვიღებ სავიზიტოების ჩასადებს და ვეძებ დღეს რომ გავიცანი, იმ კაცის სავიზიტოს. ვპოულობ. ვხევ ორად და ურნაში ვაგდებ. აი, ახლა შემიძლია წავიდე სახლში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

# ზარი წარსულიდან

„რა მარტივი და ბანალური ჭეშმარიტებაა: როცა რაღაც გაქვს მოსასწრები და ერთ წუთსაც ებღაუჭები, დრო სწრაფად გარბის. ეხვეწე, რამდენიც გინდა: ეიიი, შეჩერდი! სულ ცოტა ხნით, თუნდაც თვალის ერთი დახამხამებით!..

არა, ვინ გისმენს, რა გისმენს. მიქრის თავპირისმტვრევით, დაღმართზე დაგორებული ბორბალივით. როცა რაღაცას ელოდები კი, ისე მიზოზინებს, კუც გაუსწრებს და ლოკოკინაც, აი, როგორც ახლა“, — თათამ საათს დახედა. მთელი ერთი საათი იყო სამსახურის დამთავრებამდე.

— რამე ისეთს მაინც ველოდებოდე, ამ ფილოსოფიად რომ ღირდეს, — ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ და ჩანთაში მარაოს დაუწყო ძებნა.

— ამ სიცხეში კონდიციონერის გაფუჭება იქნებოდა? — გადმოხედა თათას მარიკამ, მერე მაგიდას მოავლო თვალი, ყველაზე დიდი საქაღალდე ამოარჩია და მარაოს მაგივრად გაიქნია.

საქაღალდიდან ფურცლები გადმოცვივდა.

— საქმე გავიჩინე, — აბუზღუნდა და ზანტად დაიწყო იატაკიდან ფურცლების შეგროვება.

— დროც რომ არ გადის? — ამოიოხრა თათამ, ისევ საათს დახედა, — ერთი სული მაქვს, სახლში მივიდე, ცივი შხაპის ქვეშ დავდგე და მერე დავიძინო.

— და სულ ეგ არის შენი დღევანდელი ოცნება? — გაეცინა მარიკას.

— ვაიმე, ისეთი გათანგული ვარ სიცხისგან, ნეტავ ან ამას როგორ ვოცნებობ, მიკვირს, — გაეცინა თათასაც, — მთელი ღამე გამათევინეს მეზობლებმა. ვიჯექი ჭოტივით და ეზოში გაჩაღებულ ტაშ-ფანდურს ვუსმენდი.

— ჩასულიყავი მერე შენც, გაგეშალა ხელი, ცეკვა არ იცი თუ სიმღერა, — ისევ გაეცინა მარიკას, — ეგეთები ჩემკენ უნდა ნახო. რკინის მაგიდაზე დომინოს ტკაცატკუცი და შენი დედა, ჩემი დედა, ჩემი დედა, შენი დედა...

— გეფიცები, წყალს გადავასხამდი, დედაჩემი რომ არა, — გადახედა თათამ, — მაგან ხომ მომკლა თავისი კულტურით და ზრდილობით, ამხელა ქალი ვარ და მაინც უნდა, მის ჭკუაზე ვიარო.

— ოჰ, ეგეც ახალი ამბავი, — მხრები აიჩეჩა მარიკამ, — დედაჩემი სულაც ადმირალივითაა. მოვა, შემოცურდება ჩვენთან სახლში, აქეთ ჩემს ქმარს გადახედავს, იქით ჩემს დედამთილს, მერე მე დამიწყებს, მაგრამ რას დამიწყებს: „რას გიგავს სამზარეულო!“ — ეს რა თქმა უნდა, დედამთილმაც უნდა გაიგოს, „რას გიგავს სახლი!“ — ეს რა თქმა უნდა, ჩემმა ქმარმა უნდა გაიგოს...

— რას ამბობ? — გაუკვირდა თათას, — მერე, როგორ ეგუებიან?

— ვის, დედაჩემს? მართლა რას ამბობ! თავად მე ვერ ვეგუები. გინახავს ეგეთი რამე? ეგ დედამთილია, დედამთილი — დედა.

— პირველად მესმის, — გაუკვირდა თათას.

— ჰო, ეგრეა. შეიძლება ჩემი დედამთილი სულაც არ ბრწყინავს, მაგრამ დედაჩემის ფონზე ანგელოზად მეჩვენება. თან ყველაზე უცნაური ისაა, რომ ვერავინ ვერაფერს ვუბედავთ. მისანია, რა, — გაეცინა მარიკას.

— ისე, იცი რა, ახლა ჩემი მეგობრის დედამთილი გამახსენდა, ისიც ძალიან კარგი ქალია, თან გვყვებოდა სოფოს მეგობრებს. რამდენი ხანია, არ ვყოფილვარ მაგათთან. უი, დღეს ხომ არ შევუარო? — თათამ ისევ საათს დახედა, — წასვლის დრო მოსულა.

თათამ მარაო ჩანთაში ჩააგდო და სახლში დარეკა.

— ახლა ვაპირებდი შენთან დარეკვას, — უთხრა დედამ, — ჩაიწერე მისამართი.

— რა მისამართი, დე, სხვაგან გადახვედი საცხოვრებლად? — გაეცინა თათას.

— ჩაიწერე, ჩაიწერე, ცირასთან უნდა ახვიდე.

— მოიცადე, ვისთან უნდა ავიდე? ცირა ვინაა? — გაუკვირდა თათას.

— დიდი ხნის წინ მუშაობდა ჩემთან, ინსტიტუტში. შენ არ იცნობ.

— მერე ახლა რამ გაგახსენა? — უფრო გაუკვირდა თათას.

— წელან დამირეკა. შენ მისამართი ჩაიწერე, — გაუმეორა დედამ.

თათამ ისევ ამოიოხრა. არა, დედას სულ არ აინტერესებს, შეუძლია თათას იმ ვიღაც ცირასთან წასვლა თუ არა. თავად ასე უნდა და მორჩა.

— კარგი, ჰო, მითხარი და ამიხსენი მაინც, რა მინდა იმ ქალთან, რატომ მიშვებ? — უკმაყოფილოდ უთხრა და კალამს დაუწყო ძებნა.

— არ გაბრაზდე, — დაუტკბა დედა, — ისე უჭირს თურმე საწყალს, გული დამეწვა. აუტანე რამე და ფულიც აჩუქე, სახლში რომ მოხვალ, მოგცემ.

— კარგი, ჰო, მითხარი მისამართი, იქიდან სოფოსთან უნდა გავიარო და დამაგვიანდება.

თათამ მისამართი ჩაიწერა და გარეთ გამოვიდა.

„ეს ქალი ვერ ჩერდება. სულ ვიღაცაზე ზრუნავს, სულ ვიღაცას ეხმარება... და თავისთვისაც რომ არაფერი აქვს, ეგ არის მთელი ამ დახმარების მარილი და გემო. არა, კარგია დედაჩემი“, — გაეღიმა თავისთვის და ცხელი შენობიდან უარესად გაცხელებულ ქუჩაში გავიდა.

დიდხანს მოუწია სიარულმა სიცხესა და უჰაერო ქუჩებში. როგორც იქნა, მიაგნო იმ ქალბატონის პატარა სახლს, გული მოეწურა მის შემხედვარეს და ამიტომ მალევე გამოეცალა, გამოერიდა, თითქოს შეეშინდა, მისი რაღაცნაირად დამძიმებული აურა არ გამოჰყოლოდა.

...სოფოსთან რომ მივიდა, იმ მისვლას მისვლა აღარ ერქვა, მილასლასდა, ზარი დარეკა და ცივ კედელს მიეყრდნო გასაგრილებლად.

— თათა, შენ ცოცხალი ხარ? — ეჭვით შეათვალიერა სოფომ, — ნამდვილად ცოცხალი ხარ? ვაიმე, ცოცხალი ყოფილხარ!

— ისეთი ჯოჯოხეთური სიცხიდან შემოვედი, ცოცხალი, არა მგონია, რომ ვიყო, — დაეჭვდა თათა, — მოჩვენება, კი, ბატონო.

— ვაიმე, რადგან შენ დაგინახე, ახლა გინდ მოჩვენება იყავი და გინდ მკვდარი, — სოფო საკოცნელად გადაიწია.

— აჰ! — დაიყვირა თათამ და უკან გახტა, — მთელი ქალაქის მტვერი მადევს სახეზე, არ მომეკარო!

— ოჰ, — ამოისუნთქა სოფომ, — კიდევ კარგი, მითხარი. ვერც მე ვიტან შეხვედრისას ამ გადაკოცნა-გადმოკოცნას. არადა, არ გადაკოცნი, უხერხულია, სხვანაირად არ იფიქრონ.

— სახლში შემიშვებ თუ სტუმრებს უკვე აქ, შესასვლელში იღებ? — მოუთმენლად ჰკითხა თათამ.

— ვაიმე, შემოდი, შემოდი, — სოფომ კარი მიხურა და დიდი ხნის უნახავ მეგობარს ოთახიში შეუძღვა.

— დაჯექი, ახლავე ცივ წყალს მოგიტან, ცოტას მოგასულიერებ, — სამზარეულოსკენ გაიქცა სოფო.

— ასე სად გაითანგე? — ჰკითხა უკან დაბრუნებულმა, ყინულიანი წყლით სავსე ჭიქა მიაწოდა და წინ ჩამოუჯდა.

თათამ წყალი მოსვა, ღრმად ამოისუნთქა და სოფოს მიაჩერდა:

— სოფ, როგორ მომნატრებიხარ.

— ახლა მე მკითხე, როგორ მომენატრე, — გაუღიმა სოფომ, — აი, ასე, რეალური, აქ რომ ზიხარ და გიყურებ. რა გახდა ეს მისვლა-მოსვლა, ნეტავ ადრე როგორ ვახერხებდით ამას?

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა თათამ, — ადრე სულ აქ არ ვიყავი? ახლა კი, მეტროს მატარებელივით, ერთ რელსზე დავდივარ. კუკუუუუ! შემდეგი გაჩერება სამსახური, კუკუუუ! შემდეგი გაჩერება სახლი და ასე. სამაგიეროდ, დღეს იმდენი ვიარე, თან ამ სიცხეში, თან მაღალი ქუსლებით, — თათამ ფეხებზე დაიხედა, — რამ შემაყენა მაინცდამაინც დღეს ამ ქუსლებზე? სად ვიარე, რომ იცოდე...

— სად იარე ასე, შე საწყალო? — შეეცოდა სოფოს.

— ვიარე, ვიარე, ცხრა ქუჩა გადავიარე, ცხრა ჩიხი გადმოვიარე, მერე სხვა ცხრა ქუჩა გადავიარე, სხვა ცხრა ჩიხი გადმოვიარე და, როგორც იქნა, მივადექი იმ სახლს, რომელსაც ვეძებდი.

— კი მაგრამ, სანამ წახვიდოდი, ინტერნეტით რუკაზე მოგეძებნა და პირდაპირ მიადგებოდი, ცხრა ქუჩის და ცხრა ჩიხის გარეშე, — გაუკვირდა სოფოს.

— მაგას მოფიქრება ხომ უნდოდა? — გული დასწყდა თათას, — აუ, ნეტავ არც გეთქვა, ახლა ნერვები მომეშალა ჩემს თავზე.

— ნერვებს გაუფრთხილდი, — ჭკუა დაარიგა სოფომ, — დაგჭირდება. ის მითხარი, ვისთან მიდიოდი ასეთთან, მთელი ქვეყანა რომ მოგივლია, ბრძენთან თუ ჯადოქართან?

— ვაიმე, — სინანულით თქვა თათამ, — სოფ, ჯადოქრის არა, მაგრამ გნომის სახლს ჰგავდა. ქუჩის დასახელება უფრო დიდი იყო, ვიდრე თავად სახლი. აი, პატარა, ერთი ბეწო: ერთი ოთახით, ერთი სკამით, ერთი საწოლით, ერთი გამჭვირვალე, სევდიანი, სიფრიფანა ქალით. არც შევსულვარ ან სად შევეტეოდი, რაღაც დავუტოვე და სულ ბზრიალ-ტრიალით დავეშვი დაბლა. დამავიწყდა, მეთქვა, რომ სახლი მთის წვერზე იდგა. მგონი, ფენტეზის ჟანრის ფილმში ამოვყავი თავი. ასე მგონია, რაღაცის გამო მივედი, რაღაც გაგრძელება უნდა ჰქონდეს ამ სრულიად გაუთვალისწინებელ მისვლას... მოკლედ, სიცხისგან გავრეკე, არ მომისმინო, — დაასკვნა ბოლოს.

— ნეტავ, ეგეთ სახლში მაცხოვრა, — შეშურდა სოფოს, — ერთ წამში დავალაგებდი. აბა, ესაა სახლი? ჯერ მარტო ჭერის ჩამოწმენდამ მომიღო ბოლო, — სოფომ ჭერში აიხედა, — ვატოს ვეხვეწები, ორ სართულად გავტიხროთ-მეთქი და არ მიჯე-



Cyan Magenta Yellow Black

რებს.

— ვატო სადაა? საერთოდ სად არიან შენები? — ახლაღა გაახსენდა თათას სოფოს ოჯახის წევრები.

— შენმა საყვარელმა ჩემმა დედამთილმა ბავშვები წაიყვანა სოფელში და შენი საყვარელი ჩემი ქმარი კი მე წავიყვანე.

— ოჰ, სად დაგყავს, ბაღში თუ სკოლაში? — სოფოს ნათქვამზე გაეცინა თათას.

— ისე, კარგი იდეა მომაწოდე. ბაღი და სკოლა მოუხდებოდა, — ჩაფიქრდა სოფო, — რაც დრო გადის, ჭკუა უფრო და უფრო აკლდება.

— აბა, აბა, ვატოზე მაგას ნუ ამბობ! — თითი დაუქნია თათამ, — სად არის მართლა, მალე მოვა?

— არა მგონია, ოფისშია, რაღაც სერიოზული შეკვეთა აქვთ და სიმართლე გითხრა, თავს არ ზოგავს.

— სოფ, როგორ ზრუნავს ოჯახზე, არა? — თბილად ჰკითხა თათამ.

— ნუ, ამ შემთხვევაში, თავის თავზე უფრო ზრუნავს, — გაეცინა სოფოს, — მანქანის გამოცვლა უნდა.

— მერე, მანქანა ოჯახის არაა? — გამომცდელად ჰკითხა თათამ.

— ოჯახისაა, უბრალოდ ვატოს ვეწუწუნები, შენს თავზე ფიქრობ-მეთქი, გაიგე? — წამოდგა სოფო, — წამო, ყავას მოვადუღებ, არ გინდა?

— აქ მომიტანე, რა, გეხვეწები, ფეხზე ველარ ვდგები, — შეეხვეწა თათა.

— გაიხადე მერე ეგ ალმადოვარის წითელი ქუსლები და დაასვენე ფეხები, მე ყავას მოვადუღებ და მოვალ, — ურჩია სოფომ და სამზარეულოში გავიდა.

— ისევ სოფო, თორემ მე ხომ ვერ მოვიფიქრებდი, — ჩაილაპარაკა თათამ, ფეხსაცმელი გაიხადა, ფეხები დივანზე გაშალა და თვალები დახუჭა.

„რა კარგია სოფოსთან და როგორ ვიკლებ ამ სიამოვნებას ყოველდღიური უაზრობის გამო. რა მოხდება, ხშირად მოვიდე, აი, ასე, მარტივად და თავისუფლად ავიკეცო ფეხები და ვიყო. ვუყურო ჩემს მეგობარს, თუ ყველა სახლში იქნება — ჩემი მეგობრის მხიარულ ოჯახს და დავტკბე. განა სხვა რა სჭირდება ადამიანს? არც არაფერი. აი, წელან, მივედი იმ სახლში, იმ ქალთან... როგორი მარტოობის სევდა ედგა თვალებში, მარტოობის ჩუმი ნაღველი. იდგა უნაყოფოდ მიმქრალ ხესავით, ნახევრად გამჭვირვალე, ნახევრად ნისლს შერეული... როგორ მითხრა, მე რა ქალი ვარ, შვილი ვერ გავაჩინეო, რაღაცნაირად დარცხვენილმა, თითქოს მომიბოდიშა. ასე მგონია, თავის თავსაც კი, თავის ერთ დროს სავსე სხეულსაც მოუბოდიშა, ვერ აავსო, დედობის სიხარული ვერ აგრძნობინა. არადა თავის დროზე ალბათ მშვენიერი ქალბატონი იქნებოდა, ვიღაცას მაინც ხომ მოეწონებოდა ამხელა სამყაროში... თუ ვერ გათხოვდა, შვილი მაინც გაეჩინა, თუნდაც ისე, ქმრის გარეშე, მაგრამ მაგას გაბედვა ხომ უნდოდა? დაესეოდნენ მერე ყორნებივით, ყოველთვის თითი ექნებოდათ მისკენ მიშვერილი. მის შვილს არასდროს მოაშორებდნენ უკანონოს სახელს“...

თათას უცნაური სევდა შემოაწვა, შიშმა შეიპყრო:

„მეც ასე ვიქნები, რაღა დარჩა, რა ზღვარი... სამიოდე წელი და ორმოცის გავხდები. მერე რა? არაფერი, სულ არაფერი, ვირუსივით მოხდილი გატაცებები და ერთი გართულებული სიყვარული... როგორ ვოცნებობდი მაშინ შვილზე. წარმოვიდგენდი, რომ ვიყავით ერთად მე, ის და ბავშვი, აუცილებლად ბავშვი, შეიძლება ამ არარსებულ ბავშვთან უფრო მინდოდა ყოფნა, ვიდრე მასთან, შეიძლება ის ბავშვი უფრო მიყვარდა, მაგრამ აუცილებლად მისგან უნდა მყოლოდა, აუცილებლად... რა უაზროდ დამთავრდა ყველაფერი. ის ოცნება კი, იმ არარსებულ, საერთო ბავშვზე ცხრა კარს მიღმა ჩავკეტე, რომ ვეღარ მიმეგნო და ამის გამო არ დავბრუნებოდი უკან. ახლა იმ ქალმა გამახსენა, იმ უმწეო, სევდიანმა, სიფრიფანა ქალმა, ჩიტის ბუდეზე პატარა სახლში რომ ცხოვრობს და დარჩენილ დღეებს ჩიტივით კენკავს“.

— რა გჭირს? — შემოვიდა ოთახში სოფო, სინი მაგიდაზე დადგა, — რა სახე გაქვს, მოხდა რამე?

— შვილი მინდა, — თქვა თათამ და შეხედა, — თუ ოჯახი არ მექნება, შვილი მაინც მინდა, ძალიან მინდა.

— ვიცი, — უთხრა სოფომ და გაუღიმა.

— საიდან იცი, რამდენი ხანია, ამაზე არ მიფიქრია, ახლა იმ ქალს ვიხსენებ და... აი, იმას, გნომის სახლში რომ ცხოვრობს სულ მარტო, სულ მარტო... ისე დარცხვენით მელაპარაკა, მომიყვა, როგორ ვერ გათხოვდა, გესმის? არ კი არა, ვერ! სხვებივით ტყუილის კედელი არ ამოიშენა, სხვებივით არ უთქვამს, არ მინდოდა და არ გავთხოვდიო. ვერო, სოფო, ვერო... და შვილიც ვერ გავაჩინეო. ჰოდა, ამ უმწეობის გამო შემეცოდა, კი არ თამაშობდა, მართლა ასეთი უმწეო იყო.

— თათ, შენ ეს ახლა კი არ გაგახსენდა, ახლა შეგეშინდა რეალურად, თორემ, შვილი ყოველთვის გინდოდა. უბრალოდ, ამას საკუთარ თავსაც უმალავდი, სულ ესაა.

— ჰო, შეიძლება, — დაეთანხმა თათა, წამოჯდა, — შეიძლება კი არა, მართალი ხარ. ალბათ სერიოზულად უნდა შევცვალო რაღაც.

— ჯერ ერთი, ალბათ კი არა, აუცილებლად, — შეუსწორა სოფომ, — და მეორეც, რაღაც კი არა, შენი ცხოვრება უნდა შეცვალო. ამას შენ გარდა სხვა ვერ გააკეთებს. სხვამ შეიძლება ხელი შეგიწყოს, გირჩიოს რაღაც, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვეტილება შენ უნდა მიიღო.

— ჰო, მართალი ხარ. არ ვიცი, ხვალ რა ხასიათზე ვიქნები, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამაზე ფიქრს, სერიოზულ ფიქრს ვამბობ ოღონდ, თავს ველარ დავაღწევ. შეიძლება არც არაფერი გამოვიდეს, მაგრამ ჩემს თავთან მართალი ვიქნები, რომ ვცადე. სულ ესაა ალბათ. რომ ვუფიქრდები, არც ერთი სერიოზული გადაწყვეტილება არ მიმიღია ცხოვრებაში, არ მიბრძოლია, მივყვები დინებას და არასდროს მომსვლია აზრად დინების საწინააღმდეგოდ წასვლა ორაგულივით. აი, ეგენი მჯობიან, იციან, რომ მოკვდებიან და მაინც ჯიუტად მიცურავენ სათავეებისკენ ქვირითის დასაყრელად.

— ოჰ, ახლა მთლად ასეც არ გინდა, — ხელი აუქნია სოფომ, — გეყოფა ეს ზედმეტი სენტიმენტები და შავი ფერები, თუნდაც ვერცხლისფერი ორაგულებით. კიდევ გიმეორებ, პირველ რიგში, შენ უნდა გინდოდეს შენი ცხოვრების შეცვლა და ეს უნდა სცადო კიდეც, მეტი არაფერი.

— აბა, რა, — გაუღიმა თათამ, — კარგი, გვეყოფა ამაზე, ყველაფერიც იქნება, ოჯახიც და საბავშვო ოთახიც ჭყვიტინა ბავშვით.

— რაღა ჭყვიტინა ბავშვი, ნუ გამაგიჟე? — შეიცხადა სოფომ, — შენ ჭყვიტინა ბავშვს ეხუმრები? აი, ის წაგიყვანს დინების საწინააღმდეგოდ, თუ წაგიყვანს, თან სულ ჭყვიტინ-ჭყვიტინით.

— კარგი, მაშინ მუთაქა ბავშვით, — დაუჯერა თათამ.

— აი, ეგ კარგია, — გაეცინა სოფოს, — თუმცა გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ყველა მუთაქა ბავშვი ბოლოს მაინც ჭყვიტინა მოზარდად იქცევა ხოლმე.

— მოზარდი კი არა, დედაჩემს რომ ჰკითხო, მე, ეს ზრდაგადსრულებული ქალი დღესაც ვჭყვიტინებ. და ისე, მე რომ მკითხო, დედაჩემიც ჭყვიტინებს, — სიცილი აუტყდა თათას.

ჩანთაში მობილური აწკრიალდა.

— არ არსებობს, დედაჩემი ვახსენო და არ დარეკოს, აი, არ არსებობს! — უთხრა სოფოს და უპასუხა, — დე, სოფოსთან ვარ, ხომ იცი და მალე მოვალ.

— ვიცი, მაგიტომ არ გირეკავ, იმ ვაჟბატონმა დარეკა, შენი ნომერი უნდოდა და მივცე თუ არა, მაინც გეკითხები, — უთხრა დედამ.

— ვინ ვაჟბატონმა? — ვერ მიხვდა თათა.

— ვისგან გქონდა თავგზა არეული. თუ არ გახსოვს, კარგია, მაშინ ნომრის მიცემაც არაა საჭირო.

— მოიცადე, — წამოიძახა თათამ, — მიეცი ნომერი.

— დარწმუნებული ხარ?

— კი, დარწმუნებული ვარ, — მტკიცედ უთხრა თათამ, მობილური გათიშა და სოფოს გადახედა, — სოფ, ის მირეკავს.

— ვინ? — ახლა სოფო ვერ მიხვდა ვერაფერს.

— ის, ვისგანაც ერთ დროს შვილი



მინდოდა მყოლოდა, — ჩუმად უთხრა თათამ.

— არ არსებობს? — თვალები გაუფართოვდა სოფოს.

— რა უცნაურია, — ჩაილაპარაკა თათამ, — ის ქალი რომ არა, არაფერი გამახსენდებოდა. გამახსენდა და ვინც გამახსენდა, ის მირეკავს წარსულიდან, თითქოს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ხელმეორედ დავიწყო ფიქრი, ისევ ისე, როგორც ადრე: ჩემზე, მასზე და ბავშვზე.

— თათა, შემთხვევით არაფერი ხდება, იცი? — თქვა სოფომ.

თათას პასუხი აღარ გაუცია, ხელმეორედ აწკრიალებულ მობილურს უყურებდა, უცხო ნომერი იყო, მაგრამ უკვე იცოდა, ვინც ურეკავდა.



Cyan Magenta Yellow Black

## გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ორშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 13 ივლისი 17 საათი.

### გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ვარ 32 წლის ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, პუტკუნა 30-40 წლამდე ქალს. 598365397

2. გავიცნობ 35 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ საშუალო სიმაღლის, ცისფერთვალება, 24 წლის ბიჭი, ვმუშაობ კონტრაქტზე. 555144515. ჯონი

3. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე სანდო ქალს, თუნდაც განათხოვარს. 551160139. ლადო

4. გავიცნობ ქალს თუნდაც გათხოვილს, ვარ შიდა ქართლიდან. 558192409

5. ვარ 30 წლის უკომპლექსო მამაკაცი. გავიცნობ 20-35 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის. 555166386

6. ვარ სიმპათიური, თბილისელი. შეხვედრებისთვის გავიცნობ სიმპათიურ გოგოს. 593135572. სკაიპი:qameleoni2010. დათო

7. ვარ 57 წლის მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, 40-55 წლამდე ქალს. 555935477

8. შეხვედრებისთვის გავიცნობ 20-40 წლამდე ასაკის ბინიან ქალს. ვარ 30 წლის. 557123705

9. შეხვედრებისთვის გავიცნობ ლამაზ ქალს. 551530789

10. ვარ 27 წლის, თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 35 წლამდე ასაკის ქალს. 598911110. გიო

11. გავიცნობ თბილისელ, საღად მოაზროვნე ქალს. ვარ 28 წლის, თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ მარტო. 557491234. ნიკა

12. გავიცნობ 23-32 წლამდე მომხიბვლელ ქალს შეხვედრებისთვის. 551542215

13. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 35 წლამდე მაღალ, გამხდარ და სუფთა ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 26 წლის. 555494212

14. ვარ 31 წლის, განათლებული, სიმპათიური, სპორტსმენი, მწვანეთვალება მამაკაცი. გავიცნობ 50 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 555619588

15. გავიცნობ უფროსი ასაკის, მაგრამ ახალგაზრდული სურვილების მქონე ლამაზ ქალს სამეგობროდ. 555131654. გოგი

16. გავიცნობ იმერელ, მხოლოდ ქვრივ, 35 წლამდე სერიოზულ ქალს. ვარ სიმპათიური 39 წლის მამაკაცი ქუთაისიდან. 557994113. ჯონი

17. შეხვედრებისთვის გავიცნობ გოგოს. 598620002. კახა

18. ვარ 35 წლის მამაკაცი. გავიცნობ კარგი გარეგნობის ქალს შეხვედრებისთვის. 514197722. კაკი

19. ვარ 29 წლის, სიმპათიური ბიჭი, უცოლო. გავიცნობ გოგოს სერიოზული ურთიერთობისთვის. 5999960221

20. ვარ 40 წლის, სერიოზული, ჩამოყალიბებული, დასაქმებული მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ ფინანსურად უზრუნველყოფილ, სერიოზულ 60 წლამდე ქალს. 599162416

21. გავიცნობ იმერეთში მცხოვრებ ლამაზ ქალს 22-დან 40 წლამდე. ვარ 37 წლის სიმპათიური ახალგაზრდა. 551224006

22. სამეგობროდ გავიცნობ იმერეთში მცხოვრებ ქალს. 555195356

23. სამეგობროდ გავიცნობ 25-35 წლამდე თბილისში მცხოვრებ გოგოს. 555266048

24. გავიცნობ სულიერად ლამაზ, მშვიდ და თბილ ქალს. 555972589. გიო

25. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, განათხოვარ, ლამაზ, გამხდარ გოგოს, ლამაზი ურთიერთობისთვის. ვარ 36 წლის სიმპათიური მამაკაცი. 593724994. ლევანი

26. ვარ 27 წლის, თბილისელი, სიმპათიური მამაკაცი, დასაქმებული, მანქანით, ხანგრძლივი შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე გოგოს. 551508658. ბექა

27. ვარ 40 წლის, თბილისელი, სიმპათიური მამაკაცი, სერიოზულად და უანგაროდ ვიმეგობრებ ასაკით უფროს, თბილისში მცხოვრებ ქალთან. 555639450

28. ვარ 55 წლის მამაკაცი, გავიცნობ ჩემი წლოვანების ქალს. ვარ დასაქმებული. 558416090. დავითი

## 2017

29. ვარ დასაქმებული, სიმპათიური, შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე ლამაზ ქალს. 558565682. უჩა

30. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-45 წლამდე გამხდარ, ლამაზ ქალს. 595726053. ბექა

31. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, 35 წლამდე გათხოვილ ქალს, დავეხმარები მატერიალურად. 593050806. ლაშა

32. შეხვედრებისთვის გავიცნობ ლამაზ, თბილისელ, უკომპლექსო ქალს. ვარ 48 წლის. ვაკეთებ მასაჟს. 555415334

### გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ეკლესიურ ქალს, მნიშვნელობა არა აქვს სოფელს და ქალაქს. ვარ 44 წლის, მაღალი, სპორტული აღნაგობის, მარტოხელა, დასაქმებული მამაკაცი. 595248912

2. ვარ 59 წლის, ქვრივი მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ შესაფერის ქალს. 599950957

3. ვარ სანდო, მოწესრიგებული, თბილისელი, ყველაფრით უზრუნველყოფილი, 45 წლის მამაკაცი, მაქვს ჩემი ბიზნესი. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 35 წლამდე ქალიშვილი, სადა, ლამაზი სულის პიროვნება. 558215498

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ქალს, ვისაც ნამდვილი ოჯახის შექმნა უნდა. 555602976

5. ვარ 64 წლის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ქართველ ქალს, რომელსაც არ ჰყავს და უნდა, რომ ჰყავდეს ბავშვი და იყოს დიასახლისი. 595469342

6. ვარ 50 წლის, ქვრივი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50-55 წლამდე თბილისელ ან რუსთაველ ქალს. 591144756. მახო

7. ახალგაზრდა, თბილისელი, სიმპათიური, მარტოხელა მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 25-დან 35 წლამდე ქალს. 55827010

8. ვარ 34 წლის, საქორწილო. ვცხოვრობთ მე და დედა. მსურს ოჯახის შექმნა. 558997358, ლევანი

### გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 56 წლის თბილისელი ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ, თბილისელ, დასაქმებულ მამაკაცს. 551197853

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, განათლებულ, სიმპათიურ 35-40 წლამდე მამაკაცს. ვარ თბილისელი, განათლებული, სიმპათიური ქალი. 599379485

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, სერიოზულ 30-35 წლამდე მამაკაცს. 555422547

4. ვარ 37 წლის, 168 სმ. გასათხოვარი, ვცხოვრობ თბილისში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დამოუკიდებელ, მოწესრიგებულ, თბილისელ 40 წლამდე მამაკაცს, რომელიც ცხოვრობს ცალკე. 558110644. თიკო

### გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. ვარ ლამაზი და მიმზიდველი 30 წლის ქალი, გავიცნობ 40-50 წლამდე სერიოზულ და დასაქმებულ მამაკაცს სამეგობროდ. 558522007

2. ვარ 45 წლის ქალი. სამეგობროდ გავიცნობ უზრუნველყოფილ, არაძუნწ მამაკაცს, რომელიც ამ გაჭირვებიდან ამომიყვანს. 555629927

## მიყვარხარ, მენატრები

პაჩანიკა, როგორ ხარ, ჩემო სიცოცხლე და ჩემო ტკივილო? ამ კვირას შეიძლება გნახო, არ ინერვიულო არაფერზე და არავისზე გთხოვ, როგორმე უნდა გავუძლოთ, გამხნევდი და შენც ეცადე. უშენოდ მოვკვდები, მიყვარხარ, შენს გარეშე ჩემს სიცოცხლეს აზრი ეკარგება. მიყვარხარ. წრიპა

პაჩანიკა, როგორ მენატრები და როგორ აღარ მცალდება შენთან ყოფნა, მაგრამ იმედი არ დავკარგოთ. მიყვარხარ ყველაზე და ყველაფერზე მეტად, მე სულ შენთან ვიქნები. შენ?

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ რაიმე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 13 ივლისის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისგან მიწერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება



Cyan Magenta Yellow Black

←10

***ამ გადასახედიდან, შეცდომა იყო?***

— ჩვენი წინაპრები ზოგ შემთხვევაში უფრო ადრეულ ასაკშიც ქორწინდებოდნენ. სიმართლე რომ გითხრათ, არ ვიყავი მზად ამ ტიპის ცხოვრებისთვის. ყველას ვურჩევდი, ცოტა მოიცადოს. ჩემმა შვილმა 30 წლის ასაკში მოიყვანა ცოლი და ვთვლი, რომ მზადაც იყო ამისთვის. მე კი ძალიან პატარა ვიყავი. ჩვენი ქორწილის დღეს 19 წლის გავხდი. როცა ადამიანს არ შეუძლია ნაწილობრივ მაინც შეინახოს ოჯახი, ეს ნაბიჯი არ უნდა გადადგას. მე როგორ უნდა შემენახა, როცა მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი?

***— მაგრამ იყავით შეყვარებული...***

— ჩემს სასიყვარულო ამბებს რაც შეეხება, ეს ლამაზი ნოველების ციკლია, რადგან ამ თვალსაზრისით ძალიან რომანტიკული ვარ. ამაზე ლაპარაკი არ მინდა, რადგან ამ სასიყვარულო ნოველებს ადამიანების დაბადება მოჰყვა. ყველა მათგანი ძალიან განიცდის და ეჭვიანობს, როცა ჩემ მიერ ნათქვამ მსგავს რამეს კითხულობს.

**„ჩემს სასიყვარულო ამბებს რაც შეეხება, ეს ლამაზი ნოველების ციკლია, რადგან ამ თვალსაზრისით ძალიან რომანტიკული ვარ".**

***— ეს სასიყვარულო ნოველები იმ პერიოდში გქონდათ, როცა დაქორწინებული იყავით?***

— დიახ და ამიტომ არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი.

***— სულ რამდენი შვილი გყავთ?***

— ხუთი. რამდენიმე გერიც მყავს.

***— 25 წელი გაძლო თქვენმა ქორწინებამ და ბოლოს მაინც ღალატის გამო დაინგრა?***

— ეს ღალატი კი არა, ჩემი თავქარიანობის ბრალი იყო. ოჯახის დანგრევას კი მრავალი მიზეზი ჰქონდა. მისთვისაც მტკივნეული იქნება, თუ მოვყვები და ამიტომ არაფერს ვიტყვი.

***— რთული გასაძლები ხართ?***

— არ ვიცი, მარინას ჰკითხეთ.

***— თავად რას მიიჩნევთ თქვენს ყველაზე დიდ უარყოფით თვისებად?***

— ზედაპირულობას და შენდობის უნარს. ბევრს ვპატიობ ადამიანებს. ახლობლები მეუბნებიან, რომც დაინახო, მტერს დანა აქვს მომარჯვებული, ზურგს შეაქცევ, რომ ჩაგარტყასო. ღალატიც შემიძლია ვაპატიო. ახლო ურთიერთობა ალბათ აღარ მექნება, მაგრამ სამაგიეროს გადახდას ნამდვილად არასოდეს ვცდილობ.

ერთი მეგობარი მყავს, რომლის ბაბუაც ცნობილი ექიმი იყო. 1937 წელს ვიღაცამ დაასმინა და დააპატიმრეს. თურმე ციხიდან რომ გამოვიდა, ცოტა ხნის შემდეგ სახლში აღელვებული დაბრუნდა. უთქვამს, ის შემხვდა, ვინც დამასმინაო. მერე რა ქენიო, უკითხავს ცოლს. მორალურად გავანადგურე, ხელი არ გავუწოდეო. მაშინ ეს დიდი ღირსება იყო. ამაზე ბევრი მიფიქრია — ასეც შეიძლება სამაგიეროს გადახდა. ჩინური გამოთქმაც არსებობს — არასოდეს გადაუხადო შენს მტერს სამაგიერო, ჩამოჯექი მდინარის ნაპირას და დაელოდე, მდინარე შენი მტრის გვამს როდის ჩამოატარებსო.

***— ქალებისადმი როგორი დამოკიდებულება გაქვთ?***

— სხვათა შორის, ქალებთან დაკავშირებით აბსოლუტურად ლოიალური ვარ. არაფერს ვითხოვ და არც არაფერს ვათხოვნინებ.



***— სიყვარულს და ყურადღებას არ ითხოვთ?***

— არა. ძალიან უყურადღებო ვარ და არც მე ვითხოვ ყურადღებას. სიყვარულს ცოტა ფილოსოფიურად ვუყურებ, გვერდიდან. ეს არის ადამიანური ურთიერთობის ქვაკუთხედი. არ ვთვლი, რომ ამ გრძნობას უნდა გადაჰყვეს ადამიანი, მაგრამ სიყვარულის სამყაროში კი უნდა იცხოვროს.

***— ანუ სულ უნდა გიყვარდეს, მაგრამ არა — ერთი ქალი?***

— კი, სულ უნდა გიყვარდეს, მაგრამ არა — ერთი ქალი თუ ერთი კაცი! არ გეგონოთ, ამორალურობის პროპაგანდას ვეწევი. მთავარია, სიყვარული გიყვარდეს და მერე შენ თვითონ ირჩევ მოქცევის წესს. შეიძლება ერთი გიყვარდეს და შეიძლება — ბევრი. ვთვლი, რომ, ამ მხრივ, მე თვითონ სწორად არ ვიცხოვრე. ამ დროს ყოველთვის ჩნდება კითხვა, რომელიც გაწუხებს — რა დააშავეს ბავშვებმა და როგორ უნდა უთხრა მათ, რომ ეს სწორი არ არის? ხომ შეიძლება გითხრან, შენი მაგალითი გვიდევს წინ. ვერ მოგიყვებით მთელ იმ ტრაგედიებს, რაც ტრიალებდა. ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელი იყო და ეს ჩემგან გამომდინარე არ ხდებოდა.

თქვენ ტყუილად არქმევთ ამ ქმედებებს ღალატს. ეს ტერმინი ძალიან ეჭვიანი ადამიანის მიერ არის მოგონილი. ცხოვრების წესი, როცა შენ პარტნიორებს იცვლი, არასწორია, მაგრამ რას ვუღალატე?

***— საყვარელ ქალს, ცოლს...***

— იყო კი საყვარელი ქალი? არავინ იცის.

***— ფინანსური საკითხების გარდა, ყველაფრის ექსპერტი ვარო, ამბობთ. ფულთან როგორ ხართ?***

— მომხვეჭველობით და ფულის შეგროვებით არასოდეს ვყოფილვარ დაკავებული. ჩემი ცხოვრების თანხვედრია მუდმივი ვალები. ასე რომ, ამ საქმეშიც ვერ ვივარგე. ვალის გადახდას სულ ვაგვიანებ.

***— ფულს ანგარიში უყვარს, ეს არ გამოგდით?***

— ასე ცხოვრება მიყვარს — როცა ადამიანს სჭირდება, არ უნდა დაუმალო, უნდა მისცე. ამის გამო მათხოვრებთან შეხვედრა უხერხულ მდგომარეობაში მაგდებს, რადგან ხშირ შემთხვევაში ფული არ მაქვს. ერთი ბავშვი, რომელიც ახლა წამოიზარდა, აქვე მათხოვრობდა. ერთხელ სახლში მომადგა „ბორჯომით" და ორი ცალი ნაყინით ხელში. მითხრა, შეგატყვეთ, ფული რომ არ გქონდათ და ცუდ ხასიათზე იყავით, რაც შემიძლია, აი, ეს არისო. მერე ამ ბავშვებისგან ფეხბურთის გუნდი გავაკეთე — ორი გოგო იყო და სამი ბიჭი. გუნდს „ოლივერი" დავარქვი და კიროვის ბაღში ვათამაშებდი ხოლმე. წამოიზარდნენ და აღარ მათხოვრობენ. არ ვიცი, ახლა სად არიან.

***— თქვენი ხუთი შვილისთვის როგორი მამა ხართ?***

— სხვადასხვანაირი მამა ვარ. ვერ დავიკვეხნი, რომ ამ მდგომარეობით კმაყოფილი ვარ. არსებობენ სხვა ბავშვებიც, რომლებიც უპოვარი, ღარიბი ოჯახებიდან არიან და ისინი უფრო არიან ჩემი მზრუნველობის ობიექტები, ვიდრე ჩემი რომელიმე შვილი. ზოგი ყურადღების მიღმაა დარჩენილი, ზოგი — პირიქით, განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მყავს. ეს იქიდან გამომდინარე კი არ არის, რომელი მეტად შემაწუხებს, არამედ იმაზეა დამოკიდებული, ვის უფრო მეტად უჭირს.

**„ერთი ბავშვი აქვე მათხოვრობდა. ერთხელ სახლში მომადგა „ბორჯომით" და ორი ცალი ნაყინით ხელში. მითხრა, შეგატყვეთ, ფული რომ არ გქონდათ და ცუდ ხასიათზე იყავით, რაც შემიძლია, აი, ეს არისო. მერე ამ ბავშვებისგან ფეხბურთის გუნდი გავაკეთე — ორი გოგო იყო და სამი ბიჭი. გუნდს „ოლივერი" დავარქვი და კიროვის ბაღში ვათამაშებდი ხოლმე".**

***— გიფიქრიათ, რომ სიბერეში შეიძლება მარტო დარჩეთ?***

— გამორიცხულია. ჩემნაირი ტიპის ადამიანები მარტო არ რჩებიან და არც დიდხანს ცოცხლობენ. არც გენში მაქვს დიდხანს სიცოცხლე. ასე რომ, არ მგონია, იმ ასაკამდე მივაღწევ, როცა ჩემ გვერდით არავინ იქნება.

***— ახლა არის ვინმე თქვენ გვერდით?***

— დიახ.

✓ *რუსუდან ადვაძე*


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



# წმინდანები იმიტომ არსებობენ, რომ ჩვენ მაგალითი ავიღოთ მათგან

## ცხოვრება წმინდისა და სასწაულმოქმედისა დიდმოწამისა ქსენიასი

**გაგრძელება**

გამოცხადების შემდეგ უფლის სიტყვების მოსმენით განცვიფრებული და უზომოდ გახარებული წმინდა ქსენია ადიდებდა და უგალობდა უფალს, უფლის გაუჩინარების შემდგომ საპყრობილიდან საკანი საოცარ სურნელებას აფრქვევდა.

მეორე დღეს დომეტიანოსმა ისევ ბრძანა წმინდა ქსენიას მიყვანა მასთან. სურდა, კიდევ ერთხელ გამოეცადა, ვინძლო მიეღწია იმისთვის, რომ წმინდანი უფლისაგან დაეშორებინა. შეუდგა ტკბილი და მზაკვრული ხერხით ქსენიას მოტყუებას: „წარმოუდგენლად მეჩვენება, ქსენია, ამდენი სასწაულის შემდეგ კიდევ როგორ შეიძლება გწამდეს იესო ქრისტე, რომელიც შეიპყრეს იუდეველებმა და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჯვარზე გააკრეს. თუ მოისურვებ და მსხვერპლს შესწირავ ჩვენს უკვდავ ღმერთებს და ჩემი ცოლი გახდები, მაშინ შენი მომავალი იქნება ყველა შენს თანატოლზე უბრწყინვალესი. მინდა, შენ იყო ყველაზე ბედნიერი და ჩემი დედოფალი".

ამ ყველაფერზე წმინდანმა მიუგო: „ნუ გწამს, თითქოს ამ შემოთავაზებებით, დაპირებებით და ტყუილი სიტყვაკაზმულობით, მთავარო, შეარყევ ჩემს შეურყეველ რწმენას იესო ქრისტესადმი, რომელიც არის მთელი კაცობრიობის შემოქმედი. კარგად მომისმინე, შენ აქამდე საკმაოდ ბევრი ეცადე ჩემი მოტყუება, ხედავ, რომ არც ცეცხლი, არც ზღვა, არც მახვილი და არც სხვა ნებისმიერი რამ მე არ მაშინებს და არც მხიბლავს, ამიტომაც ნუ დაშვრები უსამართლოდ, რადგან შენს მცდელობას მომავალი არ აქვს. ხოლო ის, რაც გსურს, შეგიძლია ახლავე აღასრულო და ამით კიდევ უფრო დააჩქარებ ჩემს შეხვედრას ჩემს მხსნელთან ქრისტესთან".

დომეტიანოსი ბოლომდე დარწმუნდა, რომ შეუძლებელი იყო, რამე მიეღწია ამ ქალის პირისპირ. დარწმუნდა, რომ უძლური აღმოჩნდა, ამიტომაც გადაწყვიტა ქსენიას მოკვდინება. ეს იყო ის ერთადერთი და უკანასკნელი გამოსავალი: „ამიტომ, რადგან ქსენია უარყოფს ჩვენი მამა-პაპის ღმერთებს და სწამს ჯვარცმული ქრისტე, გიბრძანებთ, თავი მოჰკვეთოთ, დანარჩენი სხეულიც ნამცეცებად აკუწოთ და ცეცხლში ჩაყაროთ, რათა აღარასდროს აღარავის ახსოვდეს ეს ისტორია".

მსახურებმა გაიყვანეს წმინდა ქსენია კალამას გალავნის გარეთ იმ ადგილას, სადაც განაჩენი უნდა აღსრულებულიყო. წმინდანმა სთხოვა მტარვალ მსახურებს, ლოცვისთვის დრო მიეცათ, ვიდრე ბრძანებას აღასრულებდნენ, რაზეც თანხმობა მიიღო. ამის შემდეგ წმინდანმა მუხლი მოიყარა, ხელები ზეცად აღაპყრო და შეჰღაღადა უფალს: „უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო, რომელმაც გამომიხსნა დომეტიანოსის ბოროტი განზრახვისგან, შენ, უფალო, რომელმაც გამომიხსენ ბოროტის კლანჭებიდან, შენ გამწმინდე, უფალო, ცოდვათაგან ჩემთა და ღირს მყავ საუკუნო სამყოფელში დამკვიდრებად".

ლოცვის დამთავრებისთანავე მოისმა ხმა უხილავი, როგორც ქუხილი: „შევისმინე შენი ვედრება, ქსენია, და რაც ითხოვე, მსურს, აღგისრულო". მის შემდეგ მორჩილად დახარა თავი, დაელოდა მოწამის წმინდა გვირგვინს, რის შემდგომაც ჯარისკაცმა ბრძანებისამებრ მოჰკვეთა თავი. იყო 3 მაისი 318 წლის და წმინდა ქსენიას სულიც შეუერთდა დანარჩენი წმინდანების სულებს.

მანამდე კი, მტარვალის ბრძანებით, დაანაწევრეს წმინდა ქსენიას სხეული და ცეცხლში ჩაყარეს იმ იმედით, რომ საბოლოოდ გაანადგურებდნენ, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ, რადგან წმინდანის სხეულმა ისეთი სურნელება დაატრიალა, რომ მსგავსი არაფერი ენახა ქალაქის მოსახლეობას. გული მტარვალს მიართვეს ჯალათებმა, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა დომეტიანოსმა, გულიც ცეცხლში დააწვევინა, ვინძლო ამით მაინც დაესაჯა, რომელმაც მისი შეყვარება ვერაფრით შეძლო, თუმცა ბევრი კი ეცადა სხვადასხვა ჯადოქრული მეთოდებით.

ერთადერთი, რაც ქრისტიანებს ჰქონდათ სანუგეშოდ, წმინდა ქსენიას სხეულის ფერფლი იყო. ღვთის რისხვამ როდი დააყოვნა, ნადირობიდან ბრუნდებოდა დომეტიანოსი თავის მხლებლებთან ერთად, როდესაც გზაში მეხი დაეცა უსამართლო ჯალათს და ფერფლად იქცა მსახურების თვალწინ. წმინდა ქსენიას ფერფლი კი განაგრძობდა სასწაულთმოქმედებას.

წმინდა ქსენიას სასწაულთმოქმედების ამბავი მალე მოედო მთელი ელადის მოსახლეობას. საიდან აღარ მოჰყავდათ დაავადებულები, რომლებიც წმინდა დიდმოწამე ქსენიას მეოხებით იკურნებოდნენ. ასე ხდება დღემდე, ვინც კი წმინდა ქსენიას უხმობს საშველად. შევეცდებით, რამდენიმე სასწაულზე გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება.

ერთხელ ერთი ქალბატონი, სახელად მარიამი, რომელიც იყო ქალაქ პატრადან, უცნაურ ავადმყოფობას შეეპყრო და ვერც ერთმა ექიმმა ვერაფერი გაუგო, ვერც დიაგნოზი დაუსვეს და შესაბამისად, ვერც უმკურნალეს. ქალი სასოწარკვეთილებას მისცემოდა და ველარ გარკვეულიყო, ღირდა ბრძოლის გაგრძელება, თუ დანებებოდა და დალოდებოდა, როდის მოაღწევდა აღსასრული. ბოლომდე მაინც არ შეუწყვეტია ღვთისადმი ლოცვა და წმინდანებისადმი მეოხება.

ერთხელაც მათთან მივიდა მისი ქმრის და პელოპონისოდან. როცა ნახა რძალი ასეთ მდგომარეობაში და შეიტყო, რომ ექიმები ვერაფერს იგებდნენ, შეწუხდა. მაშინვე გაახსენდა საკუთარი ქალაქის წმინდანი, დიდმოწამე სასწაულმოქმედი ქსენია და შესთავაზა მარიამსაც და თავის ძმასაც, იქნებ ჩასულიყვნენ პელოპონისოში და შევედრებოდნენ წმინდა ქსენიას, რომელსაც არაერთი სასწაული აღესრულებინა.

როგორც კი მოისმინა მარიამმა წმინდა ქსენიას სასწაულების შესახებ, დღე და ღამე ცრემლით ევედრებოდა შეწევნას, ვიდრე მიეახლებოდა პირადად მის წმინდა ფერფლს, რომელიც ინახებოდა პელოპონისოში. ერთ ღამესაც, როცა ავადმყოფი კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და თან ლოცულობდა, გამოეცხადა წმინდანი და უთხრა: „შენი განკურნება არ ძალუძთ ექიმებს, მარიამ, ბოროტ ადამიანებს აქვთ შენზე ზემოქმედება. თუ გსურს ჩემთან შეხვედრა, მაშინ იცოდე, რომ უცილობლად განიკურნები, რადგან ვერავინ შეძლებს შენს წინააღმდეგობას. ჩემი სახელია ქსენია". ეს თქვა და გაუჩინარდა.

როცა გამოიღვიძა მარიამმა, მაშინვე უამბო თავის მეუღლეს ხილვის შესახებ. გადაწყვიტეს, სწვეოდნენ პელოპონისოს და მისულიყვნენ წმინდანის სახელობის ტაძარში. მაშინვე იცნო მარიამმა წმინდა ქსენიას ხატი, როგორც კი ტაძარში შევიდნენ. სამი დღის შემდეგ ისევ გამოეცხადა წმინდა ქსენია მარიამს და მიუგო: „განადიდე, მხევალო ღვთისაო, უფალი, რომელმაც მოგმადლა კურნება სენისაგან შენისა, შეგიძლია წახვიდე სახლში სრულიად ჯანმრთელი, შენმა სარწმუნოებამ გამოგიხსნა". ალბათ ადვილი წარმოსადგენია მარიამის სიხარული ამ სასწაულის შემდგომ.

იყო კიდევ ერთი შემთხვევაც, როდესაც წმინდა ქსენიამ განკურნა ერთი მიწათმოქმედის ვაჟი უკურნებელი სენისგან. ყმაწვილი მთვარეული იყო და გაიძახოდა: „წმინდა ქსენია მე მტანჯავს". ამის შემდეგ ბავშვის მშობლები მიეახლნენ წმინდანს და შესთხოვეს შვილის გამოჯანმრთელება, ბოროტის ხელიდან გამოხსნა. გამოეცხადა ბავშვის დედას ძილში წმინდა ქსენია და უთხრა, წასულიყო მათსავე სამრეკლოში და მოძღვრის რჩევები გაეთვალისწინებინა, თუ სურდა, რომ მისი შვილი განკურნებულიყო. ბავშვის დედა ისე მოიქცა, როგორც წმინდა ქსენიამ დაარიგა და სრულიად განიკურნა მათი ვაჟი.

წმინდა ქსენიას მიერ მომხდარი უთვალავი სასწაულის მოყოლა შეიძლება. არც ჩვენ უნდა დაგვავიწყდეს, როცა დაგვჭირდება მისგან შეწევნა და სასწაული არც ამჯერად დააყოვნებს. შეგვეწიე და მეოხ გვეყავ ჩვენ ცოდვილთა, წმინდაო დიდმოწამეო ქსენია!

**ქრისტესმიერი სიყვარულით**
**პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**



Cyan Magenta Yellow Black

## კითხვები მოძღვარს

# „ღვთისგან რწმენა ითხოვეთ და არა — სასწაული!“



■ მამა გიორგი

ღვთისმოსაობის, ღმერთის რწმენის გვერდით ყოველთვის არსებობდა ღვთის უარყოფა — ათეიზმი. ჩვენს ქვეყანაში იყო დრო, როცა ის სახელმწიფო იდეოლოგიაც გახლდათ. ეს საბჭოთა იმპერიაში ხდებოდა. ბოლშევიკური, შემდეგ კი კომუნისტური ხელისუფლება ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ყველა რელიგიას, განსაკუთრებული სისასტიკით კი — ქრისტიანობას.

ულმერთობის ხანა საბჭოთა საქართველოში შვიდი ათეული წელი გაგრძელდა, მერე კი რეჟიმი ჩამოიშალა და დაემხო, მაგრამ საზოგადოება ისე იყო მოწამლული ათეიზმით, ეს დაღი დღემდე მოჰყვება, შეგნებულად თუ შეუგნებლად უარყოფს ღმერთს და არ ფიქრობს იმ დამღუპველ შედეგებზე, რაც ურწმუნოებას მოჰყვება. ამ მტკივნეულ თემაზე იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება.

— **მამაო, ათეისტები თვლიან, რომ რელიგია აღმოცენდა იმ შიშის ნიადაგზე, რაც განუვითარებელ ადამიანს ბუნების ძალებისადმი ჰქონდა. რას უპირისპირდება ამ მოსაზრებას ეკლესია?**

— რელიგიური გრძნობის ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსად შეიქმნა. პიროვნება შიშს კი არ მიჰყავს ღმერთთან, არამედ თვითშეგნებას. ქრისტე პირდაპირ მოგვიწოდებს, რომ სასუფეველი ჩვენში უნდა ვეძიოთ. ბიბლიაში ნათქვამია: „გაუფრთხილდი შენს თავსა და მოძღვრებას, დამკვიდრდი მათში, რადგანაც ამით თავსაც იხსნი და შენს მსმენელთაც“ (1 ტიმ. 4,16). მავანი და მავანი ამტკიცებს, რომ რელიგიური გრძნობა გამოწვეულია ავადმყოფობისა და გარდაუვალი სიკვდილის შიშით. არადა პირიქითაა, რელიგია ადამიანს ასწავლის, მოთმინებით შეხვდეს ავადმყოფობას და თვით სიკვდილსაც.

ზოგი ამბობს, რელიგია ექსპლუატატორებმა მოიგონეს იმისთვის, რომ მისი მეშვეობით საზოგადოებრივი მღელვარებები ჩაეხშოთო. ეს არ არის მართალი. რელიგიას ხშირად ბოროტად იყენებდნენ, მაგრამ ის ყოველთვის ჩაგრულთა მხარეს იყო და არა — მჩაგვრელთა. რელიგიურობის ჭეშმარიტი ბუნება ეფუძნება იმ სულს, რაც უფალმა თავის შექმნილ ადამიანს შთაბერა. ამიტომაც გააჩნია ეს გრძნობა ყველა ადამიანურ ქმნილებას.

არქეოლოგია არ იცნობს არც ერთ ურელიგიო ხალხს ან თუნდაც ტომს. რელიგიური გრძნობა, როგორც პირველადი, კაცობრიობას მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში მიჰყვება. ურწმუნოება ადამიანისთვის შეძენილი და არაბუნებრივი გრძნობაა, რომელიც, წმინდა წერილის მიხედვით, განიხილება, როგორც ფსიქიკური დაავადების ერთ-ერთი სახე.

— **რაში მდგომარეობს ღვთის არსებობის ფსიქოლოგიური მტკიცება?**

— ძალიან საინტერესოდ აქვს ჩამოყალიბებული ნეტარ ავგუსტინეს შეხედულება ღვთის, როგორც მეხსიერებაში არსებული მოგონების, შესახებ. ღმერთი თავისი არამატერიალური, ყოვლისმფლობელი ძალით არსებობს ყველგან, იგი არსებობს ადამიანის სულშიც. ნეტარი ავგუსტინეს აზრით, ჭეშმარიტება სუფევს „შინაგან კაცში“. მისი ადგილსამყოფელი არის მეხსიერება. ესაა ერთგვარი სულის საკუჭნაო, უზარმაზარი საცავი, რომლის ცალკეულ სენაკებშიც ინახება მთელი მისი შიგთავსი თუ შინაარსი. ადამიანის სული მისი განსხეულების მომენტიდანვე იმარხავს ღმერთს. ნეტარი ავგუსტინე ღმერთის იდეას უკავშირებს ბედნიერებისკენ დაუოკებელი სწრაფვის იდეას.

— **ღმერთი რომ იწამოს, ადამიანი ხშირად სასწაულს ითხოვს და ეძებს, თუმცა, სასწაულების მიუხედავად, ბევრს მაინც არ სწამს.**

— სასწაულების მაძიებელ ადამიანებს უფალი მემრუშეებს უწოდებს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ უნდა უარვყოთ სასწაულები, უბრალოდ ის კერპად არ უნდა ვაქციოთ. მართლმადიდებლობა ასევე უარყოფს ცრუ სასწაულებს, გამორიცხავს ეზოთერიკის ყოველგვარ სახეობას — ოკულტიზმს, მაგიას, რაზედაც მთელი ინდუისტური ფილოსოფია, ფსიქოლოგია და რელიგიაა დაფუძნებული, შარლატანურ მოვლენებს, როგორიც გახლავთ ექსტრასენსორიკა, პარაფსიქოლოგია და სხვა.

არახალია, ძველია, რომ შთაგონებაზე, თვითშთაგონებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. თვით სომატური ავადმყოფობაც კი, რომელიც შეიძლება ადამიანს ჰქონდეს, თვითშთაგონების ძალით გარკვეული დროის შემდეგ რემისიას განიცდის. ადამიანს საკუთარ ორგანიზმზე ზემოქმედების მრავალი დაფარული შესაძლებლობა აქვს. სწორედ ამ დაფარულ შესაძლებლობათა არსებობაზეა დაფუძნებული ექსტრასენსის ზემოქმედება თავის პაციენტზე.

ყველაფერი — პარაფსიქოლოგია, ექსტრასენსორიკა თუ სხვა — ჭეშმარიტი ფსიქოლოგიის, ფსიქოთერაპიისა თუ ფსიქიატრიის დარგში მომუშავე ადამიანებისათვის ზურგში დანის ჩაცემა გახლავთ და სამარცხვინო უნდა იყოს მართლმადიდებლურად მოაზროვნე საზოგადოებისათვის. ეს ხომ ურწმუნოების თანამედროვე ვარიანტია. ცრუ სასწაულებიდან გამომდინარე, მავანნი უარყოფენ იმ სასწაულებსაც, რომლებიც მართლმადიდებლურ სამყაროში ხდება და ამის გამო ათეიზმში ვარდებიან. არსებობს ყველასათვის განცხადებული სასწაულები, რომლებიც ჩვენს დროშიც ხდება. თუნდაც მადლმოსილი ცეცხლის გარდამოვლენის ფაქტი რად ღირს. ამის მიუხედავად, ზოგიერთნი მაინც განაგრძობენ მტკიცებას, რომ ეს ყველაფერი ადამიანის წარმოსახვის, ფანტაზიის ნაყოფია.

ადამიანებს სურთ, ღმერთი იხილონ და აღიქვან მხოლოდ სხეულებრივი თვალით. მაგალითად, პირველმა კოსმონავტმა იური გაგარინმა მიწაზე ჩამოსვლისთანავე განაცხადა, ღმერთი არ არსებობს, რადგან იგი ზეცაში არ მინახავსო. ზოგმა ირწმუნა ამ სიტყვების, ხოლო მათ, ვინც იცოდა, რომ კოსმონავტს მთვარემდეც კი არ მიუღწევია და კოსმოსური სამყაროს მხოლოდ უმცირესი ნაწილი ნახა, ამ გულუბრყვილო განცხადებაზე გაეღიმათ. სამაგიეროდ, ამერიკელი ასტრონავტების პირველი ჯგუფი მთვარეზე დაჯდომისთანავე მოჰყვა ბიბლიის კითხვას და მილიონობით ტელემაყურებელი გახდა ამის მოწმე.

ღვთის არსებობა უამრავ მეცნიერსა და გამოჩენილ ადამიანს სწამდა. ნიუტონს ჰკითხეს, შენ, ასეთ სახელოვან მეცნიერს, როგორ შეგიძლია გწამდეს, რომ ღმერთი უკანასკნელ სამსჯავროზე ყველა ადამიანს გაიხსენებს, ვისაც კი ოდესმე უცხოვრია და მათ ერთმანეთისგან განასხვავებს ამქვეყნად აღსრულებული საქმეების მიხედვითო. ნიუტონმა ის ადამიანი, ვინც კითხვა დაუსვა, თავის სამუშაო მაგიდასთან მიიყვანა. მაგიდაზე დაყრილ ქვიშას რკინის ნაქლიბი შეურია. შემდეგ ამ ნარევს მაგნიტი მიუახლოვა. მაგნიტმა რკინა მიიზიდა და გამოაცალკევა ქვიშისაგან. ამ ცდის მერე ნიუტონმა განაცხადა — თუკი მე, ღვთის მიერ შექმნილ უბრალო მოკვდავს, შემიძლია ორი ნივთიერების ერთმანეთისგან გამორჩევა, მით უფრო შეუძლია ეს სამყაროსა და ყოველივეს შემოქმედ ღმერთსო.

აინშტაინი ამბობდა, ჩვენს მატერიალისტურ ეპოქაში სერიოზული მეცნიერი შეიძლება მხოლოდ ღრმად რელიგიური ადამიანი იყოსო.

იყვნენ ღვთისმგმობი მეცნიერებიც, იგივე ფროიდი, რომელიც, სხვათა შორის, თავის ფსიქოანალიზის თეორიაზე ამბობდა, ბატონებო, თქვენ აქ ღმერთს ვერსად იპოვითო. ფროიდის მიხედვით, ღმერთი არის ადამიანის არაცნობიერი სურვილების პროექცია, ადამიანის სწრაფვა უსაფრთხოებისკენ და ა.შ. ვოლტერი ამბობდა, ღმერთი რომ არ არსებულიყო, ადამიანები მას თვითონ გამოიგონებდნენო. ამგვარმა აზროვნებამ დიდი დაღი დაასვა კაცობრიობას, რისი შედეგიც იყო ნიჰილიზმისა და ათეიზმის დამკვიდრება და გაბატონება მე-20 საუკუნის დასაწყისში.

— **როდის დაიწყო ათეიზმმა საქართველოში ფესვის მოკიდება?**

— ჩვენი ქვეყნისთვის უბედურების მომტანი აღმოჩნდა ყველაფერი, რაც ულმერთოებასთან იყო კავშირში. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ულმერთოების შხამით მოირწყა მთელი ევროპა. ევროპელი „განმანათლებლების“ იდეები მოედო ქართველებსაც, კერძოდ, ამ იდეის შემწყნარებელი გახლდათ ბაგრატოვანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, სამეფო ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი. მისი მამა, მეფე გიორგი მე-12, ძალიან შეწუხდა შვილის ამ მოდური იდეებით გატაცების გამო. ერთხელ მეფემ შვილს შეუთვალა, მარხვა დაიცავი და ეკლესიაშიც ხშირად იარეო. წერილში სწერდა, შვილო, დავით, თურმე ეკლესიას თეატრს ეძახი, ცისკარს — სათამაშოსა და წირვას — წარმოდგენას, ნუ შვრები ამისთანა ღვთის გარეგან საქმეს, მოიქეც და ღმერთი იწამეო. დავითმა კი შეუთვალა, რაც მე მწამს, მე გამიწყრესო. მაშინ ბრძანა მეფემ 35-ე ფსალმუნის ეს სიტყვები: „დადგა იგი ყოველსა გზასა არა კეთილსა და ბოროტი მას არა მოეწყინა“. ტახტის მემკვიდრემ ამ მკრეხელური შემონათვალით საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი. ახალგამომცხვარი ვოლტერიანელი უფლისწული ისე გაუკადნიერდა ღვთის წყრომას, თავად დაიწყევლა თავი, თავად თქვა უარი ტახტზე. ამიტომაც არ მისცა მეფობა ღმერთმა თავის უარმყოფელს, არ სცხო მირონი თავისი ნებით მტრის მახეში გაბმულს. ეს გახლდათ მიზეზი ბაგრატიონთა სამეფოს დასრულებისა.

1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გაუქმების მიზეზიც ულმერთობა იყო. ათეისტი სოციალ-დემოკრატებისგან შემდგარი ხელისუფლება განწირული იყო თუნდაც იმიტომ, რომ ისინი სასულიერო პირებს არაფრად აგდებდნენ. ერთ-ერთმა მათმა წარმომადგენელმა ეპისკოპოსს, რომელსაც მისი საქმიანობის დალოცვა და კურთხევა სურდა, კადნიერად მიახალა, შენი ლოცვა-კურთხევა არაფრად მჭირდებაო. ამ ყველაფერს უმძიმესი შედეგები მოჰყვა...

ღვთის უარყოფას გადაგვარებამდე მიჰყავს კაცი, ამიტომ უნდა ვითხოვოთ რწმენა და არა სასწაული. წმინდა პაისი ათონელი ამბობდა: „თუკი ადამიანი ცხოვრების გზაზე რწმენით მიდის, დაუეჭვებლად ითხოვს ღვთისგან შეწეობას, მასში ნელ-ნელა აღესრულება სასწაულებრივი მოვლენები: თავიდან მცირე, შემდეგ უფრო დიდი და იგი უფრო მორწმუნე ხდება. დიდებული საქმეა საკუთარი თავის უფლისადმი მინდობა, რომლის დედად სწორედ რწმენა გვევლინება“.

✓ მანანა ნოდია



Cyan Magenta Yellow Black

← 9 შინებლად. ვერსად მივდიოდი, ჩემი და ჯარჯის სახლის გარდა. სხვაგან თუ გადავუხვევდი, წინ მანქანა გადამიდგებოდა ხოლმე. ერთხელ გზა ჩამიჭრეს და ჩემი მგზავრი დაშავდა კიდეც. ნიშანს მაძლევდნენ, სხვაგან არ წახვალ, მხოლოდ აქ მიხვალო. ავარიამდე რომ მივიდა საქმე, ადეიშვილს დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე, ეს რა არის-მეთქი. მშვიდი პასუხი მივიღე, რომ სანერვიულო არაფერი გვქონდა, მათთვის „რუსთავი 2“ ძალიან მნიშვნელოვანი იყო და წილი უნდა დაგვეთმო. ისევ უარი ვუთხარი და წამოვედი. ერთ მშვენიერ დღეს კი ეროსი კიწმარიშვილმა პირდაპირ ეთერში არხის გაკოტრების შესახებ გააკეთა განცხადება. როცა გაკოტრება ცხადდება, მმართველი ინიშნება და მეწილეებს აღარ რჩებათ უფლება, რამეზე გავლენა იქონიონ.

**— გაკოტრების მიზეზად 9 მილიონიანი ვალი დასახელდა სახელმწიფოს მიმართ, რადგან გადასახადებს არ იხდიდით თურმე.**

**დავითი:** ჩვენ გვაქვს იმ დროის საგადასახადო სამსახურიდან ამონაწერი. დავალიანება 920.000 ლარს შეადგენდა.

**— ეს ბევრია თუ ცოტა ასეთი კომპანიისთვის?**

**დავითი:** ბევრია, მაგრამ ისეთი კატასტროფული — არა, როგორიც 9 მილიონი. სერიოზულ ორგანიზაციებს გარკვეული პერიოდულობით შეიძლებოდა ჰქონოდათ ასეთი ვალი. შეღავათზე ლაპარაკი წარმოუდგენელი იყო, ყველაფერს ვფარავდით. ახლა გამოძიებას ვთხოვთ, გაარკვიონ, რა 9 მილიონზეა ლაპარაკი. მერე ეროსიმ ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა, ეს თანხა გაბერილი იყოო, ანუ გაკოტრების საფუძველი არ არსებობდა. ჩვენი წილების გადაფორმებიდან რამდენიმე დღეში ფინანსური ამნისტია გამოვიდა და ვითომ ეს ვალი ეპატია „რუსთავი 2“-ს. ამ გაკოტრებაში ეროსიმ შეასრულა დიდი როლი. მერე ისე ახსნა, ვითომ შეცდომაში შეიყვანეს.

**„აქამდე ჩუმად ვიყავით, რადგან გამოძიებამ გვთხოვა, ნაკლებად გველაპარაკა. ბიძინა ივანიშვილმა თქვა, სანამ სასამართლომდე მიხვალთ, წართმეული ქონების დაბრუნება სცადეთო და ჩვენც ვცადეთ. შუამავლის საშუალებით შევუთვალეთ, იქნებ თავიანთი ნებით დაებრუნებინათ ჩვენი 9 წლის წინ წართმეული ქონება და პრობლემა ამოწურულიყო. ორი დღის შემდეგ კი ტელევიზიით განაცხადეს, რომ „რუსთავი 2"-ის წილები ისევ გაიყიდა და კეზერაშვილი გახდა მფლობელი".**

**ჯარჯი:** გაკოტრების შემდეგ მაინც არ ვთმობდით ჩვენს წილს. მაშინ „რუსთავი 2“-ს კრედიტი ჰქონდა აღებული ერთ-ერთი ცნობილი უცხოური მედიაორგანიზაციიდან. გრძელვადიანი კრედიტი იყო, რომელსაც ვიხდიდით. გარანტორი „ჯორჯია ონლაინი“ და ჩვენი პირადი ქონება იყო. რაც გაგვაჩნდა, ყველაფერი აქ გვედო. გაკოტრების გამოცხადების შემდეგ გაუგზავნეს წერილი იმ ორგანიზაციას, რომ კომპანია გაკოტრების რეჟიმში იყო შესული. იქიდან მოვიდა წერილი — ახლავე დაფარეთ ვალი, თორემ გარანტიაში ჩადებულ ქონებას წავიღებთო. ბევრი ვიფიქრეთ, ავწონ-დავწონეთ და დავთანხმდით წილების დათმობას.

**დავითი:** გზა არ დაგვიტოვეს, ან მხოლოდ „რუსთავი 2“-ს დათმობთ, ან ყველაფერს დაკარგავთ, რაც გაგაჩნიათო. „მეგრელებში“ რაც თქვეს, მათი ეს გადაწყვეტილება ურყევი იყო და ბრძოლის მეთოდებს ამკაცრებდნენ. გამოგვაყოლეს ვიღაც კაცი, რომელმაც ჩვენი წილები გადაიფორმა. ანეკდოტია — ერთი დღით „რუსთავი 2“-ის მფლობელი იყო ბიჭი, რომელიც ცხოვრობდა ბათუმში, ოროთახიან „ხრუშჩოვკაში“. წარმოიდგინეთ, რა სახსრების პატრონი იყო, რომელმაც „რუსთავი 2“-ის საკონტროლო პაკეტი იყიდა! მეორე დღეს ისევ დაგვიბარეს და იმ ბიჭის მაგივრად ქიბარ ხალვაში დაგვხვდა. გვითხრა, ბიჭებო, არ ვარ ცუდი ტიპი, მეც გაუგებრობაში ვარ და თქვენი კარგად მესმის, მაგრამ რა ვქნა, არც მე მიხარია ეს ამბავიო. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ თავისი წილი დათმო ეროსიმ და ისიც ქიბარ ხალვაშმა იყიდა. ტაბატაძეს რამდენიმე თვის მერე დაათმობინეს თავისი წილი. 2004 წლის ბოლოსთვის 100%-იანი წილის მფლობელი ქიბარ ხალვაში იყო.

**— მერე კი „ჯორჯია ონლაინიც“ წაგართვეს.**

**დავითი:** „რუსთავი 2“ დავთმეთ „ჯორჯია ონლაინის“ გადასარჩენად. მაშინ დაგვრჩა ეს კომპანია, მაგრამ როცა მთლიანად გადავერთეთ ამ ინტერნეტპროვაიდერის საქმიანობაში და გემრიელ ლუკმად ვაქციეთ (ინტერნეტბაზრის მომსახურების 60% ეკავა), რაღაც გაურკვეველი გადასახადები და ფასები დაგვიწესეს. მაგალითად, სატელეფონო ხაზების ქირაობაში თუ ვიხდიდით 3 ლარს, მეორე თვიდან 15 ლარი უნდა გადაგვეხადა, სხვებისთვის კი ისევ 3 ლარი იყო. ამ ბიზნესიდანაც იძულებით გავედით. თან მაშინ უკვე ფსიქოლოგიურად გატეხილები ვიყავით. სასტიკი უსამართლობის განცდა გვქონდა. იმის მერე ნახევარი ადამიანი ვარ. ეს დაღი მთელი 9 წლის განმავლობაში მოგვყვება.

**— აქამდე რატომ არ ამოიღეთ ხმა, რატომ არ გაახმაურეთ ეს ამბავი?**

**დავითი:** სად, ვისთან გაგვეხმაურებინა?!

**— თუნდაც თქვენი ტელევიზიის ეთერით, პრესის ფურცლებზე. ამ წლების განმავლობაში დამოუკიდებელი პრესა ყოველთვის გაწერნებდით რეალური ფაქტების გასმოვანებას.**

**ჯარჯი:** ჩვენს ტელევიზიასთან უკვე კავშირი აღარ გვქონდა. თან ეტაპობრივად რთულდებოდა ყველაფერი. ისეთი დრო იყო, როცა ხალხი აჟიტირებული იყო ახალი ხელისუფლებით და რაც უნდა გვეთქვა, მხოლოდ ჩვენს საზიანოდ შემობრუნდებოდა. მაშინ ჯერ კიდევ ვერ წარმოგვედგინა, თუ რა მეთოდები შეიძლებოდა გამოეყენებინათ.

**დავითი:** გამოცდილება არ გვქონდა, თორემ შეგვეძლო, დირექტორი შეგვეცვალა და სხვანაირად წაგვეყვანა პროცესები. ჩვენ ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი ვიყავით. მათი შემდეგი გაჩერება „ტელეიმედი“ იყო. პატარკაციშვილს საქართველოს რკინიგზა შესთავაზეს, რადგან ის ფინანსურად მძლავრი, გავლენიანი იყო და ჩვენსავით გაკოტრებაზე ვერ გაუშვებდნენ. პატარკაციშვილი დროზე მიხვდა, რომ ეს სატყუარა იყო და მერე შეუცვივდნენ ეთერში.

**— თქვენ კი გადარჩით ციხეს და იმ საშინელებებს, რაც იქ ხდებოდა.**

**დავითი:** კი, კარგად ვართ გადარჩენილები. რაც ახლა გვესმის, იმ საშინელებების წარმოდგენაც შეუძლებელი იყო. თან, მგონი, ამის პრაქტიკა არც ჰქონდათ. უარი რომ გვეთქვა, კიდევ რამეს მოიფიქრებდნენ მაშინვე და აუცილებლად მიაღწევდნენ მიზანს. დღეს რომ გადახედავ, რა აკეთეს „რუსთავი 2“-ით ამ 9 წლის განმავლობაში, მართლა სჭირდებოდათ ეს კომპანია იარაღად.

**— თქვენ ალბათ ისიც იცით, ჟურნალისტების დაშინების რა მეთოდები ჰქონდათ.**

**დავითი:** წარმოიდგინეთ, ჟურნალისტები უცებ გალიაში ჩასვეს. მათ ვინმე რამეს ეტყოდა თუ უჩიოდა, ყოველთვის მათ ზურგს უკან ვიდექით. ვეუბნებოდით, არ დაიხიოთ უკან, ნუ გეშინიათ, პასუხისმგებლები ჩვენ ვართ, თქვენ საქმე აკეთეთ-თქო. ნაწილი პროტესტის ნიშნად წავიდა, ნაწილმა კი დარჩენა გადაწყვიტა. ვინც მითხრა, არ არის ზეწოლაო, ზუსტად ისინი დაითხოვეს, რადგან აღარ მოეწონათ მათი ნამოქმედარი. მერე კი მათ დაშინებას მიჰყვეს ხელი. ჟურნალისტიკა საერთოდ განიდევნა არხიდან და ყველა სიახლეს და გადაცემას სახელმწიფო სტრუქტურებში გეგმავდნენ.

**„შეცდომა მოგვივიდა, მაგრამ მაშინ არავის არაფერზე გავრიგებივართ. შეცდომა იყო ის, რომ მხარე აღმოვჩნდით. არ შეიძლებოდა, მასმედია ასეთი ცალმხრივი პოლიტიკური მხარე გამხდარიყო".**

**— თქვენს წილებში გარკვეული თანხა გადაგიხადეს თუ სულ ნულზე დაგსვეს?**

**დავითი:** კი, გარკვეული თანხა მოგვცეს, მაგრამ ეს სასაცილოა კომპანიის საბაზრო ღირებულებასთან შედარებით.

**ჯარჯი:** მაშინ ჯერ იქამდე არ იყვნენ გათავხედებული, რომ ღამით დავებარებინეთ და ჩუქება გაეფორმებინათ.

**დავითი:** ახლა რომ ვფიქრობ, ჯობდა, „გვეჩუქებინა“.

**— „ჩუქების“ შემთხვევაში ახლა უფრო ადვილად აღადგენდით სამართლიანობას და დაიბრუნებდით თქვენს წილს?**

**დავითი:** დიახ. ვაპირებთ ჩვენი წილის დაბრუნებას. პროკურატურას მივმართეთ, რომ ფაქტი გამოიძიონ. ქურდს ქუდი ეწვის! სააკაშვილი რა უფლებით მოუწოდებს პროკურატურას, საქმე შეწყვიტოს?! ფაქტობრივად, თავი გაყიდა. სასაცილოა, „რუსთავი 2“ წარმოაჩინო, როგორც დემოკრატიის ბოლო ინსტიტუტი. მთელი წელია ის საშინელებები გვესმის, რასაც ეს ხელისუფლება ჩადიოდა. „რუსთავი 2“ კი მთავარი იარაღი იყო ამ ყველაფრის მიჩქმალვასა და გადაფარვაში. იმიტომ არის, რომ დღესაც ჩაბღაუჭებულია ამ არხს. შემოგვითვალეს, ქვეყანა რომ დაიქცეს, „რუსთავი 2“-ს არ დავთმობთ, ამისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთო.

**— ახლა შემოგითვალათ?**

**დავითი:** დიახ, მაშინ, როცა ვთქვით, რომ „რუსთავი 2“-ისთვის ბრძოლას ვიწყებდით. აქამდე ჩუმად ვიყავით, რადგან გამოძიებამ გვთხოვა, ნაკლებად გველაპარაკა. ბიძინა ივანიშვილმა თქვა, სანამ სასამართლომდე მიხვალთ, წართმეული ქონების დაბრუნება სცადეთო და ჩვენც ვცადეთ. შუამავლის საშუალებით შევუთვალეთ, იქნებ თავიანთი ნებით დაებრუნებინათ ჩვენი 9 წლის წინ წართმეული ქონება და პრობლემა ამოწურულიყო. ორი დღის შემდეგ კი ტელევიზიით განაცხადეს, რომ „რუსთავი 2“-ის წილები ისევ გაიყიდა და კეზერაშვილი გახდა მფლობელი. იმავე დღეს გვითხრეს, რომ კეზერაშვილს უნდოდა ჩვენთან შეხვედრა. სახლში მოვიდა და მითხრა, თუ ფული გაინტერესებთ, ამაზე ვილაპარაკოთო.



Cyan Magenta Yellow Black

ვუთხარით, რომ არ გვაინტერესებდა და ჩვენი ამოცანა ტელევიზიის დაბრუნება იყო. ძველბიჭური ჟესტით მითხრა, მაშინ ჩემთან გექნებათ საქმე, რადგან „რუსთავი 2“ კეთილსინდისიერად ვიყიდეო. დაგვემუქრასავით. რამდენიმე დღეში ისევ გაყიდა ის წილი და ისევ ყარამანაშვილმა დაიბრუნა უკან. თვითონ კი ამ ისტორიიდან უკვალოდ გაქრა. მერე კი შემოგვითვალეს, ბოლომდე ვიბრძოლებთ, „იმედი“ დავთმეთ, მაგრამ „რუსთავი 2“-ს არ დავთმობთო.

**— როგორ ცხოვრობდით ამ წლების განმავლობაში, რას საქმიანობდით?**

**დავითი:** თავიდან ისეთი გადაღლილი ვიყავი ყველაფრით, ცოტა ხანს დავისვენეთ. მერე ისეთი კომპანიები ჩამოვაყალიბეთ, რომ მათი მასშტაბი თვალში არავის მოხვედროდა და მათი ინტერესის საგანი არ გამხდარიყო. ისევ ტელეკომუნიკაციის, მობილური კავშირების სფეროში ვართ. მაგალითად, ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას ვაკეთებთ, გადაცემებში მონაწილე კონკურსანტებმა რომ სატელეფონო ხმები მიიღონ და ა.შ.

**— თუ სამართლიანობა აღდგა და წართმეული დაიბრუნეთ, რა ბედი ეწევათ იმ ჟურნალისტებს, რომლებიც ამ წლების განმავლობაში რეჟიმს ემსახურებოდნენ და ნდობა აშკარად დაკარგული აქვთ?**

**დავითი:** ჯერ თავს შევიკავებ ამ თემაზე ლაპარაკისგან. მათ მიმართ თანაგრძნობით ვართ განწყობილი. ხომ ხვდებით, რეებს უკეთებდნენ ადამიანებს?! ფაქტობრივად ტუსაღები არიან. ტელევიზიის კონცეფციაზე უკვე ვმუშაობთ, თუ რა და როგორ უნდა იყოს და, როცა დრო მოვა, ყველაფერს გეტყვით.

**აუცილებლად მინდა გავაჟღერო:** ბოლო დროს დადის ხმები, რომ ძმებმა ყარამანაშვილებმა, რომლებიც „რუსთავი 2“-თან ერთად სხვა კომპანიების მფლობელებიც არიან, წილების გაყიდვა დაიწყეს, გაყიდეს თუ დათმეს წილი „მზეში“, რაღაც

**„შემოგვითვალეს, ბოლომდე ვიბრძოლებთ, „იმედი“ დავთმეთ, მაგრამ „რუსთავი 2“-ს არ დავთმობთო“.**

მსგავსი ხდება „კაუკასუს ონლაინში“. ცოტა შიში გაგვიჩნდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძებთ და აღმოვაჩენთ, რომ „რუსთავი 2“-ს ახალი მფლობელი ჰყავს. ეს საქმეს უფრო გაართულებს. ადრე რასაც აკეთებდნენ, სასაცილოა. ეგონათ, სულ თვითონ იქნებოდნენ, სიმბოლურ ფასად აფორმებდნენ ერთიმეორეზე და ეგონათ, არავინ იქნებოდა მომკითხავი.

**— თუ ეს მართლა მოხდა — „რუსთავი 2“-ს ახალი მფლობელი გაუჩნდა, რომელიც იურიდიულად კეთილსინდისიერი მყიდველი იქნება, ეს კომპანიის დაბრუნებაში ხელს შეგიშლით?**

**დავითი:** ამ პროცესს შეაფერხებს, თორემ კეთილსინდისიერად იმ ჯაჭვში ვერავინ ჩაჯდება. ყველას მოვუწოდებ, ნურავინ გახდება მორიგი სააკაშვილი! რადგან გაგვაფრთხილეს, რომ ამ არხს მარტივად არ დათმობენ, ალბათ გარკვეულ მაქინაციებს მიმართავენ და ამას არავის ვურჩევ. ყველა კარგად დაფიქრდეს, სანამ ასეთ ნაბიჯს გადადგამს, რადგან საქმე აღძრულია და ვერავინ იტყვის, მე არ ვიცოდი და მე კეთილსინდისიერი ვარო. დროის გადაწევის მიზნით კი სააკაშვილი მაგასაც იზამს. ეს მაგათი სტილია.

✓ **რუსუდან ადვაძე**

# ეროსი კიწმარიშვილი: „ივანიშვილი და სააკაშვილი „რუსთავი 2“-ისთვის ვაჭრობენ“



„რუსთავი 2“-ის წილების იძულებით დათმობაზე დაწყებული გამოძიების პროცესში პროკურატურის კითხვებზე პასუხების გაცემა აუცილებლად მოუწევს ტელეკომპანიის ყოფილ გენდირექტორს, ეროსი კიწმარიშვილს (ის უკვე დაკითხეს კიდეც მოწმის სტატუსით), რომელმაც თავის დროზე კომპანია გაკოტრებულად გამოაცხადა და ამით მის გაყიდვას, უფრო სწორად, ვარდების ხელისუფლების ხელში ჩაგდებას, გზა გაუხსნა.

„სარკესთან“ ამ საკითხზე საუბრისას ეროსი კიწმარიშვილი ირწმუნება, რომ „რუსთავი 2“-ს მართლაც ჰქონდა 9 მილიონიანი ვალი, რომელიც შემდეგ ბიზნესამნისტიის საფუძველზე ჩამოეწერა. მისივე ინფორმაციით, ახლა იმ ჰოლდინგში შემავალი კომპანიები, სადაც „რუსთავი 2“-იც შედის, ნელ-ნელა იყიდება და მას ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებული ფირმები ყიდულობენ.

**ეროსი კიწმარიშვილი:** გამოძიება, რომელიც ჩემი ყოფილი პარტნიორების ინიციატივით არის დაწყებული, უკვე 9 თვეზე მეტია გრძელდება. არ დაკითხულან ისეთი ადამიანები, რომელთა დაკითხვაც აუცილებელი და ადვილია. მაგალითად, ვანო მერაბიშვილი, რომელიც ციხეში ზის და ქიბარ ხალვაში, რომელიც ფიზიკურად არ არის საქართველოში, თორემ არ იმალება.

**— თქვენი აზრით, რა ინფორმაცია აქვს ქიბარ ხალვაშს, რა შეიძლება მან თქვას?**

— ის ამ საქმეში ერთ-ერთ დაზარალებულად არის გამოცხადებული, ყოველ შემთხვევაში, პრემიერმინისტრი ასე ამბობს. ამ ყველაფრის პარალელურად ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ გაიყიდა „კაუკასუს ონლაინი“, რომელიც ასევე ჩემ მიერ დაფუძნებული კომპანიის „ჯორჯია ონლაინის“ და სხვა კომპანიის შერწყმის შედეგად წარმოიქმნა და ისევე, როგორც „რუსთავი 2“, მიხეილ სააკაშვილის მედიაჰოლდინგის ნაწილს წარმოადგენდა. ეს ფაქტი შემდგარია საზღვარგარეთ ოფშორში. იქ შეიცვალა ხელმძღვანელობა. ამავე დროს, ტელეკომპანია „მზეც“ გაყიდა სააკაშვილმა. აქედან გამომდინარე, გამიჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ივანიშვილი და სააკაშვილი ამ თემით ვაჭრობენ.

ჰოლდინგის შიგნით ცვლილებები ისე მოხდა, რომ საზოგადოებას არ უთხრეს. მოხდა ისე, რომ „ჯორჯია ონლაინი“ იყიდა ბიძინა ივანიშვილთან აფილირებულმა ბიზნესჯგუფმა. თუ „მზე“ და „კაუკასუს ონლაინი“ ბიძინა ივანიშვილმა თუ მასთან აფილირებულმა ბიზნესჯგუფმა შეიძინა, მიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ შესაძლოა „რუსთავი 2“-ც მის ხელში გადავიდეს. ივანიშვილმა თქვა, რომ „რუსთავი 2“-ის გამო მიმდინარეობს გამოძიება, რომელიც ოდესმე დამთავრდება და როდის დასრულდება, ეს არის საკითხავი.

**— ბატონო ეროსი, თქვენი ყოფილი პარტნიორების — ახალაძის და დვალის, ინიციატივით დაიწყო გამოძიება. თქვენ რატომ არ დაიწყეთ?**

— მე ვიდავე ჩემი აქტივების დასაბრუნებლად 2008 წელს და წავაგე სასამართლო პროცესი. სამოქალაქო დავის ფორმით მე ახალი პროცესის ინიცირების მექანიზმი სამართლებრივად აღარ მაქვს. ქიბარ ხალვაშისადმი მოთხოვნა ჩემი წილის უკან დაბრუნების შესახებ, ხანდაზმულობის ვადის გამო უარყოფილია. მაშინ რომ სხვა პოლიტიკური ვითარება იყო, ეს სასამართლოსთვის არაფერს ცვლის. ჩემი ყოფილი პარტნიორები რომ აწარმოებენ დავას, ეს ჩემთვისაც საუკეთესო პრეცედენტია, რადგან შესაძლებელია სახელმწიფომ ახალი გადაწყვეტილება მიიღოს. მე მოწმის სტატუსით დამკითხეს. ასევე ინტერესით ველოდები ყველა სხვა ტიპის მოქმედებებში მონაწილეობას. თუმცა, როცა წინსვლა არ ხდება და ფორმალური მიზეზებით ყოვნდება სასამართლო, ეს მაძლევს საფუძველს, ვიფიქრო, რომ კულუარულად რაღაც გარღვევა ხდება. თუ ახლა „რუსთავი 2“ გაიყიდა, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ სააკაშვილმა გაყიდა და ივანიშვილმა იყიდა. ამ თემაზე საუბარი დავიწყე არა იმის გამო, რომ ამაზე ჩემი ყოფილი პარტნიორები ალაპარაკდნენ, არამედ იმიტომ, რომ არასწორი აქცენტები დასვეს ჩემთან მიმართებაში.

**— ვარდების რევოლუციის შემდეგ თქვენს პარტნიორებს სთხოვეთ, რომ სააკაშვილს შეხვედროდნენ, სადაც მათ მოსთხოვეს, ტელეკომპანია დაეთმოთ. ეს რატომ გააკეთეთ?**

— 2004 წლის მაისის შუა რიცხვებამდე მე ვიყავი ბარიერი მათსა და ხელისუფლებას შორის. მაისის შემდეგ თუ რამე შეხვედრაზე იყო ლაპარაკი, აღარ ვიცი. მაგ პერიოდში სააკაშვილთან ინტენსიური შეხვედრები მქონდა და წარმოდგენა არ მაქვს, რა შეხვედრის შეთავაზებაზე ამბობენ, არ მახსოვს. დვალს გარკვეული სპეციფიკური მეხსიერება აქვს, მე — არა.

**— ის კი აუცილებლად გეხსომებათ, როგორ სთხოვდა ხელისუფლება მათ წილების გადაფორმებას.**

— 2004 წლის მაისიდან „რუსთავი 2“-ის 60%-ის მფლობელებისგან გვერდზე ვარ გაწეული. მე ანგარიშს არავინ მაბარებდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ერთმანეთთან სერიოზულ კონფლიქტში ვიყავით. ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ მათი წილე- →76

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

ბის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას.

**— თქვენი წილი როგორ დათმეთ?**

— ჩემი წილის გადაცემა მაშინ მოხდა, როცა ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რომ აღარ შემეძლო გადაწყვეტილების მიღება. ჩემზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხორციელდებოდა შეტევა — ნოემბრიდან მაისის ჩათვლით. გარკვეული დროის განმავლობაში მე ვიცავდი მთლიანად კომპანიას, მერე კი ვთქვი, მე არ ვფლობ კომპანიის საკონტროლო პაკეტს და ელაპარაკეთ იმათ, ვისაც უფლებამოსილება აქვთ-მეთქი. ისინი დაელაპარაკნენ მათ. შემდეგ მე გავიგე, რომ კომპანიის საკონტროლო პაკეტი გაიყიდა და მე აღმოვჩნდი მილიმენტარულ მდგომარეობაში, რაც ავტომატურად ნიშნავდა, რომ ყველანაირ ბერკეტს ვკარგავდი. მათი აქტივების გაყიდვიდან ერთ კვირაში მეც დავთმე ჩემი წილი. მეც ისევე მომთხოვეს ჩემი წილის დათმობა, როგორც მათ. მათგან განსხვავებით, 2008 წელს დავიწყე დავა ჩემი წილის გამო.

**— თქვენი ყოფილი პარტნიორები ამბობენ, რომ მაშინ, როცა ფინანსურად კომპანია საკმაოდ ნორმალურ მდგომარეობაში იყო, თქვენ ის გაკოტრებულად გამოაცხადეთ.**

— ყველა თემა, რაზეც ჩემი ყოფილი პარტნიორები ლაპარაკობენ, მათი მხრიდან პროკურატურაში გაცხადების საფუძველია. პროკურატურამ დამკითხა მოწმის სტატუსით და ჩემგან მიიღო ინფორმაცია. არ ვაპირებ უფრო ღრმად ამ თემის განხილვას. გამოძიებამ გაარკვიოს, რა მოხდა. აქიმიძესა და დვალთან ურთიერთობა კარგა ხანია არ მაქვს. რა იყო ჩვენი კონფლიქტის სათავე, თქვენი საქმე არ არის!

**— კი, ბატონო, მაგრამ ისინი ამბობენ, რომ თქვენგან მოითხოვდნენ, ნაციონალური მოძრაობის მხარედ არ დარჩენილიყავით და კონფლიქტიც ამან გამოიწვია. თურმე თქვენ არ უსმენდით, აღარც მათ აზრს ითვალისწინებდით.**

— არასწორად სვამთ კითხვას ან არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებთ ჩემი ყოფილი პარტნიორების განცხადებას. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია, წარმართოს როგორც ოპერატიული, ისე საინფორმაციო სტრატეგია. როგორ შეიძლებოდა ვინმესთვის რამე შემეთანხმებინა, გარდა დამფუძნებელთა კრებისა?! არანაირი სააკაშვილის პოლიტიკის წარმართვა არ ხდებოდა იმ პერიოდში და ამ თემაზე დისკუსია არც გვქონია. თუ 60%-ს ფლობთ და რაღაც არ მოგწონთ, რას აკეთებთ? მარტივი პროცედურაა, ხსნით გენერალურ დირექტორს.

**— გამოუცდელობით მოგვივიდა, ეს რომ არ გააკეთეთ, ამბობენ.**

— რისი გამოუცდელობით? ვისზე ვლაპარაკობთ, იცით?! ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც საქართველოში სამი უმსხვილესი კომპანია შექმნეს — „რუსთავი 2", „ჯორჯია ონლაინი" და „24 საათი". რომელიმე მათგანი ჩემი ჩათვლით გამოუცდელი იყო?! ვინმე დამისახელეთ მსგავსი წარმატებული ბრენდის შემქმნელი! ან თქვენ ხართ შეყვანილი შეცდომაში, ან ისინი სხვა რამეს ამბობენ და თქვენ სხვა რამე გაიგეთ.

**— მე წერილობით დაგიდასტურებთ ჟურნალის ფურცლებიდან მათ ნათქვამს. ერთ მარტივ კითხვას გისვამთ: იმ დროისთვის, როცა თქვენ კომპანიის გაკოტრების შესახებ განაცხადეთ, მართლა ჰქონდა „რუსთავი 2"-ს 9 მილიონი ვალი თუ არა?**

— მაშინ რა ქაღალდიც წარვადგინე, ეს იყო შედგენილი იმ ვალდებულებებისგან, რაც „რუსთავი 2"-ის წინაშე იდგა ან მალე დადგებოდა. ეს თანხები საბოლოოდ არ იყო დამტკიცებული. ეს იყო თანხა, რომლითაც საუბარს ვიწყებდით სახელმწიფოსთან.

**— დვალს და აქიმიძეს ჰქონიათ საგადასახადოდან ამონაწერი, სადაც კომპანიის ვალი მხოლოდ მილიონამდე იყო.**

— სად არის ეს ამონაწერი ან ვინ მისცა მათ?! ვინ მიმართა საგადასახადოს და როდის?! დამფუძნებელი რომ მივიდეს და უთხრას, ეს ინფორმაცია მომეცითო, გგონიათ, საგადასახადო ამ ინფორმაციას იძლევა დამფუძნებელზე? ეს არის ინფორმაცია, რომელიც მათთვის გენერალურ დირექტორს, ანუ მე, უნდა მიმეწოდებინა.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ, რომლის ხელმძღვანელიც მე გახლდით და ბიზნესმენთა ფედერაციამ 2004 წლის მარტში ერთობლივად მიმართა ხელისუფლებას, რომ ბიზნესამნისტია გამოცხადებულიყო. ეს ჩემი ინიციატივა იყო და, როგორც ბიზნესმენმა, „რუსთავი 2"-ის სანაციის შემდგომი ნაბიჯები განვახორციელე. ამის შესახებ ინფორმირებულები იყვნენ ჩემი თანადამფუძნებლები და საზოგადოებაც.

**— 2004 წლის ივნისში გამოაცხადეთ „რუსთავი 2"-ის გაკოტრების საქმე.**

— მარტში დაიწყო პროცესი, მაისამდე მომზადდა, ივნისში მისი ინიცირება მოხდა და შემდგომ ამნისტია ჩემ გარეშე განხორციელდა, რადგან აღარ ვიყავი დირექტორი. გაკოტრების პროცესის ინიცირება არ ნიშნავს კომპანიის გაკოტრებას. სამართლებრივად ეს ნიშნავს დისკუსიის დაწყებას სახელმწიფოსა და კომპანიას შორის იმაზე, მოხდება თუ არა არსებული აქტივების მხრივ კომპანიის მიმდინარე დავალიანებების გადაფარვა. ასეთი რამ უამრავ ცნობილ კომპანიას შემთხვევია. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასაც დაემართა მსგავსი რამ და კომპანია ისე გაიყიდა და გააგრძელა არსებობა, რომ მათ ეს ვალი არ გადაუხდიათ. ასეთი რამ ბიზნესის ტრადიციაა.

> **„თუ დვალი და აქიმიძე მართლები არიან, მაშინ მეც მართალი ვარ და, თუ ქიბარია მართალი, მაშინაც მეც მაქვს მოთხოვნის უფლება. დიდი ინტერესით ველოდები, როგორ აპირებენ ამ ორი თემის ერთმანეთში შერწყმას, რადგან ორივე გადაწყვეტილების შემთხვევაში მე „ცოცხალი" ვრჩები. უჩემოდ სასამართლო ვერ დაამთავრებს ამ თემას!".**

ასეა, ვიღაცის ხელისუფლებაში მოსვლა, რა თქმა უნდა, ვიღაცისთვის საზიანოა. ვიღაცის წყენებში, ვიღაცის ტკენებში მიზეზშედეგობრივი კავშირი ამ ადამიანებსა და მეორე მხარეს შორის ან სამართლებრივი დავის საფუძველია, ან პირადი წყენების. პირადი წყენების დროს სვამენ ცივ წყალს, სამართლებრივი დავის დროს ტარდება სასამართლო.

ვიქნები დაინტერესებული, თუ ჩემი ორი თანადამფუძნებელი დაზარალებულად გამოცხადდება, რადგან ამ დროს იძულების წესით პროკურატურაც და სასამართლოც ვალდებულია, მეც გამომაცხადონ დაზარალებულად. აგრეთვე — ნიკა ტაბატაძეც, თუ ის თავს დაზარალებულად ჩათვლის. თუ სასამართლოზე დავსვამ კითხვას, მე თუ ვარ დაზარალებული-მეთქი, სასამართლომ უნდა იმსჯელოს ჩემზე. მეორე ვარიანტში, თუ სასამართლო იტყვის, რომ ესენი კი არა, ქიბარ ხალვაშია დაზარალებული, რადგან მან დააკმაყოფილა აქიმიძის და დვალის ფინანსური თუ წილობრივი ინტერესიო, მე მაშინაც ვარ მესამე მხარე ქიბარ ხალვაშის მიმართ, რომელმაც მოახდინა არაკეთილსინდისიერი გამდიდრება. ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ აქიმიძე და დვალიც მართლები არიან და ქიბარიც მართალია. ეს ერთმანეთში როგორ ჯდება, სოლომონ ბრძენიც ვერ იტყვის.

ივანიშვილმა რა იცის ამ თემაზე, ისიც არ ვიცი. ამბობს, რომ სააკაშვილი ჩემს მოშორებას სთხოვდა. ეს უთხრა ჟურნალისტ ირმა ინაშვილს. ქიბარსაც ეხვეწებოდა, კიწმარიშვილი მომაშორე და მე და ქიბარმა მოვაშორეთ ეს კაცი სააკაშვილსო. როგორ მოაშორა მან თუ ქიბარმა სააკაშვილს ჩემი თავი, მათ ჰკითხეთ. ერთი სიტყვით, თუ დვალი და აქიმიძე მართლები არიან, მაშინ მეც მართალი ვარ და, თუ ქიბარია მართალი, მაშინაც მეც მაქვს მოთხოვნის უფლება, მაგრამ ბუნებაში შეუთავსებელია ის, რომ აქიმიძე-დვალიც და ქიბარიც მართლები იყვნენ. დიდი ინტერესით ველოდები, როგორ აპირებენ ამ ორი თემის ერთმანეთში შერწყმას, რადგან ორივე გადაწყვეტილების შემთხვევაში მე „ცოცხალი" ვრჩები. უჩემოდ სასამართლო ვერ დაამთავრებს ამ თემას!

**— როგორ, რა გზებით იყიდა „რუსთავი 2" ქიბარ ხალვაშმა?**

— წარმოდგენა არ მაქვს, მას ჰკითხეთ. სასამართლო გადაწყვეტილებაში წერია, რომ ქიბარს ჩემთვის ფული არ გადაუხდია.

**— ანუ თქვენი წილი მას აჩუქეთ?**

— არაფერი მიჩუქებია! მას ჩემთვის ფული უნდა გადაეხადა იმ ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც ქიბარმა ჩემი წილი გადაიფორმა. მან კი არ გადამიხადა. ამ დროს კი ამბობს, რომ მომცა. ამის მტკიცებულება არ არსებობს. მაშინ სასამართლოზე ეს ვერ დაამტკიცა. ახლა თუ რამით დაამტკიცებს, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სამართლებრივი განხილვა მის სასარგებლოდ იქნება მიკერძოებული. შარშან თუ შარშანწინ ივანიშვილი ჩემზე ამბობდა, სააკაშვილის კაციაო და თან, ამ დროს სასამართლო პროცესს ვაგებ გაქცეულ ქიბარ ხალვაშთან სააკაშვილის სასამართლოში. ლოგიკას ხედავთ?

**— ვთქვათ, თქვენი წილი დაიბრუნეთ, როგორ წარმოგიდგენიათ „რუსთავი 2"-თან ურთიერთობა და მის განვითარებაში თქვენი წვლილი?**

— ბებიას თუ ექნება გენიტალიები, იქნება ბაბუა. როცა ბებია იქნება ბაბუა, ამაზე მერე ვილაპარაკოთ. რა იქნება ხვალ, ხვალ გადაწყდება. ვიმეორებ, რომ ამ ყველაფრის გარშემო გარკვეული შეთანხმება ხდება. გადაამოწმეთ, რა მოხდა ოფშორში, რატომ შეიცვალა „კავკასუს ონლაინში" ხელმძღვანელობა, ვისით იცვლება და თქვენც მიხვალთ იმ დასკვნამდე, რომ რაღაც ხდება. ივანიშვილი მზად არ იყო „რუსთავი 2"-ზე შეკითხვისათვის, რომელიც მას პრესკონფერენციაზე დაუსვეს. მან მოახდინა სააკაშვილის პროვოცირება. ზუსტად ორ საათში განერვიულებულმა, ისტერიულმა სააკაშვილმა თქვა, შეეშვით, ეს ჩემიაო. რადგან სააკაშვილი ასე მწვავედ რეაგირებს, ესე იგი აქ რაღაც ბუდეა! ახლა თუ ვინმე იყიდის „რუსთავი 2"-ს მიშასგან, ეს სამართლიანობის აღდგენა იქნება?!

**— „რუსთავი 2" როგორი ტელევიზიაა ახლა, როცა გარედან უყურებთ, როგორ აფასებთ?**

— 10 წლის განმავლობაში ვიბრძოდი იმისთვის, როგორი ტელევიზიაც მინდოდა, ისეთი ყოფილიყო და როგორსაც ეს ხალხი და ქვეყანა იმსახურებდა. „რუსთავი 2" დღეს საქართველოს ნომერი პირველი მაუწყებელია. როგორიც დავტოვეთ, ისევ ისეთია. ამდენი ქარტეხილის მიუხედავად, თავისი პოპულარობით და ავტორიტეტით ვერც ერთმა მაუწყებელმა შეცვალა. ფაქტი ერთია, ის გუნდი, რომელიც ჩემს პარტნიორებთან ერთად გავაკეთე, საქართველოში დღესაც ყველაზე ძლიერია. ის, რასაც ვუყურებ, 10 წლის წინანდელი ჩემი და ჩემი პარტნიორების მიერ დატოვებული კონცეფციების ცუდი გადამღერებაა, რომელიც ისევ მუშაობს. ჩვენ რომ ვყოფილიყავით, ბევრად უკეთესი იქნებოდა, ვიდრე დღეს არის.

ერთხელ მივეცი ერთ კომპანიას („მაესტროს" გულისხმობს. ავტ.) ფასიანი რჩევები, რომლებიც არ დააფასეს. ისიც ერთ-ერთ სერიოზულ მაუწყებლად იქცა, რომელიც ასევე მე შევქმენი. მამუკა ღლონტი მანამდე „ამტანს" აკეთებდა.

✓ **რუსუდან ადვაძე**



Cyan Magenta Yellow Black

# თავსატეხი

იპოვეთ 10 განსხვავება




# გააფერადეთ





Cyan Magenta Yellow Black

# მოსართავი ყვავილი

ეს ულამაზესი ყვავილი შეგვიძლია მრავალფუნქციურად გამოვიყენოთ: ქამარზე, თმის სარტყელზე, კაბაზე, ჩანთაზე, სახლის ინტერიერშიც კი. მისი დამზადება ძალიან მარტივია და დიდ დროს და ენერგიას არ მოითხოვს.

დაგვჭირდება შედარებით მყარი ქსოვილი (ფარჩა, ორგანზა, ჯინსი, ფეტრი...), მაკრატელი, წებო და ხელოვნური თვალი ყვავილის გულისთვის (შეიძლება მძივების გამოყენებაც).

ქსოვილისგან გამოვჭრათ 6 დიდი, 4 შედარებით პატარა და 3 უფრო პატარა კვადრატი. კვადრატები გადავკეცოთ ისე, როგორც მე-2 ფოტოზეა ნაჩვენები და შემოვუმრგვალოთ ერთი ნაპირი. ასე გამოგვივა წრეები. ყველა წრე ჩავჭრათ ნახევრამდე, ჩაჭრილი მხარეები ერთმანეთს გადავაწებოთ. გამოვჭრათ მუყაოსგან ყვავილის ძირი და დავაწებოთ მზა წრეები: ჯერ 6, შემდეგ 4 და შემდეგ 3. შუაში ჩავამაგროთ თვალი. სულ ესაა.

✓ ლელა ცუცქირიძე

გისურვებთ წარმატებას!




### წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 7 | 2 | 9 | 6 | 4 | 3 | 1 | 8 |
| 6 | 9 | 4 | 3 | 1 | 8 | 5 | 7 | 2 |
| 8 | 3 | 1 | 2 | 7 | 5 | 6 | 4 | 9 |
| 2 | 5 | 9 | 1 | 8 | 6 | 7 | 3 | 4 |
| 1 | 4 | 8 | 5 | 3 | 7 | 9 | 2 | 6 |
| 7 | 6 | 3 | 4 | 2 | 9 | 1 | 8 | 5 |
| 9 | 2 | 5 | 7 | 4 | 3 | 8 | 6 | 1 |
| 4 | 8 | 7 | 6 | 3 | 1 | 2 | 5 | 3 |
| 3 | 1 | 6 | 8 | 5 | 2 | 4 | 9 | 7 |

№ 2

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 3 | 9 | 5 |
| 3 | 5 | 2 | 9 | 7 | 6 | 8 | 1 | 4 |
| 1 | 8 | 9 | 4 | 3 | 5 | 6 | 7 | 2 |
| 8 | 9 | 3 | 5 | 2 | 4 | 1 | 6 | 7 |
| 6 | 2 | 1 | 7 | 8 | 9 | 4 | 5 | 3 |
| 7 | 4 | 5 | 1 | 6 | 3 | 8 | 2 | 9 |
| 2 | 1 | 4 | 6 | 9 | 7 | 5 | 3 | 8 |
| 5 | 3 | 6 | 2 | 4 | 8 | 9 | 7 | 1 |
| 9 | 7 | 8 | 3 | 5 | 1 | 2 | 4 | 6 |

## ეს იცოდით?

❖ ეროვნული დროშების დაშვება გლოვის ნიშნად სათავეს მე-17 საუკუნიდან იღებს. ეს რიტუალი ბრიტანელმა მეზღვაურებმა შემოიღეს. ისინი ბრძოლაში დაღუპულ თანამებრძოლთა პატივსაცემად ეროვნულ დროშას დაბლა სწევდნენ.

❖ საფრანგეთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც კოსმოსში გაუშვა კატა. ეს 1963 წელს მოხდა. კოსმოსში „გასეირნების" შემდეგ კატა, სახელად ფელისეტი, მშვიდობიანად დაუბრუნდა დედამიწას.

❖ გლადიატორების პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სასაფლაო არქეოლოგებმა თურქეთში, კერძოდ ეფესოში აღმოაჩინეს. აღნიშნულ სამარხში 67 გლადიატორის ნაშთი იპოვეს.

❖ თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე ოფიციალურად 33.400 არქეოლოგიური ძეგლი და 440.000 ისტორიულ-არქეოლოგიური ობიექტია განთავსებული, რაც უძველესი საბერძნეთისა და ძველი რომის არქეოლოგიურ ძეგლებზე მეტია.

❖ რამდენიმე ისტორიული წყაროს ცნობით, საფრანგეთის სახალხო გმირის, ჟანა დ,არკის (1412-1431 წლები) სიკვდილით დასჯაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმანაც, რომ იგი ცაცია გახლდათ. ეს ფაქტი მისმა მტრებმა კარგად გამოიყენეს ჟანა დ,არკისათვის ჯადოქრობაში ბრალის დასადებად და სასამართლომაც გაითვალისწინა.

❖ ჩინგიზ ყაენმა არ იცოდა უცხო ენები, მაგრამ შვილები აიძულა, ესწავლათ.

❖ რუსეთის დედოფალმა ეკატერინა პირველმა დააწესა კანონი, რომლის თანახმად, მამაკაცებს მის წვეულებებზე ალკოჰოლის დალევა საღამოს 9 საათამდე ეკრძალებოდათ.

❖ მიჩიგანში ქალს არ აქვს უფლება, თმა ქმრის თანხმობის გარეშე შეიჭრას.

❖ დღეს სიყვარულსა და ვნებასთან წითელი ფერი ასოცირდება, შუა საუკუნეებში კი სიყვარულისა და სექსუალურობის სიმბოლოდ მწვანე ფერი მიიჩნეოდა. ამის გამო ღია მწვანე ფერის სამოსს ხშირად ატარებდნენ გასათხოვარი გოგონები.

❖ მარკ ტვენი სემუელ ლენგჰორნ კლემენსის ლიტერატურული ფსევდონიმია. ის თავის ნაწარმოებებს ხშირად სხვადასხვა ფსევდონიმს აწერდა. მარკ ტვენმა მოწევა 8 წლიდან დაიწყო და უკვე მოზრდილი დღეში 20-40 ყველაზე მყრალ და იაფფასიან სიგარას ეწოდა.

❖ „ბეჭდების მბრძანებლის" ავტორი ჯონ რონალდ რუელ ტოლკიენი სააბაზანოში იძინებდა, რომ ხვრინვით ცოლი არ შეეწუხებინა. ამასთანავე ის ცუდი მძღოლი იყო.

❖ ჩარლზ დიკენსს ღამით სახით ჩრდილოეთისკენ ეძინა, რადგან მიიჩნევდა, რომ ეს კალიგრაფიის გაუმჯობესებას შეუწყობდა ხელს.



Cyan Magenta Yellow Black

სამომხმარებლო
სესხების აქცია

# ტკბილი და სასარგებლო სიახლე საზაფხულო მენიუში!

11,95 %-დან



**ტკბილი და სასარგებლო სიახლე** ბანკ „რესპუბლიკის" მენიუში! მხოლოდ ამ ზაფხულს და მხოლოდ ბანკ „რესპუბლიკისგან", აიღეთ სამომხმარებლო სესხი ლარში ყველაზე მიმზიდველი პირობით! სესხი გაიცემა 200-დან 50 000 ლარამდე მოცულობით.

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

290 90 90 | * 90 90 | BR.GE

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი




SilkLab

## თვეში 5 ლარიდან

ლიცენზირებული ანტივირუსი სილქნეთისგან



Find us on: facebook

**2 100 100**
**silknet.com/antivirus**

KASPERSKY lab

ESET NOD32 antivirus system